

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

10

ოქტომბერი

2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ოლიკო ჟღენტი
ნინო სადღობელაშვილი
გვანცა ჯობაგა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83
www.intelekti.ge info@intelekti.ge
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

ბედნიერი ტანჯული

ოთარ ქილაძე. ხალხი ივინყებს, ადამიანი – არა 5

(ესაუბრა ავსტრიული გაზეთის – „დი პრესეს“
კორესპონდენტი ედუარდ შტაინერი).
გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

ემზარ კვიციანიშვილი. რა შეუძლია ქალის კაბას!.. 8

გენო კალანდია. ბებრები 11

„ცა ხომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაზეც 12

ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები“... 12

(საუბრობენ კატო ჯავახიშვილი, გურამ მეგრელიშვილი,
ნინო სადღობელაშვილი და დიანა ანფიმიადი)

აოჯია

ზაზა ბიბილაშვილი. ლექსები 15

მხატვრული პროზა

ირაკლი ლომოური. შოკორთველოს ბორჯღალადი 18

(პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან)

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

როსტომ ჩხეიძე. რეკვიემი სინანულისა 22

(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

კრიტიკა

მიხეილ ქავთარია. მინდია: ახალი ხედვა 39

(მერაბ გველესიანი. მინდია ანუ ურჩხული და გოგონა)

ბრიგოლ რობაქიძე – 130

- 42** **თენგიზ ჩხაიძე.** ქართული კულტურის რენესანსის მედრომე
43 **ნანა თედორაია.** უმოქმედო კეთილის ბოროტება
(გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“. სამი პერსონაჟი.)

მწერლის არქივიდან

- 52** **დიდთა სიყვარული.** ივანე მაჩაბელი და მაკო საფაროვა
(*ნოდარ გრიგორაშვილის პუბლიკაცია*)

ახალი თარგმანები

- 55** **რაინერ მარია რილკე.** ჰიოლდერლინისადმი
(გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადიანმა**)
56 **ჯეკ ლონდონი.** საექვოობის სასარგებლოდ
(ინგლისურიდან თარგმნა **ზურაბ ცერცვაძემ**)
68 **ტომას ვულფი.** ვეფხვიც და ბავშვიც
(ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო **მედეა ზაალიშვილმა**)

ჩემი პერსონაჟი

- 59** **ნინო სადღობელაშვილი.** მზია – ბათარეკას ასული
61 **ნუკრი ბერეთელი.** დომენიკო
65 **გვანცა ჯობავა.** „ადამიანები, რომლებმაც განიძარცვეს...“
73 **ნინო ნადირაძე.** ჩვენ, ისინი და სხვები
75 **თათია ჯგუშია.** მათე
79 **ნინო ნეკერიშვილი.** „ცრემლები შემინირია იმ შენის მეგობრისადა“...

სიასლა

- 80** საერთაშორისო პრემიის ქართველი ნომინანტები
80 „კლასობანა“ ქართულად

ბედნიერი ტანჯული

ოთარ ჭილაძე

ხალხი იზინყვას, ადამიანი – არა

მწერლები ხშირად მიდიან ხოლმე პოლიტიკაში. არასოდეს გიფიქრიათ ამაზე?

მწერალი თავისთავად უკვე პოლიტიკოსია. ვიქტორ ჰიუგოზე ამბობენ, თავისი შემოქმედებით მან მილიონობით ადამიანის ცნობიერება შეცვალა, მაშინ, როდესაც მთელ ბატალიონს მხოლოდ 200-300 კაცის განადგურება შეუძლიაო. როგორც ქართველი, ასევე რუსი კრიტიკოსები წერდნენ, რომ მე საქართველოს დამოუკიდებლობას ძალადობის გარეშე შევუმზადე ნიადაგი, თუმცა საერთოდ იარაღის ტრფიალი ვარ და ახალგაზრდობაში კარგი მსროლელიც ვიყავი; მწერლები და ხელოვანები ყოველთვის ოპოზიციის რიგებში დგანან. ნებისმიერი მთავრობა ცდილობს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, მოისყიდოს და მორჩილებაში იყოლიოს ან საერთოდ თავიდან მოიშოროს ისინი. ეს არ ახალია, ძველია.

რა რევოლუციური გავლენა შექმნოთ მოხდინათ თქვენს ნაწარმოებებს?

ჩემი ხალხი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ თავისუფალი უნდა იყოს, და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ეს არის. უკანასკნელი ორი საუკუნეა, რაც ჩვენ რუსეთის დიქტატის ქვეშ ვიმყოფებით. მტკნარი სიცრუეა, როდესაც პოლიტიკოსები საქართველოს და რუსეთს შორის „მეგობრობაზე“ ლაპარაკობენ. ეს „მეგობრობა“ არც ერთი წუთით არ არსებულა. მე დიდად პატივს ვცემ რუს ხალხს და რუსულ კულტურას, მაგრამ რუსული სახელმწიფო სულ სხვა მექანიზმია. რუს მწერლებთან ვმეგობრობდი, მაგრამ ამ მეგობრობას წერტილი დავუსვი, როდესაც დავინახე, რომ ისინი აქტუალურ მოვლენებზე ხმა-კრინტს

არ ძრავენ, და, არც ერთი მათგანს არ აღმოაჩნდა გამბედაობა და ღირსება, ეთქვა, რომ ქართველები აგრესორები არ არიან.

გამოდის, რომ ყველაფერში რუსები არიან დამნაშავე?


ოსები და ეგრეთ წოდებული აფხაზები არასოდეს ყოფილან საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა. ეს ხალხები აქ რუსებმა ჩამოასახლეს. სამხრეთ ოსეთი ცენტრალური საქართველოა; აფხაზეთში კი ქართულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი, და თვით სოჭიც, ქართული ქალაქია. სწორედ რუსიფიკაციული პოლიტიკის შედეგად მიენიჭა აფხაზეთს საკუთრივ სახელმწიფო ერთეულის სახელი და ამ გზით ხდებოდა წლების მანძილზე ქართული ცნობიერების რუსული ჩანაცვლება. რუსული პოლიტიკა არაფრის წინაშე არ იხევდა, რათა აფხაზეთის ტერიტორია მიეტაცებინა. ამ პოლიტიკამ ბევრი ადამიანი აიძულა, რუსიფიკაცია განეცადა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებდნენ რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას.

აი, გისმენთ, და, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რუსებს აგრესია გენებში ჰქონდეთ.

დიახ, ეს დაახლოებით ასეა.

მსოფლიო აშკარად იცვლება და ამას გლობალიზაციის პროცესი უდევს საფუძვლად. ხომ არ გაქვთ იმის მოლოდინი, რომ რუსეთშიც მოვა ახალი თაობა?

სამაგისო ნიშნებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. ორიოდ ადამიანი კი ცდილობს, ობიექტური იყოს და აკრიტიკებს მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ეს არ კმარა; ანდა, ეშმაკმა უწყის, რა მიზნით ხდება ეს; იქნებ ადამიანების შეცდომაში შესაყვანად?



ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი მწერალი **„დი პრესესთან“** საუბრობს რუსული პოლიტიკის გენეტიკურ აგრესიულობაზე, ევროპის „უდიდეს შეცდომაზე“ და მწერალზე, როგორც „შენელებული მოქმედების ბომბზე“.

როდესაც ოთარ ჭილაძისთან დიდი მწერალი ინტერვიუსთვის მადლობას გიხდის, ეს, ალბათ, თანამედროვე მსოფლიოში არსებულ განუკითხაობას უნდა მივანეროთ. „მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, კულტურის არც ერთი უცხოელი ატამე არ დაინტერესებულა ქართული ლიტერატურითო“, – სინანულს გამოთქვამს **ოთარ ჭილაძე**, მერე კი, ფიქრებში ნასული, დასძენს: „ავგისტოს ომის წინააღმდეგ არც ერთ რუს მწერალს არ აღუმაღლებია ხმაო“. ჩვენთან საუბარში იგი გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს რუსული ხელისუფლების ფსიქოლოგიაზე, ეროვნულ ფასეულობებზე, კავკასიურ ტრადიციებსა და მხატვრული სიტყვის ძალაზე.



ოთარ ჭილაძე „დი პრესეს“ ფურცლებზე

როგორ ფიქრობთ, თავად საქართველოში ხელისუფლებას საკმარისად აკრიტიკებენ? სამხრეთ ოსეთის დედაქალაქზე ქართველების თავდასხმის ფაქტი ხომ დიდ ეჭვებს იწვევს?!

ეს სულ სხვა თემაა. ხელისუფლების მოწონება-არმოწონება ჩვენი პირადი საქმეა. ქართველებს შორის ეს საკითხი ამჟამად არ დგას, რადგან დღესდღეობით ის მთავრობა გვყავს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრიობას იცავს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ჩვენთან რომ იმყოფებით, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენს საუბარს ამ თემაზე აზრი ეკარგება, თუ ეჭვი გეპარებათ იმაში, რომ საქართველო აგრესორი ქვეყანა არ არის. რუსმა პოეტმა ალექსანდრ პუშკინმა ჯერ კიდევ 1821 წელს ბრწყინვალე შეფასება მისცა რუსულ პოლიტიკას, როდესაც თქვა: „ძალზე მნიშვნელოვანია, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში რუსეთი: დავიპყრობთ თუ არა მოლდოვასა და ვლახეთს მშვიდობისმყოფელი შუამავლების სახელით“-ო. რას იტყვით, აქტუალურია, არა?

და, მაინც: რა არ მოგწონთ საკუთარ ქვეყანაში?

არ მომწონს, რომ ჩემს ქვეყანაში ოკუპანტები დგანან. როდესაც დამოუკიდებლობას მთლიანად დავიბრუნებთ, მაშინ მოგახსენებთ, რა არ მომწონს საკუთარ სახელმწიფოში.

მწერალი შენელებული მოქმედების ბომბია, ჟურნალისტის სიტყვა კი უმალ იწყებს მოქმედებას. ჟურნალისტი სიმართლეს დაუყოვნებლივ უნდა ამბობდეს. რაც ახლა ხდება, ჩვენ მიერ ცხინვალზე თავდასხმის შედეგი არ არის. ეს იმის შედეგია, რომ ცხინვალიდან ოსები თვენახევრის განმავლობაში ბომბავდნენ ქართულ სოფლებს, მერე კი ამ პროვოკაციაზე ჩვენც გამოვხატეთ რეაქცია. ამ დროს ერთი რამ გაცხადდა: მე წუხილს გამოვთქვამ ამ ომში მოკლულ თითოეულ ადამიანზე, ოსები კი მხოლოდ საკუთარ თანამემამულეებს გლოვობენ და სულაც არ ადარდებთ მოკლული ქართველების ბედი. რატომ დაარიგეს რუსული პასპორტები სამხრეთ ოსეთში?

როგორ ფიქრობთ, რაც მოხდა, ამის შემდეგ კიდევ არსებობს იმედი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შევა?

სამხრეთ ოსეთი ყოველთვის საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო. მის გარეშე საქართველო საქართველო არ არის. თუ სამხრეთელი ოსები რუსეთთან ყოფნას ამჯობინებენ, სულ რაღაც ათ წელიწადში აღარ იარსებებენ, როგორც ეთნოსი. უკან მობრუნებას მათ ვერ ვაიძულებ, რუსეთმა კი, ვფიქრობ, უდიდესი შეცდომა დაუშვა, რადგან ქართველებზე უკეთეს მეგობარსა და პარტნიორს იგი მთელ მსოფლიოში ვერსად იპოვნის. კარგია, რომ ხალხს ხანმოკლე მესხიერება აქვს; ეს მას აძლევს საშუალებას, შემწყნარებლობა გამოიჩინოს და არსებობა შეინარჩუნოს. ხალხისაგან განსხვავებით, ადამიანს ხანგრძლივი მესხიერება გააჩნია, იოლად ვერაფერს ივიწყებს და ის კვდება.

თუკი რუსეთი მართლაც ასე აგრესიულია, როგორ წარმოგიდგენიათ მასთან ურთიერთობა?

შეხლა-შემოხლას არავის ვურჩევ. ისლა დაგვრჩენია, ღირსება შევინარუნოთ და თავი არავის დავაჩაგვრინოთ; არ წავიდეთ დათმობაზე, რაც რუსეთს გაუძლიერებს იმის რწმენას, რომ ყველაფრის უფლება აქვს.

რუსებთან სიმკაცრეა საჭირო, რათა ღირსება შევინარჩუნოთ.

რა აზრის ბრძანდებით ევროპის ურთიერთობაზე რუსეთთან უკანასკნელ წლებში?

ეს ურთიერთობა უდიდეს შეცდომად მიმაჩნია. ევროპა ყოველთვის დათმობებზე მიდიოდა და რუსეთს არაფერში უშლიდა ხელს. სამწუხაროდ, საქართველოში მომხდარი მოვლენები მთელ მსოფლიოზე აისახება. რაც უფრო ღირსეულად მოიქცევა დასავლეთი, მით უფრო დიდი რიდი ექნებათ მისი რუსებს. თუ თავს ისე დაიჭერთ, რომ რაღაც ძალა გაგაჩნიათ, რუსეთი ცოტათი მაინც დაიხევს უკან. ეს ის ერთადერთი გასაგები ენაა მისთვის; თუ მას საკუთარ სიძლიერეს დაანახებ, რუსეთი მშვენივრად გაერკვევა სიტუაციაში და უმალ კეთილგანწყობილი გახდება.

თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენმა წიგნებმა 20 წლის წინ მოვლენების განვითარებას შეუწყო ხელი. რა გავლენა გააჩნია ლიტერატურას დღესდღეობით?

წიგნებისადმი დამოკიდებულება, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში შეიცვალა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა უნდა იყოს; კომპიუტერი ხომ წიგნების გასანადგურებლად არ გამოუგონებიათ?! წიგნი ის ერთადერთი სამყაროა, სადაც ადამიანი საკუთარ თავს პოულობს და შეიცნობს. ამ გზით შეიტყობს იგი, რა გადახდა თავს და რა შეიძლება მოხდეს.

როდესაც ევროპულ ფასეულობებს აკვირდებით და ხედავთ, დასავლური ცხოვრების წესი – სხვათა შორის საქართველოშიც – როგორ ვრცელდება, რას ფიქრობთ ამ ფასეულობებზე, რა შედეგები მოჰყვება მათ გავლენას, როდესაც ხდება მათი ქართულ, შესაბამისად, კავკასიურ ფასეულობებთან და ტრადიციებთან შეჯახება. შესაძლებელია აქ მათი დამკვიდრება?

თავად მე სიცოცხლის ბოლომდე ევროპული ფასეულობების ერთ-

გული დავრჩები, რადგან ახლობელი და მისაღებია ჩემთვის. სხვაგვარად ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ევროპული ფასეულობები ქართულ ფასეულობებს ემთხვევა – მათ საერთო საფუძველს ინტელექტუალური და სულიერი სიახლოვე შეადგენს.

თქვენ ახლა გეზი ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ გაქვთ აღებული. ევროპა კი ერთობ განსხვავებული ტრადიციებით გამოირჩევა. რითი შეუძლია საქართველოს გაამდიდროს ევროპა?

ამაზე ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: ქართველები ყოველთვის გამოიჩენენ პატივისცემასა და თანადგომას სუსტი და გაჭირვებული ადამიანებისადმი, არ შეიპყრობთ სხვების მიმართ უპირატესობის გრძნობა. ჯერ კიდევ X-XII საუკუნეებში საქართველოს დედაქალაქში ერთმანეთის გვერდით იდგა ქრისტიანული ეკლესია, ისლამური მეჩეთი და ებრაული სინაგოგა.

დავანებოთ თავი რუსეთის ზეგავლენის ფაქტორს. თქვენი აზრით, ემუქრება თუ არა კონფლიქტების სახით ხიფათი თავად კავკასიას, რომელიც უამრავ ენაზე მოლაპარაკე ხალხებითაა დასახლებული?

რუსული პოლიტიკა რომ არა, რომელიც კავკასიის დაპყრობას და ხმელთაშუა ზღვაზე გავლას ისახავს მიზნად, არავითარი კონფლიქტები არ იარსებებდა. რუსეთი ყოველთვის ცდილობს კონფლიქტური კერების შექმნას საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად. ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს სახიფათო ზონა.

ესაუბრა ავსტრიული გაზეთის – „დი პრესეს“ კორესპონდენტი ედუარდ შტაინერი, თბილისი, 19. 08. 2008 /18:30 სთ/

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა



ავტორის ვინაობისთვის

საქართველოში ოთარ ჭილაძე ცნობილია არა მხოლოდ როგორც მწერალი, არამედ როგორც ქვეყნის ინტელექტუალური ავტორიტეტიც. დაიბადა 1933 წელს, სწავლობდა ჟურნალისტიკას, თუმცა ჟურნალისტად არასდროს უმუშავია. 1959 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი ლირიკული ლექსების კრებული: „მატარებლები და მგზავრები“, შემდეგ რომანები: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „რკინის თეატრი“, „მარტის მამალი“, „აველუმი“. თავის უკანასკნელ მითიურ რომანში „გოდორი“ მწერალი საქართველოს ისტორიას და მის მიმართებას რუსეთთან ახლებურად, რეტროსპექტულ ჭრილში აღწერს და ანგრევს კავკასიის ხალხზე შექმნილ იდილიურ წარმოდგენებს. 1991 და 1999 წლებში ოთარ ჭილაძე წარდგენილი იყო ნობელის ლიტერატურულ პრემიაზე. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის გერმანულად. ჭილაძე ცხოვრობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში.



ნიკოლოზ ბარათაშვილი



ეკატერინე ჭავჭავაძე

ემზარ კვიციანი

რა შეუძლია ქალის კაბას!..

(ლიტერატურული კამეა)

ვინ მოსთვლის, ქალის სამოსელზე, კაბაზე რამდენი შთამბეჭდავი, დაუვინყარი ლექსი შექმნილა და ეს მუდამ მამაკაცის უძლიერესი გრძნობის, სიყვარულის გამოვლინებაა. სათქმელი თვალსაჩინოდ რომ გამოიკვეთოს, რამდენიმე, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული შემთხვევის მოხმობა მომინევს.

შემთხვევითი არ არის, რომ უკიდურესად სადა, გენიალურ ხალხურ ლექსში („შირაქის გზაზე მივდივარ, უკან მაბრუნებს ქარი“), უნიჭიერესმა მთქმელმა, ალბათ უბრალო მეცხვარემ, თვალწინ მოფარფატე, ნითლად აბრიალებული პეპელა საყვარლის კაბას მიახვავა და, მისი ნახვის სურვილმოდებულმა, იქვე ალაღად ინატრა: „ღმერთო, დამწერე ჯვარიო“.

ევროპული ქვეყნების გალანტურ ეპოქებში (ასეთად, ჩვეულებრივ, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებს მიიჩნევენ), ქალის სამოსის თვითუღწერილობის (გულ-ყელზე მოხვეული ქსოვილი თუ ნიაზე ანაზდად აფრიალებული კაბის კალთა) მამაკაცები გაფაციცებით აკვირდებოდნენ და უმალ ხვდებოდნენ, გაარზიყება ილბლიანი, საიმედო იქნებოდა თუ არა.

ქალ-ვაჟის ასეთი დამოკიდებულების ერთგვარი კვალი ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტად თავისებურ, მისივე ლირიკიდანაც აშკარად გამორჩეულ ლექსში „ღამე ყაბახზედ“, რომელზედაც საგანგებო წერილი მაქვს გამოქვეყნებული. ყაბახზე, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა სეირნობისა და ალერსის შემყურე პოეტი თავის უშუალო განცდებს აღწერს და ცხადი ხდება, როგორ მოუხიბლავს იგი ერთი ეშხიანი ბანოვანის დანახვას, რომელიც ადრევე ჰყოლია ნანახი.

აქ, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ქალის მოძრაობის სიმსუბუქე და ჩაცმულობა, ჰაეროვნება, რითაც მან უმალ მიიქცია ყმანველი კაცის ყურადღება.

უეცრად მათში დავინახე
თეთრკაბიანი
და – მყესულად მან მიმილო
ჩემნი ცნობანი.

ქალი იცნობს ერთხელ შენახვედრ ჭაბუკს, კიდევაც გაუცინებს და მათ შორის იმართება სხარტი, ბუნებრივი დიალოგი. პოეტი ღმერთს მადლობას სწირავს, რომ კვლავ ეღიროს ესოდენ სასურველი არსების ნახვა. ქალი მადლობას უხდის თავაზიანობის გამო და კეკლუცად პასუხობს: „ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“. პოეტი წრფელად ეუბნება, რომ მის სახესა და ხსოვნას ვერავითარი მოდა და დრო ვერ დაავიწყებს. ლამაზმანს, ცხადია, ეამა ვაჟის ნათქვამი, მაგრამ იგი ყასიდად, ეტიკეტის დასაცავად ლაპარაკობს და გულისყური სხვა პიროვნებისკენ აქვს მიპყრობილი (მაღე კიდევაც მკვირცხლად მიატოვებს მოსაუბრეს, თვალს მიეფარება), მაგრამ აქ საგულისხმოა ის წამიერი ცვლილება, მას პოეტის მოხდენილი ქათინაურის გამო რომ დაეტყობა სახეზე. ნიავის წამოქროლებაზე კაბის აფრიალება ჭეშმარიტად დიდოსტატის კალმითაა დახატული, რითაც სამუდამოდ გვამახსოვრდება „მერანის“ ავტორის მომჯადოებელი:

ამა სიტყვაზე ვარდი ღანთზედ
მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიავემანც თეთრი კაბა
მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები
ღამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი
წარიღეს თვისთა.

არსებობს ფეტის ერთი ბარათი,

რომელიც მან პოლონსკის გაუგზავნა. ფეტი ფაქიზი, დახვეწილი ლირიკოსი იყო და მისგან მოულოდნელი არ გახლდათ, მეგობარი პოეტისთვის ასეთი რამ მიენერა: „რა საჭიროა ლექსისთვის სიუჟეტის ძებნა. ამგვარი სიუჟეტები ყოველ ნაბიჯზეა – გადაკიდე სკამზე ქალის კაბა, ანდა შეხედე ღობეზე შემომჯდარ ორ ყვავს (ფეტი გულისხმობს, რომ ის ყვავები ერთმანეთს სიყვარულით ეკურკურებიან), ესეც შენი სიუჟეტები“.

უცნაური ამბავია – **ოთარ ჭილაძემ** თითქოს იგუმანა, შინაგანად იგრძნო ფეტის თამაშ-თამაშით ნათქვამი ჭეშმარიტება და სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაოთხი წლისამ, დაწერა თავისი საუკეთესო სატრფიალო ლექსი („მზად ვარ გისმინო და გემსახურო“), რომელშიც სწორედ სკამზე გადაფენილი საყვარელი ქალის კაბა გამოიყენა ლექსის ყველაზე ზუსტ და შესაფერწერტილად, ქარბუქში, დეკემბრის ხვავრიელ თოვლში გაფოფრილი ღამე რომ დაეხატა და ძვირფას არსებასთან განმარტოებულს, ბურუსისგან დაბინდული ოთახის სიმყუდროვეც ეჩვენებინა:

**სარკმელში ისევ თოვლი ირევა
და ჰყვება თავის უბრალო ამბავს
და სკამზე, როგორც ნანადირევი,
ჰკიდია შენი ლამაზი კაბა.**

ამ სტრიქონების დამწერს არ ჰქონდა წაკითხული ფეტის წერილი და ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. მთავარი არც სკამზე გადაკიდებული „ლამაზი კაბა“ გახლავთ. აქ ყველაფერს აგვირგვინებს ბედნიერად მიგნებული, ისარივით ნატყორცნი შედარება – „როგორც ნანადირევი“, რამაც სულ სხვა სული ჩაუდგა, ხალასი პოეტური აზრი შესძინა ლექსს. აქ შეიძლება მოვიგონოთ ფრთიანი ქართული გამოთქმა – „გულის მონადირება“. მოარშიყე მამაკაცს სათავისოდ რომ არ განეწყო გამომწვევად მიმზიდველი თამაში ქალი, ვის „ეშმაკ თვალებს და სარკეებში ნასწავლ სიარულს“ ასე ესათუება, ის მაცდუნებელი კაბა მორჩილად, ნანადირევივით ვერ გადაიკეცებოდა საწოლთან მიდგმულ სკამზე.

ოთარ ჭილაძის ამავე ლექსში არის ერთი უაღრესად თამამი, მრავლისდამტევი, ელიფსური, თოვლის გუნდასავით დაკუმშული, ახლებურად, ვიზიონერის წვდომით გაჩენილი სახე, რომლითაც ირიბულად, მარჯვე მინიშნებით, საყვარელი ქალის გარეგნობაც იხატება: „და მღერის შენი მძიმე საყურე, გაბრუებული დეკემბრის თოვლით“. იგი თითქმის ისევე გვებჭედება მეხსიერებაში, როგორც **ეკატერინე ჭავჭავაძის** სილამაზის უკვდავმყოფელი ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილისა – „საყურე“. ქალის ნატიფი სამკაული თეთრ შროშანაზე დამჯდარ, ფრთებაცაცახებულ პეპელასთან არის შედარებული და „ეთამაშება თავისა აჩრდილს“. ამ არამქვეყნიური მშვენიერების მხილველი პოეტი დამაბრმავებლად მოციმციმე საყურეზე დანანებით, ნალვლიანად ამოიძახებს:

**ნეტავი იმას,
ვინც თავის სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს.**

მინიატურულ მეტაფორაში მთელი სამყაროა ძვირფასი თვალივით ჩასმული. საერთოდაც, ბარათაშვილის „საყურე“ ერთი გაშლილი მეტაფორაა, რომლის შესადარი, სილამაზითა და სიღრმით, ქართულ პოეზიაში ძნელად თუ მოიძებნება.

აქვე შეიძლება იმის თქმაც, რომ ოთარ ჭილაძის ეს ლექსი შორეულად მოგვაგონებს (რაიმე გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია) **ბორის პასტერნაკის** რომანზე დართულ ერთი შედეგის, სისადავითა და აღსარების სინრფელით გაჯერებულ ლექსს – „ზამთრის ღამეს“, სადაც ასევე განუწყვეტლად ბარდნის, მთელ დედამიწას გარდიგარდმო ეფინება რძისფერი ფანტელები. პოეტი ძვირფას არსებასთან იმყოფება (მაგიდაზე ანთებული სანთელი, მათეს სახარებიდან მომდინარე სიკეთის დამამკვიდრებელ სიმბოლოდ არის მიჩნეული), ჩვენ ვხედავთ განათებულ ჭერზე მოქანავე ლანდებს, მონმენი ვხდებით ქალის და მამაკაცის ხელ-ფეხის და ბედის მისტიური გადაჯვარედინებისა



ათანას ფეტი



ოთარ ჭილაძე



ბორის პასტერნაკი

(„Скрещенья, рук, скрещенья ног, судьбы скрезунья...“).

ათეული წლობით ხელოვნურად მიჩუმათებულ, თავის დროზე ხელისუფლების მიერ უსამართლოდ დაჩაგრულ, წარმოშობით დიდგვაროვან ლექს, მეტად თავისებურ, შესაშური ოსტატობის რუს პოეტ **არსენი ტარკოვსკის** აქვს ერთი ტრაგიკული ტონალობის უსათაურო ლექსი, რომელშიც უკვე დაკარგულ, შავკაბიანი ქალის სიყვარულს მისტირის და იგი მიაჩნია „ღვთისგან დაუბრუნებელ საუკეთესო წყალობად“.

პოეტი მზადაა შეულოცოს, ოღონდ კვლავ დაიბრუნოს ის განუმეორებელი ნეტარება და მერე თუნდაც ისევ დაკარგოს უფლება საოცნებო არსების „სუნთქვაზე, ხელებზე, კაბაზე“. ეს მწარე ოხვრა სულისშემძრავი ძალით ისმის ლექსის ბოლო სტროფში:

Я не знаю, где твоя держава,
И не знаю, как сложить хаклятье,
Чтобы снова потерять мне право
На твоё дыханье, руки, платье.

ეს ნამდვილ მსხვერპლად შეწირვას ჰგავს და მხოლოდ დიდი, უმნიცვლო სიყვარულის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენი სვედამწარებელი სამშობლოს „ოქროს ხანა“ რომ დაეხატა, დასალუპავად განწირული **ტიციან ტაბიძე**, გულის მოსაოხებლად, ხშირად მოიხმობდა ხოლმე თამარის სხივმოსილ სახეს. აქ უნდა მოვიტანო მისი ერთი მივიწყებული ლექსის სტრიქონები, იმდროინდელი კეთილდღეობის, ფუფუნების, ჰიპერბოლურად წარმომჩენი: „მომავონდება თამარის კაბა, თორმეტ წელიწადს რომ ნაკერალა“ (ამას, ვგონებ, ტიციანისთვის უჩვეულოდ გამართული და ჟღერადი „მთა ნაქერალა“ ერთიმეხა).



ტიციან ტაბიძე



არსენი ტარკოვსკი

დაბოლოს, არ შემძლია, ამ კონტექსტში არ გავიხსენო არაბეთის მპყრობელის, როსტევეან მეფის ერთადერთი ასულის, თამარის ლიტერატურული ორეულის, „მზის დამწუნებელი“ თინათინის შეუდარებელი, ფასდაუდებელი სამოსელი, როცა უზომოდ შეწუხებულმა, ქუშად მჯდომარემ, „უცხო მოყმის“ საქმენლად თავისი საქმრო, „საროსა მჯობი ნაზარდი“ ავთანდილი დაიბარა:

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს
ყარყუმნი უსაპირონი,
ეზურნეს მოშლით რიდენი, ფასისა
თქმად საჭირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი,
გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეკიდნენ
გრძლად თმანი არ-უხშირონი.

ასეთი გამაონებელი სილამაზის მხილველი მიჯნური, ადვილი მისახვედრია, როგორი ღვთიური ცეცხლით აენთებოდა, რათა ზღვასა თუ ხმელეთზე მოულოდნელად გაუჩინარებული („ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა...“), სხვათაგან უპოვნელი უცნაური ყმა „კიდიოთი კიდე“ ექებნა და რადაც არ უნდა დასჯდომოდა (სამისოდ სამი წელი დაუთქვა თინათინმა), ტარიელის კვალისთვის მიეგნო (ტყუილად როდი ადარებენ ავთანდილის მრავალწლიან ფათერაკებს ოდიევსის ასეთსავე სახიფათო მოგზაურობას; ტროას ლეგენდარულ გმირს იგი გამჭრიახობით, მოხერხებითაც გავს). მხოლოდ ამის მერე მოიპოვებდა უფლებას უმამაცესი სპასპეტი, „ლალი, უკადრი“ ავთანდილი თავისი საცოლის ზღაპრულ სამოსელს ხელით შეჭებოდა.

ჭეშმარიტად სხვა ჯადო და მომხიბლაობა აქვს ქალის კაბას, სად არ გადაგკარგავს, რა სასწაულს არ ჩაგადენინებს.

**გენო კალანდია
ბაბრუბი**

ოთარ ჭილაძის ხსოვნას


როდესაც დიდი პოეტი კვდება,
ზღვები, ქარები იწყებენ ქვითინს...
ამ წითურ ბებრებს ედებათ სნება
და მყრალი სული ევსებათ ფითრით.

გულზე, ვით კარზე ურდული ადევთ,
არც ქრისტე ახსოვთ და მისი მცნება,
ოთახში შურით აქრობენ სანთლებს,
როდესაც დიდი პოეტი კვდება.

გარეთ ჰაერში დაფრინავს ჩიტი, –
ვარდით, ლაჟვარდით, გალობით თვრება...
ბოლმით და შურით უშრებათ სისხლი,
როდესაც დიდი პოეტი კვდება.

მღვდლები, ვით ძმები მოდიან დილით,
რომ ალასრულონ რჩეულის ნება...
ამ წითურ ბებრებს არ ყოფნით ძილი,
როდესაც დიდი პოეტი კვდება.

მთანმინდა უკვე ახლოა მისთვის,
ვით მშობლის ეზო და ათი მცნება...
ჩემსავით წუხს და განიცდის ბევრი,
როდესაც დიდი პოეტი კვდება.



„ინტელექტი“ ბთავაზოვთ

ოთარ ჭილაძე
„ცა მიწიდან იწყება“


„სხვათაშორის, ცუდი არ იქნება, მეც რომ მოვიძიო ძველ რვეულებში გაფანტული ჩანაწერები, ვინ იცის, იქნებ იმათი გამოცემაც მოუნდეს ვინმეს „ჩემთან შეუთანხმებლად!“ – (ოთარ ჭილაძე, 1994 წ.).

დიდი მწერლის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები.

ყველაზე ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელსაც **ოთარ ჭილაძე** მთელი ცხოვრება სიმარტოვეში წერდა.

აქ ნახავთ მწერლის ყოველდღიურ განცდებსა თუ ემოციებს, შემოქმედებით ლაბორატორიას, გამომხაურებებს ამა თუ იმ მოვლენაზე, შეხედულებებს ცნობილ ადამიანებზე. ჩანაწერები გასდევს მთელ მის ლიტერატურულ ცხოვრებას 1955 წლიდან გარდაცვალებამდე.

კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო **თამაზ ჭილაძემ**. წიგნში გამოყენებულია ოთარ ჭილაძის ნახატები.



„ცა სომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაზეც ეჯახებთან
დრუბლებს დრუბლები“...

საუბრობენ კატო ჯავახიშვილი, გურამ მეგრელიშვილი,
ნინო სადღობელაშვილი და დიანა ანფიმიადი



შემოდგომა – უსასრულოდ გრძელი და გულწრფელი საუბრების დრო. დრო, როცა ჭიქა ჩაიზე, ადამიანებს უფრო ღრმად შეუძლიათ ჩაიხედონ საკუთარ თავშიც და ერთმანეთშიც, ერთდროულად გარეთაც გაიხედონ და შიგნითაც ეძებონ მიზეზი პასუხგაუცემელი შეკითხვების ამოსახსნელად. აუცილებელი დანაკარგების დროც. ისეთი დანაკარგების, მთელი ცხოვრება შემწეველად რომ კარგავ და ერთ მშვენიერ დღესაც აღმოაჩენ – სიცარიელეა. სულ ვამბობ, ეს სეზონი რომ არ ყოფილიყო, ადამიანებს საკუთარი შეცდომების აღიარება გაუჭირდებოდათ-მეთქი. წვიმიანი დღეა. გარეთ ოქტომბერი წვიმს და ჩემს სახლში ნახშირის „სამოვარი“ დულს. მძულს სენტიმენტები და მაინც დამრია ხელი ამ ჩემთვის უცხო, თუმცა სასიამოვნოდ მონატრებულმა განწყობამ. ჩემი რუბრიკა ხომ ორ ფინჯანზეა და მაგიდაზე კი, ორის ნაცვლად ოთხი ფინჯანი დევს. და თუ რატომ, ამაზე მოგვიანებით. კარზე კაკუნია (ზარი არ მაქვს) და სტუმრებს ვიღებ, ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს. ნინო სადღობელაშვილი, გურამ მეგრელიშვილი, დიანა ანფიმიადი... ყველაზე მშრალი დიანაა, ფენხიმედ არის და როგორც ჩანს, ყველაზე მეტად გაუფრთხილდა საკუთარ თავს. ნინოზე და გურამზე კი ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

აი, ასეთი სტუმრები მყავს დღეს. ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულები, სრულიად სხვადასხვა ლირებულეებებითა და ლიტერატურული შეხედულებებით, თუმცა თემაა საერთო და ამ თემას ოთარ ჭილაძე ჰქვია.

კატო ჯავახიშვილი

გურამ მეგრელიშვილი: როდესაც ღმერთთან კავშირს კარგავენ ადამიანები, ანუ როცა ლოგოსის უშუალოდ ვეღარ ესმით, მათთან იგზავნებიან ხოლმე შუამავლები, წინასწარმეტყველები, მქადაგებლები, სალოსები. ზოგიერთ საზოგადოებაში, ასეთი წინასწარმეტყველების ესმით, ზოგიერთში – არა. ერისკაცი უკვე ისეა დაშორებული ღვთაებრივს, რომ უჭირს, ეძნელება ღვთაებრივი სიტყვის მიღება და შესაბამისად, ითხოვს ისეთ შუამავალს, რომელიც მას უშუალოდ მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნის სათქმელს. ჩვენთვის, ერისკაცებისათვის, ასეთები მწერლები არიან და მწერლის სიმაღლე სწორედ იქიდან ისაზღვრება, რამდენად ითავსებს და ითავისებს ამ ფუნქციას – მქადაგებლის, სიმართლის პირში მთქმელის ფუნქციას. ჩემთვის ოთარ ჭილაძე სწორედ ასეთი წინასწარმეტყველი იყო.

დიანა ანფიმიადი: „შენ ხარ – აქამდე რაც უნდა მეთქვა, შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი!“ – ამ ორი ფრაზით იწყება ჩემთვის ოთარ ჭილაძე, თავდაპირველად ეს ამოტივტივდება ხოლმე მესხიერებაში, ამიტომაც, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემთვის, სუბიექტურად, ჯერ პოეტი ჭილაძეა, მერე ჭილაძე – პროზაიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესანიშნავი რომანები ძალიან მიყვარს და მიმაჩნია, რომ თუ რამე გვაახლოვებს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან, ეს უპირველეს ყოვლისა, ოთარ ჭილაძის პროზაა, მაგრამ მისი პოეზია იმდენად ინტიმური და პირადულია, რომ მასში ისე გრძნობ თავს, როგორც გვიან შემოდგომაზე საკუთარ ოთახში, სადაც შენი საყვარელი მუსიკაა ჩართული და ბუხარში მუხის მორები ტკაცუნებენ.

ნინო სადღობელაშვილი: ცოტა ხნის წინ, „ინტელექტმა“ გამოსცა ოთარ ჭილაძის ჩანაწერები – უბის წიგნაკის დღიურები, წიგნების თუ სუფთად-მორჩენილი ქალღაღადების არშიებზე

მინანერი ფიქრები, თავისივე ესკიზებიანად. ეს კიდევ – აღმოჩენა იყო ჩემთვის, არ ვიცოდი, ოთარ ჭილაძე თუ ხატავდა. თან, იცით როგორი ნახატებია? აი, რეჟისორები რომ აკეთებენ ხოლმე კადრიებსა და, ყველა საგულისხმო მოვლენას თუ ტიპაჟს რაღაც სიმბოლოთი აღნიშნავენ. მასაც სიმბოლოები აქვს – ადამიანის, სილამაზის, წარმავლობის... მთელი ეს წიგნიც, სიმბოლოებამდე დაშიფრული ნაფიქრალია. თან, ჩანაწერები ხომ ყველაზე ინტიმური რამ არის მწერლისთვისაც და მისი მკითხველისთვისაც და, გულწრფელობის გამძაფრებელი სურნელიც ახლავს. აქაც – ამ თავის დღიურებში, ისეთივე რაღაცნაირად ბუმბერაზი მოჩანს ოთარ ჭილაძე, ვეება, ნათელი გონებით და ღრმა შინაარსით, როგორც მთელ შემოქმედებაში. გეგონება, მოსვენების უფლებას ამ „ამოსუნთქვის ნუთებშიც“ – ჩანაწერებშიც არ აძლევდა თავს, და ყველა ფრაზა, ყველა აბზაცი მისი პირადი ბიოგრაფიიდან – მისივე ქვეყნის ბიოგრაფიას ემთხვევა. აი, ასეთი დარჩება ჩემთვის ოთარ ჭილაძე – ჩემი ქვეყნის ბიოგრაფია.

კატო ჯავახიშვილი: „მწერალი ალაბუდებზე დაეძებს იმას, რისი სახელიც წესიერად თვითონაც არ იცის და ვიდრე იპოვიდეს, დაახლოებითაც კი ვერ წარმოიდგენს, როგორ გამოიყურება მიზეზი და მიზანი მისი უგზო-უკვლოდ ხეტიალისა არსაიდან არსაით მიმავალ გზაზე“ – უცნაური ჩვევა აქვს მის სიტყვას, ამოიჩემებ და დაგაქვს თან უსასრულოდ. ხომ გვხვდება ლექსები, სახეობრივად და სტილისტურად თითქოს ყველაფერი წესრიგშია, კითხულობ, მოგწონს, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ აღარაფერი რჩება. სიცარიელეა... არასოდეს უკითხავთ მის ტექსტებს მოსვლა, დაუკითხავად შემოაღეს კარი და კი არ შემოვიდნენ, შემოიჭრნენ თითქოს.

დიანა: ჰო, ეს ისეთი პოეზიაა, სადაც მხატვრულ ხერხებსა და სალექსო

ზომებზე ლაპარაკი, ისეთივე უხერხულია, როგორც მესამე ადამიანის ჩარევა შეყვარებულების საუბარში ან შეყვარებულების დუმილში.

კატო: და უცებ მივხვდი, ეს ყველაფერი ყოველთვის ჩემთან იყო, უბრალოდ სადღაც ძალიან ღრმად დამარხული და მეხსიერების ზედაპირზე ამოტივტივებას ელოდებოდა. ჩემთვის ცხოვრება უფრო პროზაა, ბედნიერება კი ალბათ პოეზია. ჭილაძე უფრო ცხოვრებაა, მთელი თავისი იმედგაცრუებებით, ნგრევით თუ შენებით.

გურამი: ოთარ ჭილაძე ოცდამეერთე საუკუნის მწერალია. კარგ მკითხველს თუ ცოცხალი ურთიერთობა არ შეუძლია თუნდაც საუკუნის წინ გარდაცვლილ მწერალთან, ის მას ვერ გაუგებს. განა მლოცველი, რომელიც ხატთან დგას, მკვდარ წმინდანს ესაუბრება? განა წინასწარმეტყველის სიტყვები ძველდება და ფასს კარგავს? ვერა, რადგან ის, რაც წმინდას ემსახურება თავადაც განიწმინდება და წმინდაა, დაძველება არ უნერია. შეიძლება ძალიან პათეტიკურად გამომდის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჭილაძის ნაირი პროზაიკოსი მეოცე საუკუნეში სულ ორიოდ თუ მოევიწინა ქვეყანას. ამიტომაც იყო ხოლმე ეს გაუთავებელი დაყვედრებები, იმას ჰგავს, ამას ჰგავს, იმის მიბაძვაა, ეს უფრო ადრე დაინერა და ასე შემდეგ. ყველა მწერალი ერთი წყაროდან არ სვამს წყალს? ყველა წმინდანი ერთ ჭეშმარიტებას არ ქადაგებს? დაუწყით ყვედრება სერაფიმ საროველს, იოანე ოქროპირს ბაძავს და ჰგავსო, ან იოანე ოქროპირს, ლაო ძის „გადამღერებაო“, განა სულელები არ ვიქნებით? განა ყველა მათგანი ღმერთის ნათქვამს არ გვიადამიანურებდა?

კატო: „განა ტალღებმა იციან, რომელ ნაპირს შეასკდებიან, ქვიანს თუ სილიანს? მაინც ერთი სული აქვთ, როდის მიაღწევენ ნაპირამდე, რათა დაიმსხვრენ, დაიფუშონ და განადგურდნენ იმ ერთნამიანი შეხების გულისთვის, რისთვისაც საერთოდ გაჩენილან“ – დღეს გაუთავებლად ვციტირებ, მაგრამ სწორედაც რომ ეს ნაპირია, მთელი ცხოვრება რისკენაც მიისწრაფოდა ალბათ. სადღაც უსასრულობისაკენ... ასე დარჩა კიდევ ის ჩემთვის, დროში

აცდენილი, დროს გასწრებულიცა და ამ დროზე გადაფარებულიც.

ნინო: ჰო, კატო, ამიტომაც, მისი ჩანაწერების ნაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დამენანა საქართველო უოთარქილაძედ... რამხელა ფიქრი მოაკლდა! რამხელა ჭირისუფალი! სადღა არიან ასეთი მწერლები – ასე ჯვარცმულები ქვეყნის ბედსა და ტკივილზე. ლია სტურუას ერთი ლექსის ფრაზა მახსენდება – „მოკვდა მაღალი სტილი“. ეს მაღალი სტილი რაღაა? ადამიანობა ალბათ – თავისი სრულქმნილებით, თავის ყველა გამოვლინებაში – ეროვნულ-პიროვნულ-კოსმოპოლიტიურში; იმაზე მეტად ადამიანობა – ვიდრე გარემოება გავლენს შენ, ვიდრე გგონია, რომ სულ ესაა, რაც შეგიძლია; სიძველის განცდა ადამიანში, არქაულობის კი არა, სიძველის – ისტორიის, უხსოვარობის, მარადისობაში დაჭერილი საკუთარი წამის განუმეორებლობის.

დიანა: მარადიულს რაც შეეხება, ყველაფერი მარადიული კი არა, მთლიანად მარადიულია და საერთოდ, თუ მარადიულზე არ წერ, ლიტერატურას არ ქმნი. ყოფითი უკვე ყოფითი აღარ არის, როცა ლიტერატურულ ფორმაში ექცევა.

გურამი: ბოლოს დადუმდა. საერთოდ აღარ ლაპარაკობდა. განა სათქმელი აღარ ჰქონდა? ველარ გვაგებინებდა ალბათ სათქმელს, გაგვცდა და დაგველოდა.

ნინო: დიდი იყო ოთარ ჭილაძე, ძალიან დიდი. მისი სიჩუმეც, თუ რაც ჰქვია, პოზიცია, რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ – მწერლის, ხელოვანის, „აზრმოსაკითხი ინტელიგენტისა“ თუ მსგავსი სტატუსების მქონე კაცის პოზიცია: სიჩუმე, განდგომა, – იმაზე მეტად საგულისხმო, ვიდრე ერთად აღებული იქნებ ყველა საპროტესტო მანიფესტი ამქვეყნად. ქვეყანა რომ ბოხოქრობდა და, რევოლუციას რევოლუციაზე აწყობდა, საზოგადოების აზრმა რომ ქუჩაში გადაინაცვლა და, ქუჩა კი – რა ფართო ასპარეზია დიდთა და პატარებისათვის, ჩინიანთა და უჩინოთათვის! მაშინ ის შინ იჯდა, ალბათ თავის ოთახში, და „გოდორს“ წერდა – ჩვენს ბოლოდროინდელ ლიტერატურაში ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წიგნ-



კატო ჯავახიშვილი



გურამ მეგრელიშვილი



ნინო სადლობელაშვილი

თაგანს; ჩანანერებს აკეთებდა – თავის თავში, სამყაროში მოგზაურობდა და, ვის მოუბრუნებდა ენა რომ თქვას: სიჩუმეო...

კატო: დუმილი... ჩემთვის ეს უფრო საკუთარ თავთან დიალოგია. ხანგრძლივი და დამღლევი გზის შემდეგ, სიტყვა ფიქრად რომ გადაიქცევა და მადლის ქვაზე დადების დრო დგება. მერე, ერთხელაც, შეიძლება ათწლეულების ან სულაც ასწლეულების შემდეგ, ამ მადლს ვინმე მგზავრი იპოვის და სამყაროს სულ სხვა თვალებით შეხედავს. მარადიული თემები ხომ არ ცვდებიან, არსებობენ და იარსებებენ. ეს მხოლოდადამიანები იცვლებიან, რომლებიც ამ თემებს ახლებურად ამოთქვამენ ხოლმე.

დიანა: მე მგონი ეგ როგორი დუმილია, იცი? აი მეშვიდე დღეს ღმერთმა რომ დაისვენა, ეგეთი, „და თქვა უფალმა, კარგი იყო“ და ძალიან მშვიდად დაწვა და დაიძინა, რაღაც ეგეთი მგონია.

ნინო: ეგებ ესაა ყველაზე დიდი ხმაურიც დედამიწაზე – შემოქმედების, ფიქრის, აზროვნების! ხელოვნების მარად ცოცხალი პროცესიც ესაა და, ისაც, რომ არასოდეს გახდეს მწერალი მორალისტი, ან იგივე სემანტიკით – ამორალისტი... არამედ, დარჩეს ისეთ თვითმყოფად შემოქმედად, როგორიც ოთარ ჭილაძეა. დიდი მწერალი და, ადამიანი. ამ „დიდში“ ყოველივე მწერლურს და ადამიანურს ვგულისხმობ, რომელიც არავისთვის არ არის უცხო.

გურამი: ნებისმიერი ერი ბედნიერია და უბედურიც იმით, თუ რამდენად ძლიერი ერისკაცი წინასწარმეტყველები ჰყავს. ბედნიერი იმით, რომ უშუალოდ მათ ენაზე, მათივე სახე-სიმბოლოებით, მათთვის გასაგები ფონეტიკური აზროვნებით მიეწოდება ის, რაც ხშირად თარგმანში იკარგება ხოლმე. უბედური კი იმითაა, რომ ასეთი დიდი მთქმელი ჰყავს ერს და მისი არ ესმის. „წინასწარმეტყველები არსად ისე დაუფასებლები არ არიან, როგორც თავიანთ ქალაქშიო“, – ითქვა და ასეცაა. შენთან, შენს გვერდით ცხოვრობს და გესაუბრება ადამიანი, საღვთო სიბრძნის უნებურად მატარებელი, ლოგოსის გამტარებელი და ვერ ხედავ. ვერ ხედავ, რადგან აკვირდები მისი

ცხოვრების წესს, მოქმედებას, პოლიტიკურ აქტივობას და მსგავს წერილმანებს, სინამდვილეში კი უმთავრესი სადღაც გვერდით გრჩება, ჩაივლის და მხოლოდ წლების მერე, როდესაც კაცობრიობის განვითარების დონე გაუსწორდება მწერლის ნათქვამს, ვიგებთ და ვაფასებთ „მალაღებელს უდაბნოსა შინა“ და იწყება მეორე უკიდურესობა, გაფეტიშება, გაკერპება და უშუალო კავშირის დაკარგვა მასთან.

კატო: „ცა ხომ ვრცელია, მაგრამ ამ ცაზეც ეჯახებიან ღრუბლებს ღრუბლები“... – იქნებ ფეხისმოსანაცვლებლად სულაც არ არის საჭირო ერთმანეთს დავაბიჯოთ მაშინ, როცა გვერდზე ადგილი ცარიელია. რატომღაც, ადამიანები ერთმანეთს ნიჭს ვერაფრით ვპატიობთ. გვიჭირს სხვისი სიკარგის დანახვა, თვალებს ვარიდებთ. აი სიკვდილი, სიკვდილს ხშირად სარგებელიც კი მოაქვს, უხეშად რომ ვთქვათ. მკვდარი ხომ საშიში აღარ არის და მასზე დახარჯული სიტყვაც ხშირად თვითრეკლამისათვის მშვენიერი მოტივია. არადა, რა მარტივია თქვა რასაც ფიქრობ, უბრალოდ, ადგე და თქვა.

დიანა: ძველი ამბავია, ნიჭს რომ არ ვპატიობთ ადამიანებს. მარტო ჩვენ ვართ ასე თუ ყველა ასეა, არ ვიცი. მგონი ყველა ასეა, მაგრამ სიკვდილი რაღაცების თქმას გვაბედინებს. აი, ვაკვირდები, ცოცხალ მწერალზე არავინ არაფერს წერს, მითუმეტეს, ვთქვათ, ახალგაზრდაზე თქვას რამე კარგი, წაახალისოს, თუ მეგობარი არ არის ან რამე ასეთი, თითქოს ვფიქრობთ – მართლა არ გაუხარდეს, მართლა არ გაბედნიერდეს ამით ადამიანიო. სიკვდილი გვაბედინებს. ჭილაძის ბოლო წლებში მე არ მახსოვს ნორმალური კრიტიკული წერილი ოთარზე, გარდაიცვალა და წამოვიდა ტბილი სიტყვების ზღვა – თითქოს გარდაცვლილზე ალალია, გარდაცვლილის ქების გამო ცოცხლები არ გაგვიცხავენ.

გარეთ ოქტომბერი წვიმს და ჩემს სახლში ნახშირის „სამოვარი“ დუღს. არ ვიცი, რამდენად შევძელი ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვა ამ საუბრით, თუმცა „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმას“...



დიანა ანფიმიადი

პოეზია

ზაზა ბიბილაშვილი
ლექსაპი

•
უსაშველოდ გზები როდის გაიყარა?
გზები როგორ დაუნუნავთ მეტეორებს!
ვიყურები თქვენკენ ისე ჰაიჰარად,
თითქოს გული საგულეში მეტეოდეს.

გარეთ, მგონი, იწურება ჭრელი მარტი,
გარეთ მარტის სანნახელი იწურება;
მე კი ვდუმვარ, თითქოს მართლა შემეყვარდა
მარტობის დანყვევლილი მიწურები.

ამ გაზაფხულს ბოლოს მაინც სად წაფუვალ –
გულს ტრფილის ყუმბარებით გადაბომბავს –
კიდევ ერთხელ ველარ იხსნის სასწაულიც
ხმელი მკერდის გამოკეტილ კატაკომბას.

და შევივლი ოცნებების პანთეონზე.
შემომკვივლებს საფლავეების ცხრაკლიტული:
გაციდულა ცად მზირალი ანთეოსი –
ქარში ხმელი ფოთოლივით გაკიდულა!

ლამე ლოკავს მთვარეების მლაშე აბებს.
დილა კენკავს ვარსკვლავების ასკინკილებს.
და არავინ ეუბნება, რად შეაბეს
ფრთებთან ერთად დოლაბები საწისქვილე...

გზები ისე უსაშველოდ გაიყარა,
ჭირვეული ბედის ქარში გაფენილი...
და შევარხვე მანძილს ისე ჰაიჰარად,
თითქოს ყელზე არ მიჭერდეს საბელივით;

თითქოს თქვენი მონატრებით არ ბრუვდება
აქაური სიზმარეთის სარეცელი...
მაგრამ თუკი მოვინდომე დაბრუნება –
თქვენს მიწაზე სასიკვდილოდ დავეცემი.

•
ვნება – მღვრიე და უანკარესი,
თუ რამ მქონდა და თუ რამ მინდოდა,
საზი,
ტრაპეზი
თუ ასპარეზი,
ბედი სპათა თუ ბედი ინდოთა –
დამიგდია და ჟინით მოჯრილი
ქვაბს შიგან მალუბს თანისთანობით



ზაზა ბიბილაშვილი დაიბადა 1972 წელს კარაღეთში (გორი).

1994 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

მუშაობდა პრესის კორესპონდენტად, რედაქტორად, სამხედრო ჟურნალისტად, ტელე- და კინოპროდუქციის სცენარისტად და რედაქტორად.

ლექსებს, მოთხრობებს, ლიტერატურულ ნერილებს აქვეყნებს 1985 წლიდან.

ავტორია ორი პოეტური კრებული: „ნუ მესიზმრები, რაა!“ (1999) და „ჩემი მდოგვის მარცვალი“ (2009).



სენი შმაგის და სენი მიჯნურის
და უფრო მეტად – უნესტანობის.
ნელზე – მახვილი, მეხად ნაჭედი,
რის ამეხებას ვერ მოვესწარი:
ირგვლივ – ათასი ციხე ქაჯეთის,
მაგრამ არც ერთში – ჩემი ნესტანი.
თვლემენ მცველები, იღბლიანები,
მოფრიალებულ კართან დილეგის.
ისე უწყალოდ იგვიანებენ,
აღბათ, არც მოვლენ ავთანდილები.
თითქოს მნათების ათინათებიც
საბალდახინე გვირგვინებია.
ყრიან ლელებში მყრალი კატები
და ლომებივით იღრინებიან.
ველარც სიკვდილი ჩადგა თვალეში –
ლანდი ტრფილის მეხთატეხისა,
ვერც უჩინმაჩინ მტერზე თარეში –
ამირბარული ჩეხვა მეღირსა.

და აღარ ვიცი, რად დამაფეთა
სიზმრად ნანახი ეშხის ზმორებამ
ან სიყვარულის ჭრელი ნაფლეთი
რად მაფენია ვეფხის ზოლებად.

•

მტერო, მოჯარდი სახედარეჯით!
მზე მიმქრალია, ქარი – დაღლილი.
ხანდახან გულის თეთრი ნაგლეჯი
თუ შეირხევა ბაირალივით.

მოისურვილე შავი ნატვრები,
გატიკნულები ბოლმის ჯიქნითა!
კარიც არ დაგრჩა შემოსამტვრევი –
გამტვრეულია ყველა შიგნიდან!

მტერო, მოჯარდი, თუკი სადმე ხარ, –
დატეხილი აქვს ფრთები ქარტეხილს.
რა ბედენაა გულის გატეხა –
ციხეს დააქცევს ფიცის გამტეხი!

ამდენ ბზარსა და ამდენ იარას
სიცოცხლის კირით რალა გატენის!
მტერო, მოჯარდი – ციხე კი არა –
თავიც არ მინდა ნალალატევი!

იქნება, კიდევ გეშით ჩამელის
კუპრის ხაროში ჯოჯო და მყვარი.
მომძალებია ლემისმჭამელიც –
მკვდარი ვგონივარ ნახევრად მკვდარი.

მტერო, მოჯარდი, შლეგი ნატვრები
სისხლგანუნულით აძლე ჯიგრიტა!
კარიც არ დარჩა შემოსამტვრევი –
გამტვრეულია ყველა შიგნიდან.

„– ესუ კირისტო-სამას შეუყვარდა პრინცესა
სანტა მარია, სიყვარულისგან მოკვდა და
ამიტომ გახდა ღმერთი“.

რიუნოსკე აკუტაგავა – „ძურიანო კიტისკე“



ყველაფერი საათივით აენყო, რიუნო...
განტევეების სამკუთხედი:
სატრფო – მეგობარი – ლალატი.
აფრები გაშლილია. მელოდება მყუდრო ტრიუმი.
დროა, გადავიცვა ნითელი კიმონო,
როგორც ჯალათის ხალათი.
რამე უნდა მეთქვა.
ახლა ყველაფერი რიგზეა.
ხომ არ ვიტყოდი, რომ აქაური სუსხით ვიჭინჭრები.
ხომ არ ვიტყოდი, რომ ქვეყანა იქცევა
ბაგედაბრეცილი ღიმის მიწისძვრებით.
რომ კეთილი ღიმილი, რა ხანია, ჩაიკვნიტეს ტუჩივით
და ვინც ვერ ჩაყლაპა, ყელში გასჩრია და ჰგუდავს.
და სამასკარადო ბაზარს უჩივის
ძველი მეძველმანეც, კეთილი ნიღბების გუდით.
რომ გადამდგარი გენერლებივით მოხუცი ღმერთები
ცეცხლს მიფიცხებიან
და მდუმარედ წრუპავენ საკეს.
თავი დაანებე ლუციფერს – თავისთვის ერთობა –
თავისია და, როგორც უნდა,
ისე დაბრეცს ვეება სარკეს.
ან რა დროს ამაოებაზე ლაპარაკია.
მერე რა, თუ სისულელეა ყველა ტანკა და სონეტი.
მერე რა, რომ სიძვის პაპანაქებაა
ირგვლივ და ვერცხლის უთვალავი მონეტა.
როგორ იტყვი, რომ ნამდვილი კი არა – მითი ხარ
ან – უსაზმნოდ განმუხტული მუხტი.
არადა, რალაც უნდა თქვა, როცა მიდიხარ,
ოლონდ ისეთი – სულსა და გულს მოხვდეს.
და, აჰა, შვებით ვგრეხ უკანასკნელ სტრიქონებს –
ხელგაშლით ვანიავებ მათხოვრის ქონებას.
ნახე – სატრფო და მეგობარი გამოვიგონე.
ლალატს რად უნდოდა გამოგონება.
რაკილა ხელთ ვიგდე სანუკვარი სადავე,
ავდექი და დავაფრქვიე მდულარე სტრიქონებიც.
ბანალურია? – შესანიშნავია, მაშასადამე.
მით უმეტეს – მთელი სიცოცხლე ამას ვიგონებდი.
ახლა შემიძლია,
მიმავალმა მყუდრო ტრიუმისკენ
ვიმეორო მხოლოდ:
ო, ესუ კირისტო-სამა... სამა-კირისტო...

რა კარგად აენყო ყველაფერი, რიუნოსკე.
რა კარგი დღეა ხარაკირისტვის.

მხატვრული პროზა



ირაკლი ლომოური
 შოკორთველოს ბორჯღაღაღი
 (პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან)

უზენაეს კაციკ-პრეზიდენტის* საზაფხულო რეზიდენცია საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული გახლდათ. ოღონდ სამგლოვიარო, შავი აბრეშუმით გადახვეული გვირგვინებიც იმდენივე იყო, რამდენიც ათასფერი, ხასხას-კაშკაშა ტროპიკული ყვავილებისგან დაწნული გირლანდები და თაიგულეები. თვალუწვდენელ, თოვლიან მთებს შორის, სალ კდეებში აღმართული საბრძოლოკოშკებიანი ციხე-სიმაგრე-სასახლის კედლები ყვავილების ფარდაგს დაეფარა.

მანველო კოსტა (იგივე მანველიშვილი კონსტანტინე), შოკორთველოს მეშვიდე კაციკ-პრეზიდენტი, უფსკრულის თავზე გადმოკიდებულ მომცრო ვერანდაზე გამოვიდა – ორმოცდათხუთმეტიოდე წლის მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი იყო. მხრებზე დათბილული საშინაო პონჩოხა მოესხა, ფეხზე ვიკუნიას ტყავის მესტები ეცვა.

გზას ჩახედა, სერპანტინის ლენტით რომ მიმოიკლაკნებოდა ღრუბლებით დაბურულ ხეობაში. სტუმრების მოზრძანებამდე – ტრაგიზიმიის დაწყებამდე – ხუთი საათი რჩებოდა. მთელი ხუთი საათი აქვს! ანდა, სულ რაღაც ხუთი საათი...

წამებს წიკნიკი გაჰქონდათ გულში.

რატომღაც ცას ახედა. ციხე-კოშკს თავზე კონდორი დასრიალებდა ულმობელი, მძიმე, სტრატეგიული ბომბ-დამშენივით.

ხუთი საათი.

მანველო კოსტა ბორჯღაღაღიან სარწვევლა-სავარძელში ჩაეშვა და თოვლიან მთებს აუჩქარებლად, დაკვირვებით შეავლო თვალი, თითქოს სამუდამოდ უნდაო ჩაიბეჭდოს გონებაში. თუ გულში.

წამებს წიკნიკი გაჰქონდათ გულში.

ვერანდაზე პატარა ბიჭუნა გამო-ბაჯბაჯდა. კაციკ-პრეზიდენტის შვი-

ლიშვილი, ხუთი წლის კოტიკო – ბუთ-ხუზა, დათვის ბელივით საყვარელი ბავშვი.

ბიჭუნამ ვერანდაზე პაპა შენიშნა, შეცბა, ეტყობა არ ელოდა – ერთ ადგილას შედგა, არ იცოდა რა ექნა, მისუ-ლიყო თუ გაქცეულიყო.

მანველო კოსტამ დაუძახა:

– კოტიკო, მოდი აქ!

ბიჭუნა გაქანდა, პაპას მუხლებში ჩაუსკუპდა. კოსტამ თავზე ხელი გადაუსვა, მიესიყვარულა – შვილიშვილთან ურთიერთობას იშვიათად ახერხებდა – საქვეყნო საქმე და საზრუნავი პირადი ცხოვრებისთვის დროს თითქმის არ უტოვებდა...

კოტიკო საყვარელ პაპას ჩაეხუტა, თავი გულზე დაადო და უცებ წიკნიკი გაიგონა. გაოცებით ახედა, შესძახა:

– ბაბუ, გულში საათი გაქ?

მანველო კოსტამ სევდიანად გაუღიმა, მოკლედ მიუგო:

– ბორჯღაღაღი.

– ბორჯღაღა... რა? – ვერ გაიგო ბავშვი.

– ბორჯღაღაღი. არ გაგიგია?... მონ-ყობილობაა, გულში რო გიფეთქდება, როცა დრო მოვა...

ბიჭუნამ ხელი გულზე მოისვა და შემფოთებით იკითხა:

– მეც მაქვს რაღაცა?!

– არა, არა, პატარავ, ნუ გეშინია...

შენ არ გაქვს და არც გექნება... ოღონდაც თუკი ჩემსავით ერთ მშვენიერ დღეს კაციკ-პრეზიდენტი არ გახდები...

– და შენ რატომ გაქვს, ბაბუ?

– რატომ? – მანველო კოსტა წამით დაფიქრდა, – ორი სიტყვით ძალიან ძნელია, რომ აგიხსნა, კოტიკო, მაგრამ მაინც ვეცდები, რადგან ბევრი დრო არ დამრჩენია... აბა, რაღას მოვანერხებ მერე...

ბიჭუნამ პაპას მკერდზე ყური ისევ მიადო.

* „კაციკი“ ინკების იმპერიის მმართველს ერქვა (ავტ. შენიშვნა)

– ნიკნიკებს!
– კი, ნიკნიკებს და მერე იტყვის: „ბუჰ“!

ბავშვს თვალები დაუმრგვალდა.

– რატო, ბაბუ? რატო იტყვის „ბუჰ“?

– მოდი, კოტიკო, ზღაპარით მოგიყვები... ზღაპარს ხომ კეთილი ბოლო აქვს ყოველთვის... მმ, ცხოვრებისგან განსხვავებით, – კაციკ-პრეზიდენტმა დინჯად დაინყო, – იყო და არა იყო რა, იყო ერთი მშვენიერი ქვეყანა, მას შოკორთველო ერქვა...

– ჩვენი შოკორთველო? ამაყი კონდორების სამშობლო? – გაუხარდა ბიჭუნას.

– დიახ, ჩემო პატარავ, – გაუღიმა პაპამ, – სწორედ ამ მშვენიერ ქვეყანაში ცხოვრობდა ამაყი, ლალი, შოკოლადით ტკბილი, მაგრამ თავქარიანი ხალხი...

– თავქარიანი რას ნიშნავს? – იკითხა ბავშვმა, – თავში რო უქრით?

– რა ჭკვიანი ბიჭი ხარ! – ბაბუამ შვილიშვილს თმა ხუმრობით აუჩქრა, ჩაიხუტა და განაგრძო, – ჰოდა, ეს ამაყ-თავქარიანი ხალხი ვერაფრით შეთანხმდა, ვის უნდა ემართა ქვეყანა. ყველას თვითონ უნდოდა პირველი ყოფილიყო...

– რა ბასტი-ბუბუ იქნებოდა!

– სწორედაც რომ ბასტი-ბუბუ იყო! – მწარედ ჩაეცინა მანველო კოსტას, – დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდა აურზაური, განევ-გამონევა და ცხვირპირის მტვრევა, სანამ არ გამოჩნდა აზნაური საჰაკატცელკოატლი...

– ჰო, სურათზე მინახავს! – გაახსენდა ბავშვს, – დიდი საჰაკი! თეთრ ცხენზე რო ზის და ხელში პატარა მზე უჭირავს... თავისი გული!

– მართალი ხარ, – შეაქო პაპამ, – გცოდნია ყველაფერი! აზნაურმა საჰაკმა თავქარიან თანამომეებს შესთავაზა: მოდი ის იყოს პირველი, ვისაც სამშობლო ყველაზე მეტად უყვარსო!

– და როგორ გაიგებდნენ, ყველაზე მეტად ვის უყვარდა? – დიდი კაცივით დაფიქრდა კოტიკო, სერიოზულად იკითხა.

– სწორედ ეგ იყო საქმე! ყველამ იყვირა, მე მიყვარს, მეო!

– და საჰაკმა რა თქვა?

– საჰაკმა თქვა, მოდი, ვისაც მართლა ყველაზე მეტად უყვარს ქვეყანა, გულში ბორჯულადი ჩაიდოს და ხუთი წელი მართოს, მერე კი ახალი კაციკ-პრეზიდენტი ავირჩიოთ...

– და ის სად წავიდოდა? – ისევ დაფიქრდა ბავშვი, – ძველი პრეზიდენტი?

– სად წავიდოდა? – კითხვა გაიმეორა კოსტამ, – სად და, ჯოჯომოთხეში!

– ჯოჯომოთხე რა არის? – გაოცდა ბავშვი.

– ჯოჯომოთხე არ გაგიგია? რა პატარა ხარ, – ჩაილაპარაკა კაციკმა, – ჯოჯომოთხე ისეთი ადგილია, სადაც ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთადაა... ბორჯულავით გადახლართული.

– ჯოჯოხეთი ვიცი, იქ ყველა ტირის, სამოთხეში კიდეც ყველა თამაშობს და იცინის! – წამოიძახა ბავშვმა.

– ჩემი ჭკვიანი ბიჭი! – ლამისაა გული აუჩუყდა პაპას, – ჰოდა, ჯოჯომოთხეში ტირიან, თამაშობენ და იცინიან... ესაა ადგილი, სადაც მიდის კაციკ-პრეზიდენტი, როცა ხუთი წელი გაუვა, როცა გულში ჩადგმული ბორჯულადი იტყვის: „ბუჰ“!

– „ბუჰ“! – გაიმეორა ბავშვმა.

– აფეთქდება, – თავი დაუქნია პაპამ, პონჩოხა გადაიწია და მკერდზე გამოყვანილ თხევადკრისტალიან ინდიკატორს დახედა: 0 წელი, 0 თვე, 0 დღე, 4 საათი, 9 წუთი, 28 წამი...

– ჯოჯომოთხეში როგორ იქნები, ბაბუ? – ბიჭი ისევ ჩაეხუტა, პანია ხელები კისერზე მაგრად მოხვია.

– აბა, რა გითხრა, – სევდიანად მიუგო მანველო კოსტამ, – ამბობენ, იქ მთავარ ქალაქს დევივით ვეება რკინის ქალი დარაჯობს, ცალ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში კიდეც – ბანგნამლით სავსე თასი... თურმე გეუბნება, სამტროდ თუ მოხვედი, ეხლავე თავს მოგჭრი, თუ არადა, აი, ეს დალიე და გაითიშეო...

– დალევ, ბაბუ?

– სხვა რა გზა მექნება... თუმცა ზუსტად არავინ იცის, იქ რა ხდება... იქიდან მობრუნებული ჯერ არავის უნახავს.

– იქნებ კარგი ადგილია, თუკი არავინ ბრუნდება? – იმედიანად იკითხა კოტიკომ.





– ძნელია იქიდან დაბრუნება, – თავი გააქნია კოსტამ, – შოკოხერელი-დან ამოსვლა,.. ჯოჯომოთხეში ჩასამალლებელი ხერელი არ გინახავს?

– შოკოხერელი?.. ჰოო, სურათზე მინახავს! – გაახსენდა ბავშვს.

– დღეს შენი თვალთ ნახავ, ცოცხლად,.. აქვია, ამ მთის გადაღმა, – უთხრა და მკერდზე დაიხედა: 0 წელი, 0 თვე, 0 დღე, 3 საათი, 47 წუთი, 11 წამი...

– თუ არავინ დაბრუნებულა, რა იცი, იქ რა ხდება? – არ მოეშვა ბიჭუნა.

– წინაპართაგან ვიცით,.. და ზოგჯერ სიზმარში ვხედავთ, კაციკ-პრეზიდენტი და სუს-კაცი...

– სუს-კაცი? – ვერ გაიგო კოტიკომ.

– „სუს“ ნიშნავს „სახელმწიფო უშიშროების სამსახურს“, – აუხსნა პაპამ, – ესაა კაცი, რომელიც ქვეყანას შინაური მტრებისგან იცავს.

– და შენ ვისგან გვიცავ, ბაბუ?

– მე გარეშე მტრებისგან გიცავთ და სახელმწიფოსა ვმართავ, თქვენზე ვზრუნავ, გაჭმევთ და გასმევთ,.. და უზენაეს ჩოკოლატლს ყოველწლიურ მსხვერპლსა ვწირავ, რადგან უფროსი ქურუმიც მე ვარ,.. მალე კი თვითონ შევეწირები,.. დიდი საჰაკივით...

– საჰაკზე მომიყევი კიდეც! – შეეხვეწა ბავშვი.

– როცა აზნაურმა საჰაკმა თავქარიანებს შესთავაზა, ვისაც ყველაზე მეტად გიყვართ ქვეყანა და პირველობა გინდათ, გულში ბორჯღალადი ჩაიდგით და ხუთი წელი მართეთო, არავინ დათანხმდა.

– რატომ? – გულუბრყვლოდ იკითხა ბავშვმა.

– სიკვდილის შეეშინდათ და იმიტომ, – აუხსნა კაციკ-პრეზიდენტმა, – აი, მაშინ კი აზნაურმა საჰაკმა, რომელსაც ჯერ არ ერქვა დიდი საჰაკი, თვითონ ჩაიდგა გულში ბორჯღალადი, ხუთი წელი მართა ქვეყანა, გარეშე მტრები დაამარცხა, მშვიდობა დაამყარა, ქვრივ-ოხერი და ობოლ-ტიალი დააპურა, უსახლკარო და ბოგანო დააბინავა, ბევრეულის ბევრეული სამუშაო ადგილი გააჩინა, ჭარმაგი და სწავლული განიკითხა, უსწავლელი გაანათლა,.. ზუსტად ხუთი წლის თავზე კი შოკოხერელთან მიბრძანდა და როცა ბორჯღალადმა თქვა „ბუჰ“, ჩამალდა.

– ბაბუ, ძალიან,.. – ბიჭუნა შეყოვნდა, ხელი მკერდზე ფრთხილად შეახო, – ძალიან გეტკინება?

– არა, კოტიკო, – ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა, – ერთი წამი იქნება მხოლოდ, ერთი ჩხვლეტა,.. ნემსის ჩხვლეტასავით,.. რეჩხის რეჩხი გულში.

ხეობაში მიმოკლაკინილ გზაზე მანქანების გრძელი კოლონა გამოჩნდა. ნელ-ნელა ახლოვდებოდა. პირველი მოდიოდა შოკორთველოსგერბიანი ჯავშმანქანა, – ბორჯღალზე შემომჯდარი კონდორი – უკან გრძელი შავი ზიმზიმა ლიმუზინები მოსდევდნენ, მეგობარი და ამხანაგი ქვეყნების ოფიციალური დელეგაციები მოჰყავდათ. ბოლოს კი ავტობუსებით მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ჟურნალისტები და ტელეოპერატორები მობრძანდებოდნენ.

კოტიკო პაპის მუხლებიდან ჩამოხტა და მოაჯირის ქვედა რიკულზე შედგა, სტუმრები უკეთ რომ დაენახა. ჯავშნოსანი ეზოში შეგრიალდა, სვლა განაგრძო, გვერდზე გადაგა. შოკოლადისფერ მარმარილოს ფართე კიბესთან ზიმზიმა ლიმუზინი მიგრიალდა. მანქანის კარი გაიღო და ლამაზ სამხედრო ფორმაში გამონწყობილი ნახშირივით შავი ადამიანები გამოვიდნენ, მკლავზე დიდი სვასტიკები ჰქონდათ.

– ბაბუ, ესენი ვინ არიან? – იკითხა ბიჭმა გაოცებით.

– ესენი? ესენი გერმანელები.

– შავები რატომ არიან?

– ჩრდილოეთში ცხოვრობენ, სადაც მზე სუსტად ანათებს, იმიტომაც აქეთ ასეთი კანი,.. შავი ფერი სინათლეს და სითბოს ყველაზე კარგად ითვისებს,.. გაიგე?

ბავშვმა თავი დინჯად დაუქნია, მაგრამ ჩანდა, ვერ ჩახვდა. კუნაპეტი გერმანელი ნაცისტების დელეგაცია რეზიდენციაში შეიყვანეს. მეორე მანქანიდან თოვლივით თეთრი ადამიანები გადმოვიდნენ. გრძელი, სპეტაკი სამოსი ეცვათ.

– ბაბუ, ბაბუ, და ესენი რატომ არიან ასეთი თეთრები? – იკითხა კოტიკომ და ხელზე დაიხედა. შოკოლადისფერი კანი ჰქონდა.

– ეგენი აფრიკიდან არიან, – აუხსნა

კაციკ-პრეზიდენტმა, – იქ მზე მაგრად აჭერს, სასტიკია და მხურვალე, თეთრი ფერი კიდევ ყველაზე კარგად ირეკლავს მზის სხივებს... ეგენი რომ ევროპელებივით შავკანიანები ყოფილიყვნენ, ვერ გაუძლებდნენ, გადაშენდებოდნენ.

– გადაშენდებოდნენ?..

– მოკვდებოდნენ, დაიხოცებოდნენ,.. ბუნებაში ყველაფერს შეგუება და სახეობათა ბრძოლა განსაზღვრავს, უკეთ შეგუებული ამარცხებს სუსტსა და უნიათოს. ეს პრინციპი ჩვენმა დიდმა მეცნიერმა, მიხაკო დარიჩინმა აღმოაჩინა. თუმცა შენტვის ევოლუციის თეორია ჯერ ცოტა ადრეა,..

– და ჩვენ რატომ ვართ ასეთები? – ბავშვმა ბაბუას თვალბთან პანია ხელი მიუტანა.

– ოო, ჩვენ კანის ყველაზე დახვეწილი, ღირსეული, კეთილშობილური ფერი გვაქვს,.. ტკბილი, ღვთაებრივი შოკოლადის ფერი,.. არც შავია და არც თეთრი, არამედ საშუალო,.. ჩვენს დალოცვილ მთებში მზე ყველაზე ჯანსაღად ანათებს, არც წვავს და არც სითბოს აკლებს,.. დაიმახსოვრე, საშუალო ყველგან და ყველაფერში საუკეთესოა!.. ჩვენ მსოფლიოში ყველაზე,..

მაგრამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო. ვერანდაზე სუს-კაცი – გაურკვეველი ასაკის დაბალი, გამელოტებული, ნაყვავილარსახიანი კაცი გამოვიდა. სადა ფრენჩი და ლამას ტყავის რბილი ჩექმები ეცვა. მურაბასავით ტკბილი და ბლანტი გამოხედვა ჰქონდა.

– დროა! – მოულოდნელად ხმამაღლა, მკვეთრად, თითქმის სუსხიანადაც კი გამოაცხადა, მერე ხმადაბლა დაუმატა, – ჩასამალელებლად მოემზადეთ, თქვენო აღმატებულებავ, მილეთის სტუმრები გელიან...

კაციკ-პრეზიდენტმა მკერდზე უსიტყვოდ დაიხედა – 0 წელი, 0 თვე, 0 დღე, 2 საათი, 56 წუთი, 27 წამი –

წამოდგა და სუს-კაცს შენობაში შეჰყვა. ბიჭუნამ თვალი გააყოლა, პანია ხელი დაუქნია, თუმცა მანველო კოსტას არ დაუნახავს...

...კაციკ-პრეზიდენტის კაბინეტში მყუდრო ბინდბუნდი და ახალმოდულებული ცხელი შოკოლოდის მაცოცხლებელი სურნელება დაღვრილიყო. კაციკ-პრეზიდენტი სავარძელში იჯდა, ცხელ შოკოლადს მიირთმევდა და სტუმრების სიას უყურადღებოდ ათვალიერებდა.

სუს-კაცმა ჯიბიდან დაკეცილი ცხვირსახოცი და უფერო სითხით სავსე მომცრო შუშა ამოიღო, ფლაკონი სწრაფად გახსნა, ნაჭერი სითხეში დაასველა, კაციკ-პრეზიდენტს ზურგიდან მიადგა და უეცრად ცხვირსახოცი პირზე ააფარა. მანველო კოსტა გაითიშა. ცხელი შოკოლოდი ხალიჩაზე დაიღვარა...

...მანველო კოსტამ თვალი გაახილა, მიმოიხედა. სანოლში იწვა, უფანჯრო და უკარებო ოთახსა თუ საკანში ხელი მოისვა, გულ-მკერდი მჭიდროდ ჰქონდა დაბინტული.

– მშვიდად, – უთხრა სუს-კაცმა, თავზე ადგა, – მშვიდად ინექი... ჯოჯომოთხეში მოხვედრას მოვასწრებთ.

– სუს-კაც, ჩემი რომელი ორეული გაუშვი შოკოხვრელში, პირველი თუ მეორე?


სუს-კაცმა არ უპასუხა. კოსტამ ისევ ჰკითხა:

– სუს-კაც, დიდ საჰაკსაც ამოუღე ბორჯღალადი? მაშინაც ხომ სუს-კაცი იყავი?

– ბორჯღალადი? პირველად მესმის. რა არის ბორჯღალადი?

სუს-კაცი გატრიალდა, კედელში დამალულ ღილაკს თითი დააჭირა, საიდუმლო გასასვლელი უხმაუროდ გაიხსნა. სუს-კაცმა ნაბიჯი გადადგა, წამით შეყოვნდა, ჩაილაპარაკა:

– ერთ კვირაში პლასტიკურსაც გაგიკეთებენ... – და სახეზე ხელი მოისვა, – სად ყავს შოკორთველოს შვილი დასაკარგავი?



ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა



ქვეყნიერებას რომ არ ვუმზიროთ, თვალებს დაეხუჭამთ, რა ვუყოთ ყურებს! ჩამორეკილი ბოლნისის მზვარათ, ვგევართ დაღრეცილ მინიატურებს.

ნიკო სამადაშვილი

როსტომ ჩხეიძე

რეკვიამი სინანულისა

(ირაკლი წერეთლის ბედისწერა)

მაკისველისადმი

ირაკლი წერეთელსაც თავისი ეკერმანი გამოუჩნდებოდა.

რომან გული იტვირთებდა ამ მოვალეობას, რუსი პუბლიცისტი, წერეთელივით ემიგრაციაში ჩარჩენილი, მემუარების წერით რომ იოხებდა გულს და იმსუბუქებდა კაეშანს.

ჯერ კიდევ როდის სმენოდა ირაკლი წერეთლის სახელი და აღტაცებულიყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობითაც და ზნეობრივი სისრულითაც, ახლა კი პირადადაც გაეცნო და, არამცთუ არ გაფერმკრთალბოდა შთაბეჭდილება, პირიქით, კიდევ უფრო გაცხოველებოდა, რაკილა იხილავდა თავმდაბალ, სასიამოვნო, გონებამახვილობითა და იუმორით დაჯილდოებულ კაცს, ვისაც შეეძლო ენაწყლიანად, სახიერად და ტევადად წარმოეჩინა ცალკეული სურათები თუ პიროვნებანი, ისტორიული ჟამის სულს რომ ქმნიდნენ...

და ეგებ რომან გულმაც შეაგულიანა ასეთი იშვიათი მთხრობელი, ისიც ჩაჯდომოდა მოგონებებს, ჯერ თუნდაც თებერვლის რევილუციაზე. ის კი არა, მარტოდენ თავისთვის ეწერა, როგორც 20-იან წლებში კიდევ მოეკიდა ხელი ამ თემისათვის, არამედ – გამოსაქვეყნებლადაც გაემზადებინა. დასაწყისისათვის ესეც იკმარებდა, მერე კი თვითონ თხრობა ჩაითრევდა და, ვინ იცის, რა რანგის მემუარისტად წარმომდგარიყო და ერთხელ და სამუდამოდ აღეკვეთა ავისმოსურნეთა ხმები: კალამი არ უჭრის, მხოლოდ ენამოუღლელობით გაჰქონდა თავისი, ვიდრე საამისო ასპარეზი მოეპოვებოდაო.

არ დასცალდებოდა იმ მემუარულ ჩანაწერთა ბოლომდე მიყვანა ირაკლი წერეთელს, უშუალოდ იმ სიუჟეტისაც,

არამცთუ თებერვლის რევილუციის აქეთ-იქითაც გადაჭრილიყო. თუმც რაც არის, გამოსადეგი მასალაა ისტორიკოსთათვისაც და ყველასთვისაც, ვინც მოინადინებს იმ მღელვარე ეპოქის ბნელ წიაღში ჩახედვას. გამოსადეგიც და მონუმენტურიც – დაუმთავრებელიც ორ ტომს რომ მოიცავს.

თვითონ ავტორის სილუეტსაც წარმოსახავს ის ჩანაწერები, საგულისხმო, დამაფიქრებელ კონტურებს, რასაც რელიეფურად ავსებს რომან გულის ზუსტი, მახვილგონივრული დაკვირვებანი, მისი ვრცელი – სამტომიანი – მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებიდან („თან წამოვიყოლე რუსეთი“) რომ ამოიკრიბება და ირაკლი წერეთლის ლიტერატურულ პორტრეტად წარმოგვიდგება.

20-იანი წლების ბერლინში ირაკლი წერეთელიც იმ წრეში ტრიალებდა, რომელსაც შემოიკრებდა ვლადიმერ სტანკევიჩი, ემიგრაციაში გადახვენილი იურისტი და პუბლიცისტი, გულმოდგინედ რომ ცდილობდა ევროპის საზოგადოებრივ აზრსა თუ რუსეთის იმპერიაში მომწყვედულ ხალხებზე ზეგავლენას და ჟურნალსაც ჩაუდგებოდა სათავეში, გამომცემლობასაც და ყველასთან აბამდა ურთიერთობის ძაფებს, ვისაც კი ბოლშევიკური რეჟიმის დასამხობად ეწინკნებოდა სული.

პირველად სწორედ ამ წრეში გასცნობოდა ირაკლი წერეთელს რომან გული, თუმც მაშინდელი ურთიერთობა ხანმოკლე და ზერეულ აღმოჩნდებოდა პარიზში შეხვედრებთან შედარებით. იქ უკვე საკმაოდ დაახლოვდებოდნენ, აი, ამერიკაში კი, ნიუ-იორკში, სულაც დამეგობრდებოდნენ, ისე, რომ ქართული თავადი ვერ ძლებდა, ყოველ დილით ტელეფონით რომ არ შეხმიანე-

ბოდა რუს პუბლიცისტს, და როდესაც რომან გული შვეტულუბის გასატარებლად პიტერსჰიმს აირჩევდა, მასაჩუსეტისის შტატში, ქართველი მეგობარი სთხოვდა, მისთვისაც იქ შეერჩია ბინა. რომან გულის მეუღლე, **ოლია**, მართლაც იქვე მოუნახავდა სადგომს, სადაც თვითონ დაბინავდებოდნენ. მათ ორსართულიან სახლში უამრავი ოთახი იყო და ამიტომაც სთხოვდა ქალი: ცალკე რატომ უნდა ცხოვრობდე, ჩვენთან გადმოდი, ჩემი მეუღლის ასეთ გულითად მეგობარს მე თვითონ მოგხედავ, რათა მონესრიგებულ-განკრიალებული იყო, განა როდემდე შეიძლება თავის მოვლაზე ზრუნავდეთ.

იმას ერიდებოდა, მაგრამ ცოლქმრის მუდარა ბოლოსდაბოლოს დაიყაბულებდა და ისიც გადავიდოდა იმ სახლის მეორე სართულზე.

მემუარისტი ირაკლი წერეთლის ამ დაყოლებას ოლიას მტკიცე ხასიათით ხსნის, მიანიშნებს მკითხველს, რომ თვითონ ამას ვერ მიიღწევდა.

სტრიქონებს შორის ასე კანთიელად წარმოსახება ქართველი მოღვაწის მორიდებული ბუნება, თუნდაც უახლოეს ადამიანთა შეწუხებას ასერიგად რომ უფრთხის.

მოგონებათა გერმანულ ნაწილში მოკლედ რომ იხსენიებს ირაკლი წერეთელთან შეხვედრებსა და ორიოდ ფრაზით ახასიათებს მის პიროვნებას, საგანგებოდ აღნიშნავს:

– ირაკლი გიორგის ძეზე კიდევ ბევრს დავწერ. მაქვს მასზე რაღაც-რაღაცები სათქმელი.

თხრობაში დროდადრო ჩნდება მისი სახელი, ერთი თავი კი საკუთრივ მას ეძღვნება და ეს ყოველივე ერთად გამოკვეთს იმ ლიტერატურულ პორტრეტს, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური ფონით ღრმა განზოგადებას იძენს.

ისეთი განსაკუთრებულიც რა არის? ძალიან ბევრსაც ნუ მოვითხოვთ –

რა **გოეთეც** ირაკლი წერეთელი გახლდათ, ის **ეკერმანობა** რომან გულმა გაუნია, მაგრამ ძალიან კი წაადგა მის ბიოგრაფიას რუსი პუბლიცისტის ეს უანგარო თანადგომა და გადაარჩინა ეს პოლიტიკური მოღვაწე დავინწყე-

ბასა თუ ცალმხრივ განსჯას მის სამშობლოში, რომელიც მსოფლიო მოქალაქეობაზე მეოცნებე უძღებ შვილს დიდხანს მიწის ერთ მცირე ნაგლეჯზე მეტად არც უღირდა.

ისევე სამშობლო თუ გამოიღებდა თავს, შეევრდომებინა დაკარგული ძე თვისი, თუმც... მაინც რატომ, რისთვის უნდა გამოედო თავი?..

ის მასალები, რაზეც მანამდე მიგვიწვდებოდა ხელი, საამისო ხელჩასაჭიდს განა რას იძლეოდა, რაკილა მთელი თავისი უნარი და ენერჯია აბსტრაქტული იდეებისა და უცხო – თანაც მისი სამშობლოსადმი მტრულად განწყობილი – ქვეყნისათვის გადაეგო და საქართველოში მოღვაწეობისას სასიკეთო თითქმის აღარაფერი დაცლოდა.

ერთი-ორი გაფხაკუნება, ცხადია, სათვალავში ჩასაგდები არცაა.

ისე მათთვის, ვინც აღფრთოვანებულნი არიან ქართველი კაცის წარმატებანი და აღზევებით თუნდ უცხო – და სულაც მტრული – სახელმწიფოების კარზე, ირაკლი წერეთლის სახელიც ბევრს ნიშნავდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა, ვთქვათ, **უწილაძეებისას**, სპარსეთში რომ მოეხეჭათ დიდი სახელი და შირაზის სახით იმხელა პროვინციაც ეგდოთ ხელთ საგამგებლოდ, საქართველოს ტერიტორიას რამდენჯერმე რომ აჭარბებდა.

მაგრამ ჩვენი ტრაგიკული ქვეყნისათვის რა – ან მის აღზევება-სახელგანთქმულობას რა ხეირი მოეტანა საქართველოსათვის და ან მისი პოლიტიკური ტანდემის – **კარლო ჩხეიძისას!**..

რა გამოასწორა დამოუკიდებლობის ეფემერულ ყოფაში მათ მიმართ პატივისცემის გამოხატულებამ დასავლეთის ქვეყნების მხრივ, ჩვენს ხელმძღვანელობას ჩხეიძე-წერეთლის მთავრობად, საქართველოს კი სულაც ჩხეიძე-წერეთლის რესპუბლიკად რომ იხსენიებდნენ!..

რა კვალი დააჩნია ირაკლი წერეთლის დრამატულმა ბიოგრაფიამ ქართველი საზოგადოების ცნობიერებას რაიმე სასიკეთო – რა ასწავლა, რა ჩააგონა, რაზე მიანიშნა!..

და ერთბაშად იჩუტებოდა მისი განთქმული სახელი და არარავდებოდა



რომან გული



კარლო რიხეიდი

მისი მღელვარე და დრამატული ბიოგრაფია – დაე ისე იმათ შეენახათ, უნდოდათ ხსენება ვისაც ეამაყებოდით, თორემ ეროვნული სულისა და მხნეობის შენარჩუნებას რაში უნდა წადგომოდა?! ქართული პოლიტიკური აზრის განვითარებას რა მხრივ უნდა შესწეოდა?!.

და მის მიმართ ამრეზილთ უკვე **გრიგოლ რობაქიძის** ის სიტყვებიც აღარ გვეხამუშებოდა, ირაკლი წერეთლის ორატორულ უნარს დაკნინებით რომ იხსენიებდა და ირწმუნებოდა, რომ ბევრად უკეთეს მჭევრმეტყველთათვისაც მოესმინა.

ირაკლი წერეთელი უპირველესად ოქროპირობით რჩებოდა საზოგადოების ცნობიერებაში, გამორჩეულ ორატორად რუსეთის იმპერიისა და დასავლეთის პოლიტიკური დებატების ფონზე, ტოლს რომ არ უდებდნენ ერთმანეთს დიდ პოლიტიკურ ორომტრიალში ჩაბმული მონინააღმდეგენი, ათასგვარ პარტიას რომ შეფარებოდნენ, მაგრამ მკვეთრად ორი მიმართულება იმიჯნებოდა – სოციალისტური და ეროვნული.

და რაკილა ირაკლი წერეთელი სოციალიზმის ერთ ყველაზე თვალსაჩინო აპოლოგეტად წარმოდგებოდა, დაე მისი ორატორული ნიჭიც დამდგარიყო ეჭვქვეშ – ბოლოსდაბოლოს ერთ-ერთი თვითმხილველისაგან ასე გადმოგვცემოდა და გვერჩინა ასეც დაგვეჯერებინა – ხელოვნურად უფრო გაებერთა მისი ეს უნარი, ვიდრე რეალურად დასტურდებოდა... და აღარ გამოვიკიდებოდით იმ ფსიქოლოგიურ გარემოებას, რომ გრიგოლ რობაქიძეს თვითონ მოჰქონდა თავი საუკეთესო მჭევრმეტყველად და ემეტოქებოდა ყველას, ვისაც ამ სარბიელზე სახელი მოეხვეჭა... ამიტომაც ეგებ მიკერძოებას იჩენდა – თუნდაც ქვეშეცნულად, არ არის აუცილებელი მაინცდამაინც შეგნებულად მოენდომებინა მისი ოქროპირობის დაკნინება...

თან გვებრალებოდა ირაკლი წერეთელი – ორატორის სახელიც რომ აღარ რჩებოდა, თან თავსაც ვიმართლებდით – აგერ მემუარული ცნობა და ვითომ რატომ არ უნდა ვერწმუნო-

თო... ისინი კი, ვინც მისი საჯარო გამოსვლებით მოხიბლულიყვნენ, იქნებ სრულიად მონყვეტილნი იყვნენ დიდებულ ორატორთა გარემოს და ირაკლი წერეთლის მჭევრმეტყველება რაღაც უჩვეულოდ ეჩვენებოდათ!..

რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროში რომ მოეხვეჭა გავლენა?..

ეს ალბათ უფრო ორგანიზატორული უნართა და დემაგოგიით, მითუმეტეს, ისტორიის მსვლელობა იმჟამად მის და მისთანათა სასარგებლოდ მიემართებოდა და ამ ფონზე ირაკლი წერეთელი თავისთავად მოჩანდა უფრო ამაღლებულად.

შეველეოდით და სიხარულითაც შეველეოდით მარქსიზმის დამკვიდრებისათვის თავგადაკლულ მებრძოლთ, როგორც – ჩვენდა საბედნიეროდ – საქართველოს ისტორიიდან განზე დარჩენილებს – თვითონვე გაერიყათ საკუთარი თავი და ჩვენ რატომღა უნდა ვცდილიყავით მათ დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში?!

ისტორიიდან ვერ ამოვშლიდით?

ამოშლა არც არავის მოფიქრებია, ეგაა, თავისი მცირე ადგილი დარჩებოდა კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავგანწირულ ამ დაბნეულ კაცს და დაე იმ ვინრო ჩარჩოში ეტრიალა თუნდაც იმ **დანტონივით**, რომელსაც ადარებდნენ ორატორული ხელოვნების სიდიადით.

მაგრამ ბედს არ გაენირა წუთისოფლისაგან განანირი და რომან გული მოველინა გადამრჩენად, რათა მნიშვნელოვანი, მრავალმხრივ საგულისხმო ცნობებით შეეცაო მისი პორტრეტი და ერთი განზომილების ნაცვლად კოლორიტული შტრიხებით წარმოესახა ოდესღაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მწვერვალზე მოქცეული კაცი დარდისა და სინანულისგან გათანგული ცხოვრების მიმწუხრზე.

მაინც რას დარდობდა, რას ნანობდა, რა თვითგვემას მისცემოდა?!

გივი გამრეკელი შემოიტანდა რომან გულის მემუარების ცალკეულ ფრაგმენტებს ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში და უპირველესად სწორედ ეს ჩანაწერები უბიძგებდა ნარკვევის შესაქმნელად ირაკლი წერეთელზე,

თორემ სხვაგვარად მის ინტერესთა მიღმაც ისევე აღმოჩნდებოდა თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი, როგორც სხვაც არაერთი ჩვენი ისტორიკოსი ვერ მიიზიდა მისმა სახეობამ, საგანგებოდ რომ ეკვლიათ და ეზუსტებინათ მისი ბიოგრაფია.

ერთადერთი გურამ შარაძე ვერ აცდებოდა მის სახეობას და ქართული ემიგრაციის ცხოვრების ვრცელი პანორამის მიმოხილვისას („უცხოეთის ცის ქვეშ“) საგანგებოდ ჩაურთავდა მისადმი მიძღვნილ ნარკვევასაც, ამ სამტომიანი თხზულების მეორე ტომში, აპოლოგეტური სულისკვეთებით განმსჭვალულს, ამ სულისკვეთებას კი, ცხადია, ის გარემოება იწვევდა, თუ რამხელა როლი შეესრულებინა ქართველ პოლიტიკოსს რუსეთის რევოლუციურ გარდაქმნაში; და მკვლევარი უხვდაც დაიმონებდა მის საქებას სტრიქონებს ჩვენი ემიგრანტული პრესიდან, თუ რა სიმაღლეზე შეტყორცნილიყო ერთხანს ეს სახელი და რამხელა გავლენისათვის მიეღწია ირაკლი წერეთელს მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოების თვალში.

ასე შემოიხაზებოდა ზოგადი ბიოგრაფიული ქარგა, რომლის შინაარსიც გვიმჟღავნებდა სწორხაზობრივად მოაზროვნე და მოღვაწე ფანატიკოსის პორტრეტს, კეთილშობილური იდეისათვის თავგადასცემულს, ამ კეთილშობილების მოჩვენებითობა ვერასგზით რომ ვერ ამოიცნო და დარჩა კიდევ ერთ ფანატიკოსად, ვინც შესაფერისად ვერ მოიხმარა დიდი სულიერი ძალ-ღონე.

იქნებ მართლაც ეს და მხოლოდ ეს გახლდათ ირაკლი წერეთელი?

თურმე დაფარული რჩებოდა მისი პორტრეტის მეორე მხარე, გაცილებით მნიშვნელოვანი ისტორიკოსთათვისაც, ფსიქოლოგთათვისაც, მწერლებისთვისაც.

ის ირაკლი წერეთელი, ვისაც აქამდე ვიცნობდით, შესაფერისად ვერ გასწევდა ბიოგრაფიული რომანის პერსონაჟობას, ტრაგიკომიკური ხასიათი კი წარმოისახებოდა, მაგრამ რელიეფურად ვერა, და წინ უფრო კომიკური იერი წამოიწვევდა, რაც უნებურად დააკნინებდა ამ პიროვნების სულის მრავალფეროვნებასა და სიღრმეს.

ამჯერადაც – ისტორიული ცდის ქარგაში – ტრაგიკომიკური იქნება ეს ხასიათი, მაგრამ უფრო ტრაგიკული მხარე წამოიწვევს წინ და პორტრეტი იმ სრულყოფილებით გამოიკვეთება, რაც მწერლობის მოვალეობაა – ადვილად არ გაიმეტოს ადამიანი ცალმხრივი განსჯისათვის და ისტორიული გალერეა და სურათები არ დაამახინჯოს. რომან გული მოვევლინა გადამრჩენადო...

უფლის წყალობით გადასარჩენი რომ არ ყოფილიყო ირაკლი წერეთელი, ვერც ამ კაცში იპოვნოდა მეგობარსა და გულით მისანდოს ცხოვრების ისეთ ჟამს, როდესაც ნაკლებად ირჩევინ ახალ მეგობრებს და მარტოსულობა ურჩევნიათ.

აგერ უკვე ჩვენი სამეცნიერო-ლიტერატურული სივრცის სრულყოფილებიანი ნაწილიც გამხდარა ეს მემუარული ჩანაწერები.

გივი გამრეკელი მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულებას შექმნიდა – მის ხელში სპორტული თემატიკაც პროზად გარდაიქმნება და დიდი ისტორიული მოვლენების შუაგულში მოქცეული კაცის ხვედრი ანკი როგორ არ განსაზღვრავდა მიმზიდველ თხრობას... და მკაფიოდ გაგრძნობინებდა, რომ ასე იოლად მისატოვებელიც არ უნდა ყოფილიყო მისი თავგადასავალი, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის ის ხანა, რომელიც აქამდე იდუმალებაში დანთქმულიყო.


არა, ირაკლი წერეთელი მაინც რა ნუხილს შეპყრო, რა ხრავდა, რა უკარგავდა მოსვენებას?!

მის ბედად მოვლენილი ახალი ეკერმანის იმ ჩანაწერებამდე ძალზე იოლად გავცემდით პასუხს ამ კითხვას... ძალზე იოლად და თურმე არასწორად...

ახლა კი... ახლა...

პასუხი მაინცდამაინც არც ამჯერად გაგვიძნელებდა, მაგრამ შეცვლით კი ცოტაოდნავ შეიცვლება ჩვენი წარმოდგენა იმ ფენომენზე, ვისაც ირაკლი წერეთლის სახელით ვიცნობდით.

რას განიცდიდა, რას ნანობდა, რა დარდი ხრავდა და...



ირაკლი წერეთლის ცნობილი ნიგნის ერთ-ერთი ბოლო გამოცემა (2007 წ.)



გიორგი ლასნიშვილი

I
ასკეტი და ნამეგობრი

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი **დავით მელიქიშვილი** ძალიან გაიტყებდა სახელს იმ საიუბილეო დღესასწაულის თაოსნობით, რომელიც ეძღვნებოდა... რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავს.

გიორგი ლასნიშვილიც, სხვა პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეთა თუ მწერლებისა არ იყოს, ძალიან გაგულისდებოდა ქართველი ერის მონობის აღსანიშნავი დღესასწაულის გამართვით, თუმც ზერელედ და ნაჩქარევად არ განსჯიდა დავით მელიქიშვილის პიროვნებას – არც იმხანად და არც მოგვიანებით „მემუარებში“.

მიიჩნევდა, რომ დავით მელიქიშვილი ანგარებით კი არ მოქმედებდა და ჩინ-მედლებზე კი არ ყიდდა თავის ქვეყანას, არამედ ეს გზა ესახებოდა უკეთეს სავალად საქართველოსათვის – როგორც თავგადაკლულ მონარქისტს, რუსეთის იმპერატორისაც ძალიან სწამდა, და ამიტომაც საქართველოში დატრიალებულ ყველა უბედურებას აბრალებდა მის უკუღმართ მოხელეებს, რომელნიც კედელივით აღმართულიყვნენ ხალხსა და ხელმწიფეს შორის და საქვეყნო გასაჭირი იმის ყურამდე, აბა, როგორ მიაღწევდა.

მაგრამ განა როდემდე უნდა გენუგეშებინა თავი „კეთილი მეფის“ ილუზიით, ერთხელაც ხომ უნდა დარღვეულიყო უსულგულობის ეს კედელი?

საამისოდ მარჯვე შემთხვევად ეჩვენა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან „საიუბილეო“ თარიღის გასვლა და ამ წელიწადს ჩამოეკიდა ყმანვილური ალტკინებით, როგორც მხსნელს: რუსეთის პრესა სეპარატისტობას რომ გვაბრალებს, ახლა შეგვიძლია საქვეყოდ დავამტკიცოთ, რომ ასეთი განზრახვა ფიქრადაც არ გავვივლია და ერთგულად მივდევთ ჩვენს მოვალეობას იმ ქვეყნის წინაშე, ვისაც ნებაყოფლობით ვანდეთ თავი და კიდევ გადავურჩით დედაბუდიანად მოსპობასო.

დღესასწაულის მზადებისას კი დიპ-

ლომატიური გზებით შეეცდებოდა იმ ჟურნალისტებთან მოლაპარაკებასა და მათ დაყოლიებას, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა რომელთაც მოეპოვებინათ.

ნაცარში ჩაუფარდებოდა კოვზი.

საერთო შეხედულებას **არჩილ ჯორჯაძის** პასუხი გამოხატავდა: მართალია ლეგალურ პრესაში ვერ შეგენინალმდეგებით, მაგრამ არალეგალურ პრესასაც ხომ ვერავინ ჩაგვიკეტავსო.

დავით მელიქიშვილი არ გაუნანყებდებოდათ და მოინდომებდა პირადად კეთილი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ამ ადამიანებთან – კვლავაც იწვევდა თავისთან და ხან თავის მომავალ სიტყვას აცნობდათ, ხან საგაზეთო წერილს.

– საზოგადოდ ძალიან უყვარდა ჩვენთან ლაპარაკი, კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ძალიან სასიამოვნო მობაასე იყო და პირადად მე ხშირად მქონია მასთან ხანგრძლივი კამათი სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე.

ერთხელაც მიიწვევდა გიორგი ლასნიშვილს. ლაკონურ ბარათში ეწერა: გთხოვთ დაუყოვნებლივ მობრძანდეთო. „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში **კიტა აბაშიძეც** იმყოფებოდა და ბარემ ისიც თან გაჰყვებოდა.

დავით მელიქიშვილი დერეფანშივე შემოეგებებოდათ.

მიწვევის მიზეზს ამცნობდათ: სტუდენტები მყავს დაბარებული და ვცდილობ დავაჯერო, რომ არ ღირს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა, რათა ქართველმა ახალგაზრდობამ თავი შეინახოს სამშობლოში მუშაობისათვისო.

გიორგი ლასნიშვილიც და კიტა აბაშიძეც მტკიცედ განუცხადებდნენ: ამ საქმეში დახმარებას ვერ გაგინვეთო.

– კარგი, კარგი... – ისე ერთბაშად თანხმდება, რომ ამჟამად, არც ჰქონია იმედი, მხარს დამიჭერნო.

აბა, მას რას ნიშნავს მათი მიწვევა?

– მოდით ყური დაუგდეთ ჩვენ კამათს. ყურადღება მიაქციეთ ერთ სტუდენტს, შესანიშნავი მჭერმეტყველი და მეტად მახვილი მოკამათეა.

აი, თურმე რა!..



არჩილ ჯორჯაძე

მართალია ის სტუდენტი პირნიმ-დად უარყოფს დავით მელიქიშვილის არგუმენტებს და საკმაოდ მახვილ-დაც, მაგრამ თავადაზნაურთა წინამ-ძლოლი ისე მოუხიბლავს მისი მჭევ-რმეტყველებისა და პოლემიკის ნიჭს, რომ სურს სხვათაც გააგებინოს, ისი-ნიც დამსწრენი გახადოს ნიჭის ამ ფო-იერვერკისა.

გთხოვთ დაუყოვნებლივ მობრ-ძანდეთო, – ამ შინაარსის ბარათს მხოლოდ გიორგი ლასხიშვილს არ გა-უგზავნიდა. ეტყობა, სხვებმა ასე სა-ხელდახელოდ ვერ მოიცალეს ანდა ადგილზე არც დახვედრიან. დაე ყოფი-ლიყვნენ გიორგი ლასხიშვილი და კიტა აბაშიძე, რომელნიც თუკი გახურებულ კამათში ჩაერეოდნენ, უეჭველად და-ვით მელიქიშვილს გაამტყუნებდნენ. ის ამას აღარ ნაღვლობს, რადგანაც ბრწყინვალე ტალანტი აღმოუჩენია და გულით ხარობს ამ აღმოჩენით.

ამიტომაც ვერ ითმენს და დერეფან-შივე დახვდებათ, რათა წუთიც აღარ დაიკარგოს.

ამიტომაცაა თანახმა: დაე მე ნურც მომემხრობითო.

დაე იყოს სრულიად საპირისპირო შეხედულებებისა ის ჭაბუკი და თავისი მჭევრმეტყველებითა და მსჯელობის სიმახვილით ყველას თვალწინ „გაა-ნადგუროს“ მოკამათის როლში წარ-მომდგარი მასპინძელი.

დავით მელიქიშვილი მხოლოდ იამა-ყებს მისით.

„მემუარებში“ აღნიშნულია, რომ: თავადაზნაურთა წინამძღოლს ლამაზი სიტყვა წარმოუთქვამს.

როგორც ჩანს, საგანგებოდ მომზა-დებულა ამ გამოსვლისათვის.

სტუდენტები მაგრად დაუხვდე-ბოდნენ.

ის სტუდენტი კი, რომელზეც მია-ნიშნათ და კიდევ დაანათო ორატორუ-ლი ცეცხლი, ირაკლი წერეთელი აღ-მოჩნდებოდა.

ჯერ მხოლოდ იწყებოდა მისი პო-ლიტიკური კარიერა, შინაგანად რომ გრძნობდა დიდ საქმეთათვის მზად-ყოფნას და იმ იმპერატორს ექიშპებო-და, რომელიც თურმე მისი წერაც უნ-და გამხდარიყო. ალლო კარნახობდა

მკვეთრი გარდატეხის მოახლოებას იმპერიაში, საზოგადოებრივ-პოლიტი-კური ყოფის ამოყირავების გარდუვა-ლობას და... ეს ასაკოვანი კაცი კი უმ-ტიციცებდა, ჩამოეხსენი რევოლუციურ მოძრაობას, რაიმე ხელობა შეისწავლე და ერთგულადაც ემსახურე, განა რო-დემდე იქნებიან გაჯეჯილებულნი ჩი-ნოვნიკები, დადგება ჟამი, როდესაც ხელმწიფე ყველას მოჰკითხავს პასუხს და იმ კედელსაც საკუთარი ხელით ჩა-მოანგრევს, ხალხის გასაჭირისა და წუხილის დანახვას რომ უშლისო.

ახალგაზრდა ორატორის მგზნე-ბარება და გონიერება მოხიბლავდა გიორგი ლასხიშვილსაც და კიტა აბა-შიძესაც და ალბათ მონონებთაც გა-დახედეს ერთი-მეორეს, ეს რა სახიერი სცენის შემსწრე შევიქენითო. თუმც ამის თაობაზე „მემუარებში“ აღარა-ფერი წერია, მაგრამ ამ ეპიზოდის ჩარ-თვა თხრობაში თავისთავად მიგვანიშ-ნებს მათ მაშინდელ განწყობილებასაც და იმასაც, რომ გიორგი ლასხიშვილის თვალში ირაკლი წერეთელი გამორ-ჩეულ მჭევრმეტყველად დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური მონინაალმდეგენი შეიქნებოდნენ.

პირდაპირ არც დავით მელიქიშვილის სიხარული და სიამაყეა აღნიშნული, მაგ-რამ რაოდენ ხელშესახებად გამოსჭვი-ვის სტრიქონსა და სტრიქონს შუა!..

გრიგოლ რობაქიძეს ვერ გააგონებ-დი ირაკლი წერეთლის ორატორული ნიჭის ქებას. – მინახავს ბევრად უკე-თესებიცო, – მოგიჭრიდათ სიტყვას და კვლავ თავის ფიქრებში ჩაეფლობოდა.

ილია ჭავჭავაძესთან რომ მოხდო-მოდა საუბარი ირაკლი წერეთელს ამ თემაზე, ისიც რევოლუციურ განწყო-ბილებაზე ხელის აღებას ურჩევდა და თავის შენახვას საქართველოსათვის.

ამ შემთხვევაში ეროვნული მოძრა-ობის თავკაცი ილია ჭავჭავაძე იმავე პოზიციაზე აღმოჩნდებოდა, რომელ-ზეც თბილისის გუბერნიის თავადაზ-ნაურობის მარშალი დავით მელიქიშ-ვილი იდგა.

ერთი – მიმსწრაფი ქვეყნის დამოუ-კიდებლობის აღდგენისაკენ.

მეორე – კმაყოფილი რუსეთის იმ-პერიის საზღვრებში ყოფნით, და ამ



ილია ჭავჭავაძე



კიტა აბაშიძე



გიორგი ნერეთელი



სამსონ ფირცხავა

პირობების სამუდამო შენარჩუნების მომხრე.

ორი განსხვავებული პოლუსია.

თუმც ამ კერძო შემთხვევისას ილია ჭავჭავაძეც იმავეს შეაგონებდა ახალგაზრდების ამ გუნდს, რა რჩევაც დავით მელიქიშვილისაგან მოესმინათ.

და როგორც მას ჩაუდგენენ კრიჭაში, ისევე გამოეკამათებოდნენ ილიასაც.

ყველაზე მგზნებარედ და მტკიცედ – ირაკლი ნერეთელი შეეხლებოდა, მისი ძველი მეგობრის ვაჟი, ვინც ველარც დაიჯერებდა, ეს ილია თუ ის ილია იყო, ვის ნაწერებზეც გაზრდილიყო და სარევიოლუციოდ ვინც აქეზებდა დიდსა და პატარას. – უღალატია ძველი გზისათვის, იმპერატორის მორჩილება უმჯობინებია ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლისთვისო, – გაიფიქრებდა და კიდევ უფრო მეტი თავდაუზოგაობით შეერკინებოდა მას, ვიდრე დავით მელიქიშვილისათვის გაემართა პოლემიკა – იმას არ მოეთხოვებოდა იმდენი, რამდენიც ილიას.

ასი წლის იუბილე რომ არ უნდა გამართულიყო, ამის თაობაზე იოლაძე შეთანხმდებოდნენ, სხვა მხრივ კი...

თუმც ეგებ ილია ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე ჯერ კიდევ არ განწყობილიყო ასე მკვეთრად რევიოლუციების წინააღმდეგ, რა პოლიტიკური მსოფლხედვაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოამჟღავნა? იქნებ ჯერ კიდევ შინაგან ბჭობაში გახლდათ და ყოყმანი ხან აქეთ ეწეოდა და ხან იქით?..

მაგრამ არა – რისი თქმაც დარწმუნებით შეგვიძლია, სავარაუდო არც უნდა გავხადოთ.

აგერ 1897 წლის დამდეგს არ იყო, პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ (მომავალი სოციალისტ-ფედერალისტისა და თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის **სამსონ ფირცხავა**ს თაოსნობით) წერილი რომ გამოუგზავნა და რჩევას ეკითხებოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ – გაეგზავნათ თუ არა თანადგომის ბარათი კუნძულ კრეტაზე აჯანყებული ბერძენებისათვის, ოსმალთა უღლის გადაგდებას რომ ესწრაფოდნენ?

თითქოსდა და რა – კეთილშობილური განცდებით განმსჭვალული ახალ-

გაზრდები ლამობდნენ თავისუფლები-სათვის მეტრძოლი ადამიანების გამხნეებას.

მაგრამ ეს „თითქოსდა რა“ გულისხმობს ცივილიზებულ ქვეყანას, კიდევ რომ გაიხარებდა, ეს რა ჩინებული ჭაბუკები მყოლიაო... მაგრამ, მოგეხსენებათ, რუსეთის იმპერიაში სხვაგვარი სული ტრიალებდა და თუნდაც შორეულ ბერძენთა მიმართ ნუგეშისა და თანაგრძნობის სიტყვა პროტესტად აღიქმებოდა საკუთარი ხელისუფლების მიმართ. პროვოკაციული ბრალდება იქნებოდა, ცხადია... მაგრამ ამ სახელით მოინათლებოდა კი, და სახიფათოც ამიტომ გახლდათ ახალგაზრდებისათვის – თუ მაშინვე არ დაატყდებოდათ თავს რეპრესიები, თვალში ამოიღებდნენ ხელისუფლებაც, საიდუმლო სამსახურიც, პოლიციაც, და რაიმე მიზეზსაც უკრეფდნენ – ერთად ან ცალ-ცალკე, იმის მიხედვით, როგორც დაისაჭიროებდნენ.

სტუდენტები, ალტკინებულნი და ანთებულნი, ამას არ დაგიდევდნენ, მაგრამ მრჩევლები გამოუჩნდებოდნენ, ამ მოსალოდნელ პერსპექტივას რომ დაანახებდნენ, და ესენიც შეფიქრიანდებოდნენ – თან გული ერჩოდათ, თან აჩქარებასაც აღარ მოინდომებდნენ, და ცალკე ილია ჭავჭავაძესთან აფრენდნენ შეკითხვას – „ივერიის“ რედაქციაში, და ცალკე **გიორგი ნერეთელთან** – „კვალის“ რედაქციაში.

ილია განზრახვას მოწონებით მოუწონებდათ: ყოვლად პატიოსანი გულთა-ძგერა თქვენი, გულთა-ძგერა საქვეყნო, გულთა-ძგერა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე ალტაცებით და სასოებით მუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა, რადგანაც ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძგერას, და გასამხნეველად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევთ და მინდობიან ძლიერებას გულისასო, – მაგრამ მკაცრი რეალობის გათვალისწინებასაც ურჩევდა, გულისთქმის აყოლით ზიანს რომ უფრო მოუტან-

დნენ არამარტო საკუთარ თავს, არამედ სამშობლოსაც, რაკილა ილია მათი თმის ბენვსაც ვერ იმეტებდა, რადგანაც ეს სტუდენტები უპირველესად თავიანთი ქვეყნისათვის იყვნენ საჭირონი.

სასწავლებლად წასულიყვნენ პეტერბურგს? დაე მამ კიდეც ესწავლათ, ცოდნა შეეძინათ და ჯერხნობით ნურც იქით გადიხედავდნენ და ნურც აქეთ, მარტოდენ სწავლა-ცოდნისათვის შეელიათ დღენი და ამ ორი უძლიერესის ფარ-ხმლით დაბრუნებულიყვნენ და დაპატრონებოდნენ მათ მოსავ ქვეყანას, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი მათ წინაშე არა ჰქონდა რა და რომელიც ამ გზით მოელოდა მათგან ხსნასა და ბედნიერებას.

ასეთ რჩევას არ მოუწონებდნენ სტუდენტები?

აშკარა იყო, რომ მათ თავიანთი განზრახვის დადასტურება ენებათ, სიფრთხილის გრძნობის გაქარწყლება და შეგულიანება ილიას მიერ, და შეგონება ჩანაფიქრზე ხელის აღებისა არ ეჭმნიკებოდათ.

და მაინც, ილია მოვალედ მიიჩნევდა თავს, თვითდაკვირვებითა და გამოცდილებით მოპოვებული სიბრძნე გაეზიარებინა ჭაბუკებისათვის და გულმოდგინედ დაებეჯითებინა, რომ:

– იქ, საცა ერთი მხრით სამშობლო და მეორე მხრით სხვაა, სხვას მარტო ნამეტანობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობაზე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენთვის საკმარო არ არის და თვით ჩვენ გვჭირია, იგი მარტო ჩვენს სამშობლოს უნდა გამოვუზოგოთ და შევწიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც-კი, რაც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილს წყაროს დაუშრობს. თუ აქ ჩემი წინასწარხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევე სჯობია კაცი განსაცდელის ხედვაში შესცდეს, ოლონდ მოერიდოს-კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგას ჩვენი სანყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხილი და ჯანგამოცლილი.

წერილს ამ შეგონებით დაამთავრებდა:

– გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალებით ყველაფერი.

თუმც გულს დააკლდებოდა, კიდეც რალაციის დამატებაა აუცილებელი: რათა ჭაბუკურ თავმოყვარეობას მალამოდ წაეცხოს და, ბერძნების მხარდასაჭერად შემართულებმა, ჩემი დარიგება შეისმინონო, – და რუსთველის აფორიზმს მოაგონებდათ:

– სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან.

უკეთ სხვა რა სიტყვები დააამებდა წამიერად აღმფოთებულ გულს: კარგისა მამაციისაგანო...

აი, გიორგი წერეთელი კი განზრახვასაც მოუწონებდათ, კეთილშობილურ თანაგრძნობას გმირი ხალხისადმი, და წერილის გაგზავნის აუცილებლობასაც დაუდასტურებდათ. ის კი არა, ამ რჩევასაც გაუზიარებდათ: ბარემ ყველა ქართველი სტუდენტის სახელით შეეხმინათ და არა მხოლოდ ერთი გუნდისაო.

ხოლო თავის აღფრთოვანებას ჭაბუკების ამგვარი განზრახვით ბართის ფინალის პათეტიკურ სტრიქონებში ჩააქსოვდა:

– გულით მსურს ეს თქვენი აღტაცებული გრძნობა თავისუფლებისადმი სიკვდილამდე შეგრჩნოდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და მტლად დადებოდეთ მომავალში თქვენ გაჭირვებულ ქვეყანას.

ილია ჭავჭავაძეც და გიორგი წერეთელიც საქართველოს უკეთესი მომავლის გადასახედიდან შეაგონებდნენ ურთიერთსაპირისპირო რჩევას.

ერთი:

სხვა გზა არ არის, გულში უნდა ჩაიკლათ თქვენი კეთილშობილური განზრახვანი და მარტოდენ სწავლა-განათლებისათვის გადასდოთ თავიო.

მეორე:

ყოველთვის ფრთა შეასხით თქვენს კეთილშობილურ განზრახვებს, არაფერმა აგალებინოთ ხელი ამისთანა ჩანაფიქრთა აღსრულებაზეო.

ილია რევოლუციისაკენ გახედვასაც დაუშლიდათ, ცალი თვალის შევლებასაც ამ პოლიტიკური პროცესისათვის.

გიორგი წერეთელი კი სწორედაც სარევოლუციოდ განაწყობდათ.

ასე გადავიდოდა მათ ბარათებ-



პეტერბურგი (ძველი ქალაქის ხედი)



ზურაბ ავალიშვილი

ში, ერთი მხრივ, „ივერიის“, და, მეორე მხრივ, „კვალის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი და სულისკვეთება.

ირაკლი წერეთელი, ცხადია, ამ მეორე ბარათს დაუგდებდა ყურს, იმ სტუდენტებში ისიც რომ ყოფილიყო გარეული, და შეეცდებოდა დანარჩენებზე თავის თვალსაზრისზე მოექცია. და არა იმიტომ, რომ ბარათის ავტორი მამამისი გახლდათ. ამ გარემოებას დიდ ანგარიშს არ გაუწევდა, თუკი განსხვავებული შეხედულება ექნებოდა – არ მოერიდებოდა მამასთან უთანხმოებას. ის კი არა, თუმცა ზოგად რჩევას გაიზიარებდა, უთუოდ გააღიზიანებდა საქართველოს წამდაუნუმ ხსენება და გუნებაში გაკილავედა: რა საქართველო აუტყდა, განა არ იცის, რომ მოძველდა ერიც და ეროვნულობაც და ახალ სამყაროში დამკვიდრება თუ გვწადია, ამ საყოველთაო განწყობილებას უნდა ავყვეთ და კაცობრიობაზე ვიფიქროთ და არა ეთნიკურ წარმომავლობაზე, თანდათან მუზეუმებიდანაც რომ განიდევენბაო.

ილია ჭავჭავაძეს კი შეუპოვარ კამათს გაუმართავდა რევოლუციების აუცილებლობაზე ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად... და თუმცა მისი დაჯაბნვა გაუძნელდებოდა – განსხვავებით დავით მელიქიშვილისაგან – თქმით კი მასაც უეჭველად ათქმევინებდა: ეს რა მჭევრმეტყველი ყოფილა და მახვილგონიერი მოპაექრე, ნეტა ამის ნიჭი და ენერგია საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენა-განმტკიცებას მოხმარდესო.

...ირყეოდა ქვეყნიერება.

რევოლუციური სული დრტვინავდა და ზევით-ზევით მოიწევდა.

ნეტა **ზურაბ ავალიშვილზეც** ხომ არ იმოქმედა ირაკლი წერეთლის შემოსვამ მონამის შარავანდით, ქრისტიანული ასოციაციები რომ წამოუტივტივდებოდა?

ცხადია, მისთვისაც ცნობილი იქნებოდა, თუ როგორ აემალღებინათ ამ პოლიტიკოსის სახება სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, თუმცა ასეც რომ არ განეზოგადებინათ, ზურაბ ავალიშვილის ნიჭის ფსიქოლოგი და ბელეტრის-

ტი მაინც ამ ფონზე გამოაქანდაკებდა ირაკლი წერეთლის სილუეტს.

თავიდან რეალისტური შტრიხებით წარმოაჩენდა მის ფიგურას პარიზში 1924 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ნიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. ეს ის დროა, როდესაც ამ პიროვნებისაგან კვლავაც მოელიან ერთ ძველებურ გაბრწყინებას, ყოველ შემთხვევაში მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის შუაგულში წარმატებით ინარჩუნებს ადგილს და ცნობისწადილით მიყურადებთან მის ყოველ სიტყვასა თუ ნაბიჯს.

ირაკლი წერეთლის ადგილი „რუსეთის რევოლუციის პანთეონში“ და თვით უმაღლესი დადასტურება სახელისა – მისი სურათის დანებება მონპასიეს კოლოფებზე – უეჭველად უზრუნველყოფილიაო, – სხვებისა არ იყოს, არც ზურაბ ავალიშვილს დაეცყობოდა ყოყმანი მისი ისტორიული როლის შეფასებისას, მაგრამ იმ გარემოებასაც საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა, რომ მის კარიერაში იყო რაღაც განსაკუთრებული:

უეცარი მოვლინება რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროში – **სტოლიპინთან** შეჯიბრება მჭევრმეტყველებაში; ათი წლით ციმბირში მიმალვა; ისეთივე უეცარი, მაგრამ ტრიუმფით დაბრუნება პეტროგრადში – მაშინვე რევოლუციის „საკურულო სავარძელში“ ჩაბრძანება; სიფიცხესთან უნაყოფო მისწრაფება ერთსადაიმავე დროს ომისკენ, ზავისკენ, სოციალური წინააღმდეგობისკენ, და ყველა ეს – ბურჟუაზიასთან კავშირში, **მარქსის** მეთოდით რევოლუციის მეცნიერულად ხორც-შესხმის სახელით; დამფუძნებელ კრებაში უკანასკნელად კასანდრასებური თავის დაჭერა სხვა რევოლუციონერებისადმი, რომელნიც ასევე მისდევდნენ მეცნიერებასა და მარქსს. და შემდეგ უეცრად, მცირე სიჩუმის მერე: „ამიერ-კავკასიის დემოკრატია ნებას არ მისცემს ოსმალეთის იმპერიალიზმს“... და კიდევ ამის შემდეგ: „სტრატეგიული საზღვრები საქართველოსა – ბორჩალოს მაზრაში“...

რაოდენ მარჯვედაა ამოკრებილი

ყველაზე ნიშანდობლივი გარემოებანი თუ დეტალები ირაკლი წერეთლის ბიოგრაფიიდან თუ პიროვნული ხასიათიდან, თვალნათლივ რომ წარმოაჩენს მის აღმავალ პოლიტიკურ გზას, თავისი ზიგზაგებითა თუ შემობრუნებებით... თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი შემოტრიალება თუ გარდატეხა მის მსოფლხედვაში ჯერაც წინ იყო...

აქამომდელი ეპიზოდები გარედან გახლდათ ცნობილი ზურაბ ავალიშვილისათვის, პირადად არც კი შეხვედროდა გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც – 1917 წელს – პირველი დეპარტამენტის სენატორად ყოფნის დროს იგი, სამსახურის ვალდებულებით, დაესწრებოდა ცერემონიას – სენატის წინაშე რომ აფიცებდნენ დროებითი მთავრობის (მეორე მოწვევის) ახალარჩეულ მინისტრებს და, მათ შორის, ირაკლი წერეთელსაც (და კიდევ: **პროკოპოვიჩს, პეშხონოვს, ჩერნოს, სკობლეევს**).

მათი დაახლოება კი მაშინ მოხდებოდა, როდესაც დიპლომატიური მისიით იმოგზაურებდნენ ევროპაში 1919-20 წლებში კარლო ჩხეიძესთან ერთად, რათა საქართველოს ახალამოგებულ სახელმწიფოსათვის თანამდგომნი მოეპოვებინათ და რუსეთისაგან მომდინარე საშიშროება როგორმე აერიდებინათ.

ახლა უკვე შექმლო გულდასმით დაკვირვებოდა.

და ქრისტიანული ასოციაციებიც მაშინ წამოეშლებოდა:

– სახე ტანჯული, ასკეტიური – პირდაპირ გრეკოს ტილოდან არის ჩამოსული; შესაფერი მოდელია წმინდა ფრანცისკოს სურათისათვის, როცა იგი ღებულობს სტილმატებს ან და ვინმე წმინდა სებასტიანესათვის ბიზანტიური სტილით, როცა მას ხვდება ისრები...

მეტი ამაღლება წარმოუდგენელიცაა – **წმინდა ფრანცისკო, წმინდა სებასტიანე...** და ორივე მათი მარტივილობის ყამს.

მაგრამ პორტრეტი ჯერ დასრულებული არაა.

ერთი დეტალია აღსანიშნავი, ოღონდაც ისეთი, სავსებით რომ უქმნის მკითხველს წარმოდგენას ირაკლი წე-

რეთლის შინაგან ბუნებაზე.

ეს დეტალი ერთი შეხედვით არ მოჩანს, რაკილა ტანჯულისა და ასკეტის იერი ფარავს, მაგრამ ჩაუკვირდები უფრო ღრმად და:

– თქვენ ამჩნევთ თვალებს, რომელნიც გამოიყურებიან სულ ქვეშ-ქვეშ, მგლურათ.

უჩვეულო გადასვლაა?

წმინდა ფრანცისკოდან და წმინდა სებასტიანედან უეცრად მგლური მზერის მოწმე უნდა შევიქნეთ?

რას იზამ – რეალობა ესაა, თუკი თვალს გაუსწორებ.

ტანჯვა და ასკეტიზმი მოჩვენებითობა სულაც არ არის – იდეისადმი ფანატიკური ერთგულებით, თავგანწირვის უნარით ძალდაუტანებლად შეიძინა ეს ნიშნებიც, მაგრამ რაკილა ყალბ იდეას ერთგულობდა, ცრუდოქტრინის სამსახურში იდგა, შეუძლებელია მის მონამებრივ გარეგნობას სოციალიზმის მქადაგებლისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც არ შერეოდა – ქვეშ-ქვეშობა და მგლური გამოხედვა მარქსისტობით მოეპოვებინა, ამ დოქტრინის შესისხლხორცებით... და გახლეჩილიყო ასე ამაღლებულსა და დაცემულს შორის ერთდროულად მომხიბვლელიც და უსიამოვნოც... და მოღვაწეობის გაორებულ გზაზე შემდგარი – დამეკვიდრებინა ის სახელმწიფო, რომლის ეროვნული ენერჯისაც აქამდე ოდნავადაც არა სწამდა.

და ამიტომაც აგონებდა ზურაბ ავალიშვილს მისი და კარლო ჩხეიძის მიმონყდომა ევროპის ქვეყნებში მამლისა და ძალის მიერ სოფლის შენებას **სულხან-საბა ორბელიანის** არაკში.

სხვა რა შეერქმია, როდესაც თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ შეჰქონდა ერთსაც და მეორესაც დიპლომატიურ საქმიანობაში პარტიული ჰანგები. ჯერ „პირადს“ ახსენებს, მერე კი ასე ამჯობინებს – „უფრო პარტიულიო“, რაც გულისხმობს, რომ მათთვის პირადი და პარტიული განუყოფელი იყო, და რომ სოციალდემოკრატიული მოძრაობისათვის მოპოვებული ყოველი სარგებელი პირად მოსახვეჭად ეგულებოდათ.

ეს ყოველივე კი განსახიერებული



პეტრე სტოლიპინის პორტრეტი (რეპინის ნახატი)



წმინდა ფრანცისკო
(ელ გრეკოს ნახატი)

გახლდათ მათ ქართულ-რუსული ოცნების სათნო „ინტერნაციონალიზმში“.

დიპლომატია საერთოდაც ძნელი საქმეა, ამჟამად კი სრულიად თავსამტვრევი გახდა, – შესწიოდა გაურკვეველობაში მოხვედრილი ირაკლი წერეთელი ზურაბ ავალიშვილსაც და სხვებსაც, თუმც ამასაც დაბეჯითებით ირწმუნებოდა: ჩვენ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგავართ. ჩვენი ხალხი ისე შეეჩვია ამ აზრს, რომ ძნელია ახლა სხვა რამ მიაწოდო. ყოველ შემთხვევაში მანდატით ან პროტექტორატით საქმის დაწყება არ უნდა იყოს მართებული. მოვითხოვთ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა და შემდეგ, როდესაც ყოველივეს ავწონ-დავწონით, შევუთანხმდებით, ვთქვათ, ინგლისს. დავეკითხებით, თუ რას უპირებს ჩვენში მყოფ ჯარებს. და ვთხოვთ, არ გაიყვანოს აქედანო.

სამშობლოსაკენ შემობრუნება, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა თანდათან ირაკლი წერეთლის გარეგნობაზეც ხომ არ იმოქმედებდა და ქვეშ-ქვეშა, მგლურ გამოხედვას ხომ არ შეურბილებდა ან სულაც გაუქრობდა?!

...ზურაბ ავალიშვილს ამაზე დაკვირვებისათვის აღარ ეცალა, თავისი სადარდებელი გასჩენოდა და საკუთარ გულს აწყობდა: საქართველო, ეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ხდება მეორე ინტერნაციონალის ხვედრიო...

ახლა, ამ გადასახედიდან უკვე სხვა თვალთა ალიქვამდა ირაკლი წერეთელი ილიას მიერ სტუდენტთა იმ წრისადმი გაგზავნილ ბარათს, აჯანყებული ბერძნების მხარდასაჭერად რომ ანთებულიყვნენ, ეს კი თავშეკავებას ურჩევდათ და ამ კეთილშობილური გრძნობის ჩაკვლას გულშივიე.

გაამართლებდა, უსათუოდ გაამართლებდა, როგორც გონივრულ რჩევას, და გული დაწყებოდა გიორგი წერეთლის წამაქეზებელი წერილის გამო: ვერ დააღწია თავი 60-იანი წლების განწყობილებასა და ლიბერალურ-სოციალისტურ შეხედულებებს, არ უც-

დია გადაეფასებინა სწორხაზობრივი ხედვაო.

დავით მელიქიშვილმაც როგორ აჯობა შორსმჭვრეტელობითო, – გულიც დაწყებოდა და ცოტა ნირიც წაუხდებოდა, რომ გაახსენებოდა, თუ როგორი სიფიცხით მუსრავდა იმის არგუმენტებს. თან მისი აღტაცებული გამომეტყველებაც აგონებოდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლისა და ახლა ხვდებოდა, რაც მაშინ გაუგებარი დარჩა მისთვის და შინ დაბრუნებული ვერაფრით ვერ გარკვეულიყო: ნეტა რა უხაროდა ამ გაცხარებული პაექრობისას, როდესაც ერთი სიტყვაც არ შევარჩინეო.

იმასთან როგორ გამოესწორებინა თავისი მაშინდელი საქციელი, თორემ ილიას წინაშე მონანიების საშუალება კი ჰქონდა: აგერ მისი ნაწერები და დაე ყველა დარწმუნებულიყო, თუ რას ნიშნავდა ილიას სახება სიცოცხლის მიმწუხრზე მყოფი ირაკლის წერეთლისათვის.

ნეტა ზურაბ ავალიშვილს მისცემოდა საშუალება მასთან ხანგრძლივი შეხვედრისა, რათა კიდევ ერთხელ და გულდასმით დაკვირვებოდა მის მზერას.

რაო მაშინ – ქვეშ-ქვეშა და მგლურ-რიო?

და ეს იმ ვითარებისას, როდესაც ერთი მხრივ ფრანცისკო ასიზელს აგონებდა და მეორე მხრივ დაისრულ სებასტიანეს – და მხოლოდ იმის არჩევანში იყო, ნეტა ელ გრეკოს ტილოდან გადმოსულა თუ ბიზანტიური მხატვრობიდანო.

სოციალიზმისაგან, მარქსიზმისაგან, რევოლუციებისაგან განდგომა გამომეტყველებასა და გამოხედვასაც დაუამებდა, დაურბილებდა, სინანულით გაჟღენთდა და ღვთიურ ნაპერწკალსაც აუნთებდა.

მონანიებას სჩვევია ამგვარი ცვლილებანი, ნათელის ჩაღვრა ადამიანის არსებაში, ცოდვილისაც და ხან დიდად ცოდვილისაც, და მისი შინაგანი გასხივოსნება...

აბა, წმინდა ფრანცისკოსა და წმინდა სებასტიანეს ხომ ისედაც ჩამოგავდა და ახლა ამგვარ აღქმას გონიერ ადამიანთა თვალთახედვაში აღარ



წმინდა სებასტიანეს წამება
(ელ გრეკოს ნახატი)

დააკნინებდა რალაც ქვეშ-ქვეშასა თუ მგლურის მოლანდება მის მზერაში, – ისე დიდი სულიერი ტანჯვით კი იქნებოდა მოპოვებული ეს ფერისცვალება.

II
ნარსული – ტვირთად

კავკასიის მეფისნაცვალი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მესამედასელებში თავის მოკავშირეებს რომ დაიგულებდა, რა გასაკვირია – ისინი ხომ მიზანდასახულად ამოუდგნენ მხარში რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას და ისეთი უღმობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართველ თავადაზნაურობას, იმპერატორის რუსიფიკატორული მისწრაფებანი ლამის ბავშვურ თამაშად გამოჩნდა ამ დაუნდობლობის ფონზე.

ამიტომაც უმტკიცებდა და ურჩევდა ნიკოლოზ მეორეს 1906 წელს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მეფისნაცვალი, თუ ვინმეს უნდა ვენდოთ, ისევე სოციალ-დემოკრატებს, რადგანაც უმთავრესი მიზანი – რუსეთის სახელმწიფო მთლიანობის შენარჩუნება – საერთო გვაქვს და ერთმანეთის თანადგომა თუ მოგვიტანს იმ წარმატებას, რაც კრიზისს გადაგვატანინებსო:

– თავადაზნაურობა, სამღვდელთება და ინტელიგენცია საქართველოში სეპარატისტულია. ერთადერთი საიმედო ძალა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს რუსეთის ხელისუფლებამ, ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან. მართალია, საშუალო რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფო ცენტრალისტები და რუსეთის მთლიანობის მომხრენი.

ამ სტრიქონების ფონზე, ჯაშუშთა და დამსმენთა მონაცემებს რომ ეყრდნობა, ყოველმხრივ გაცხრილულსა და დადასტურებულს, ხელშესახებად იკვეთება მესამედასელთა პოლიტიკური ფიზიონომიაც და მათთვის ფარული ნებართვაც ხელისუფლების მხრივ: დევნა გამოეცხადებინათ თავადაზნაურობისა და სამღვდელთებისათვის, ეროვნული მრწამსის გამოვლინებისათვის, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის (სახელმწიფოებრივ

დამოუკიდებლობაზე ჯერ ოფიციალურად სიტყვა არ დაძრულიყო) აღდგენის ყოველგვარი მცდელობისათვის.

იმპერატორის რუსიფიკატორული პოლიტიკა ლამის ბავშვურ თამაშად გამოჩნდებოდაო...

სამოქალაქო მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნებოდა სოციალ-დემოკრატთა ხელში.

პოლიტიკურ ტერორს წინ რალა დაუდგებოდა.

როგორთუ დიდებული შთამომავლობა მოსდგამდა არისტოკრატულ წოდებას.

როგორთუ ეროვნული სულით სუნთქავდა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნავდა.

როგორთუ რუსეთისაგან ჩამოშორების ტენდენციები სულ უფრო და უფრო მკვეთრდებოდა მათ წიაღში.

დაე მესამედასელებს სცოდნოდათ და იმათ!..

არჩილ ჯორჯაძე მეტი სიმწვავისათვის სატირულ პორტრეტს მოხაზავდა სოციალ-დემოკრატებისა და მათ თანამგრძობთა არმიისას, ჩვენს ეროვნულ მოღვაწეთ ლამის ნალეკვით რომ ემუქრებოდა.

თურმე რალა ლამის!..

აშკარა ძველმოდურობად გამოიყურებოდა მარქსისტული აგიტაციის ფონზე, თუკი ქართველობას არ ითაკილებდი და არც შეიზიზღებდი – მამკიდევ უნდა აღმოჩენილიყავი შავრაზმელთა ბანაკში, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელიც გეტარებინა და წყვდიადი და ბნელეთი ყოფილიყო შენი ხვედრი.

– და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ, გულში ხელის ჩარტყმით: ამხანაგებო! წარსული მძულს, ანმყო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია. შარავანდდით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტური გვამი და ქუჩაში გავლის დროს თქვენზე თითს მიათითებენ და იტყვიან: აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და „შავრაზმელ ნაციონალისტთა“ ამომგდებო!

წარსული მძულს, ანმყო მეზიზღებაო...

ეს ალბათ გროტესკული გადაჭარ-



ნიკოლოზ II



ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი



ირაკლი წერეთელი

ბეზა, პუბლიცისტური ჰიპერბოლა, მინიშნება იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიული აზროვნება ოდესმე შესაძლოა მართლაც მიუახლოვდეს ამ მიჯნას.

მაგრამ თურმე არჩილ ჯორჯაძეს ოდნავადაც არ დასჭირებია არც გრეტესკული გადაჭარბება და არც პუბლიცისტური ჰიპერბოლა.

უშუალოდ გადმოიტანდა ციტატას, ეგაა და ეგ.

დიახ, უშუალოდ – მესამედსელთა ერთ-ერთი წინამძღოლის პოლიტიკური სტატიიდან.

„ყვირილელი“ აწერდა ხელს „კვალის“ ფურცლებზე (1903, 28) გამოქვეყნებულ ამ სტატიას. ფსევდონიმი ისე, ჟურნალისტურ-პარტიული ჩვეულებისამებრ, თორემ არავისათვის ყოფილა დაფარული ნამდვილი ავტორის ვინაობა.

ირაკლი წერეთელია, ვისაც წარსულიც სძულს და აწმყოც ეზიზღება.

მას თვითონვე განუზოგადებია ეს შეხედულება სოციალ-დემოკრატთა მიმდევრებზე და არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ იმეორებს ამ განზოგადებას.

იმეორებს, ოღონდ – შემცბარი – მაინც შეკვეცას ამჯობინებს, დაე მკითხველმა ძირითადი აზრი იკმაროს ეპითეტების გარეშე.

არადა, ირაკლი წერეთელი ვის აწრას შეეპუებოდა.

და საზოგადოების რჩეულ ნაწილს რომ გამოაცალკეებდა, მათ, ვისაც ვერ აკმაყოფილებდა გაცვეთილი პატრიოტიზმი თუ „სამშობლოსა“ და „ქართული ენის“ ყვირილი და, საკაცობრიო იდეალით ანთებული, ამ იდეალით ცოცხლობდა, ამით საზრდოობდა, ამით იმედოვნებდა და გაიცქირებოდა ბრწყინვალე მომავლისაკენ, ამ რჩეულთა ზოგად სილუეტს ამ ექვსი სიტყვით მოხაზავდა და შიგ მთელს თავის გრძნობა-გონებას გაჰხვევდა:

– აწმყო გველივით ეზიზღება, წარსული ჭირივით ეჯავრება.

ეს რწმენა და სწრაფვა რომ არა, ამაყად მოფრიალე ნითელ დროშაზე წარწერილი, ამ რჩეულ გუნდს არც მაგარი მხრები ექნებოდა და ვერც პროგრესის საქმეს ზიდავდა.

ეგებ წარსული პირწმინდად კი არ უარეყოთ, არამედ მისი ესა თუ ის მხარე, რათა იქ დაგროვებული ძვირფასი მონაპოვარი კიდევ უფრო მკაფიოდ და ხელშესახებად გამოეკაშკაშებინათ?

ამაო მოლოდინია, ფუჭი ილუზია!..

ირაკლი წერეთელი თანამოდასეებივით გაითვალისწინებდა ამ გარემოებასაც და, ვაითუ გარდასული ჟამის მხოლოდ ცალკეულ მოვლენათა დაგმობა მოგვანერონო, დაბეჯითებით განაცხადებდა: მისი რომელიმე მხარე არ გეგონოთ, საქართველოს მთელი წარსული გვეჯავრება, მთელი წარსულიო.

და იმავე ჟურნალის ოთხი ნომრის შემდეგ დაბეჭდილ სტატილაში კი ერთმანეთს შეანარცხებდა მამულიშვილობასა და ბურჟუაზიას, ერთს როგორც რევრესულს და მეორეს, როგორც კონსერვატორულს, ორივეს კი ერთიმეორის ფარდს, ახალი ჟამისა და პროგრესის მოციქულთ ერთდროულად რომ უნდა გადაეჯეგათ ორივე – სასწრაფოდ, აბა, ბედნიერი ცხოვრების, საკაცობრიო ედემის დამკვიდრების მოლოდინი არ გინდოდა?!

...ერთადერთი საიმედო ძალაო, – მხურვალე თანადგომით შეჰყურებდა მესამედსელთა ყოველ პოლიტიკურ ნაბიჯს კავკასიის მეფისნაცვალი, რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფას არავის დაანებებენო.

არც შემცდარა გაიძვერა მოხელე.

1907 წელს ქუთაისში პოლიტიკურ წინგაკს რომ გამოსცემდა „ისტორიული წერილების“ სახელწოდებით და მასში ორ პუბლიცისტურ სტატიას გაერთიანებდა („ფედერალისტების გასოციალისტ-რევოლუციონერობა“ და „სოციალდემოკრატები თუ სოციალისტ-რევოლუციონერები“), ისეთი თვითდაჯერებითა და იმედოვნებით დააბოლოვებდა, ეტყობა, ალღოს მაინცდამაინც არ გაეჭრა მისთვის – სასურველს გადაეფარა სხვა ყველაფერი.

მართალია ეს თვითრწმენაც და იმედოვნებაც ათი-თერთმეტი წლის შემდეგ რეალობად გადაიქცეოდა და ერთი შეხედვით იქნებ ისიც ეგონოს მკითხველს, წინასწარმეტყველური

ფინალი აგვირგვინებს ირაკლი წერეთლის ვრცელ მსჯელობა-ანალიზსო, მაგრამ მოვლენათა ამგვარი მსვლელობა ანუ სოციალ-დემოკრატთა ტრიუმფი საქართველოში ბევრნილად განსაზღვრა არჩილ ჯორჯაძის უდროო გარდაცვალებამ, რისი წინასწარ ვარაუდიც ირაკლი წერეთელს არ შეეძლო.

მანამდე კი, 1907-12 წლებში, სოციალ-დემოკრატთა და მათ წინამძღოლთა მოლოდინის საპირისპიროდ, სოციალ-ფედერალისტები ძალიან შეავიწროვებდნენ მესამედასელებს, არჩილ ჯორჯაძე კი **ნოე ყორდანიასთან** ცხარე კამათისას აშკარად გამარჯვებული გამოვიდოდა და ამ მხრივაც შეულახავდა პოლიტიკურ ოპონენტებს თავმოყვარეობას. თანაც ძალიან შეაფიქრებდა – იმათ ეგონათ, ასპარეზიდან ილია ჭავჭავაძის ჩამოცილებით ოთხივე კუთხივე გაეხსნებოდათ გზა საქართველოს მოსახლეობის გადმოსაბირებლად. არადა, რა გამოდიოდა – ილია ჭავჭავაძის ისე შეენაცვლებოდა არჩილ ჯორჯაძე, როგორც მისი სულიერი მემკვიდრე, საქვეყნო ტვირთს თავისთავად რომ გადმოიბარებდა.

სოციალისტ-რევოლუციონერებს სოციალ-ფედერალისტთა უშუალო მიმდევრებად შერაცხავდა ირაკლი წერეთელი, ტაქტიკურ ფერისცვალებად მოიხსენიებდა სახელის შეცვლას და არა მართლაც იდეურ-პოლიტიკური მრწამსის სხვაობის დამადასტურებლად, და წიგნაკის ფინალურ მონაკვეთში ასეთ განაჩენს გამოუტანდა, როგორც დროგასულ წარმოდგენებში ჩარჩენილთ, უფრო იმ ძველ ნიადაგზე რომ იდგნენ და ახალს კი ამაოდ ეპოტინებოდნენ, რაკილა ამ ორ ნიადაგს შორის უფსკრული სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, ახალი ცხოვრება ძველის ნაშთებს სპობდა და მთელს თანამედროვეობას ძღვევამოსილად ეპატრონებოდა:

– ამიტომ სოციალისტ-რევოლუციონერებსაც ორიდან ერთი მოელისთ – ისინი ან უნდა გაჰქრენ, მოსწყდენ ცხოვრებას და ძველის ნაშთებთან ერთად ისტორიას ჩაბარდენ, ან ერთიანთ ახალ ცხოვრების ნიადაგზე გადმოვიდენ და სოციალდემოკრატიაში

გაითქვიფონ.

ვერაფერს იტყვი – დიდებული პერსპექტივაა!..

ყოველ შემთხვევაში ირაკლი წერეთელი ისევე დაიმედებულყო მისი გარდუვალობით, როგორც სხვა თანამოდასელნი, და თუმცა სიმკაცრეს იჩენდა ფედერალისტური პარტიისა და მათ თანამოაზრეთა თუ გზის გამგრძელებელთა მიმართ, პირადად არჩილ ჯორჯაძეს მაინც მოერიდებოდა, იოლად არ წამოკრავდა ხელს და შეეცდებოდა მასთან პაექრობა პრინციპული იდეური კამათის სიმადლეზე აეტანა – განსხვავებით სოციალდემოკრატული პუბლიცისტური სტილისტიკისაგან, პოლიტიკურ მონინააღმდეგეთა მიმართ ცილისწამება და უსაფუძვლო თრევა-განქიქება არაფრად რომ არ უღირდათ.

ეს ის დრო იყო, არჩილ ჯორჯაძის ბრწყინვალე ვარსკვლავმა „ცნობის ფურცლიდან“ პირველად რომ ამოაშუქაო, – ეს შეფასება სავსებით წრფელია და აღმატებული და ნასახიც არ ურევია ირონიის, ისევე, როგორც მთელ წიგნაკში თითქმის ვერსად ჰპოვებთ ამ ყაიდის პასაჟსა თუ გამოთქმას.

პატივისცემით იმონებებს მის იმ ციტატასაც („ჩვენის აზრით, ძალიანაც რომ გვნდომოდა თავადაზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია“), რომელსაც მიიჩნევს ძველი ცხოვრების წარმომადგენელთა წესის აგებად, რაკილა ეს გახლდათ არა კერძო პიროვნების, თუნდაც დიდი მოაზროვნის შეხედულება, არამედ მთელი თაობის – ანუ შუათანათა – საზოგადოებრივი და პოლიტიკური მრწამსი.

ამ თაობასაც რომ ველარ იგუებდა, როგორც მაინც ძველ თაობაზე გადაჯაჭვულს, ამას ამჯერად რა მნიშვნელობა ჰქონდა – არჩილ ჯორჯაძის ეს პოლიტიკური ფორმულა მოსწონდა, სიზუსტესაც შეუქებდა და დროულობასაც, თორემ წლების შემდგომ ამგვარ შეფასებას განა რაღა ეფექტი ექნებოდა?!.

სიმკაცრეს გამოიჩენდა „ნაციონალისტურ ნიადაგზე მდგარი და მთავ-



აკაკი ჩხენკელი და ირაკლი წერეთელი



ილია ჭავჭავაძე

რობისაგან ნებადართულ კალაპოტში მოღვაწე ინტელიგენციის მიმართაც“ – მათი ძველი და შუათანა თაობისა – და კიდევ შერისხავდა, რაკილა სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ მკვეთრად მარქსიზმითა და კლასობრივი თეორიით შეიარაღებული სოციალ-დემოკრატების პირველივე ნაბიჯებს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ ილია ჭავჭავაძის სახელდებით მოხსენიებას მაინც მოერიდებოდა.

უშუალოდ მას გულისხმობდა, მასზე მიანიშნებდა, ამ გამჭვირვალე ნართაულში განაზოგადებდა ძველი თაობის კრიზისსაც და მათი ნაშთების სრული აღმოფხვრის მოახლოებულ პროცესსაც, მაგრამ უშუალოდ მაინც არ შეეჯახებოდა.

სიყმანვილისდროინდელი სიყვარული კვლავაც მოსდევდა მის მიმართ და ეს განცდა არ ანებებდა ადვილად შეეხებდა ამ სახელისათვის?

აკი საერთოდაც გაურბოდა პიროვნებათა უშუალო განქიქებას და კამათი ზოგად სფეროში გადაჰქონდა. ილიას მიმართ კრიტიკული მოსაზრებების გამოსათქმელად თუ ბავშვობისდროინდელი სიყვარული უბორკავდა ხელს, ვითომ რა უშლიდა, არჩილ ჯორჯაძესთანაც თავშეკავებით რომ არ ელაპარაკა და სოციალდემოკრატიულად მოქცეულიყო?

სულიერი არისტოკრატიზმი არ ანებებდა რალაც ზღვარის გადალახვას, უხილავის, მაგრამ ასერიგად მნიშვნელოვანის მორალური თვალსაზრისით, ის კი არა, მასთან მიახლოებასაც, მიუხედავად იმისა, რომ – მარქსიზმის ზეგავლენით – ისეთი სიმკაცრით მოეპყრობოდა თავადაზნაურულ ფენას, თითქოს თვითონაც ამ წოდების შვილი არ ყოფილიყო.

თავადაზნაურობის ხელში აღმოჩნდებოდა უმთავრესი ქართული დაწესებულებანიო, მხოლოდ მას მიუწვდებოდა ხელი გაზეთებზე, ნიგნებზე, თეატრზე, ერთი სიტყვით, ინტელიგენციის სამოქმედო ასპარეზი თავადაზნაურული იყო, ინტელიგენციის გაფეოდალებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ მისი წევრები უმეტესად თავადაზნაურობიდან

იყვნენ გამოსულნი და, მაშასადამე, თავადაზნაურული იდეოლოგია არც ისე უცხო იყო მათთვისო, ასეა თუ ისე ინტელიგენციის ნამდვილ შინაარსს შეადგენდა ერთი გაუთავებელი გოდება ქართველ მემამულეთა დაქვეითების შესახებ, რაც, მისი აზრით, მთელი ქართველობის ეროვნული არსებობისათვის დიდ საფრთხეს მოასწავებდაო.

მათ საქვეყნო საქმეებს ცოტა არ იყოს ირონიულად მოიხსენიებს ირაკლი წერეთელი და წინწკლებით ამიტომაც მოსავს – როგორც მოჩვენებითსა და თვალთმაქცურს: უბრალო ხალხისათვის ორიოდ იაფფასიან მოთხრობას თუ გამოსცემდნენ, უფასო წარმოდგენას გამართავდნენ ან სხვა ასეთ წყალობას გაიღებდნენ, ესეც დიდი ამბავი იყო. სიმართლე კი ისაა, რომ ხალხი უკანა კარში იყო მივიწყებული და ინტელიგენციის მეფობა საზოგადო ასპარეზზე ნიშნავდა იმ ასპარეზიდან ხალხის ინტერესების განდევნასო.

და ვიდრე მესამედასელები გამოაფხიზლებდნენ ამ უბრალო ადამიანებს, ისინი მოჩვენებითი მზრუნველობით თურმე ადვილად ტყუვდებოდნენ:

– თვით ხალხი კი, რომელსაც საკუთარი ცხოვრებისთვის ჯერ არ გაღვიძებოდა, ამ უკულმართობას ვერ ამჩნევდა და ინტელიგენციაში ისიც „ქვეყნის მარილს“ ხედავდა.

მაგრამ ასე დიდხანს ვერ გასტანდა და მხსნელად მოევილინებოდნენ მესამედასელები – ძველი კერპების დანგრევითა და მათი მოძღვრებისა და მოქმედების სასტიკი კრიტიკით („ინტელიგენციის დახავსებულ აზროვნებას მან კლასთა ბრძოლის მოძღვრება დაუპირდაპირა. მან პირველმა აღნიშნა ახალ მოქალაქეობრივ წყობილების ჩამოყალიბება ძველ წოდებრივ ურთიერთობის ნანგრევებზე, და მუშათა კლასი მთელი მომავალ ვითარების მეთაურათ გამოაცხადა“).

კლასის ინტერესთა თვალთახედვა ირაკლი წერეთლისთვისაც უპირველესი საზომი რომ გახლდათ, ამ თარგს მოარგებდა მოკლე ფორმულებში ჩატეხულ მღელვარე და დრამატულ ისტორიას სოციალ-დემოკრატიული

მოდრაობისას!

– მან ინტელიგენციის ეროვნული ღვაწლი და ამ ღვაწლის მთელი სიღრმე სინათლეზე გამოიტანა. ის უკიჟინებდა ინტელიგენციას ხალხის ინტერესების სრულ მივლინებას და ამა ქვეყნის ძლიერთა მიკედლებას.

– შინაგან თანხმობის ნაცვლათ, რომელიც გაბატონებულ კლასებს ეჭირვებოდა ხალხის საყვლევათ, ის კლასთა ბრძოლას ქადაგებდა; ეროვნულ შუღლის ნაცვლათ – მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შეერთებას.

– ახალმა დასმა ძირიან-ფესვიანათ გადაატრიალა ძველი წარმოდგენები და იმავ დროს შეურიგებელი, დაუზოგავი, თავხედი იერიში მიიტანა ერის ბურჟუაზიას.

ერის ერთ-ერთი ბურჟი, ცხადია, ილია ჭავჭავაძეცაა, და მის წინააღმდეგ დაძრულ საიერიშო ტალღას როგორც უნდა ამართლებდეს ირაკლი წერეთელი მარქსისტული და ისტორიული აუცილებლობით, გამოტეხით აგერ მაინც გამოტეხილა, რომ ეს იერიში – შეურიგებლობასა და დაუზოგაობასთან ერთად – თავხედურიც გახლდათ.

მაგრამ ეს კიდევ რას ნიშნავს?

თითქოს მუშა ხალხს რომ უცვნიას სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებაში თავისი ბუნებრივი სტიქია და უგრძენია თავისი ძალა, მტერ-მოყვარეც უკვე გაურჩევია და ეს თავისი გამოღვიძება პირველ ყოვლისა თავისი „აპეკუნებისათვის“ უცნობებია.

– რამოდენიმე გამოსვლით მან საჯაროთ გაჰკიცხა ინტელიგენციისაგან ატეხილი განგაში „დასელების“ წინააღმდეგ და თვით ეს „დასი“ სახალხო პარტიათ გამოაცხადა.

და იქვე სქოლიოც დაერთვის, რომ ავტორი გულისხმობს მუშების რამდენიმე დემონსტრაციულ გამოსვლას 1900 წელს, მაგალითად, მათ მოულოდნელ ჩარევას „ივერიისა“ და „კვალის“ პოლემიკაში.

ეს ხომ პირდაპირი მინიშნებაა ილია ჭავჭავაძესა (ახალმოსულის ფსევდონიმით) და ნოე ჟორდანიას შორის ატეხილ ცხარე დისკუსიაზე, რომლის მსვლელობის დროსაც ილიამ ისე დაჯაბნა მოპაექრე და ხელშესახებად

წარმოაჩინა მისი პოლიტიკური აზროვნების უნიადაგობა და უმწეობა, თვით ეს გამოცდილი დემაგოგიც ძალიან შეშფოთდა და კამათი სხვა განზომილებაში გადაიტანა – პარტიული აქტივისტების ენერგიული ჩარევით მოამზადა ვითომდა მუშების საპროტესტო წერილების სერიაც და საჯარო გამოსვლებიც მკაცრი მოთხოვნით – შეწყვეტილიყო ნოე ჟორდანიას მიმართ მძაფრი პოლემიკური თავდასხმები.

ეს ორგანიზებული პარტიული აქციები, ეს უღირსი მოქმედება გასაღდა სახალხო სურვილად, გამოფხიზლებული მოსახლეობის მოთხოვნად და მტკიცე პოზიციად.

და ახლა ირაკლი წერეთელიც ადასტურებდა, სიყალბეს სიმართლის სამოსში ჰხვევდა.

პარტიულ პროპაგანდას უფრო უჯერებდა – ბოლოსდაბოლოს მისი პარტია ეს გახლდათ, საამაყოც და სალოცავიც.

ლუარსაბ თათქარიძის სახის გამომომობასაც დაისაჭიროებდა.

ოლონდ არა დემაგოგიური განზრახვით – ერთი წუთითაც არ გაუიგივებდა ამ პერსონაჟს მისსავე შემოქმედს. პირიქით, დიდადაც მოსწონდა ეს მოთხრობა, რაკილა მიიჩნევდა, რომ „კაცია-ადამიანი?!“ სწორედაც სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს მიესადაგებოდა როგორც იმ ილიას ნაკალმევი, რეგოლუციურ გზნებას რომ ამკვიდრებდა ქართველობაში და ასერიგად უპირისპირდებოდა იმ ილიას, ძველ გზას ვინც განუდგებოდა – ანუ ლიბერალი კონსერვატორად გარდაისახებოდა – და მესამედასელებსაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდებდა.


ჩვენი ერის სამოში ჩაისახა და დღითიღვე იზრდებოდა მთელი ჩვენი ცხოვრების განმაახლებელი კლასიო, – აღნიშნავდა თუ არა, ამ სიტყვებს დასძენდა:

– ამას ინტელიგენცია ვერ ხედავდა, და ან კი თათქარიძის სათვალეებით როგორ დაინახავდა.

ხოლო მტკიცებას რომ მოჰყვებოდა, ახალი ცხოვრებით წარმოშობილ კლასს ახალ ვითარებასთან შეთანხმებ-



ნოე ჟორდანია



როსტომ ჩხეიძის ახალი მონოგრაფია „მზის შვილები“ ასრულებს სამეცნიერო ტრილოგიას, რომელიც ეროვნულ თავისებურებათა გამოკვლევის, ზნე-ჩვეულებათა საწყისების ამოხსნის ერთი მნიშვნელოვანი და უდაოდ საინტერესო ცდაა. „ქაღდაღს მონატრება“ და „ქება სიზარმაცისა“ დაგვირგვინდა მზის თავისებური საგალობელით, სადაც მწერალმა თვალნათლივ გვიჩვენა მითოსური განცდა მზისა, მზის კულტი ქართულ ლიტერატურაში.

ნიგნი შვიდ თავადაა დაყოფილი („მზის მისტერია“, „მზე მტევანში“, „უდარდელიობა – მზიური ჯიში“, „რიჰა – რწმენა, სწრაფვა მარადიული“, „სიცილი და სისხლი მზისა“, „მზის სამლოცველო ან მზის შუადლის საგალობელი“, „მზიანი ღამე... შუადლის ღამე“) და თითოეულში ექსპრესიული, ემოციურად დამუხტული სტრიქონებით მოთხრობილი და გაანალიზებულია მზის ესთეტიკა.

„ეს ნიგნიც ისევეა გაჯერებული ოპტიმიზმით, როგორც როსტომ ჩხეიძის სხვა ნიგნები, რადგან მასში მძლავრია ფესვების განცდა და წვდომის სურვილი; მიუხედავად იმისა, რომ „წმინდა ნათელი“ „წმინდა სინყვიადესავით“ „გაუგებელია“... სიცოცხლე მაინც მათი გაგების მოუღალავი ცდა უნდა იყოს“ – ნათქვამია ნიგნის ბოლოსიტყვაში, რომელიც კრიტიკოსსა და ლიტერატურისმცოდნე **მაია ჯალიაშვილს** ეკუთვნის.

ბული მოძღვრება ეჭირვებოდაო, მეტი ხატოვანებისათვის ამ საბუთებს მოიმარჯვებდა:

– ცხადი იყო, ვისაც საზოგადო მოღვაწის სახელის შერჩევა სურდა, ის ახლა ვეღარ დაკმაყოფილდებოდა ახალ ვითარების თათქარიძისებურ უარყოფით, კლასთა ბრძოლის დასვლების ჩმახვით გამოცხადებით და თავად-აზნაურობის დაქვეითებაზე გოდებით.

საგულისხმოა, რომ ირაკლი წერეთელი ამ ნიგნაკში არცერთ სხვა ლიტერატურულ პერსონაჟს არ იმონებდა.

ამ ფონზე მეტი დატვირთვა ენიჭება ლუარსაბ თათქარიძის ამოყენებას გვერდში მეკავშირედ.

გაცილებით ღრმა სახეა ლუარსაბი, მრავალშრიანი, ბევრგვარად ჩასაკვირვებელი და ძნელად ამოსაცნობი, მაგრამ ირაკლი წერეთელი მაინცდამაინც მიკერძოებულად სულაც არ ეყრდნობა ამ პერსონაჟს თავისი მტკიცებისას – ლუარსაბ თათქარიძე ამ კუთხით განხილვის საშუალებასაც აძლევს პუბლიცისტსა თუ მკვლევარს, სიმბოლურად უაღრესად შევიწროებულ და აქეთ-იქით მიმონყდომილ თავადაზნაურულ წოდებას რომ გაუიგივდეს.

და ამ სახელს რომ მოიხმობდა, ვინ იცის, გუნებაში ფიქრობდა: ნეტა ილიას მხატვრული ლიტერატურა არ მიეტოვებინა და, თავისდა საზიანოდ, პუბლიცისტისტიკაში არ გადაჭრილიყო, ჰოი, რაოდან ძვირფას მემკვიდრეობას შეგვიქმნიდაო.

ანმყო მეზიზღება – გველივითო!..
წარსული ჭირივით მეჯავრებო!..
მისი რომელიმე მხარე კი არა, მთელი, მთელი წარსულიო!..

და კმაყოფილი დარჩებოდა თავისი პირდაპირობითაც და გაბედულებითაც – არ არის დრო შეფარვით, ქარაგ-

მით, მიკიბგ-მოკიბვით ლაპარაკის, ვინ მე და ვინ შემპარაობა და ჩურჩულიო.

ვერ დაანებებდა ქართველობას, ჩადირულიყო ნაციონალიზმის ჭაობში და, წარსულის ბანგით გაბრუებულს, ვეღარც ანმყოს ჩიხი გაერღვია და ვეღარც საკაცობრიო ცხოვრების სრულუფლებიანი მონაწილე გამხდარიყო, საკაცობრიო ცხოვრების, რომლის სამოთხისებური წესრიგიც თუ რაიმეს ვერ იგუებდა, უპირველესად წარსულის ტვირთს, ადამიანს თავისუფალი პიროვნების ნაცვლად მყიფე წარმოდგენათა მონად რომ აქცევდა.

მონას კი საკუთარ ნიაღში აღარ გააჭაჭანებდა თავისუფალი სამყარო – დემოკრატიის სავანე, აუცილებელი საფეხური ამქვეყნიური ედემისაკენ.

სიყვარულის იმ საყოველთაო კარიბჭესთან ზიზღსა და სიძულვილს რანაირად შეეძლო მიეყვანა ადამიანი?

თქვენ მარქსიზმი გაიხადეთ ახალ სახარებად და ნახავთ, თუ რა მარჯვედ გახვალთ იმ კარიბჭეშიო, – არც ირაკლი წერეთელს ეეჭვებოდა ახალი დოქტრინის ჯადოსნურად გარდამქმნელი ძალა და უთანაგრძობდა ყველა ლუარსაბ თათქარიძეს, რომელთაც ისეთი სათვალეები მოერგოთ, დიდი განახლების დასაწყისს ვერა ხედავდნენ და წარსულის მონატრებაში ამიტომაც ჰპოვებდნენ შვებას – ფუჭსა და ამაოს...

ერთადერთი საიმედო ძალა ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან, მართალია საშიში რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფოებრივი ცენტრისტიები და რუსეთის მთლიანობის მომხრენიო, – ჯერ კიდევ როდის ამოეცნო გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, ვისაც ხელებზე მოუშორებლად დარჩებოდა **დიმიტრი ყიფიანის** სისხლი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კრიტიკა

მიხეილ ქავთარია

მინდია: ახალი ხედვა

(მერაბ გველესიანი. მინდია ანუ ურჩხული და გოგონა. წიგნი I, თბ., „კომენტარი“, 2010)

მერაბ გველესიანის წიგნმა გამოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება როგორც საგანგებო მოვლენამ ჩვენი მწერლობისა, თუმცა კი, როგორც ანოტაციიდან ვგებულობთ, ეს სამ წიგნად ჩაფიქრებული ნაწარმოების პირველი წიგნია ჯერ მხოლოდ. ერთი კუთხით ეხება გმირის ცხოვრების თავსა და ბოლოს.

ყურადღების მიზეზი ნათელია – ავტორმა მინდიას თემა – „ხელიხელ საგომანები“ ქართველი ერისათვის – ახალი ხედვით შემოგვთავაზა. მთავარი აქ ის კი არ არის, რომ მოთხრობის სიუჟეტური ქარგაა ახალი, არამედ – ის, რომ საკვანძო პრობლემებისადმი მიდგომაა განსხვავებული.

რამდენად არის განსხვავებული? გადამეტებით ხომ არა, – ხომ არ სწყდება მინდია საკუთარ ფესვებს და ხომ არ გადის ფაუსტური ჟანრის ფარგლებიდანაც? ამის გააზრებას გვიადვილებს წიგნის ორიგინალური წინათქმა – ბაასი „ხმებთან“, იმ პირებთან, რომლებიც წინასწარ გასცნობიან ნაწარმოებს („ხმები“ გაუპიროვნებელია. იმის შესახებ, თუ ვინ დგას მათ უკან, სქოლიოდან ვგებულობთ).

დავინწყოთ მაინც არა ამ კითხვებით, არამედ – ნაწარმოების ერთ – მდიდრულითა და ძუნწით, ხატოვანითა და იმდენად დახვეწილით, რომ ვერ იგრძნობთ, თუ დღემდე საზოგადოება მის ავტორს იცნობდა მხოლოდ როგორც მეცნიერს, თავისი სპეციალობით შორს მდგომს მწერლობისაგან. ჩვენ გვეჩოთირება მხოლოდ გადახრები გრამატიკული ნორმებიდან, რის ნებასაც ავტორი შეგნებულად რთავს დიალოგებში თავის გმირებს. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც სიტყვაა უფრო მნიშვნელოვანი. იგი კი იმდენად გამომსახ-


ველია, რომ ავტორს იმის მითითებაც არ სჭირდება, თუ ვინ რა თქვა: ეს ისედაც არის ნათელი, განსაკუთრებით – მინდიასა და გოგონას (თეოს) ვრცელ დიალოგებში, რომელთა რიტმი აღიქმება როგორც ზეიმი სიცოცხლისა და ცოდნის წყურვილისა და მათ უკან შეფარული ურთიერთტოლვისა, რომელიც თანდათან ცხადდება მხოლოდ გოგონას მხრივ.

გამომსახველი და ლაკონურია თხრობის დასაწყისში იმ რელიეფის აღწერა, სადაც მოქმედება უნდა გაიშალოს. შემოკლებით მოვიტანოთ იგი: „მდინარე ველს შუაზე კვეთდა. მის გასწვრივ ლამაზი ქალივით განოლილიყო ჩალისფერი გალავნით შემორტყმული ქალაქი, რომელსაც სოფლები, როგორც დედას ბავშვები, ისე მიჰხვეოდნენ...“

...ველს კი თავს წამოსდგომოდნენ ტყით მოსილი მთები, რომელთაც ამ ქვეყნის სადარაჯოდ წინ გამოედგათ დიდი ფრიალო კლდე“.

ამ კლდეში, გამოქვაბულში უძევს ბინა მინდიას – იმავე ხალხისგან ზურგნაქცევს, რომელმაც მასზე ლეგენდებიც შექმნა და რომელმაც მას ურჩხულიც შეარქვა. იმავე ხალხისათვის ირჯება – კლდეში ეძებს წყლის მარაგს ათეულ წლობით, მარტოდმარტო. ამ წყლის სარწყავ მნიშვნელობაზე ადრევე უთქვამს ხალხისთვის და მხარში არავინ ამოსდგომია. აავებს საკუთარი ბედი, მაგრამ არ აბოროტებს.

ეს ახალი მოტივია მინდიას თემაში. ძირითადი ნიშანი კი, რომელიც გმირს სხვა ადამიანებისგან გამოარჩევს, იგივეა, რაც ამ თემის სხვა ვარიანტებში. ეს არის ბუნების მძაფრი განცდა, მისი ენის ცოდნა. ოღონდ, ამ ცოდნის ბუნება და წარმომავლობაც განსხვავებულია.





სასწაული გვირის ცხოვრებაში ბავშვობისას ხდება, იგი მას არ აზიარებს აბსოლუტურ ცოდნას, როგორც ეს დასაქმურსა და ჩვენებურ ფაუსტურ – „მინდიაურ“ ქმნილებებშია. ცოდნას მინდია მთელი ცხოვრების მანძილზე ეუფლება და ისიც აქვს გაცნობიერებული, რომ ყოველი ახალი ნაბიჯი ამ გზისა უზრდის მას ხილვადი არცოდნის საზღვრებსაც.

ასეთი გადაწყვეტა ათავისუფლებს ახალ მინდიას იმ ბრალდებისაგან, რომელიც მის წინამორბედს ხვდა წილად – თითქოს, მისი ცოდნა ინტუიციურია, ერთ დროს (წინაპართაგან) დაკარგული და ახლა შემთხვევის წყალობით აღდგენილი ინსტინქტია (იხ. „წინათქმა“). ეს გადაწყვეტა ანათესავებს კიდევ მინდიას გოეთეს გვირთან იმით, რომ ორივე მათგანი იმთავითვეა მეცნიერი, და განასხვავებს კიდევ მისგან ცოდნისაკენ მიმავალი გზის უსასრულობის გაცნობიერებით: უფრო თანამედროვეს ხდის მას იმის მიუხედავად, რომ ამბავი იმ „არამცთუ უხსოვარ დროს“ ხდება, როცა „ადამიანი ჯერაც შვილდითა და მახვილით ებრძოდა მხეცსა და ადამიანს, სიბრძნის ყადრი კი უკვე იცოდა...“

ოლონდ, ბრძენს, სულელსა და თვითმარქვია ჭკუისდამრიგებელს ხშირად ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან“ (იხ. „შესავალი“).

ჯერაც ვერ არჩევდა? არა. შვილდითა და მახვილით ბრძოლა, კლდეში ცხოვრება და სხვა და სხვა მხოლოდ ხერხია, იგი მხოლოდ ფორმალურად განასხვავებს ძველსა და ახალ დროს ერთმანეთისგან. ზემოთ განყვეტილ ფრაზასაც მოთხრობაში ამიტომ აგრძელებს ოპონენტის – „ხმის“ – ეფექტური ჩართვა: „რა, დღეს კი არჩევს? მაგათი დრო დღეს უფრო არ დგას?!“

მთავარი, რაც ახალ მინდიას გოეთესეულ ფაუსტთან ანათესავებს და ამავე დროს აპირისპირებს კიდევ მასთან, არის გოგონასადმი მისი ლტოლვა. მარგარიტასგან განსხვავებით, გოგონა მასთან თვითონ მიდის ჯერ როგორც ლეგენდასთან – ცნობის (ცოდნის) ნადილით, შემდეგ კი ისინი

პოულობენ სულიერ თანაზიარობას: ორივე ესწრაფვის ბუნების საიდუმლოთა წვდომას, ორივე განიცდის ბუნებას და ორივე მათგანი მარტოსულია.

ბევრი მხატვრული ქმნილების ბოლო ფრაზები ატარებენ დიდ შინაარსობრივ დატვირთვას. აქაც ასეა: ბოლოს მულავნდება, რომ გოგონას ოჯახურ გარემოში ხდება ისეთი ცვლილებები, რომ მას შინ გაჩერება აღარ უნდა, საქმრო კი არ უყვარს – არ აპირებს ცოლად გაჰყვეს. მინდია გაყოლას ურჩევს (ცხადია ამ რჩევის მიცემა მისთვის მძიმეა). გოგონას არჩევანი სხვაგვარია.

როგორც არ უნდა გაგრძელდეს მათი ამბავი, იმას ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მათგანი მაცდურის როლს ასრულებდეს.

გოეთეს ფაუსტი კი გაქნილი მაცდურია. მეფისტოფელის შემწეობით, ძვირფასი საჩუქრებით, ფაქტობრივად, იგი ყიდულობს მარგარიტას.

გოგონას გამო მინდიას არსებაში დიდი შინაგანი ბრძოლა იმართება. ეს არ არის საკუთარ ეშმაკეულ საწყისთან ბრძოლა. ეშმაკიც შემოდის მოთხრობის ერთადერთ მცირე ფრაგმენტში („ციება“) და იგი წინასწარ არის მარცხისათვის განწირული. ამის მიუხედავად, მისი სახე არანაკლებ არის საინტერესო და ახლებური, ვიდრე თვით მინდიასი.

მასთან კამათში უფრო იკვეთება მინდიას ღირებულებითი ორიენტირები. „ხალხი გოგოს არ დაგანებებს, წყალს თუ არ მისცემ“ – ეუბნება ეშმაკი. ეს ამბავი გაზაფხულზე ხდება, მინდია კი წყალს ზაფხულის გვალვისთვის აგროვებს და, ეშმაკთან კამათისას ჩანს, რომ იგი მზადაა სიყვარულზე თქვას უარი, ოლონდ, ისევე ხალხს არგოს.

ეშმაკი მის წინაშე შესაბრალებს კი ჩანს, არ უჩანს ბოროტის ძლიერება. იგი მხოლოდ ვაჭარია, ვერაფერს აკლებს ადამიანს, თუ არ გაურჩევა – თუ არ „იყიდა“ იგი. ყიდულობს, მაგალითად, აზარტულ მონადირეთა სულელებს ნადირთა თავების სანაცვლოდ და ამიტომ მინდიასაც ოჩოპინტრეს სახით ევლინება.

მას შეუძლია მრავალი სხვა სახეც

მიიღოს, რადგან ორპოპინტრე აქ მხოლოდ „ბუშტია“, რომელსაც ეშმაკი იმდენს გამობერავს ბნელიდან, რამდენიც უნდა. შევადაროთ „შავი მზის ზღაპარს“ მოთხრობის პირველ კარში, სადაც უკუნი, ზღვის ფსკერზე რომაა განოლილი, შავ სხივებს უგზავნის ქვეყნიერებას და ეს სხივები შავ საგნებად იქცევიან – „ყველანაირ საგნად, რაც კი რამ არსებობს ქვეყანაზე ან ოდესმე იარსებებს... თითქო ჩრდილი მოსწყვიტაო ქვეყანას – გარდასულს, დღევანდელსა და სამომავლოს.

შუქისა და ბნელის ბზრიალში საგნები დროდადრო განათდებიან, მათზე დაფენილ სინათლეს შეინოვენ და ისევ შავდებიან“.

დავუბრუნდეთ ზმანებას: შუქის ყოველ მომატებაზე ეშმაკის „ბუშტს“ ენა ებმის, ამბობს: „მხო...ო... ლოდ პირდაპირ სხივს ვერიდები – ავდილად მხეთქავს! ე... ე... ეხლა აქაც ჩამოახწია!“ და ბოლოს, მართლაც სხივი გახეთავს.

გოეთეს მეფისტოფელიც, ფაუსტს წარუდგება როგორც ნაწილი (ნაწილის ნაწილი) იმ ძალისა, რომელიც ბოროტს ესწრაფვის, მაგრამ ამ „ნაწილს“ ფიზიკურად დასრულებული ფორმა აქვს. ჩვენი აზრით „მინდიას“ ავტორმა ამ მხრივაც იპოვა ახალი და, იქნებ, უფრო მისაღები გადაწყვეტა.

„ქართველმა ხალხმა ვერ გაიმეტა თავისი გმირი ეშმასთან თანაზიარებისთვის“ – ვკითხულობთ „წინათქმაში“.

გამონაკლისი დიდი მწერლის კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდიაა“. მერაბ გველესიანმა მესამე გზა აირჩია. მკითხველმა განსაჯოს, რომელია უმჯობესი.

ზმანება, სიზმარი, მშვენიერი ზღაპრები მხოლოდ ჩანართებია და მკითხველს (გოგონასაც) ეხმარება ფილოსოფიური კრედოს გააზრებაში. „მინდია“ არ შეიძლება არ ემყარებოდეს ბუნების საიდუმლოებათა ამა თუ იმ გაგებას და ეს გაგება აქ ჭეშმარიტად მეცნიერულია, დიალექტიკურია, და, როგორც წინათქმაშია აღნიშნული, იგი ისეთი მხატვრული „შეფუთვითაა“ მიწოდებული, რომ არ ტვირთავს მკითხველს, უძლიერებს მას ცოდნის წყურვილსაც.

ესეც ნაწარმოების უდავო ღირსებაა.

სამწუხაროდ, დღევანდელ პრაგმატულ მსოფლიოში მივიწყებულია დიალექტიკა, რომელზეც „ბიბლია“ აგებული და რომლის პირველივე ფრაზები პირველ ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული მერაბ გველესიანის „მინდია“.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წიგნის გაფორმება კარგად არის მისადაგებული მის თემატიკასთან (მხატვრები – ხ. მინდიაშვილი, თ. ჩხაიძე და მ. გოცირიძე). გარეყდაზე გამოსახულია მინდია, რომელიც შეიგრძნობს სამყაროს (ხ. მინდიაშვილი). შუა გვერდებზე (გვ. 26-27) გამოსახულია კლდე, რომელსაც თითქოს შეზრდია კაცი (მინდია), რომელიც მღვიმის შესასვლელში ჩანს (თ. ჩხაიძე) და ა. შ.



სტატიაში გამოყენებულია სვიჩა მინდიაშვილის ნახატები

„არტანუჯი“ გთავაზობთ

აკაკი ჭანტურია

„საქართველო – მისი გეოლოგიური ისტორია“

„თავდაპირველად განზრახული მქონდა, რომ ამ ნაშრომში სისტემური სახით გადმომეცა საქართველოს გეოლოგიური ისტორია. სამწუხაროდ, მსოფლიო ომის გამო ხელი არ მიმინვდებოდა ერთი წლის განმავლობაში ჩატარებულ კვლევის მასალაზე, რომელიც ახალ შუქს მოჰფენდა კავკასიის გეოლოგიას, განსაკუთრებით საქართველოს. ამიტომაც გადავწყვიტე საქართველოს გეოლოგიური ისტორიის მოკლედ აღწერა“...

ცნობილი მეცნიერის, ზუგდიდის მუზეუმის (შემდგომში – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი) დამაარსებლისა და პირველი დირექტორის, აკაკი ჭანტურიას ნაშრომი „საქართველოს გეოლოგია“ გამოქვეყნდა ლონდონში, სამეცნიერო ჟურნალ „The Physiologist“-ში 1919 წელს. ეს არის პირველი გამოკვლევა საქართველოს გეოლოგიისა და მისი გეოლოგიური განვითარების შესახებ. ნაშრომის გაცნობა საინტერესო იქნება საქართველოს გეოლოგიის ისტორიის მკვლევართათვის.





ნლევანდელი წლის 28 ოქტომბერს 130 წელი სრულდება დიდი ქართველი მწერლის **გრიგოლ რობაქიძის** დაბადებიდან.

გთავაზობთ **თენგიზ ჩხაიძის** და **ნანა თედორაიას** წერილებს, მიძღვნილს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

თენგიზ ჩხაიძე

ქართული კულტურის რენესანსის მედროში

„საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო“, – წერდა **გრიგოლ რობაქიძე** 1913 წელს, ახალგარდაცვლილ არჩილ ჯორჯაძისადმი მიძღვნილ ესეში „ერის სული და შემოქმედება“. აქ პოლიტიკური აღორძინებაც იგულისხმებოდა და კულტურულიც.

მართლაც, ქართული კულტურა აღმავლობის გზას ადგა. ვითარდებოდა თითქმის ყველა დარგი: ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი, კინო.

განახლებისა და აღორძინების გზაზე იდგა მწერლობაც.

ისევე, როგორც თავის დროზე „თერგდალეულთა“ თაობამ თავს იდომისა ლიტერატურის განახლებებისა, მოახდინა არქაული ფორმებით დამძიმებული მნიგნობრული ენის გამარტივება-გახალხურება-გამდიდრება, მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნული მწერლობის განვითარებას და საბოლოოდ შემოაბრუნა იგი, **ბარათაშვილის** კვალდაკვალ, დაქვეითებულ-ჩამორჩენილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ახლაც, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, სამოღვაწეო ასპარეზზე ახალფეხშედგმულ თაობას, განსწავლულს ან უკვე უმთავრესად დასავლეთ ევროპაში, თანდათან ახალსაფეხურზე აჰყავდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება.

გრიგოლ რობაქიძე, დიდი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული უნივერსალური ტიპის, უაღრესად ერუდირებული ხელოვანი, შემოქმედი-მოაზროვნე – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ფილოსოფოსი, ესეისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ლექსტორ-განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, ამ კულტურული მოძრაობის სათავეში დგას, ხდება მისი აღიარებული წინამძღოლი იდეურადაც, თეორიული აზროვნებითაც და უშუალო მხატვრულ-შემოქმედებითი პრაქტიკითაც. იგი გვევლინება ქართული კულტურის რენესანსის ალამდარად,

ბელადად მეოცე საუკუნის პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში, მანამ, ვიდრე მკვეთრად შეიცვლებოდა პოლიტიკური ტაროსი, გაუქმდებოდა „ნეპი“, მოისპობოდა შემოქმედებითი თავისუფლება, გამეფდებოდა მძიმე იდეოლოგიური ატმოსფერო, შეწყდებოდა ლიტერატურის ბუნებრივი განვითარება და თავად მწერალი ემიგრაციაში წავიდოდა.

ბიოგრაფიული ცნობა: დაიბადა 1880 წლის 28 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. მამა, **ტიტე რობაქიძე**, დიაკვანი იყო, შემდგომ იგი მღვდლად უკურთხებიათ; დედა, **ქეთევან ბოჭორიშვილი**, მღვდლის შვილი გახლდათ.

დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1901 წელს შევიდა ტარტუს უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. მალე გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში გადავიდა, სწავლობდა ფილოსოფიის ფაკულტეტზე (1902-1906 წ.წ.). 1907 წელს ლექციებს ისმენდა პარიზში. 1908 წელს ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა. შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას. აქვეყნებს ლექსებს, წერილებს, ესეებს. კითხულობს საჯარო ლექციებს ქართველ და უცხოელ ავტორებზე, უახლესი ევროპული ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე. იხვეჭს პოპულარობას. მსმენელს ხიბლავს მისი ქართულის სილამაზე და ორატორული ნიჭი. ქართველ საზოგადოებას, რომელიც ტუჩს უბზუებს ქართულს, თაკილობს მშობლიურ ენაზე საჯაროდ ლაპარაკს, უჩვენებს ამ ენის ძალას, სიმდიდრესა და სიმშვენიერეს, უღვივებს ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული სიამაყის გრძნობას.

მოგვიანებით უბრუნდება ტარტუს უნივერსიტეტს. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისას, 1914 წელს, მოუსწრებს პირველი მსოფლიო ომი და დიპლომის აღებას ვეღარ ახერხებს.

1916-1917 წლებში სპარსეთში იმყოფება, წითელი ჯვრის წარმომად-

გენელია. აქ შეხვდა თავის საცოლეს – ნინო დომენსკაიას. მისგან ეყოლა ორი შვილი (ცნობილია ერთის სახელი, გოგონასი: ალა). ორივენი პატარები დაედუპნენ. გაეყარა ცოლს. მეორედ დაქორწინდა – შეირთო ელენე (ნელი) ფიალკინა.

1931 წლის დამდეგს ცოლთან და შვილობილთან (ცოლის დისწულთან) ერთად გაემგზავრა გერმანიაში. იქ დარჩა, თუმცა გერმანიის ქვეშევრდომობა არ მიუღია. დარჩა, რადგან მისთვის, დიდი იდეალისტ-მისტიკოსისთვის, მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოური იდეოლოგია და საბჭოური სინამდვილე. მას შემდეგ, რაც 1933 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა რომანი „ჩაკლული სული“ – ანტისაბჭოურ-ანტიკომუნური ნაწარმოები, გზა სამშობლოსაკენ საბოლოოდ მოიჭრა.

1935 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საქვეყნოდ შერისხა: გამოაცხადეს სამშობლოს მოღალატედ, ხალხის მტრად, ფაშისტების მომხრედ, ჩამოართვეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა. მისი სახელის ხსენება სასტიკად აიკრძალა.

1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, საცხოვრებლად გადავიდა შვეიცარიაში, ბინა დაიდო ჟენევაში. იქ გარდაიცვალა 1962 წლის 19 ნოემბერს. იქვე დაკრძალეს. შემდგომ მისი ფერფლი გადაასვენეს პარიზის მახლობლად მდებარე ქართველთა სოფლის, ლევილის სასაფლაოზე.

სამშობლოსაგან მონყვეტილმა, დევნილ-გადახვეწილის მწარე ხვედრი გაიზიარა. საქართველოს დანატრებულმა, უცხოეთში დალია სული.

გრიგოლ რობაქიძე აღდგა, დედასამშობლოს სამუდამოდ დაუბრუნდა 1987 წელს.

მას, მსგავსად თომას მანისა, ვინაც ემიგრაციაში ყოფნისას განაცხადა, სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო, შეეძლო ეთქვა: ქართული კულტურა იქ არის, სადაც მე ვარო.

გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა სრული ძალით XX საუკუნის ოცინა წლებში გაიშალა.

1925-26 წლების ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა რომანი „გველის პერანგი“. მაშინვე წიგნადაც გამოვე-

იდა. იგი ითარგმნა გერმანულ ენაზე და 1928 წელს ქ. იენაში გამოიცა დიდერიხის გამომცემლობის მიერ. წამძღვარებული ჰქონდა მტეფან ცვაიგის აღფრთოვანების გამომხატველი წინასიტყვაობა. ცვაიგი, კერძოდ, წერდა: „ამ მონათხრობიდან ისეთი მხურვალე ცეცხლი იფრქვევა, სურვილი გებადება, რამდენიმე გვერდი ამოჭრა და ლექსივით სტროფებად დაალაგო, თუმცა ის თავისთავად უკვე პოეზიაა. გიჯობს, ზოგიერთი თავი მეზღაპრემ მოგიხროს, ცივილიზებული აღმოსავლეთის ბაზარზე (ახლა უკვე იშვიათად) ზოგჯერ რომ შემოგეყრება. ყოველ ფურცელზე სრულიად უცხო მშვენიერებით აღწერილ მგზნებარე ბალადურ მომენტებს ვწყდებით და თუმცა გრძნობას მკაფიოდ ვერ გაურჩევია, ამ ეგზოტიკურისთვის ვარდის ზეთივით და ჰაშიშივით დამათრობელ სურნელებას ვის უნდა ვუმაღლოდეთ, პოეტ რობაქიძეს თუ თავად საქართველოს, მაგრამ მკითხველი მაინც ახლის ტყვეობაში ექცევა. ამ წიგნმა სამყარო გამიფართოვა, ეგზოტიკურისკენ სავალი გზა გამინათა და ეპიკური პოეზიის კიდევ ერთი უცხო სახეობა შემავრძნობინა. მას შემდეგ, რაც ეს არაჩვეულებრივი, ყოველგვარ კატეგორიას დაუქვემდებარებელი წიგნი წავიკითხე, კიდევ უფრო მეტად აღმეძრა ფანტაზია აღმოსავლეთის მენამული რიჟრაჟის გაცისკროვნებულ, ქარავნებისა და ბაზრების ადგილსამყოფელზე – ტაშკენტსა და თბილისზე. ეს ის წიგნია, რომელიც ძლევამოსილად ადასტურებს, რომ ჩვენს მატერიალიზებულ, სულ უფრო და უფრო განსწავლულ და მეცნიერულ სამყაროში მითოსის შემოქმედებითი სიცოცხლე დაუშრეტელია (ნაწყვეტი მოგვაქვს ვიქტორ კახნიაშვილის თარგმანის მიხედვით).

1926 წელს ერთ კრებულად დაისტამბა დრამები: „ლონდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“. ყველა მათგანი სცენაზე დაიდგა. დადგა კოტე მარჯანიშვილმა. გრ. რობაქიძე მხარში უდგას სახელოვან რეჟისორს, მასთან ერთად ახალი ქართული თეატრის დაბადების სულისჩამდგმელია. განსაკუთრებული წარმატება ხვდა „ლამარას“, რომლის დადგმაზეც, თავდაპირველად, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ერთად მუშაობდნენ, ხოლო შემდგომ,



„უმოქმედო კეთილის ბოროტება გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“. სამი პერსონაჟი.

XX საუკუნე განსაკუთრებით ხასიათდება მითოსისკენ მიბრუნებით, მითის აღორძინებით. ეს მოტივი, ერთგვარი მიახლებაა პირველად კაცობრიულ სუნთქვასთან, სამყაროს მისტიკურ ჭვრეტასთან. ეს კი ის განზომილებანია, რომელიც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების საძირკვლად გვევლინება.

მითი მარადშექცევადი მოვლენაა, მისი საშუალებით საგანი იქცევა სიმბოლოდ, ფიზიკური – მეტაფიზიკურად, ყოფითი – მარადიულად. როგორც ერთი განმარტება ამბობს, მითი, ეს არის ის, რაც არასოდეს მომხდარა, მაგრამ რაც მარადიულად ხდება. მითის მარადიულობა პირველსაწყისის უბრუნებს არსს. ეს პროცესი უწყვეტია რკალია, ერთი უზენაესი მთლიანობისკენ მიმართული.

წერილი მითზე საუბრით დავიწყეთ, რადგან გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ სიუჟეტური ქარგა მთლიანად მოიცავს ერთ შუმერულ მითს, ქალღმერთ იმთარის და მწყემს თამუზის შესახებ. რომანის პერსონაჟებიც ამ მითის არქეტიპებს ატარებენ თავის თავში, მათი პიროვნული დრამა სწორედ მითოსური არქეტიპების კვალდაკვალ ვითარდება. ამიტომ, „ჩაკლულ სულში“ მითის გაუაზრებლობა, სიმბოლოების უგულვებლყოფა, რომანის ცხოველმყოფელობას დაგვაკარგვინებს.

ქართულ მოდერნისტულ რომანში ერთმანეთს ენაცვლება რეალური და ირეალური სიბრტყეები. ხასიათების არქეტიპულობა ავლენს სამყაროს ზოგად კანონზომიერებებს, გმირი გაიზრება, როგორც



კონკრეტული ადამიანი კონკრეტულ ეპოქაში; იმავდროულად, იგი წარმოგვიდგება უშორეს წარსულთან მიმართებაში.

რომანის ცენტრალური ფიგურაა თამაზ ენგური. მისი წარმოშობის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ „ტომით სვანია“. მან ლიტერატურულ ფსევდონიმად აირჩია „ენგური“. ენგური მდინარეა სვანეთში, მაგრამ მისთვის ეს სახელი გაცილებით ღრმა იდეურ-სემანტიკური მნიშვნელობისაა. იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მითოსურ წარმომავლობას, რადგან თამაზისთვის „ენგური რომელიმე შუმერელის ან ქალდეველის სახელს ნიშნავს ბუნდოვნად“ („ჩაკლული სული“).

თამაზ ენგურის ყოველ სახასიათო შტრიხში, ყოველ ნიუანსში იგრძნობა ეს არქაულობა. მასში ეროვნული ერწყმის ზოგადკაცობიულს. და, რადგან ასეა, მის პიროვნულ ისტორიაში ბრუნავენ თემები, მარადიული კითხვები, რომლებზეც დღემდე დგას კაცობრიობის ისტორიული ცნობიერება; რომლებსაც ხან აქვთ პასუხები, ხან კი, მათი უპასუხოება კრიზისის ერთადერთი გამოსავალი.

თამაზი „ორბუნებოვანია“, მასში არის წინააღმდეგობრივი სტიქიები, თუმცა არისტოკრატიული თავდაჭერილობა მათ შინაგანი სრულქმნილებისკენ მიმართავს. „ლორდისა და შოფრის ნაზავი“ – ასეთია მისი ვიზუალური წინააღმდეგობრიობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ნათელს ფენს მის პიროვნებას.

მისი სულიერი მდგომარეობა, სიღრმე და განონასწორებულობა, ერთი შეხედვით, ადვილად აიხსნება დიალექტიკის ფონზე: ორი სხვადასხვა ელემენტი, რომლებიც თანასწორნი არიან; რადგან ორი ელემენტის ბრძოლაში წარმოიშობა მესამე ახალი, შემრიგებელი, ოლონდ ასეთი დაკვირვება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დამ-

როგორც ცნობილია, მარჯანიშვილის ავადმყოფობის გამო, მუშაობა გააგრძელა და განასრულა კიდევ სანდრო ახმეტელმა. „ლამარა“ მტკიცედ დამკვიდრდა რეპერტუარში. იგი გულით შეიყვარა მაყურებელმა. ამ სპექტაკლს საყოველთაო აღიარება ერგო 1930 წელს მოსკოვში გამართულ თეატრალურ ოლიმპიადაზე.

ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დაიწყო ბეჭდვა რომან „ფალესტრა“-სი. დაიბეჭდა ექვსი კამარა – რომანი დაუმთავრებელი დარჩა. 1923 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გრ. რობაქიძის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „წმინდა ნინოს“. ქვეყნდება ესეები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე: „საქართველოს ხერხემალი“, „დავით კლდიაშვილი“, „წინოშვილის გურია“, „ნიკო ფიროსმანი“, „ევროპის თანადროულ ლიტერატურაზე“, „ექსპრესიონიზმი“, „პისკატორის თეატრი“, „თეატრი, როგორც რიტმი“, „ტოლსტოის დღეები“ და სხვ. თანამშრომლობს რუსულ პრესაშიც. 1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა თხელტანიანი წიგნაკი „პორტრეტები“ (ლიტერატურული პორტრეტები ჩაადავეის, ლერმონტოვის, ვასილი როზანოვის, ანდრეი ბელისა).

ამავე დროს ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არის საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე (შემდგომ – მოადგილე). განაგებს კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებას. ერთხანს ხელმძღვანელობს საქართველოს მწერალთა კავშირს. საქმეს ყველგან ეკიდება მამულიშვილური მუყაითობითა და გულმხურვალეობით. ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა გრძელდება გერმანიაშიც. იქ ოცდაათიან წლებში გერმანულ ენაზე გამოიცა: „კავკასიური ნოველები“, რომანები – „მეგი“, „ჩაკლული სული“, „დალი“, „მცველნი გრალისა“. ესეების ციკლი „დემონი და მითოსი“. წერდა ჯერ ქართულად, შემდეგ თარგმნიდა ან ათარგმნიებდა გერმანულ ენაზე. ამის შესახებ თავად გვამცნობს 1937 წელს ჩეხი მეცნიერის იარომირ იედლიჩკასათვის გაგზავნილ ბარათში. იყო რამდენიმე გამონაკლისიც. „დემონი და მითოსი“ უშუალოდ გერმანულ ენაზე

დაიწერა. ასევე – ნარკვევები ჰიტლერსა და მუსოლინიზე. „მეგი“, მისივე აღიარებით, რუსულ ენაზე შეუთხზავს, რადგან გერმანულ მთარგმნელს იგი რუსული ენიდან უნდა ეთარგმნა და, ამრიგად, თავიდან აუცილებია ორმაგი სამუშაოს შესრულება.

ომის შემდგომ ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობა ჰქონდა ნინო და კალისტრატე სალიების ჟურნალთან „ბედი ქართლისასთან“.

სიცოცხლის ბოლომდე კალამი ხელიდან არ გაუგდია.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ინტენსიურად მიმდინარეობს ჩვენში ლიტერატურის, მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების გადახალისების პროცესი. ეს მკაფიოდ ეტყობა, უწინარეს ყოვლისა, ენას, სტილს. ძლიერდება სწრაფვა ახალ გამომსახველობით საშუალებათა მოძიებისაკენ, ახლებური სახეობრივი აზროვნებისაკენ; ფართოვდება თემატიკა, მხატვრული დრო და მხატვრული სივრცე.

თავად ლიტერატურული გმირი ახალი დროისა და მისი ისტორიულ-კულტურული გარემო თვალსაჩინოდ განსახვავდება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი ლიტერატურული ტიპებისა და მათი გეოგრაფიული გარემოსაგან.

ვინ იყვნენ მე-19 საუკუნის ჩვენი მწერლობის ძირითადი ლიტერატურული ტიპები? ბატონი და ყმა, შემდგომ – ნაბატონარი და ნაყმევი, ზარმაცი თავადი და გაჭირვებული გლეხი, ასევე – ე. წ. „შემოდგომის აზნაურები“. ამავე დროს აისახებოდა სოციალური დიფერენციაციის პროცესი – თუ როგორ მდიდრებიან ჩარჩვაჭრობით ქალაქელი მდაბიო ან გლეხის შვილი, როგორ აიმაღლაურებენ იერარქიულ კიბზე, ანდა სოფლის ბობოლად როგორ იქცევა გაიძვერა, მოხერხებული მოურავი, რომელიც ატყუებს, აცურებს თავის უნიათო ბატონს და ხელიდან აცლის მამაპაპისეულ ქონებას („მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარისა). აქ ჩვენს თვალწინაა წინამორბედი იმ მოურავის, იმ მტაცებლისა, ჯაყოს სახით რომ უკვდავყო მიხ. ჯავახიშვილმა.

მე-19 საუკუნის ლიტერატურულ პერსონაჟთა სამოქმედო ადგილი უმთავრესად სოფელი, სოფლური გარემოა; ქალაქი, ქალაქური ცხოვრება, რაც ჯერ კიდევ საკმარისად არ განვითარებულა გარკვეული ისტორიული პირობების გამო, მკრთალად ჩანს. თბილისს ჯერ არ მიუღია მკაფიო ნაციონალური სახე, არ გამხდარა ეროვნული კულტურის, ეროვნული თვითშეგნების ცენტრი, ჯერ არ დაუმკვიდრებია შესაფერისი ადგილი მხატვრულ პროზაში.

ახალი ქართული პროზის ჩამოყალიბების პროცესი, რასაც სათავეს უდებენ ვასილ ბარნოვი, ჭოლა ლომთათიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, შიო არაგვისპირელი, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დასრულებულ სახეს იღებს (კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, მიხეილ ჯავახიშვილის რომანები და მოთხრობები, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, ლეო ქიაჩელის ნაწარმოებები).

„გველის პერანგი“ უკვე თვისებრივად ახალი ქართული რომანია, რასაც მონაწილე სტილი, ავტორისეული ხედვა სამყაროსი, მხატვრული აზროვნების თავისებურება, პრობლემატიკა, მრავალპლანიანობა, ეროვნული თვითშეგნების დონე, ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის სიფართოვე, მონაწილეს კომპოზიციური აღნაგობა, პერსონაჟთა და მათი გარემოს ხატვის მანერა – ამბის თხრობის წილ სიუჟეტის ეპიზოდებად გაშლა, თვალსაჩინო სურათებად განფენა, მანამდე უჩვეულო მხატვრული სახეები (აი, ერთი ნიმუში, ფერწერული პორტრეტი სპარსელი ქალისა: „ოდნავ პირახდა თითქო უნებლიე – და სახე: რბილი მარმარი, რომელსაც სპილოს ძვალის ფერი გადაჰკრავს. უცაბედი გამოხედვა – და თვალები: დიდრონი ფართონი ნუშისებრ მოხაზულნი. თვალებს გადაუვლის ჰინდური მუქი ზურმუხტის წყალი“). დაბოლოს, ამას მონაწილეს თვით მთავარი გმირის ხასიათი, მისი სულიერი წყობა.

არჩილ მაცაშვილი (არჩიბალდ მეკემი) ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები, განათლებული, კულტურული ქართველის ახალი ტიპია, ინტელიგენტის ტიპი (დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ). მას, ძველი, წარჩინებული გვარის ჩამომავალს, აღარ ბოჭავს

ტრადიციული ნოდებრივი იერარქიის ცრურწმენა, ხელს აღარაფერი უშლის, შეიყვაროს და შეირთოს დაბალი წრის ქალიშვილი. მართალია, თავადური წარმოშობისაა, მაგრამ უპირატესად სულსმიერი არისტოკრატიის წარმომადგენელია და არა სისხლისმიერისა. ნოდებრივი პრივილეგიები საიმდროოდ, როცა საფუძველი ეყრება დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს არსებობას, ისედაც უქმდება. ნიშანდობლივია: დრო, როცა არჩილ მაცაშვილი თავისი სატრფოს, მატასის, წყალობით სამუდამოდ თავის სამშობლოში რჩება, მამა-პაპათა ფუძეზე დასამკვიდრებლად – გაზაფხულია, კვირადღის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მისი ახლად დაბადებისა. ამრიგად, იგი თავისუფალი ქვეყნის შვილი, თავისუფალი პიროვნებაა.

არჩილ მაცაშვილს, სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე მდგარს, ახალი ისტორიულ-კულტურული პირობების წყალობით, მოშორებული აქვს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პერსონაჟთა სოციალურ-ეკონომიკური ხუნდები. მას მდიდარი შინაგანი ცხოვრება აქვს, სულიერი პრობლემები აღელვებს, ძველი გაგებით მეტაფიზიკური ხასიათისა. შინაგანად ესწრაფვის, იგრძნოს, გაიზაროს და ინამოს უზენაესი მამის, უმაღლესი გონის, ღმერთის არსებობა. თავისი ცხოვრების გამოცდილებით იგი გვიჩვენებს, როგორი უნდა იყოს იდეალურისა და რეალურის, ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთ-მიმართება.

მიბრუნება „ფესვებისკენ“, საკუთარი თავის პოვნა – ეს ფუნდამენტური ადამიანური პრობლემა დიდი მხატვრული ძალით არის ხორცშესხმული „გველის პერანგში“. მწერალი თავადვე, ჩვეული სინათლითა და ლაკონიურობით გადმოგვცემს თავისი რომანის ღრმა დედააზრს. „შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაექმებს დაკარგულ მამას. მამის ძებნაში იძვრის თანდათან მეტი სიმძაფრით შორეული ფესვი: მამული. მამულის ნახვაში იელვებს ხანდისხან „მამა“ უზენაესი – თაური ყოვლისა. ერთი რკალი მოიცვის მეორეთი, მეორე მესამეთი – აქ მოცვა სრულდება. გმირის თავგადასავალი: გარე-



კვირვებელი განზე დგას და არცერთს არ მიმხრობია. ჩვენს მთავარ სათქმელსაც მივაღებთ. თამაზის შინაგანი მდგომარეობა საბჭოეთს უკავშირდება. ის მისი ერთ-ერთი მოქალაქეა. მოღვაწეობს კიდევ საბჭოთა სივრცეში, სახკინრენეში სასცენარო განყოფილებაში, სცენარისტად. ამ სივრცეში ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ განუხრელად გატარდეს სოციალისტური იდეოლოგია. მთელი საბჭოთა სამყარო მომნამვლელად იდეოლოგიზებულია. მომნამვლელად – ანუ გადაამდებდა. როგორც ჩანს, ასეთ ნაძალადევე, ყალბ და ფორმალურ სისტემას, ყველაზე მეტად, შინაგანი განწონასწორებულობით და სიმტკიცით „უძლებს“ თამაზ ენგურისნაირი მოქალაქე. იგი „მესამე თვალთ“ ჭვრეტს მოვლენებს და კაცობრიობის განვითარების დიალექტიკას ხედავს რევოლუციაში. ნაწარმოებში ხაზგასმულია: „ის არ იყო კომუნისტი. არც რევოლუციონერი – სამყაროდან ღმერთის განდევნა, საბჭოეთის ეს მთავარი დინება – შინაგანად უცხო იყო მისთვის, მაგრამ არც მტერი იყო რევოლუციისა, გრძნობდა, რომ რევოლუციის ბიძგებს მაინც ჰქონდა რაღაც აზრი. რაში მდგომარეობდა ეს აზრი, მისთვის მთლიანად ნათელი არ იყო“ („ჩაკლული სული“).

თამაზის გაორებულობა კარგად ჩანს ერთ ეპიზოდში. 25 თებერვლისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, მწერალთა თორმეტკაციანი დელეგაცია მიიწვიეს. თამაზი სიტყვით გამოდის. ოპერის თეატრის სცენაზე, მგზნებარედ და პათეტიკურად საუბრობს რევოლუციის საჭიროებაზე. ეს საჭიროება კი იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციის ძალუძს კაცობრიობისთვის „სისხლის გამოშვებით“ მსოფლიოს განახლება. თამაზს ეს სიტყვა შინაგანი ტრაგედიის ნინაპირობად



ექცა. ის სინანულივით მძლავრმა სევდამ შეიპყრო.

თამაზ ენგური „მესამე ნაპირის“ ადამიანია, ერთი მხრივ სწორედ ასეთები გადაურჩნენ არსებულ სისტემას. მაგრამ მისი შინაგანი მოცემულობა სხვა იდეალებისკენ ისწრაფვის. მის წინააღმდეგობრიობას და ორბუნებოვანებას სწორედ არსებულ სინამდვილეთან, რეჟიმთან შეუთავსებლობა განაპირობებს. ის, მართალია, პათოსით საუბრობს რევოლუციაზე, მაგრამ გაცვილებით დიდ შინაგან სიხარულს განიცდის, როცა მისსავე ბნელ და ცხოველურ ნიაღვრე ფიქრობს.

თამაზი ხან შეუპოვარ, მებრძოლ ადამიანად გვევლინება, რომელიც მტკივნეულად გამოთქვამს თავის პოზიციას და, ერთი შეხედვით, მზადაც კია, შეეწიროს მას. ხან კი მშიშარაა და თავზარდაცემული, გრძნობს თავის უმწირობას და ვერაფრით უმკლავდება მას.

აპოკალიფსში ვკითხულობთ: „ვიცი საქმენი შენნი, არცა ცივი ხარ და არცა ცხელი, ოჰ, ნეტავ ცივი მაინც იყო ან ცხელი, მაგრამ, რაკი ასე ნელთბილი ხარ, არც ცივი ხარ და არც ცხელი, ამიტომ გადმოგაფურთხებ ჩემს ბაგეთაგან“ (გვ.15-16).

ნელთბილი არ უყვარს ღმერთს, უფრო სწორედ, არ ცნობს მათ. საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ მისი დინამიური, აქტიური განვითარების ფონზე ღებულობს ჯანსაღ, ცხოველმყოფელ სახეს.

თამაზის ეპოქის დევიზია: ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია. შუაში ყოფნა შეუძლებელია. ან მტერი ხარ, ან მოყვარე. ვინც მოახერხებს, უცხოეთს აფარებს თავს, ვინც სამშობლოში რჩება, ან ნათელი ტერორის მსხვერპლია ან კომუნისტურ ხელისუფლებას ეგება ფეხქვეშ.

შესაბამისად, უმძიმესია ამ სივრცეში მცხოვრები ადამიანის ხვედრი. ურთულესია არჩევანის გაკეთება,

გან – წინსვლა, შინაგან – უუქცევად. განცდა: „ნაყოფი“ – მარადი მყოფადი“.

პირველდასაბამის, უმაღლესი გონის წვდომას, „მთელს“ შეცნობასა და მის შინაგან გზნებას ერთვის, ავსებს ზიარება არსებით სულიერ ფასეულობებთან; ეს ფასეულობებია: მამა, სატროფო, მეგობარი, „მინა“, „სახლი“, მშობელი ერის ისტორია და კულტურა.

გრ. რობაქიძის გმირის ეს სულიერი მონაპოვარი, ნაყოფი მისი შინაგანი ძიებებისა, შინაგანი მისწრაფებებისა, შეიძლება ითქვას, უნიკალურია მე-20 საუკუნის დასავლური ლიტერატურის ფონზე, რომელსაც წითელ ხაზად გასდევს თემა „ფესვებისაგან“, „მინისაგან“ მოწყვეტილობისა, იმისა, რომ „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“, **ტომას ვულფის** ცნობილი რომანის სიმბოლური სათაური რომ მოვიშველიოთ, გასდევს თემა ადამიანის გაუცხოებისა, არსებობის უაზრობისა ეგზისტენციალიზმის და ე. წ. „აბსურდის დრამის“ გაგებით, დაჰყვება ტენდენცია უპირატესად ადამიანის დაკნინების და ცხოვრების მახინჯი მხარეების გამოსახვისა, მისწრაფება გროტესკის ჟანრის გაბატონებისადმი. მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ეს გამოიხატება დეკადანსის აღმნიშვნელი ცნებებით – დეჰუმანიზაციით და დეჰეროიზაციით.

რა თქმა უნდა, მე-20 საუკუნის ევროპულ-ამერიკულ ლიტერატურას ჰუმანისტური მსოფლმხედველობის მქონე დიდი მწერლებიცა ჰყავს, ოლონდ, საგულისხმოა, რომ მათგან ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა, თომას მანმა, ადამიანურ ღირებულებათა წარმოსაჩენად წარსულს, ბიბლიურ თემას მიმართა (ტიტრალიგია „იოსებ და მისი ძმები“), ხოლო ანმყოფ დროში დიდი სულიერი, დიდი კულტურისეული კრიზისი დაინახა, კრიზისი, რაც ეპოქალური მხატვრული ნაწარმოებით გამოხატა („დოქტორი ფაუსტუსი“).

არჩილ მაყაშვილი, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მას უკავშირდება ერთი გარკვეული სიახლე ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ის, მიუხედავად თავისი გვარიშვილობისა, ამა თუ იმ სოციალური ფენის ან წოდების წარმომადგენელი კი აღარაა, არამედ – ერთიანი, მთლიანი საქართ-

ველოსი. იგი ქართველი კაცის ბუნების საუკეთესო თვისებათა განმასახიერებელია, ეროვნული ხასიათის არსის გამომხატველია, ზოგად-ქართველის ტიპი, სიმბოლოა, ამავე დროს მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობა, ცოცხალი პიროვნებაა.

ჩვენს თვალწინ ხორცი ესხმის მისტერიას: არჩილად მეკეში, ვისაც ბუნდოვანი ხსოვნაღა შემორჩენია თავისი წარმომავლობისა, ქართველთა პირვანდელი სამკვიდრებლიდან, ოდინდელი შუამდინარეთიდან, მესოპოტამიის დაბლობიდან, მოემართება სამშობლოსკენ, საქართველოსკენ, რომელიც დასნეულებულა, ავადმყოფია, მაგრამ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“. ის უნდა აღდგეს, სულიერად განახლდეს, ახალ სიცოცხლეს ენოს. არჩილად მეკეშის შინაგანი ფერისცვალება, გარდაქმნა არჩილ მაყაშვილად, ძიება და პოვნა საკუთარი თავისა, სიმბოლურად მიანიშნებს რომანის გმირის სულიერ მისიას. ამიტომ, რომ გზად, საქართველოსკენ მომავალს, აღედგინოს ბიბლიური მოსეს, თავისი ერის წინამძღოლ-გადამრჩენლის, ასოციაცია-მოგონება, ქვეცნობიერად აიგივებს კიდევ თავის თავს მასთან.

ადამიანი, ერი, თანდათან, დროთა განმავლობაში შორდება თავის თავს. დგება შინაგანი კრიზისის ჟამი, რისგან თავის დასალწვევადც საჭიროა საკუთარი პირველ-სახის გახსენება, მთელი ძალისხმევის მისკენ მისაბრუნებლად მიმართვა. სისხლი ინახავს მოდგმის, წინაპრების ხსოვნას. აქ ცოცხლდება მითოსი. გრ. რობაქიძეს მოჰყავს ანტიკური ხანის ავტორის **სალუსტიუსის** გაგება მითოსისა, რაიც ნიშნავს: „ეს არ ყოფილა, ხოლო არის ყოველთვის“. ამ საკითხს ნათელს ჰფენს **გოეთეს** სწავლება ურფენომენის, ანუ პირველფენომენის, თაურფენომენის შესახებ. თესლში მომავალი მცენარე უზილავადაა. ხელშემწყობი პირობების ზეგავლენით თესლი ღვივდება, აღმოცენდება, იზრდება, იფურჩქნება, იღებს დასრულებულ სახეს. თითოეულ სტადიაზე განვითარებისა იგი თავის თავში ატარებს მთელ მცენარეს, მის შინა-სახეს. შინა-სახე მარად მყოფია. ეს სწავლება მოგვაგონებს **პლატონის** მოძღვრებას იდეების შესახებ. ოლონდ, პლატონისეული

იდეა საგნის ან მოვლენისა ცალკე, სადღაც აბსტრაქტულ შორეთში არსებობს, გოეთესეული თაურმცენარე კი თვით მატერიალურ სხეულში, თესლშია დავანებული.

გრ. რობაქიძეს ქართველთა წინაპრად, მამამთავრად, მითიურ თაურმდგენად კარდუ ესახებოდა. არჩილ მაყაშვილი მიმისეული ანდერძის მეოხებით შეიცნობს თავისი გვარის გენეალოგიას. მასში იღვიძებს წინაპართა ძახილი, აღიძვრის მისწრაფება მამაპაპათა ცოცხალ სულთან ზიარებისადმი. მწერალი ნიკშეს ესესება მარადი დაბრუნების იდეას, მომდინარეს ძველ პითაგორელთა მოძღვრებიდან, ოლონდ თავისებურად გაიაზრებს ამ იდეას: ერთი და იგივე ადამიანი ან მოვლენა კი არ მეორდება დროსა და სივრცეში, მეორდება წინაპრის ხასიათის ძირითადი თვისებები, მისი შინაბუნების არსი შთამომავალში.

მაგალითად: მწერლის პერსონაჟები მეგი და ივლიტე (რომანები: „მეგი“, „დალი“) თავ-თავიანთი მითოსური არქეტიპის კონკრეტულ გამოვლინებად, რეალურ განსხეულებად გვევლინებიან გარკვეულ დროსა და სივრცეში. მეგი მე-19 საუკუნის სამეგრელოს მკვიდრია. ივლიტეც – დალის დობილი – კონკრეტული წარმომავლობისაა: „იგი იყო კოლხეთის ჯიშის, თავად დადიანთა გვარიდან“. ისინი მითოსურ პერსონაჟებად წარმოჩნდებიან და რეალურ სახესაც ინარჩუნებენ. მითოსურნიც არიან და რეალურნიც. ამ ორმაგი სიძნელის დაძლევით ვლინდება მწერლის ნიჭი და ოსტატობა.

რომანტიკოსებს წარსულში, გარდასულ ისტორიაში ეგულებოდათ იდეალური ყოფა, სიმბოლისტებს – მიღმურ სამყაროში.

ანდრეი ბელის თავისებურად შურდა „ისტორიამდელი“ ადამიანისა, რომელმაც არ იცოდა შინაგანი გაორება, ურთიერთდაპირისპირება „ყოფიერების“ („бытие“) და „ყოფის“ („быт“) ადამიანს შორის ერთსა და იმავე პიროვნებაში და რომლის ცნობიერებასაც სამყარო ჰარმონიულ მთლიანობად წარმოუდგებოდა.

გრიგოლ რობაქიძე მითოსურ პერსონაჟებსა და მითოსურ სამყაროში პოულობს სიცოცხლის პირველწყაროს, არსებობის იმ ფორმას, მაქსიმალურად რომ შეესატყვისება ადამიანის შინაგან არსს.

სიცოცხლის სათავეების სიანკარე, ქალ-ვაჟის სიყვარული, რაინდული რომანტიზმი, სიყვარულში თავშენიერების მისტერია და ამ გზით მარადისობასთან, სულის უკვდავებასთან ზიარება დიდი მხატვრული ძალით არის ნაჩვენები დრამებში („ლანდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“).

„ლონდაში“ უფლისწულ თამაზის ტრფობა მომხიბლავი ქალწულისადმი, ამ უკანასკნელის ამალღებულ-ტრაგიკული ხვედრის გაზიარება მეტრფეს მიერ ულამაზეს პოეტურ სურათს ქმნის, თავისთავად ესთეტიკურ ღირებულებას რომ იძენს. ცნობილია: ამ პიესის ფრანგულ თარგმანს გასცნობია რომენ როლანი, ძლიერ მოსწონებია პიესა, მეტადრე განუცვიფრებია მის მუსიკალურ არქიტექტონიკას და ავტორის დიდ ევროპელ მუსიკოსებთან მსგავსება დაუნახავს. „მალშტრემში“ უცნობის უძლევი სიყვარული მორელასადმი უპირისპირდება ქალაქური ცივილიზაციის დაკნინებულ ყოფას, სულიერ გამოფიტულობას. „ლამარაში“ მინდიას ტრფიალება ქისტის ასულისადმი, მზაობა საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებისათვის უნივერსალური სიყვარულის იდეამდე მალღდება. სამსავე მისტერიულ დრამაში სიყვარული ძლევს სიკვდილს.

გრ. რობაქიძის სიტყვის ჯადოსნური ძალა და მისი პოეტური წარმოსახვის, უკეთ, პოეტური ხილვის უნარი, ვიზიონერული ნიჭი ისეთია, რომ ამ დრამებში გამოსახული მხატვრული სამყარო უფრო რეალური გვეჩვენება, ვიდრე ჩვენს გარშემო არსებული ემპირიული სინამდვილე.

მხატვრულ ნაწარმოებებშიც და ესეისტურ ქმნილებებშიც სიტყვიერი ხელოვნება მაღალ დონეზეა აყვანილი. მწერლის სტილი მოკვეთილი, სახელდებითი წინადადებების გამოყენებით ჩამოქნილი და ექსპრესიულია, დიდად მეტყველია; ენა – გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული, ენერგიით და მუხტული; სიტყვა – ჟანგისგან განწმენდილი, დაფერილი, პირვანდელი ძალით აელვარებული. იგი პასიურად კი არ აღნიშნავს საგანს, უიგივდება მას. სიტყვას, სანახევროდ გაუფასურებულს მწერლობასა და ჟურნალისტიკას მასობრივად მიძალბებულ მოხალისე კალმოსანთა ხელში, აქ შექენილი



მით უმეტეს მაშინ, როდესაც ზუსტად იგივეს (მხოლოდ არა იდეურად) მოითხოვს ქრისტიანული სარწმუნოება. „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა, და ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის აბნევს“ (ლუკა, თ.11-23).

ასეთ ვითარებაში ინდიფერენტულობა სწორედ საბჭოეთის ნისქვილზე ასხამს წყალს, ანუ, ქრისტეს გზის უგულვებლემყოფელი, მექანიკურად, ემპაიკის მსახურად იქცევა.

თამაზის შინაგან სამყაროში დაუსრულებლად მიმდინარეობს აქტიურისა და პასიურის ჭიდილი. იგი არც ცხელია და არც ცივი. ხოლო მაშინ, როცა არ მოქმედებს კეთილი სანყისი, თავისთავად მოქმედებს ბოროტი, და უნებლიედ მისი მსხვერპლი ხდება.

საგულისხმოა ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი დეტალი. ნაწარმოებში გვხვდება პერსონაჟი, გვარად პეტროვი. იგი სოციალ-რევოლუციონერების მემარცხენე ფრთის წარმომადგენელია. ის განათლებულია, კარგად ერკვევა თანამედროვე ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ საკითხებში. თამაზის და პეტროვის დიალოგი, მსხვერპლისა და სისხლის მისტერიის შესახებაა. თამაზი ამ არსთა ნიაღში წვდომას, კვლავ მითოსურ-მისტიკური მოტივებით ახერხებს. „რალაც იღუმალი უნდა იყოს სისხლში. იგი ერთდროულად სხეულდებოდა და უხილავი. ეს არის სიცოცხლის ძალა, ღმრთის პლასტიკური ელემენტი. მექსიკელები უკან უბრუნებენ სისხლს მას, ვინც მათ სისხლი, ესე იგი სიცოცხლე აჩუქა – ეს ტენდენცია ადამიანსა და ღმერთს შორის მისტიკური კავშირის უწყვეტობაზე მეტყველებს, რადგან ღმერთებს იმდენად სჭირდებათ სისხლი, რამდენადაც ადამიანებს სწყურიათ ღმერთი“ („ჩაკლული სული“).

მაგრამ პეტროვი იმ ეპოქის განსახიერებაა, რომლისთვისაც ღმერთი, როგორც ზეარსი, აღარ



არსებობს, ამიტომ მისი ადგილი „მეორემ“, ეშმაკმა დაიჭირა. ეშმაკს კი ისევე ძალიან სჭირდება სისხლი – „გპუ“ სწორედ ეშმაკის კუთვნილებაა, მისი ნების აღმსრულებელია.

თამაზის შინაგან სამყაროში, ოსტატური სიფრთხილით შემოსულმა პეტროვმა „ნიადაგი მოსინჯა“ მასში. შეეცადა საბოლოოდ გაერკვია თამაზის „სახიფათობა“ ან „უფენბლობა“ საბჭოთა წყობისადმი. თამაზი კი ხშირ შემთხვევაში დუმილით პასუხობს და არ იძლევა დასკვნების გამოტანის საშუალებას.

თუკი პეტროვთან დუმილს ამჯობინებდა, სამაგიეროდ ივანოვთან იხსნება თამაზ ენგური. მიუხედავად იმისა, რომ ივანოვიც საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი „შემოქმედი“ა, თამაზი არ გრძნობს მასთან დაძაბულობას. პირიქით, სწორედ ისეთი საკითხების შესახებ საუბრობს ლაღად და შინაგანი აღტაცებით, რომელთა ხსენებაც, ყრფოლვას იწვევს ბოლშევიკურ სივრცეში.

ივანოვს მყარად აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია. მან იცის სად დგას. თუმცა, ეს შინაგანი მდგომარეობა ჯვარცმად და წამებად აქვს გადაქცეული. ამ პასაჟში თამაზისა და ივანოვის მსოფლხედვა ერთ კონკრეტულ წერტილში თანხვდება. ეს არის ეპოქისგან განწირული ადამიანის ხვედრი. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ნაპირზე მდგომი იქნება ის. მთავარი მისი შინაგანი სწრაფვაა პიროვნული თავისუფლებისკენ.

როდესაც თამაზის ორბუნებოვანების შესახებ ვსაუბრობდით, აღვნიშნეთ ისიც, რომ სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მისი დაძლევისკენ, ერთ არსად გამთლიანებისკენ ლტოლვას. შინაგანი მთლიანობა და სრულყოფილება კი, უპირველესად თავისუფლების მოპოვებითაა შესაძლებელი.

თამაზ ენგურის გზა, ტანჯვითა და ტკივილით აღსავსე გზაა, რომ-

აქვს თავისთავადი ფასი, იგი საგნის, მოქმედებისა თუ მოვლენის ტოლფარდია, ზუსტი და თვალნათლივი ხატი.

ანდრეი ბელი „არაბესკებში“ წერდა: „თუ ცოცხალი ცხოვრება სიმღერა არ არის, რაღა ცხოვრებაა“. ნოველა „იმამ შამილ“ თავისებური ჰიმნია ჰეროკული, უფრო სწორად – ჰეროკულტრაგიკული (განწირულ-დამარცხებული გამარჯვებულია მორალურად, სულიერად არ ტყდება). ეს ნოველა მსოფლიო ნოველისტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მე-20 საუკუნის ლიტერატურის დეჰეროიზაციის ტენდენციის ფონზე იგი გმირული საწყისის აღორძინებით გამოირჩევა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო ძლიერი მხატვრული ქმნილებაა, ვიდრე თუნდაც **ჰემინგუეის** განთქმული „მოხუცი და ზღვა“.

გრ. რობაქიძის შემოქმედებაში დაძლეულია ის დუალიზმი სულსა და სხეულს შორის, სუბიექტსა და ობიექტს შორის, ან, **რევაზ თვარაძის** მიერ აღდგენილი ძველი ქართული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სოფელსა და ზესთასოფელს შორის, რაც თავსატეხ პრობლემად ექცა ახალი დროის ევროპულ ფილოსოფიას და რისი გადაჭრა **ჰეგელის** ფილოსოფიამაც კი ვერ შეძლო, უკეთ, შეძლო მხოლოდ პალიატივური სახით, რამდენადაც ხსენებულ ფილოსოფიაში სინამდვილე გაიგივებულია აზრთან, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ქართველი მწერლის შემოქმედებაში დაძლეულია ადამიანის არსებობის უსაზრისობის თვალსაზრისიც.

მწერალმა ახალგაზრდობაში თავად გამოცადა სკეპტიციზმის შხამი, ის სულიერი წამება, უმაღლესი გონის არსებობა-არარსებობის გარკვევისკენ სწრაფვას რომ ახლავს. 1910 წელს სოფ. ავლევიდან **კიტა აბაშიძისათვის** მიწერილ ბარათში კარგად ჩანს, თუ რაოდენ მძიმე შინაგანი ჭიდილის გადატანა უხდებოდა ახალგაზრდა მძიებელ შემოქმედს, ჩანს ისიც, რომ რწმენას მიესწრაფოდა არა შინაგანი სისუსტის გამო, თავის შესაფარებლად, მშვიდი ნავსაყუდარის საპოვნელად, არამედ ჭეშმარიტების მიგნების სურვილით ანთებული.

მწერლის რომანებისა და დრამების მთავარი გმირები მთლიანი,

სულით ძლიერი, მტკიცე, მონოლითური პიროვნებანი არიან, რომელთაც არ იციან შინაგანი გათიშულობა. თუ რომელიმე მათგანი, მაგალითად, თამაზ ენგური („ჩაკლული სული“) რთული ვითარების ჟამს მერყეობას იჩენს, გადაცდომა მოსდის, ეს მხოლოდ წუთიერი მერყეობა და გადაცდომაა, რასაც შინაგანი კათარსისი მოჰყვება.

გრ. რობაქიძის მსოფლმხედველობა გამორჩეულია იმ მხრივაც, რომ მასში გაერთიანდა, გამთლიანდა, თანადროული უმაღლესი სინთეზის სახით გამოიხატა კაცობრიული ცნობიერების სამივე ძირითადი ისტორიული შრე: მითოსური, რელიგიური, ფილოსოფიური.

რა არის ის ძირითადი წინააღმდეგობა, რასაც გრ. რობაქიძის საბჭოური სინამდვილის ამსახველი რომანების მთავარი გმირები ეჯახებიან და რის გამოც მათი ბედი დრამატული ან სულაც ტრაგიკულია? ეს არ არის მიუღებლობა მხოლოდ პოლიტიკური სისტემისა, სადაც აკრძალულია აზრის თავისუფლება, ურომლისოდაც არ არის პიროვნების თავისუფლება. წინააღმდეგობის ძირი, ძირითადი მიზეზი იდეოლოგიური საფუძველია: ათეიზმისა და ღმერთის რწმენის შეურიგებლობა.

რომანში „მცველნი გრალისა“ ერთიმეორეს ებრძვის ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი, თვალსაზრისი თავადი გიორგის და „გეპუუ“-ს წარმომადგენლის, ველსკისა. საქმე ეხება თავისუფლების საკითხის სხვადასხვაგვარ გაგებას. ველსკის, ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლის, აზრით, საყოველთაო თავისუფლებისათვის საჭიროა ღვთის რწმენისაგან განთავისუფლება, ღმერთის წინაშე ადამიანის მონური ქედმოხრის უარყოფა. ეს კი შეუძლებელია, თუ არ მოვიშორებთ იდეუმალების (იგულისხმება მისტიკა) რწმენას. თავადი გიორგისთვის კი – პირიქით, ღვთის რწმენაა უმაღლესი სულიერი და ზნეობრივი საყრდენი, უამისოდ ადამიანის არსებობა საერთოდ კარგავს საზრისს.

თავადი გიორგი შთამომავალია დიდი წინაპრების, არგვეთის სახელოვანი მთავრების, წმინდა მონაგე-

ბის დავითისა და კონსტანტინესი. იგი ინახავს წინაპართაგან გადმოცემულ ქართულ ქრისტიანულ რელიგიას, წმინდა გრაალის თასს, რომელშიც ქრისტეს სისხლია, ოღონდ ის სისხლი კი არა, ჯვარს გაკრულ მაცხოვარს რომ სდიოდა ჭრილობისგან და იოსებ არიმათიელმა რომ შეაგროვა, არამედ – ზედაშე, დანურული სამი საკრალური ყურძნის მტევნისაგან, წინოს ჯვარმა რომ დაისხა ქართველთა ისტორიული განსაცდელის ჟამს. ეს წმინდა თასი – იგივე გული, სიცოცხლე საქართველოსი – უბრალო მითოსურ-პოეტური სახე კი არ არის, არც მხოლოდ სიმბოლო, იგი თავისებური რეალობაა, მისტიკური წყაროა, საშუალება უზენაესის წვდომისა. მას სასწაულოქმედი ძალა აქვს – უსახვრო რწმენით ადავსებს მათს მცველ რაინდებს, ზეადამიანურ ნებისყოფას ანიჭებს მათ.

რომანში ძირითადად ამ წმინდა თასის ირგვლივ იმართება ბრძოლა (ხოლო პოლიტიკური საფუძველი ბრძოლისა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაა). მტერს სურს, ხელთ იგდოს წმინდა რელიკვია და მოსპოს იგი, შემუსროს ქართველთა სულიერი ძალმოსილება. რაინდული ძმობის წევრები, ლევან ორბელის მეთაურობით, თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევენ ამ მცდელობას. უმრავლესი მათგანი იღუპება, სამაგიეროდ საკრალური თასი გადარჩება, რაც საქართველოს გადარჩენას ნიშნავს.

ამ მთავარი ამბის პარალელურად ნაჩვენებია ლევან ორბელისა და შვედი ქალის ნორინას სიყვარული. მათ სულთა კავშირი მისტიკურ სიღრმეს აღწევს. ხდება შერწყმა, შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიურ-ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ზეციური და მიწიერი ვენერასი, ანუ იდეალურისა და რეალურისა. ამას მიგვანიშნებს ისიც, რომ ლევან ორბელის თვალში ნორინა ბეატრიჩესთან ასოციირდება. ამრიგად, რომანში ორმაგი მისტიკური ნაკადია: მთავარი გმირი ლევან ორბელი ღვთაებრივ საწყისს ეზიარება წმინდა გრაალის თასის მეშვეობით და ნორინას სიყვარულის მეშვეობითაც. რომანი მისტერიამი გადადის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი ქართული ლიტერატურა გრ. რობაქიძემ ქალთა უმშვენიერესი სახეებით გაამდიდრა. მატასი, მეგი, ნატა, ივ-

ლიტე, ლონდა, მორელა, ლამარა, მზექალა, ოლგა ბალაშოვა, ნორინა, კავალა – ესაა მთელი გალერეა მარადქალურის განმასახიერებელი, უაღრესად მიმზიდველი სახეებისა. მან აგრეთვე გამოძერწა დაუვინყარი პორტრეტები ძველი ეგვიპტის ლეგენდარული დედოფლის ნეფერტიტისა და ჩვენი დროის ქალურობის სიმბოლოსი – გრეტა გარბოსი, პორტრეტები, გამორჩეული პლასტიკური სახვის სიცხადითა და ფსიქოლოგიური წვდომის სიღრმით (ესეების ციკლი „დემონი და მითოსი“).

სამი რომანი – „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „მცველნი გრალისა“ – ქმნის თავისებურ ტრილოგიას, რომელიც მე-20 საუკუნის ქართული სულის ღრმა მხატვრულ უკუფენად, ჰეროიკულ-ტრაგიკულ ეპოპეად წარმოგვიდგება.

გრიგოლ რობაქიძემ სიმბოლისტურ-რი პოეზიის გავლენა განიცადა, ფრიად აფასებდა კიდეც ამ მიმდინარეობის ფრანგ თუ რუს პოეტებს, ოღონდ მათგან განსხვავებით თავის ლექსებში ყურადღებას ამახვილებდა არა ლირიკულ გმირზე, ავტორის „მე“-ზე, მისი განცდების, შინაგანი სამყაროს გამოსახვაზე, არამედ საგნის, მოვლენის ხატის შექმნაზე, წინ წამოსწევდა პლასტიკური სახვის პრინციპს, ეპიკურ სანყისს. მართალია, **ტიციან ტაბიძე** ამბობს, სიმბოლიზმი ჩვენში გრ. რობაქიძემ შემოიტანა, მისი ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებიაო, მაგრამ თავად ავტორი თავის თავს ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ მიაკუთვნებდა. ცნობილია მისი სიტყვები: მე ვიყავ „ყანწლებთან“ როგორც მხოლოდ მეგობარი უფროსი, დამხმარე და წამახალისებელიო. განმარტავს კიდეც, რატომ არ აკმაყოფილებდა ხსენებული მიმდინარეობის შემოქმედებითი პრინციპი: აქ აქცენტი სიმბოლოთი გამოსახატავ თუ მისანიშნებელ, გადატანით აზრზე კეთდება, ამის გამო თვით საგანი რამდენადმე იჩრდილება, სისხლისფერსავსე ვერ გამოდისო. თავის შემოქმედებით სტილს იგი მითიურ რეალიზმს უწოდებს.

აკაკი ბაქრაძე „კარდუ“-ში, მწერლის ცხოვრებისა და ღვანლისადმი მიძღვნილ წიგნში, წერს: „კრიტიკი-



ლის თითოეული ეტაპი, კანონზომიერი აუცილებლობითაა განსაზღვრული. მან უნდა განვლოს ჯოჯოხეთი, იგივე „გპუ“-ს ციხე. მანვე უნდა გასცეს ლევანი, მართალია, საკუთარი ნების წინააღმდეგ, მაგრამ მძაფრი შინაგანი ჭიდილის ფონზე, რაც ისევე და ისევე მერყეობითა და შინაგანი გაორებულიობითაა გამოწვეული.

ეს გზა ღმერთის ძიების რთული და მტიკონული გზაა. ამ გზაზე კი, ნელთბილნი ვერ ივლიან. თამაზ ენგურის ეპოქა მსხვერპლს მოითხოვს, ოღონდ არა ძალდატანებით, არამედ ნებაყოფლობით, მითუმეტეს რომ მსხვერპლი მანინცდამინც ფიზიკურ განადგურებას არ ნიშნავს. იგი ადამიანური ძალისხმევის სრულ გამოვლინებას, თითოეული მისტიკური ნაწილის ერთ მთელში განზავებას გულისხმობს. თამაზში ქვეცნობიერად ეს მსხვერპლი მწიფდება, გარემომცველი რეალობა კი, პერმანენტულად ახშობს და თრგუნავს მასში ამ გზის ცხოველმყოფელობას. ამიტომ არის, რომ „განზე დას“, ხშირად „შეფასებებისგან თავს იკავებს“.

თამაზში სიკეთეა განფენილი, მაგრამ ეს სიკეთე პასიურია. უმოქმედო კეთილი იდენტურად ენაცვლება ბოროტს, მისი მზა ნიადაგია. კეთილისა და ბოროტის სანყისი კონკრეტულ ადამიანშია და ის გაიაზრება შემდგომ ზოგადკაცობრიულ ელემენტად, თუმცა განსხვავებული აზრის მატარებელია ჰაგიოგრაფიული მწერლობა, რომელიც არეოპაგიტულ მოძღვრებას იზიარებს. ეს არის ბოროტების არასუბსტანციურობის ანუ უარსობის თეორია.

რაკილა ყოველნი არსნი კეთილისგან არიან, არ შეიძლება რომ ბოროტებას არსი ჰქონდეს – სიკეთისგან ბოროტება ვერ დაიბადება. მაშინ რა არის შური, გაუტანლობა, ავადმყოფობა, სიკვდილი, რასაც ცხოვრებაში ხშირად ხვდება ადა-



მინი? ეს სიკეთის ნაკლებობაა – ამბობს დიონისე არეოპაგელი. რაც შექმნილია, სიკეთისგან მოკლებული არაფერია, თვით ეშმაკიც არ არის ბოროტი, „ვინაც არცა ეშმაკთა შორის, არცა ჩვენს შორის არის ბოროტი, ვითარ იგი არს ბოროტი, არამედ ვითარცა მოკლები და ოხრებაი თვისთა კეთილთა სნეულებისაი“.

მაშასადამე, ბოროტებას არსი არა აქვს, ის არსისგან გაქცევია, მისი უარყოფაა და რაკი მხოლოდ არსი შეიძლება იყოს მარადიული, ამიტომ ბოროტება, როგორც არსის არმქონე, დროში შეზღუდული და განწირულია დასაღუბად, სიკეთესთან შერკინებაში.

ამ ვრცელი განმარტების ფონზე უფრო მკაფიოდ იკვეთება ივანოვის ტიპაჟი. ის უბრალო კაცია, ძალზე განათლებული, ინტელექტუალური ზრდა აშკარად ჩანს მის პიროვნებაში, („ზნეობრივ მხარესაც ანრობდა“), ეს მეტად მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან მის ეპოქაში ცალმხრივად, ერთმანეთისგან აბსოლუტურად გათიშულად ვითარდებოდა პიროვნების არსში ინტელექტი და ზნეობა. ხშირად კი, ამ უკანასკნელის ნაკლებობას საბედისწილად აღმოქმედებია პირველი.

ივანოვი კომუნისტი არ არის, მაგრამ არც იბრძვის ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ. პირიქით, მას თამაზისგან განსხვავებით, მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია. „მე განზე დგომა არ შემძლია, თუნდაც ჩემი ნების გარეშე. მე ღვთის მკვლევებს ვუერთდები, ცოდვილთ. მათი ცოდვა უნდა გავიზიარო, საყოველთაო ხსნის გულისათვის“. („ჩაკლული სული“).

ივანოვს ზედმინებით აქვს გაცნობიერებული თავისი პოზიციის უღმობელოება და განწირულობაც. მას გულზე ჯვარცმა ჰკიდია და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იბრძვის კიდევ მას.

უმი, რომლითაც უნდა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძის პოეზია, თვითონ დაგვიტოვა. 1953 წლის 3 მარტს გიორგი გამყრელიძეს ბარათით უზიარებდა აზრს:

„ჩემთვის პირადად ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი არის ჰელენთა საფო, ყოველი სიტყვა მისი გვხვდება გულში: გვხვდება ისე, რომ გიტოკავს: გიტოკავს ისე, რომ ამოვარდნას აპირებს. აპირებს ამოვარდნას, რომ სხვა გულს გადაეხსნას. აი ლირიკოსი. სხვა საზომი მაქვს პოეტისათვის: რამდენად ახალია მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად უნივერსალურია ეს სიახლე და რამდენადაა იგი ჩამოსხმული პლასტიურად“. აკ. ბაქრაძე დასძენს: „სიახლეს, უნივერსალურობასა და პლასტიკურობას უნდა დავუმატოთ გზნება, ცეცხლი, რიტმი. ამათაც დიდ ყურადღებას აქცევდა გრიგოლ რობაქიძე. არის კიდევ ლექსის ერთი თვისება, რომელსაც ვერაფრით ვერ ავუვლით გვერდს – აღნაგობა“.

ამ თვალსაზრისით ახდენდა გრიგოლ რობაქიძე ქართული პოეზიის განახლებას, ამავე დროს ზრუნავდა ქართული სალექსო ფორმების გამდიდრებისთვისაც – ნერდა კლასიკური სახის სონეტებს.

მწერლის შემოქმედების არსის გასაგებად საგულისხმოა აკ. ბაქრაძის შემდეგი აზრი: „გრიგოლ რობაქიძის ერთმთლიანი შემოქმედების ცენტრში მდგარ კარდუს ორი ჰიპოსტასი აქვს – ქალური და ვაჟური. კარდუს ქალურ ჰიპოსტასს განასახიერებს წმინდა ნინო, ვაჟურს – ლაშარი, ანუ თეთრი გიორგი, ანუ წმინდა გიორგი. გრიგოლ რობაქიძისთვის ლაშარი – თეთრი გიორგი – წმინდა გიორგი არის წარმართულ-ქრისტიანული საქართველოს ერთიანობის ვაჟური სიმბოლო“.

და ცოტა უფრო ქვემოთ:

„გრიგოლ რობაქიძეს თანაბრად ხიბლავდა წარმართობის ხორციელება და ქრისტიანობის სულიერება. მისთვის სასურველი ხორციელების და სულიერების ის ერთიანობა იყო, რომელიც რენესანსის ეპოქამ გამოავლინა. მისი აზრით, ქართული კულტურის მომავალი აღორძინება სწორედ ამ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდ“.

დიდ ესთეტიკურ და ინტელექტუალურ სიამოვნებას განიჭებთ გრიგოლ რობაქიძის ესეების, წერილების, ლიტერატურული პორტრეტების კითხვა. ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა – მრავალმხრივია მწერლის ინტერესისა და კვლევის სფერო.

ქართული ენა, მითოსი, ქართველთა მსოფლხატი, ქართული ეპოსი, ჩვენი ეროვნული ხასიათის რაობა, ქართული კულტურის ფენომენი, ქართველი და უცხოელი მწერლები – ამ თემებსა თუ საკითხებს ეძღვნება უბრწყინვალესი ესეები: „საქართველოს სათავენი“, „საუბარი კარდუსთან“, „უცნობი საქართველო“, „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“, „ერის სული და შემოქმედება“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „საქართველოს ხერხემალი“, „დიონისოს კულტი და საქართველო“, „აკაკის ქნარი“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „მიხეილ ჯავახიშვილი“, „გაბრიელე დ'ანუნციო“ და მრავალი სხვა. მათ გამოარჩევს განსახილველი თემის ღრმა ცოდნა, ლაპიდარული ენა და ორიგინალური სტილი, წერის მაღალი კულტურა. ისინი იკითხება მხატვრული ქმნილებებივით. სანიშნოდ შეიძლება დავასახელოთ „ვაჟას ენგადი“, სადაც დიდი მგოსნის შემოქმედების ღრმა ანალიზს ეხამება სადა, შინაურულ-ინტიმური თხრობის მანერა და სტილურ-ენობრივი ხიბლი.

პოეზია, სიტყვიერი ფერწერა, პლასტიკური სახვა, ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზრი ერთმანეთს ერწყმის ბოლოდროინდელ შედეგებში, ქართული ცეკვისადმი მიძღვნილ დიდებულ საგალობელში, რომელსაც ეწოდება „ქართული გენია როკით განფენილი“.

როგორც საკუთრივ მხატვრული შემოქმედების, ისე მწერლის ესეისტიკის ერთ-ერთი მთავარი თემაა ქართველთა მსოფლხატის წარმოჩენა, ჩვენი ნამდვილი, პირვანდელი, შეურყვნილი სახის ჩვენება და სათავეებისკენ მიბრუნების სურვილის გაღვიძება. ღრმად ნაგრძნობია ერის საკუთარი თავისაგან გაუცხოებისა და სულიერი გადაგვარების საფრთხე. ხოლო სულიერ გადაგვარებას, ეროვნული ენერჯის დაშრეტას თან მოსდევს ცოცხლად კვდომა, ფიზიკური გადაშენება. მკაცრ

გაფრთხილებად ჟღერს მწერლის ეს სიტყვები: „ან თავის-თავის მონახვა, ან სრული დაღუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა“. („ბარკადი“, 1, 1920 წ.).

გრიგოლ რობაქიძე, როგორც შემოქმედი-მოაზროვნე, ეხება თავისი თანადროული დასავლეთის სულიერ კრიზისს, რის მთავარ მიზეზადაც ღმერთის რწმენის დაკარგვას, შინაგან დუალიზმს, სულისა და სხეულის გათიშულობას მიიჩნევს. გერმანულ ენაზე დაწერილ ლექსში „ჰიმნი ორფეოსისადმი“ (ქართულ ენაზე თარგმანა ბესიკ ადიშვილმა) იგი შესთხოვს სიმღერის ლეგენდარულ ჯადოქარს, მოველინოს თანამედროვე კაცობრიობას, შეენიოს, სულდანწილს, ჩაკეტილობის გარღვევასა და შინაგანი ერთობისაკენ ლტოლვის გაღვივებაში.

როგორც საკუთრივ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე ესთეტიკურ-ფილოსოფიურ ნააზრევშიც, ქართველი მწერალი სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობად გააზრებას ესწრაფვის. ამ ნააზრევის გაუცნობლად და აუთვისებლად ვერ მოხერხდება ჩვენი ესთეტიკური აზროვნების, ესთეტიკური კულტურის სრულფასოვანი განვითარება.

ჩნდება გარკვეული პარალელი გრიგოლ რობაქიძესა და რიჰარდ ვაგნერს შორის. რა როლიც ვაგნერმა შეასრულა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულ ხელოვნებაში მითოსის აღორძინებითა და მუსიკალური დრამის შექმნით, დაახლოებით იმგვარივე მისიის შესრულება ხვდა წილად გრიგოლ რობაქიძეს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში. მითოსის აღორძინება, რაინდული რომანტიზმი, წმინდა გრაალის თემა დამახასიათებელია როგორც ერთი, ისე მეორე ხელოვანის შემოქმედებისთვის.

გრ. რობაქიძეს დარჩენია ხელნაწერები გერმანულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიურ-ესთეტიკური თხზულებებისა: „იზისის წყაროსთან“, „ფრიდრიხ ნიცშე“, „ტეხნე და მითოსი“, „ატლანტიური ზმანება ანუ ქართული მითოსი“, „ისრაელის საიდუმლო“, რომლებშიც ავტორი, მისივე თქმით,

იკვლევს საკაცობრიო კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს კულტურფილოსოფიური თვალსაზრისით.

მწერლის ფილოსოფიური ინტერესის სფეროსა და ფილოსოფიური აზროვნების სიღრმის, აგრეთვე, მისი „ცხოვრების „ოდისეის“ (მწერლისავე სიტყვებით) გასაცნობად ფრიად საყურადღებოა გრ. რობაქიძის წერილი, გერმანულ ენაზე მიწერილი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისადმი, წერილი, რომელიც მოიძია თამარ ჟღენტმა და რომლის ქართული თარგმანიც წარმოდგენილია მის წიგნში „დიდი ხანძრის მენამული ანარეკლი“ („მეცნიერება“, თბილისი, 1996).

დარჩენილა ხელნაწერები გერმანულ ენაზე შეთხზული ლექსებისაც: „ჰიმნი ორფეოსისადმი“, „მომაკვდავი არწივი“, „ჟან დ'არკი“ და სხვ. ამ ლექსებს მაღალ შეფასებას აძლევენ ის გერმანელი პოეტები, ვინც მათ გაეცნო. ზოგი მათგანი ამბობს, რილკეს შემდეგ ასეთი სრულყოფილი არაფერი შექმნილა გერმანულ ენაზე.

გრ. რობაქიძეს დიდი აღიარება ხვდა წილად არა მხოლოდ ჩვენში, არამედ დასავლეთშიც, პირველ ყოვლისა, გერმანიაში, სადაც მის შემოქმედებას მაგიური უწოდეს, თავად მას – გენიოსი, სიტყვის მოგვი, სულის არისტოკრატი. იგი მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსად აღიარეს.

გრ. რობაქიძემ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მწერლის არქივის ძირითადი ნაწილი ციურისში ინახება. სამწუხაროდ, გარდაიცვალა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის, „გრაალის“, თავმჯდომარე ავთანდილ ჩხიკვიშვილი, გრიგოლ რობაქიძის დის შვილიშვილი, ვინც ზრუნავდა თავისი სახელოვანი წინაპრის არქივის ჩამოსატანად.

დიდი ქართველი მწერლის უნიკალური კულტურული ღირებულების მქონე ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულად მოძიება, თავმოყრა, დამუშავება, გამომზეურება, გამოცემა მწერლის თხზულებათა კრებულისა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმე და ჩვენი საზოგადოების წმინდა მოვალეობაა.



ივანოვის ტრაგიზმი, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს უტოლდება – ძნელია განსაზღვრა მის პიროვნებაში კეთილისა და ბოროტისა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ტრაგედიას მათი ჭიდილი კი არ ქმნის, არამედ საბედისწილად „დაზავებული“ ორივე მათგანის განფენა პიროვნების წიაღში. „ბრძოლა ჯვრის წინააღმდეგ – ასეთი ბრძოლაა, ჯვარცმა, ნამდვილი ჯვარცმა“. („ჩაკლული სული“) ივანოვი იდეას კი არ ეწირება, არამედ თავად ეს იდეა განწირული. როდესაც კეთილი, როგორც ზეარსი, თავის თავში ნაკლულობას განიცდის, იგი ბოროტებამ უნდა ამოავსოს, მან უნდა იტვირთოს კეთილის გადარჩენა და აღზევება. მით უმეტეს, თუ ბოროტება, მხოლოდ სიკეთის დანაკლისია და არა მეორე სანყისი.

ივანოვის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ფონზე, კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთება იმის აქტუალობა, რისკენაც ასე ისწრაფვის თამაზი. მასშიც დამცრობილია კეთილი. ხშირად თავისი უმოქმედობით, ივანოვზე სასტიკად და მიუტყვევლადაც აღიქმება. ორივე მათგანი განწირულია. ეპოქამ ისინი, როგორც პიროვნებები, შეინირა. სწორედ ესაა საბჭოთა ეპოქის, იმდროინდელი რეჟიმის პირველსახეც – მას მსხვერპლი სჭირდება. ეს მსხვერპლი სიკეთეშიცაა და ბოროტებაშიც, ანუ ყველგან, სადაც ადამიანური სული სუფევს. სულის ჩაკვლა – აი, უღმერთო დროის დევიზი. სამწუხაროდ, ამ ეპოქას შეენირა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, შემოქმედებითი და სულიერი ენერჯია; „ხანმა უნდობარმა“ ინერციის ძალით დღემდე მოიყოლა უღმობელი ზვირთები. მთელი ადამიანური ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ შინაგანი საბადო სიკეთისა, სიკეთისავე სასარგებლოდ მიმართოს კაცმა. უმოქმედო სიკეთის ბოროტებაზე კი, უკვე ვისაუბრეთ...

მწერლის არქივიდან

დიდთა სიყვარული

ივანე მაჩაბელი და მაკო საფაროვა



ივანე მაჩაბელი



მაკო საფაროვა



ვასო აბაშიძე

დასასრული. დასაწყისი იხ. №№ 8, 9

ვანო

2 მარტი

მაკო განა ისე დაკარგე შენ პატივისცემა, რომ ორი სიტყვის მოწერაც გეზარება. თუ კიდევ იმედი უნდა მქონდეს რისამე მარტო ეს მომწერე დამწვიდებული იყავი თქო და თუ დაგკარგე, ესეც პირდაპირ შემომითვალე. ველი პასუხს. გენაცვა მაკო უკანასკნელად გევედრები უპასუხოდ ნუ გამიშვებ. რომ ნახო, მაკო რა ყოფაში ვნერ ამ წერილს, გაგეცინება. შუალამის უკან მესამე საათია, პერანგა, პლედ-წამოსხმული ვზივარ სტოლის წინ. სიცვიითა ვკანკალებ და მაინც ვნერ. ვნერ და არ ვიცი რისთვის, ვისთვის, მაგრამ ვნერ. აი კალამმა მიმტყუნა და კარანდაშს მივყავ ხელი. გუშინდლამდე უძილო თერთმეტ საათზე დავნექი. მინდოდა დამძინებოდა მაგრამ ძილი გამიტყდა. ქვეშაგებში ფიქრმა წამილო და ისევ ვარჩევ ქალღმერთის გადამეცა რაც აზრებმა თავში გამიელვებს და ისარსავით გული დამიხვრიტეს, მაკო, არ ვიცი, ეს წერილი შენამდის მოაღწევს თუ არა. სამი უპასუხოდ დარჩა და ალბათ ამასაც ის ბედი მოელის, მაგრამ მაინც გნერ, თუმცა ისიც არ ვიცი როგორ მოგაწოდო. მრცხვენინან ყველასი, შენი პატარა დისა, შენი ძმებისაც. რომ ამდენს თავს გაბეზრებ.

სულხანოვი კიდევ იყო ჩემთან და როგორც სასიკვდილოდ გადადებულს ჯალათმა უამბობს, თუ რა ტანჯვა მოელის ეშაფოტზე ასვლის დროს, ისე მე მომიყვა კიდევ უფრო დანვრილებით, თუ როგორ მიხვედი შენ მაგასთან სახლში, როგორ გამოგაცილა დახურულ ფაეტონით შუალამის უკან სახლამდი, როგორ ამტვრევდით ციცხვებით ერთად რაღაც საქმლის მოსახარშათ. როგორ ვერა სძლებ უმაგისოდ და ყოველ წუთს აბარებინებოთ როგორ წახვედი მასკარადზე მაგის გულისათვის, ეჭვი არ არის მაკო თქვენ ერთმანეთი გიყვართ და ღმერთმა ისე გაგაბედნიეროს, როგორც შენს დატანჯულს გულს უნდა.

ჩემი სიცოცხლე შენის ბედნიერების ჭირის სანაცვლო შეიქმნას, მაგრამ ორი რამ უნდა გითხრა.

როგორ გგონია, მაკო, ნუთუ რაც მე შენ გიცნობ შენზედ ლამაზი და იქნება ჭკვიანი ქალიც არ შემხვედრია? შემხვედრია დამერწმუნე. მომწონებია კიდევ, რომ შეიძლებოდა ადვილად დავპატრონებოდი, მაგრამ თვალი ამირიდებია. იცი რადა? მაკო, რომ მე ყოველთვის მახსოვდა რომ ქვეყანაზედ მჯობის მჯობი არ დაილევდა და კაცმა თუ კი ერთხელ აირჩია ვინმე და ეს არჩეული შეეფერება იმის გულსაცა და გონებასაც, საუკუნოდ ერთგული უნდა იყოს მისი. ახლა რო მოგელის მაკო, მაშინ თუ ორი სამი წლის უკან სულხანოვზე უკეთესს შეხვდები? ხომ ისევ ისე უნდა გადაინაცვლო პეპელასავით. კაცები ხომ უსულო ყვაილები არა ვართ, რომ რაც ღონე და ძალი გვაქვს გამოგვწოვოთ და მას უკან როგორც გამოფიტული და უსარგებლო ნივთიერება უპატრონოდ დაგვყაროთ. მაკო, დამერწმუნე, ამას იმიტომ არ გეუბნები, რომ გული აგაყრევინო მაგაზედ. რომ შესაძლებელი ყოფილიყო, გაგიტყდები, ვეცდები, ძალიანაც ვეცდებოდი, არა საშუალებას არ დაგზოგავდი, მაგრამ ეხლა გვიანდაა. ჩემი ბედი უჩემოდ გადაგინვეტია და მე ის დამრჩენია, რომ ჩემს მწარე ხვედრს დავმორჩილდე.

მაგრამ რა უნდა ამ კაცს ჩემგან, რისთვის მოდის და მიაბობს თავის „ნაცნობების“ ამბავს, ეს კი ვეღარ გამიგია, პირველი მე ეგ კაცი რიგიან კაცად მეჩვენება და ვგონებ ძალიან რიგიანი კაციც არის, მაგრამ რად მანვალებს და მტანჯავს, რა დავაშავე? განა ბრალად უნდა დამედვას, რომ მაგაზედ უნინ მე შეგხვდი და ადამიანურად მოგექეცე ეგ ამბობს ვიცოდი თქვენი თანაგრძნობა მაკოსადმი და მინდოდა მომხრედ გამეხადეთ და გამენთავისუფლებინეთ იმ საშინელ მდგომარეობიდანაო. ეს ყველა კარგი და მეგობრულადაც ხელი გაუწოდე, მაგრამ აშკარაა, რომ მაგას ჩემგან დახმარება არა სჭირია. და რაც უნდა

სახლი მოგიძებნა, მებელით გინცობს ეხლა და მე რალას მაჩანჩალა ვარ. არა მგონია ეგ ისეთი უსინდისო იყოს, რომ ყველაფერი თითონ უნდოდეს და მე მხოლოდ მანრუნუნებდეს, როგორც კატამ იცის თავის კლანჭებში შეპყრობილ თავის წვალემა. მჯერა რომ ეგ ბევრად სინდისიერი კაცი იყოს, მაკო მიიღე ეს უკანასკნელი მოწყალეობა და მომამორე მე მაგ კაცს. მეგობრად მიყურებს და დამპირდა შემოვივლიო ხოლმე, ხომ ვერ დავითხოვდი, მაგრამ მე ეს ვერ მითქვამს და შენ შეგიძლიან მხოლოდ ეს მოახერხო. გევედრები, მოახერხე და მაკმარე რაც ტანჯვა გამოიარე. მაკო, ეს წერილი ჯიბით უნდა ვატარო, სანამ შემთხვევას დავიგულებ? რასაკვირველია ესეც უპასუხოდ დარჩა. ვგონებ, ეს უკანასკნელი იყოს, დაიღ უკანასკნელი ზნაი последнее представление в цирке. მშვიდობით მაკო იყავ ბედნიერი და თუ შენი ბედნიერებისათვის მე როდისმე საჭირო ვიყო თუნდა რამდენიმე წლის უკან მომნახე თუ ცოცხალი ვიყო.

მარად შენი ვანო

მაკო ეს წერილი ჩემგან შენთან უკანასკნელია და ამიტომ, იმედი მაქვს ბოლომდის ჩაიკითხავ. იტყვი, რასაკვირველია, ჯერ არ გამოგონია უკანასკნელი და იქნება ცირკის განცხადებებსაც შეადარო, რომელნიც ყოველ-დღე უკანასკნელ წარმოდგენაზედ ლაპარაკობენ, მაგრამ, ამ ცირკის განცხადებებშიც ხომ ერთიც არის მართლა უკანასკნელი უნდა იყოს. მაკო. სრულიად გამოთავყანებული რომ იყოს კაცი და იმდენი იფიქროს ჩვენს დამოკიდებულებაზედ, რამდენსაც მე ვფიქრობ, ისიც კი აქამდის მართალს მიაგნებდა, და მე ვგონებ ცოტაოდენს მოსაზრებას მოკლებული არა ვარ. მაშინ თუ აქამდის არ მივაგენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მიგნება არ მინდოდა და მჯეროდა მხოლოდ ის, რაც ჩემთვის სასიამოვნო იყო და ჩემთვის უსიამოვნოს კი თვალს ვარიდებდი. მაგრამ ამდენმა განგებ თვალების ახვევამ ლამის დამაბრმავოს. ისეც ისა სჯობს რომ მართალს თავის სახელი დავარქვა და ტყუილს იმედებს თავი დავანებო. და მართალი ეს არის, რომ როდესაც მე შენმა სიყვარულმა ლამის კლდეზე გადამჩხვხოს და გონება გამომიფიტოს, შენ არცა გყვარებივარ და არც გიყვარვარ. მაკო. გენაცვა. ნუ გაიცინებ და ნურც მასხარად ამიგდებ. ეს ჩემი აღსარებაა,

უკანასკნელი აღსარება და ჩემის ამდენი ხნის ერთგულების ჯილდოდ ნება მაქვს მოვითხოვო შენგან, რომ ეს აღსარება დინჯად მომისმინო. მით უფრო რო დამერწმუნე, ბევრი დანყებული წერილი დავხიე. ბევრი ტანჯვა-წამება გამოვიარე, მინამ გაგებდავდი და ამ საშინელ წერილს მოგწერდი. რა საჭიროა იმის საბუთები მოგიყვანო, რომ შენს გულში თავის დღეში ჩემი სიყვარული არ ყოფილა. თუ ეს ყოფილიყო, ჩაიდენდი შენ თამარაშენში იმისთანა საქმეს, რომლის გასამართლებელ საბუთს ეძიებ და ოთხი წელიწადია ვერ გიპოვინა? დაუნყებდი მეგობრობას იმისთანა ვაჟბატონებს, რომელნიც საზოგადოებაში ვინ იცის რას არ იკვებინან და მე მასხარად მიგდებენ? დაესწრებოდი ვახშმად თეატრში შუალამეს იქით და ამით მისცემდი ხალხს ლაპარაკის საბუთს, რომ ქმარმა საყვარლებთან მიასწრო და გალახაო!! მე იმაზედ არაფერს ვეტყვი, რაც პირდაპირ მე შემეხება. შენ კარგად გესმის, რომ მე შენის სიყვარულის გულისათვის გავწირე ყოველისფერი, რაც კი კაცს ძვირფასი რამ აქვს. ერთის სიტყვით ნამუსზედაც კი ხელი ავიღე და გადავწყვიტე არ მივხედო არავითარს შენს ურიგო ქცევას, ოღონდ გულში იმედი მქონოდა, რომ როდესმე შენ სრულიად ჩემი იქნებოდი და ამით შეისყიდდი შენს უწინდელს ცოდვასაც და მეც სრულ ბედნიერ კაცად გამხდიდი. მაგრამ სამწუხაროდ ეს მხოლოდ ოცნებაა, რა დავმალე, შენ თავის დღეში ჩემი ვერ იქნები, არც გინდა რომ იყო და ეს აბდა-უბდა თამაშობა ჩემთვის აუტანელია. მაკო, დამერწმუნე რომ ეს სიტყვა აუტანელია ტყუილად არ არის ნახმარი. აღარც ძილი მაქვს, აღარც მადა, აღარც მოსვენება და თუ გარეგან სახეზედ დამშვიდება მეტყობა, გულში შხამი და გესლი მიტრიალებს და გულმუცელს მიღრღნის, ამაში რა ვქნა და როგორ მოვიქცე? იქნება შენთვის საინტერესო იყოს ამ კითხვაზედ რა პასუხი მოვძებნე. მე გადავწყვიტე რომ შეიცვალოს, როგორც იყოს, ჩემი მდგომარეობა. უნდა შეიცვალოს ძირეულად და რაკი ერთადერთი ჩემი სიცოცხლის საგანი ხელიდან გამიფრინდა, ეს გაფრენა საუკუნო და სამუდამო უნდა იყოს. მე გიგზავნი უკან მაკო შენს სურათებს, რომელნიც მართალია სასიამოვნონი იყვნენ ჩემთვის, მაგრამ დღე-და-დღე ნყლულს უფრო მიახლებენ, გიგზავნი შენს წერილებს, რომელნიც სიტყვა-სიტყვით ზე-



ახალი თეატრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა საუნივერსიტეტო თეატრი. ფაქტი თავისთავად ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან პირველად ქართულ-კულტურულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ფარგლებში ხდება პროფესიონალური თეატრის ჩამოყალიბება. ეს იქნება შემოქმედებითი სივრცე – ანტიკორიზის შესაბამისი, ანუ აქ მოწვეულნი იქნებიან სხვადასხვა რეჟისორები სხვადასხვა სამსახიობო დასთან ერთად.

ამასთანავე თეატრი ღია ახალგაზრდული სათეატრო ინიციატივების განხორციელებისათვის. ჩატარდება მასტერკლასები, რომელიც მიეძღვნება თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სფეროებს, მოწვეულნი იქნებიან ცნობილი ადამიანები სასაუბროდ და გამოცდილების გასაზიარებლად.

თეატრი მუდმივ კონტაქტში იქნება მაყურებელთან. ჩვენ ვთავაზობთ მათ ურთიერთობის ახალ ფორმას, სადაც საზოგადოების წევრებს ეძლევათ შესაძლებლობა დაესწრონ სპექტაკლის ერთ-ერთ რეპეტიციას, გამოთქვან თავისი სურვილები, გახდნენ სპექტაკლის საბოლოო ვარიანტის შექმნის თანამონაწილე.

ვიმედოვნებთ, რომ ამ ტიპის შეხვედრები ნაყოფიერი იქნება როგორც სპექტაკლის სადადგმო კოლექტივისათვის, ასევე საინ-



ტერესო მაყურებლისათვის.

საუნივერსიტეტო თეატრმა სეზონი 30 სექტემბერს გახსნა ა. ცაგარელის ვოდვილით „ჭკუისა მჭირს“ (რეჟისორი: ოთარ ევაძე). ამ ეტაპზე რეპერტუარი შედარებით მწირია, მაგრამ უახლოეს ხანში იგეგმება მისი გაშლა.

დღესდღეობით მასში ერთიანდება 4 სპექტაკლი: ა. ცაგარელის „ჭკუისა მჭირს“, ი. ზოიფერის „ძრავა“, ა. სენტ-ეკუპერის „პატარა უფლისწული“ და ივანევიჩის ნოველების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ხარმსი“.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია რამდენიმე პრემიერა. თეატრი მუშაობს კვირაში სამი დღე – პარასკევი, შაბათი, კვირა. ხუთშაბათი დღე დათმობილი აქვს სადისკუსიო კლუბს, რომელიც იწყება საღამოს 19 საათზე.

სპექტაკლის დაწყების დროა 20⁰⁰ საათი.

პირად ვიცი. გიგზავნი ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც კი შენს სახელსა და ამბავს მომაგონებს, რადგან განახლება ყოველდღე ამ მწუხარებისა ჩემთვის შეუძლებელია. მე უნდა გამოვესალმო ქართულ თეატრსაც და ყოველ იმ ალაგსაც სადაც შენი ნახვა შესაძლებელია. თუმცა ეს მეტის-მეტე სასჯელია ჩემთვის, მაგრამ უიმისოდ თავის შემაგრებას ვერ შევძლებ და ისევ იმ ყოფაში ჩავვარდები, რა ყოფაშიაც ვიყავ.

მე არ ვიცი რას ვიზამ. ვეცდები ან ქალაქიდან გადავიდე სადმე, თუ კი მოვახერხებ, ან ცოლს შევიერთამ. იქნებ ამ უკანასკნელმა ამბავმა გაგაკვიროვოს, მაგრამ რა ვქნა, რომ თუ არ შეიცვალა ჩემი ყოფა, შეიძლება თავის მოკვლამდე მიმიყვანოს, რაც შეეხება იმ საყვედურს, ვითომ ცოდოა კაცი ჩემისთანა მდგომარეობაში სხვის მოვალეობაში ჩადგეს, ეს საყვედური უქმია მე კარგად მესმის ჩემი მოვალეობა და თუმცა ცოლი არ მიყვარება, მაგრამ შენ მასწავლე ისე თავის ჩვენება, რომ დავარწმუნებ ვითომ მიყვარს და იქნება ბედნიერი იყოს.

მშვიდობით მაკო, მშვიდობით ეხლა კი საუკუნოდ. ჩემგან ყოველ თვე მიიღებ ჯერ-ჯერობით რვა-რვა თუმანს, და როცა ერთბაშად ვიშოვი რასმე, მაშინ კიდევ ცალკე უკანასკნელად გთხოვ, თუ ჩემი ცოტაც არის ხათრი გაქვს, ამაზედ უარს ნუ მეტყვი და ამ უკანასკნელ ნუგემს მაინც ნუ მომაკლებ.

მაინც და მაინც საუკუნოდ შენი ვანო

7 სექტემბერი [1888 წ.]

მაკო ბოდიშს ვიხდი, რომ შემდეგ იმისა, რაც მოხდა ჩვენ შორის ამ ორ უკანასკნელ თვეს ასე შინაურულად გწერ ამ წერილს და გიწოდებ იმ სახელს, რომელიც მთელ ჩემ სიცოცხლეში სათაყვანებლად გადამექცა. ეს წერილი ჩემი აღსარებაა შენთან და როგორც აღსარებას, იმედი მაქვს ბოლომდე ჩაიკითხავ და გულმოსული არ გადისვრი, მით უფრო რომ ეს წერილი საუკუნოდ გამოსალმებისაა. მე ხვალ ერთ ქალს უნდა მოველაპარაკო და ჯვარი დავინერო იმაზედ. ვინ არის ის ქალი, ჯერ შენთვის ეს ბევრად სინტერესო არ უნდა იყოს და მხოლოდ ჯვარის წერის შემდეგ შეიტყობ. არ ვიცი რა იქნება

ჩემი ცხოვრება, არა მაქვს ნება, რომ ეხლავ ვთქვა რამე იმ ქალზედ, ეს კია რომ შეიძლება დიდს უბედურებაში ვაგდედე ჩემ თავს; მაგრამ რა ვქნა მაკო, ეხლა ღონე აღარა მაქვს, გული სრულიად გადამილია ამ ყრუ ბრძოლამ ჩემ თავთან, ამ საშინელმა დაობლებამ და სულით განმარტობამ. მე გესალმები შენ, გესალმები როგორც უძვირფასესს საგანს ჩემის ცხოვრებისას, გესალმები ტკბილად, და-ძმურად და გმადლობ იმ ზოგიერთ ნეტარის წამისათვის, რომელიც უბედნიერესი იყო მთელს ჩემს ცხოვრებაში და რომელთა მოგონება მით უფრო დიდს სიმწვავით გულსა მკებნს. მე ვგრძობ, რომ შენ თითონ არ გინდოდა ეს ბოლო მოჰყოლოდა ჩვენს კავშირს; მე ვგრძნობ, რომ შენ თითონ ებრძოდი შენს თავს და ცდილობდი გაგეპარებინა რასაც კი ცუდს თვისებას ჩემში ჰხედავდი, მაგრამ ადამიანი ბუნებას ვერ გარდაქმნის. შენ ვერ შეიძელ ეს, სხვამ გაგიტაცა, სხვამ დაგიმორჩილა, და შენს თავთან ბრძოლაში, რომ მე მუდამ შენთან დაახლოებული დავრჩენილიყავ, დამარცხებული გამოხვედი. მშვიდობით; მაკო, მშვიდობით საუკუნოდ, გეტხოვები როგორც შენ, ისე ყველა შენიანს, რომელნიც შენთან დაახლოებით იყვნენ ჩემთვის ძვირფასნი. სულითა და გულით ვინატრი რომ ბედნიერი იყო იმასთან, ვისაც შენი გული ამოირჩევს და ისიც ღირსი იყოს იმ ბედნიერებისა, რომლის მინიჭებაც შენ შეგიძლიან. დამერწმუნე, სასიამოვნო იქნება ჩემთვის, რომ შენზედ კარგი მესმოედეს და ნეტარებაში მეგულეობდე. რაც შემეხება მე, ყოველსავე ღონეს ვიხმარ რომ ჩემით სხვაც არ გავაუბედურო და დავმალო ის საშინელი ტანჯვაც, რომელიც ეხლა გულზე ღლოდვით მაქვს დანოლილი. თუ ჩემდა მოულოდნელად, რაც სრულიად დამაჯერებელი არ არის, მეც რაიმე, არ ვიტყვი ბედნიერება კმაყოფილება მელირსა ჩემ სიცოცხლეში, ნუ შეგშურდება ჩემთვის, ჩემო მაკო, ნუ შეგშურდება, ამიტომ რომ ეს კმაყოფილება ადამიანისათვის აუტანელ ტანჯვით დავიმსახურე.

მარად შენი სულითა და გულით მადლიერი ვანო

(წერილის დასასრულს ადრესატის ხელით მიწერილია: „ვანოს უკანასკნელი წერილი“.)

ახალი თარგმანები

რაინერ მარია რილკე
ჰიოლდერლინისადმი

არ მოგვემადლა თვით უაღრესად სანუკვართანაც უფლება, ჟამი დახანებისა; აღსრულებული სახეებიდან, მოულოდნელად ეშვება სული, სრულყოფისადმი მიდრეკილთ მიმართ; მარადისობის პირველმკვიდრები ზღვებია მხოლოდ. აქ დაცემაა უპირატესი. ხორცშესხმულ გრძნობის წიაღიდან ვარდნა წიადაგ, შურისგებაში.

ო, დიდებულო, შენ, შენ გრძნეულო, სიცოცხლე სრული გესახებოდა გარდაუვალ, მლტოლვარე ხატად, თუ აღმოთქვამდი სტრიქონი უმალ იკვრებოდა ვით ბედისწერა, თვით სიკვდილშიაც თვინიერთ შორის უაღრესში, შეაბიჯებდი: თუმცა კი დემერთი, წინამორბედი, გაბრუნებდა მიღმიერიდან.

ო, მომთაბარე, ეულო სულო, უყარიბესო! ვით შენიზნულა და ჩემობს ყველა თბილ ლექსთა უბეს, შინაურულად, თანაც რჩებიან ხანგრძლივად იქვე, მწირი თანხმობით. მონაწილენი. შენ მთვარის მსგავსად დარონინებ. ხოლო მიწაზე ხან ნათლდება, ხანაც ბინდდება ღამეული სახება შენი, წმინდად შემკრთალი შემოგარენი, განშორებისას რომ შეიგრძნობ. მას არასოდეს შელევივია ამაღლებულად არავინ და კვლავ სრულქმნილი მთლიანობისთვის არ დაუთმია, არც არავის ის უანგაროდ. და ამგვარივე თამაშით, წმინდად შენ გააღწიე ან წლებს უთვალავს უსასრულო ბედნიერებით, რაც შინაგანი არ იყო თითქოს, არვის კუთვნილი, ჩვილ ბალახზე ესვენა ირგვლივ, მიწის გულზე მიმოფენილი, ღვთაებათა მოდგმისაგან მიტოვებული. ო, რაოდენი უზენაესი მონადინებით, აწყობდი მშვიდად აგურზე აგურს: თუმც თავად მისმა რღვევამაც კი ვერ შეგაცდინა.

აქ თუ ასეთი რამ არსებობდა, მარადიულო, ვეჭვობთ კი ისევ, არ ვენდობით კვლავაც მიწიერს? იმის მაგივრად რომ წინასწარვე ღრმად შევისწავლოთ გრძნობა ყოველი, თუმცა რომელი მიმართულებით მიდრეკილი მერმისის სივრცეს?

* * *

ჩემი ცხოვრების ბილიკს, წრიულ ნაჭდევეთა ხვეულს, საგანთა არსს რომ იმწყვდევეს, მე აღმართ-აღმართ მივსდევ. ალბათ რკალს უკანასკნელს, ვერ გავუსრულებ სხეულს, თუმც შევეცდები მაინც, გავამთლიანო იქნებ.

მე გარს ვეველები უფალს, უხსოვარ დროის გოდოლს, ჩემი წრებრუნვა უკვე ათასწლეულებს ითვლის; და არ კი ვუნყი ჯერაც, ვარ შევარდენი ოდენ, ქარტყხილი თუ ჰანგი ძლევაგამოსილი ჰიმნის.

გერმანულიდან თარგმნა
ლულუ დადიანმა





ჯეკ ლონდონი

საეჭვოობის სასარგებლოდ

I

კარტერ უოთსონი წელი ნაბიჯებით თავისი მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიუყვებოდა, ილიაში ქალაქში გამომავალი ჟურნალის ბოლო ნომერი ამოეჩარა და შენობა-ნაგებობებს ყურადღებით აკვირდებოდა. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან, პროფესიით სოციოლოგმა, დატოვა ეს ქალაქი და სოციალური ვითარების შესასწავლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობა. ამ ხნის მანძილზე ქალაქი ისე შეცვლილიყო, გაოგნდა. მისი ზერელე შეფასებით, ქვეყნის დასავლეთში მდებარე ეს პატარა ქალაქი, რომელიც სიჭაბუკის წლებში მხოლოდ სამი ათას მოსახლეს ითვლიდა, ახლა უკვე სამასი ათასიან ქალაქად ქცეულიყო. სიჭაბუკის ასაკში, როცა მის ქუჩებში სეირნობით ტყებობდა, ის ყველაზე უფრო წყნარ და მყუდრო ქალაქად ითვლებოდა ქვეყანაში; ქუჩა კი, რომელზეც ახლა მიაბიჯებდა, უწყინარი, მშრომელი ადამიანებით დასახლებული გახლდათ; ახლა კი, თვალის ერთი გადავლებითაც კი შეიმჩნეოდა, რომ ეს ქუჩა და მთლიანად ქალაქიც სხვადასხვა ჯურის არამზადათა თავშესაფრად ქცეულიყო. ქალაქი გავსებული იყო ჩინური და იაპონური მაღაზიებით, დუქნებითა და სხვადასხვა საეჭვო საქმიანობის დანესებულებებით. გული სტკიოდა, თავისი მშობლიური ქალაქი გადაგვარების ქაობში ჩაფლული რომ იხილა. დაკვირვება განაგრძო, სურდა გაეგო, სადამდე იყო მისული ეს მეტამორფოზა.

საათს დახედა; საღამოს ექვსის ნახევარი იყო. ამ დროისათვის ადამიანები შრომისაგან მოქანცულნი და სოციოლოგიური კვლევისათვის ნაკლებად გამოსადეგნი არიან, მაგრამ, იმედოვნებდა, ჯერ კიდევ შეიძლება, ნაწყდომოდა რაღაც საინტერესოსა და მოულოდნელს.

კარტერ უოთსონი მაღალი ზნეობით გამოირჩეოდა; სავსებით იზიარებდა სოციალური და სამოქალაქო სამარ-

თლიანობის იდეებს. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებული პიროვნება გახლდათ, იშვიათად მართავდა წვეულებებს და თავადაც არ უყვარდა სხვათა წვეულებებზე დასწრება; ასევე გულგრილი იყო ყოველგვარი შოუ-ნარმოდგენებისა და მხატვრული თუ სპორტული სანახაობებისადმი. სწორედ ამიტომ იტვირთა სოციალური მკვლევარის საქმიანობა და მიზნად დაისახა რეკომენდაციების შემუშავება ქვეყანაში მნიშვნელოვან გარდაქმნათა გასატარებლად. თავისი გამოკვლევების შედეგებს აქვეყნებდა კვარტალურად გამომავალ ჟურნალებში, მაგრამ მისი შრომების მთავარი და ძირითადი ნაწილი თავმოყრილი იყო დამოუკიდებელ მონოგრაფიებში, ჟურნალებში მცხოვრებ უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ მშრომელ მოსახლეობას რომ ეხებოდა. ოცდაშვიდი ასეთი ნიგნი გამოსცა; მათ შორის საუკეთესოდ იყო მიჩნეული: „ქრისტი რომ ახალ ორლენს სწევოდა“, „შრომისაგან ქანც-განყვეტილი მუშა“, „საბინაო იჯარის რეფორმა ბერლინში“, „ჯურლმულები ინგლისის სოფლებში“, „ისტ საიდის მოსახლეობა“, „რეფორმა – რევოლუციის ალტერნატივა“, „საუნივერსიტეტო დასახლება – რადიკალიზმის ბუდე“, „გამოქვაბულის ბინადარნი ცივილიზაციის ეპოქაში“, რომლებმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

კარტერ უოთსონი საღად მოაზროვნე, განონასწორებელი, მაგრამ, იმავდროულად, მიზანსწრაფული და უკომპრომისო მკვლევარი გახლდათ; მისგან შორს იყო რადიკალიზმი და ფანატიზმი; უკან არ იხევდა სიძნელეთა წინაშე; ყოველგვარ დარღვევას იკვლევდა, ააშკარავებდა; არ ახასიათებდა ზერელე, ფუჭი ენთუზიზმი. მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა მდიდარი გამოცდილება, შესანიშნავი ფილოსოფიური აზროვნება და ხალასი იუმორი; სავსებით იზიარებდა საზოგადოების განვითარების რეფორმატორულ იდეებს, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს უნდა მომხდარიყო არა დაუყოვნებლივ, რევოლუციურად,

არამედ თანდათანობით – ევოლუციის მძიმე, მტკივნეული და ხანგრძლივი გზით. სწამდა, რომ სწორედ ასე ვითარდებოდა საზოგადოება წარსულში, რეფორმათა გატარების რევოლუციურ მეთოდს კი მხოლოდ უბედურება მოუტანია ხალხისათვის და დაჩქარების ნაცვლად შეუფერხებია საზოგადოების განვითარება.

კარტერის სურვილი, იმ დღესვე დაენყო სოციოლოგიური გამოკვლევა, არ იყო არც ახირება და არც ფუჭი ენთუზიაზმი. ის მშობლიურ ქალაქში იმყოფებოდა და გული არ უთმენდა, უნდოდა დროზე გაეგო ქალაქის ჭირ-ვარამი.

რესტორანთან შეჩერდა, რომლის ფასადზე გაკრული იყო ფირნიში წარწერით „ვენდომი“. რესტორანს ორი კარი ჰქონდა: ერთს ბარის ბუფეტთან შეყვავდით, მეორეს კი, ვინრო დერეფნის გავლით, – მაგიდებითა და მათ ირგვლივ შემოწყობილი სავარძლებით სავსე ვრცელ დარბაზში. მაგიდებისგან მოშორებით, ოთახის ნახევრადჩანთებულ კუთხეში ფორტეპიანო იდგა. სწორედ ეს დარბაზი აირჩია უოთსონმა გამოსაკვლევ ობიექტად. მაგრამ იმედი გაუტრუვდა: დარბაზი ცარიელი დახვდა, საქეიფო დრო ჯერ არ დამდგარიყო. „მომინევს გარეთ გავიდე და სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლედ ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდე, როცა დარბაზი მოქეიფე ხალხით იქნება სავსე“, გაიფიქრა უოთსონმა.

ამ დროს სამზარეულოში „ვენდომის“ მეპატრონე – პეტსი ჰორანი ვახშობდა. ჩქარობდა, უნდოდა საღამოს დარბაზში შეკრებილ კლიენტებს ნავახშმევი დახვედროდა. დილიდანვე, ნავს ფეხზე ამდგარი, საშინელ ხასიათზე გახლდათ, რისი მიზეზიც იმ დღეს ბიზნესის წარუმატებლობა იყო.

დერეფანი შემოსასვლელს სამზარეულოს გავლით დარბაზთან აკავშირებდა; სამზარეულოს კარი ნახევრად ღია იყო. დერეფანში გავლისას უოთსონს თვალი მოჰკრა ჰორანმა, რომელიც საშინლად გააღიზიანა მის იდლიაში ამოჩრილმა ყურნალმა. ეს ყურნალი რეკლამებისა და განცხადებების დასტა ეგონა, რომლებსაც უოთსონი, მისი აზრით, რესტორნის კედლებზე ლურსმნებითა და ნებოთი გაკვრას უპირებდა.

დანა-ჩანგალმომარჯვებული ჰორანი უოთსონს ეცა.

– გაეთრიე აქედან! – დაიღრიალა

მან, – ვიცი, რისთვისაც შემოეხეტე ჩემს რესტორანში.

კარტერ უოთსონი გაშტერდა; ვერ გაეგო, რატომ დაესხა თავს ეს კაცი ასე გამშაგებით.

– ვინ მოგცა უფლება, დააბინძურო და დაკანრო ჩემი რესტორნის კედლები! – ღრიალებდა პეტსი ჰორანი და უშვერი სიტყვებით „ამკობდა“ უოთსონს.

– რომ მცოდნოდა, რომ რესტორანში შემოსვლით რაღაცას ვაშაგებდი...

მაგრამ ჰორანს მოსმენა არ სურდა, დანასა და ჩანგალს ჰაერში იქნევდა და უოთსონის ლანძღვას განაგრძობდა:

– მოკეტე! ეშმაკსაც ნაუღია შენი თავი! გაეთრიე აქედან!..

კარტერ უოთსონმა იგრძნო, რომ სჯობდა, გასცლოდა იქაურობას, თორემ პეტსი ჰორანს შეეძლო დანით ან ჩანგლით დაესახიჩრებინა. იგი სასწრაფოდ გასასვლელისაკენ გაეშურა; პეტსიმ დანა-ჩანგალი დაყარა და უოთსონს დაეძგერა.

პეტსი ჰორანი ასოთხმოც გირვანქას იწონიდა. ასეთივე წონის იყო უოთსონიც. ჰორანი მკვირცხლი, დაუნდობელი, ბრძოლის აზარტით აღსავსე, თუმცა მოუხეშავი და მოუქნელი, უოთსონი კი, მშვიდი და დარბაისელი პიროვნება გახლდათ; იმავდროულად იგი საუკეთესო მოკრივეც იყო, რაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა ორთაბრძოლაში და აწონასწორებდა ჰორანის სიმკვირცხლესა და აზარტულობას. ჰორანმა მუშტი მოუქნია, მაგრამ უოთსონმა ოსტატურად აიცილა და მარცხენა ხელით თავად უთავაზა დარტყმა. უოთსონმა, რომელსაც კრივიში მრავალი ბრძოლა ჰქონდა გადატანილი გეტოებში და კრიმინალებით დასახლებულ ადგილებში, კარგად იცოდა, რომ ასეთ ვითარებაში გაცლა სჯობდა, რადგან მონინაღმდეგეს მისი მომხრეები უცილობლად წამოეშველებობდნენ.

ასეც მოხდა. უოთსონმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო; ჰორანის „ბიჭებმა“ ზურგსუკნიდან მას მუშტები დაუშინეს. უოთსონი მობრუნდა და მათი დარტყმები მოიგერია, მერე ისევ ჰორანს მიუბრუნდა და მასთან კლინჩში შევიდა². ქანცგაცლილი უოთსონი ჰორანმა ნააქცია, ქვეშ მოიქცია და მთელი ტანით სხეულზე დაანვა. ყოველივე ეს მოხდა დერეფანში, დარბაზის კედელთან, ქუჩამდე სულ რაღაც ასორმოდ ათი ფუტის მანძილზე. უოთსონს სასწრაფოდ რა-



ნოზის თემა: ჩემი პერსონაჟი

სამყარო თუ იმიტომ არსებობს, რომ წიგნში შევიდეს, მაშინ ადამიანიც იმიტომ – იკითხებოდა. და ასე, მკითხველად და პერსონაჟად ქცეული კაციც, ალბათ ყველაზე წარუშლელი ქმნილებაა ამ თავბრუდამხვევ მარადისობაში.

ახალგაზრდა მწერლებს, პოეტებს ვკითხეთ, – ვინ არის მათი საყვარელი პერსონაჟი. ალბათ ამაზე ყველას უფიქრია, შესაძლოა, ბევრის „რჩეული“ დამთხვა კიდევ ერთმანეთს; თუმცა, უინტერესო არც მათი ნაფიქრი ყოფილა და არც გზა, რომელიც მათ, როგორც მკითხველებმა – საკუთარ თავში განვლეს.

„ჩემი პერსონაჟი“ – თემა, პირველ რიგში, შენს სულზე რომ გაფიქრებს, შენს ადგილზე, მრწამსზე, საქციელზე – ნიგნად ქცეულ სამყაროში, მარადიულ სამკითხველოში.





ლაც უნდა ელონა, რომ ეს ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრებულიყო და არ გახმაურებულიყო; არ უნდოდა, იგი თავისი მშობლიური ქალაქის პრესის ფურცლებზე მოხვედრილიყო, სადაც მისი ახლობლები და მეგობრები, შესაძლოა, ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ.

უოთსონმა ჰორანს ხელები შემოაჭდო და ადგომის საშუალება არ მისცა; იმედოვნებდა, ატეხილ ხმაურზე შემოვიდოდნენ და მას მოეხმარებოდნენ. დარბაზი ცარიელი იყო, მაგრამ ის ექვსი მამაკაცი, ზუგსუკნიდან მუშტები რომ დაუშინეს, ნაქცევულებს გარს შემოერთა.

– ბიჭებო, მომამორეთ ეს კაცი, – თქვა უოთსონმა, – მისთვის არაფერი დამიშვებია და არც მაქვს სურვილი რაიმე ვაწვინო.

მაგრამ პეტის „ბიჭები“ დუმდნენ. უოთსონი ჰორანს არ ათავისუფლებდა და დახმარებას ელოდა. ჰორანი, თავის მხრივ, ცდილობდა დასხლტომოდა უოთსონს, მაგრამ ვერ ახერხებდა.

– შემიშვი ხელები და მოგცილდები. – თქვა მან ბოლოს.

უოთსონმა შეუშვა ხელები, ჰორანი სწრაფოდ წამოდგა, მაგრამ არ მოსცილებია, თავს ადგა და მზად იყო, როგორც კი წამოდგებოდა, ჩხუბი გაეგრძელებინა.

– ადექი! – უბრძანა უოთსონს.

ჰორანის ხმა ისე სასტიკად ჟღერდა, გეგონებოდათ, მეორედ მოსვლისას ქრისტე განაჩენს აცხადებსო. უოთსონი მიხვდა, რომ, მიუხედავად უდანაშაულობისა, მის დანდობას არავინ აპირებდა.

– გვერდზე გადაექ და ავდგები, – თქვა უოთსონმა, რომელიც გრძნობდა, რომ პეტის წამოდგომისთანავე დაეძგერებოდა მას.

– ადექი, თუ ჯენტლმენი ხარ! – ხელმეორედ უბრძანა ჰორანმა.

როგორც კი უოთსონი წამოდგა, ჰორანს ცისფერი თვალები ბოროტად აუელვარდა, მუშტი დასარტყმელად მოამზადა, მარჯვენა ფეხი კი ოდნავ უკან გასწია და მუხლში მოხარა, რათა უოთსონისათვის ეთხლიშა. უოთსონმა გადაჯვარედინებული ხელები სახეზე აიფარა, მერე ელვის სისწრაფით ხელმეორედ კლინჩში შევიდა, ხელები შემოაჭდო ჰორანს და იქ მყოფთ დაუყვირა:

– ბიჭებო, მომამორეთ ეს კაცი; ხომ ხედავთ, მასთან ჩხუბი არ მინდა, მხო-

ლოდ თავს ვიცავ; მომეხმარეთ, თავი დავაღწიო აქაურობას!

მაგრამ არ განძრეულან, უჩუმრად იდგნენ. ამ ავისმომასწავებელმა დუმილმა შეძრა უოთსონი.

პეტის შეეცადა, გათავისუფლებულიყო შემოჭდობილი ხელებისაგან, მაგრამ უოთსონმა იმარჯვა და ნააქცია იგი; თვითონ კი დრო იხელთა და გასასვლელისკენ დააპირა გაქცევა. ჰორანის თანამშრომლებმა გზა გადაუღობეს, მერე კი თანდათანობით უკან დაახვეინეს, სადაც გამხეცებული პეტის ჰორანი იდგა და ანგარიშსწორებისათვის ემზადებოდა. ჰორანის „ბიჭების“ გაფითრებული სახეებმა უოთსონს აფიქრებინა, რომ ისინი იმ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდნენ, მზისით კრიმინალთა თავშესაფრებში რომ იყვნენ გამოკეტილნი, ლამით კი ქურდობით, თაღლითობითა და სხვა საეჭვო საქმეებით იყვნენ დაკავებულინი.

უოთსონი კვლავ, უკვე მესამედ, კლინჩში შევიდა, სული მოითქვა და კიდევ ერთხელ შეეხვეწა ბრბოს, მისთვის გზა მიეცათ. მაგრამ ამჯერადაც ყურთ არ იღეს მისი მუდარა. უოთსონმა იგრძნო, რომ განსაცდელის წინაშე იდგა. სხვადასხვა ქალაქებში სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისას კრიმინალთა ჯურღმულებში ხშირად შესწრებია მსგავს ვითარებას; ბევრჯერ უნახავს ნეკნებჩამტვრეული, სიკვდილის პირას მიყვანილი ადამიანი, რამდენიმე კრიმინალის წინააღმდეგ მარტოდმარტოდ ბრძოლას რომ უმსხვერპლია. იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში მათ კი არ უნდა ურტყა, არამედ ეცადო, თავიდან აიცილო მათი დარტყმები და გაქცევით უშველო თავს. ის ხომ შვიდი კაცის წინააღმდეგ იბრძოდა.

კარტერ უოთსონი საუკეთესო მოკრივე იყო და, ბრძოლის ჟინით ანთებული, თავადაც შეეძლო მათთვის ვნება მიეყენებინა. მაგრამ ახსოვდა, რომ მოსიყვარულე ცოლისა და ანგელოზი ბავშვების პატრონი იყო, შორს მთაში ათი ათასი აკრი³ მინით გარსემორტყმულ საუკეთესო რანჩოში რომ ცხოვრობდნენ; ახსოვდა დაუმთავრებელი სოციოლოგიური გამოკვლევა, მისი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს რომ შეადგენდა; ძალიან უყვარდა ბუნება და განსაცდელის ამ წუთებში თვალწინ ედგა მშობლიური მხარის მწვანე ხასხასა ბალახითა და მინდვრის ყვავილებით მოფენილი ველ-მინდვრები, რომლებზეც

ცის ლურჯ კაბადონზე მოკაშკაშე მზე უხვად აფრქვევდა თავის ცხოველმყოფელ ოქროსფერ სხივებს; თვალნი ედგა მდინარეში მუხლებამდე შეტოპილი ზანტი ხარ-კამეჩი; მდინარის ჩქერში მონავარდე კალმახი...

ღირდა კი შურისძიების წყურვილის წამიერი ალტყინების სანაცვლოდ რისკის სასწორზე შეეგდო ყოველივე ეს? არამც და არამც!

ჰორანი არ ცხრებოდა, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ანგარიში გაესწორებინა უოთსონისათვის, რასაც უოთსონმა კლინჩში ოსტატურად შესვლით უკვე ორჯერ აარიდა თავი. პეტსი ამჯერადაც შეეცადა, კლინჩში შესული უოთსონის მარწუხებისგან გათავისუფლებულიყო, მერე კი მიებეგვა. მაგრამ უოთსონმა ამჯერადაც მოახერხა ნაექცია იგი, გასასვლელისკენ გაჭრილიყო. მაგრამ ჰორანის „ბიჭებმა“ ახლაც, ისევე როგორც ადრე, გზა გადაუღობეს და უკან დაახევინეს. და... კვლავ კლინჩი. ეს სცენა რამდენჯერმე განმეორდა. უოთსონი სიმშვიდეს არ კარგავდა, ჰორანი კი სულ უფრო და უფრო შმაგდებოდა. მან თავის რტყმევა დაუნყო უოთსონს სახეში, ცხვირი გაუტეხა, მაგრამ არ შეჩერებულა და თავის რტყმევას განაგრძობდა. უოთსონმა, სახე რომ დაეცვა, თავი მიაყრდნო ჰორანის მკერდს. ჰორანი სიმშვიდისგან ვეღარ აზროვნებდა; მან სახე ურტყა უოთსონის თავს, რითაც თვალი და ცხვირი დაიზიანა. მიუხედავად ამისა, გონდაკარგული, განაგრძობდა სახის მირტყმას უოთსონის თავზე.

ეს უთანასწორო ბრძოლა გაგრძელდა დაახლოებით თხუთმეტ წუთს. სცენარი ერთიდაიგივე იყო: უოთსონი არ ურტყავდა მონინააღმდეგეს; მხოლოდ იმას ცდილობდა, გასხლტომოდა მას და გაქცეულიყო, რის საშუალებასაც პეტსის „ბიჭები“ არ აძლევდნენ და აიძულებდნენ, დაეხია უკან, გაშმაგებული პეტსისაკენ; უოთსონი კლინჩში შედიოდა მასთან, მერე ნააქცევდა ხოლმე და ცდილობდა, გასასვლელისკენ გაჭრილიყო.

ბოლოს, როგორც იქნა, დასახიჩრებული უოთსონმა მოახერხა გასხლტომოდა პეტსის და მის „ბიჭებს“ და გარეთ გამოვარდნილიყო, სადაც პოლიციელს გადაეყარა.

– დააპატიმრეთ ეს კაცი! – მოსთხოვა გათანგულმა უოთსონმა პოლიციელს და დადევნებული ჰორანისაკენ მიუთითა.

– ჰელოუ, პეტსი, – მეგობრულად

მიესალმა ჰორანს პოლიციელი, – რა აბავია, რა მოხდა?

– ჰელოუ, ჩარლი, – მიუგო ჰორანმა, – ეს ვიგინდარა შემოიჭრა ჩემს...

– დააპატიმრეთ! – გაიმეორა თავისი მოთხოვნა უოთსონმა.

– დაიკარგე აქედან! – მიაძახა ჰორანმა უოთსონს.

– დაიკარგე! – უბრძანა პოლიციელმაც, – თუ არ ნახვალ, ნაგათრევ იქ, სადაც საჭიროა.

– არსადაც არ ნავალ, სანამ ამ კაცს არ დააპატიმრებთ, – თქვა უოთსონმა, – იგი სრულიად უმიზეზოდ თავს დამესხა და...

– მართალია ეს, პეტსი? – ჰკითხა პოლიციელმა ჰორანს.

– რა თქმა უნდა, არა! – მიუგო ჰორანმა, – ღვთის შეწევნით მონმეებიც გამაჩნია, რომლებიც დაადასტურებენ ჩემს სიმართლეს. სამზარეულოში ვიჯექი და წვინანს გეახლებოდით, როცა ეს ვიგინდარა შემოიჭრა ჩემთან და ჩხუბი ამიტეხა. მე მას არ ვიცნობ; მთვრალი იყო...

– ბატონო პოლიციელი, აბა შემომხედეთ! განა მე მთვრალი ვარ?! – ჰკითხა უოთსონმა.

პოლიციელმა არაკეთილმოსურნე თვალთ შეხედა; მერე პეტსის თავი დაუქნია იმის ნიშნად, რომ შეეძლო, განეგრძო სათქმელი.

– ამ ნაძირალამ მასხრად აგდება მომინდომა. „მე მაკ-გრათი ვარ, რასაც მინდა, იმას გაგიკეთებ, აბა, ხელები მალაო“, მითხრა. მერე წვინანი გადამიქცია და ორჯერ მთხლიშა მუშტი სახეში. აბა შემომხედე! ხომ ხედავ, როგორ დამასახიჩრა.

– რას აპირებთ, ბატონო პოლიციელი? – იკითხა უოთსონმა.

– აბა, დაიკარგე აქედან, თორემ დაგაპატიმრებ და პოლიციაში წაგათრევ! – მიუგო პოლიციელმა.

პოლიციელის საქციელმა უოთსონი ალაშფოთა.

– ბატონო პოლიციელი, მე ვაპროტესტებ თქვენს საქციელს.

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა უოთსონს, მაგრამ პოლიციელმა სტაცა ხელი მკლავში, მაგრად შეანჯღღრია და მკვახედ მიაძახა:

– თქვენ დაპატიმრებული ხართ, წამომყევით!

– მაშინ ეს კაციც დააპატიმრეთ! – მოითხოვა უოთსონმა.

– არავითარ შემთხვევაში; მას არა-



მზია – ბათარეკას ასული

ერთხელ, სახლში ვთქვი, რომ ყველაზე მეტად ჩემი „ნაკითხული“ მეგობრებიდან – მზია ჭინჭარაული მიყვარდა. ზუსტად მზიასხელა ვიყავი. დედაჩემმა გადაშალა ჩემი საყვარელი წიგნი – შვინდისფერი რაშით და მხედრით გარეკანზე, – გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების კრებული, ჩახედა „ბათარეკა ჭინჭარაულს“ და გაიხსენა.

„ზის კოშკის ზემოთა მუხლში ქურქების შუაში ჩამჯდარი მზია – ბათარეკას ცამეტი წლის ქალიშვილი... ზის ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში გააჩინა, და ელის.“

დედებს ეშინიათ, როცა მათი შვილები, ბავშვობაში, თვითმკვლევებზე კითხულობენ. უფრო მეტად ეშინიათ, როცა შვილებს ეს თვითმკვლევლები უყვარდებათ. ისე უყვარდებათ, როგორც ნამდვილი, ხორცშესხმული ადამიანები, თვინათ ცხოვრებაშიც ჩაიზიარებენ, გზას და საგზაოს გაუყოფენ, გვერდიგვერდ, საბედისწეროდ ივლიან.

რადგან, თვითმკვლევებმა რაღაც იციან, რაღაც, შვილებზე მეტი და, ალბათ ყველაზე უფრო ეს საიდუმლო იზიდავთ მათ. წიგნში აღსრულებული თვითმკვლელობის საიდუმლო.

საიდუმლო და, არა დასასრული. არა – სიკვდილი.

ეს ალბათ იმას გავს, გზას რომ ორნი მიუყვებით, ერთმანეთის სიახლოვეთ სულები გენვით და თქვენს გარშემოც – ყოველივე თქვენ ორის ერთადყოფნითაა გამოხატული. და მერე, ძალიან ადამიანურად, ძალიან ბუნებრივად რომ დგება ჟამი: როცა ერთმანეთს უნდა შეხედოთ და გადაწყვიტოთ: ვინ საით. მაშინ ის – შენივე მეორე, წიგნში, ფურცელზე, წარმოსახულში, გნებავს, სულაც პარალელურ სინამდვილეში – რაღაც ძალიან ძნელისგან და მტკივნეულისგან გათავისუფლებს.

შენს მაგივრად პასუხობს მარადისობის უზმო ძახილებს. კვდება შენზე წინ. შენ კი, საცხოვრებლად, თავის სიკვდილსაც გიტოვებს.

თვითმკვლევები – მკითხველის გადამრჩენები.

დედებო, არ დაუფრთხეთ მზია ჭინჭარაულს. მან თქვენი შვილების მარტოსული სილამაზე გამოისყიდა.

ნიმე სადღოჯალაშვილი



ფერი დაუშავებია, თავისთვის იჯდა და წვნიანს მიირთმევდა. შენ კი მას თავს დაესხი და სცემე.

II

კარტერ უოტსონი უკიდურესად აღმწვანებული იყო: ჯერ იყო და უმიზეზოდ თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს, მერე კი დააპატიმრეს. ხასიათს ისიც უფუჭებდა, რომ დილის გაზეთებში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი წინა დღეს მომხდარი ამბავი. მათი ავტორები, რომლებიც ვითომდა პეტსი ჰორანისა და მის მხარდამჭერთა ნაამბობს ეყრდნობოდნენ, ამტკიცებდნენ, თითქოსდა მთვრალი უოტსონი სამჯერ შეჭრილიყოს რესტორანში და ჩხუბი აეტეხოს, რომ თითქოს პეტსის თანამშრომლებს ის სამჯერვე გამოეთრიოთ გარეთ და თხრილში ჩაედოთ; უზომოდ მთვრალი, პირდასისხლიანებული უოტსონი თურმე იმუქრებოდა, ამ რესტორანს ბოლოს მოუღებო. ერთ-ერთი გაზეთის პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული იყო სტატია სათაურით: **უზომოდ მთვრალი ცნობილი სოციოლოგი დაპატიმრებულია.** იქვე იყო მოთავსებული უოტსონის ფოტოსურათიც. დილის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო აგრეთვე შემდეგნაირად დასათაურებული სტატიებიც:

კარტერ უოტსონს ჩემპიონობის მოპოვება სურდა;

კარტერ უოტსონს საკადრისი მიეზლო;

ცნობილი სოციოლოგი რესტორნის განადგურებით იმუქრება;

პეტსი ჰორანმა კარტერ უოტსონი მესამე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო.

თავდებობით გამოშვებული კარტერ უოტსონი მეორე დღეს სასამართლოში გამოცხადდა მოპასუხედ მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე. მას ბრალი ედებოდა პეტსი ჰორანზე თავდასხმისა და მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში. სხდომის დანებების წინ პროკურორმა, რომელსაც სასამართლოზე ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებზე ბრალეულობათა წარდგენა ევალებოდა, გვერდზე გაიხმო უოტსონი:

– მოდით ეს საქმე მშვიდობიანად მოვაგვაროთ! ამისათვის თქვენ და ჰორანმა ხელი უნდა ჩამოართვათ ერთმანეთს და შერიგდეთ. ჩემი ერთი სიტყვა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მოსა-

მართლემ თქვენს წინააღმდეგ აღძრული სარჩელი გააუქმოს.

– მე არ მსურს სარჩელის გაუქმება, – მიუგო უოტსონმა, – თქვენი ვალია, დამდოთ ბრალი, თუკი გამაჩნია, და არა – ეცადოთ, შემარიგოთ ამ კაცთან.

– თუ ასეა, მაშინ მე თქვენ დაგდებთ ბრალს. – უხეშად მიუგო პროკურორმა უოტსონს.

– მაგრამ თქვენ მოგიხდებოდა დაადანაშაულოთ ჰორანიც, რადგან თვით ვაპირებ აღვძრა მის წინააღმდეგ სარჩელი თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფისათვის.

– უმჯობესია, შერიგდეთ და საქმე მშვიდობიანად მოგვარდეს, – განმეორებით შესთავაზა პროკურორმა.

ამჯერად მის ხმაში აშკარა მუქარა იგრძნობოდა. უოტსონმა კვლავ უარყო ეს წინადადება.

ერთი კვირის შემდეგ პოლიციის მოსამართლე უითბერგთან ორივე სარჩელის ერთდროული განხილვა დაინიშნა.

– ამ საქმის მოგების არავითარი შანსი არ გაგაჩნია. – უთხრა უოტსონს მისმა ძველმა მეგობარმა, ერთ-ერთი მრავალტირაჟიანი გაზეთის ყოფილმა მენეჯერმა. – მე დიდი გამოცდილება მაქვს მსგავს ამბებზე სტატიების გამოქვეყნებისა და შემძლია გითხრა, რომ ორივე საქმეს დახურავენ. რა თქმა უნდა, ჰორანი ცუდი რეპუტაციით სარგებლობს საზოგადოებაში და ყველა დარწმუნებულია, რომ სწორედ მან გაგლახა, მაგრამ ეს მაინც ასე მოხდება და ცნობილი სოციოლოგი რომ არ იყო, შენ გაგამტყუნებდნენ.

– ვერაფერი გამიგია, მე ერთხელაც არ დამირტყამს, მან გამლახა, საშინლად დამასახიჩრა და ნუთუ ამისათვის პასუხი არ უნდა აგოს?!

– ამას არა აქვს მნიშვნელობა. – შეაწყვეტინა მეგობარმა.

– როგორ თუ არა აქვს მნიშვნელობა, მაშ სამართალი არ არსებობს?!

– ახლავე აგისსი ყველაფერს, – თქვა მეგობარმა, – შენ აღსდექი ადგილობრივი პოლიციის და არა მხოლოდ პოლიციის, მთელი პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ. ვინ ხარ შენ? უცხო ხარ ამ ქალაქის მკვიდრთათვის და, ამიტომ მხარდამჭერიც არ გაგაჩნია. შენი მოწინააღმდეგე კი აქაური ერთ-ერთი ცნობილი მესაკუთრეა, ქალაქში დიდი ნონა აქვს და პოლიციაც და სასამართლოც მისი გავლენის ქვეშაა.

– იმის თქმა გინდა, რომ მოსამართლე უითბერგი უღალატებს სამართლის წმინდათანმინდა პრინციპებს და ამ ველურს არ დასჯის? – განცვიფრდა უოთსონი.

– თავად დარწმუნდები ამაში, – მიუგო მეგობარმა, – ამას იგი ისე ოსტატურად გააკეთებს, რომ განაჩენის ყოველი სიტყვა სამართლიანობის ნიშნად იგონება კაცს.

– მაგრამ ხომ არსებობს პრესაც! – იყვირა უოთსონმა.

– პრესა არ იბრძვის სასამართლოს წინააღმდეგ, გაზეთები ისევე გასთელენ ფეხქვეშ შენს ღირსებას, როგორც თვით სასამართლო. განა დღემდე შენზე გამოქვეყნებულმა სტატიებმა არ დაგარწმუნა ამაში?!

– განა დანვრილებით არ აღწერენ მომხდარ ამბავს?!

– დანერენ რალაც მიმსგავსებულს და მკითხველიც დაიჯერებს მას. პრესაც და სასამართლოც ზემოდან მიღებული დაუნერელი ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებს. უმჯობესია შეეგუო ამას და დათანხმდე საქმის მიჩუმათებას, თორემ უარესი მოგელის.

– მაგრამ საქმის მოსმენა ხომ უკვე დანიშნულია!

– არა უშავს, თუ თანახმა ხარ, ყველაფერი მოგვარდება. ბრძოლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ გამარჯვების მცირე შანსი მაინც არსებობს.

III

კარტერ უოთსონი შეუპოვარი და მიზანსწრაფული ადამიანი იყო. შინაგანად არასდროს ყოფილა შურისმაძიებელი, მაგრამ პროფესიით სოციოლოგი კანონის მოყვარულიც გახლდათ და არ შეეძლო დაეშვა, რომ ვიღაც ვიგინდარა მესაკუთრის თავაშვებულობა და ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა დაუსჯელი დარჩენილიყო. თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ მისი მეგობარი, გაზეთის ყოფილი მენეჯერი სწორი იყო – სიმართლის ძიება სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა და გამარჯვების შანსი თითქმის არ არსებობდა. ეს სოციოლოგიური მოვლენა მისთვის აქამდე უცნობი იყო და მისი გადანყვეტილება, ბრძოლა განეგრძო, იმითაც იყო განპირობებული, რომ გამოეკვლია და ბოლომდე შეესწავლა იგი.

სასამართლოს დასაწყისშივე პროკურორი კიდევ ერთხელ შეეცადა საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა, რასაც

უოთსონი არ დაეთანხმა.

– მე შემძლია ადვოკატი დავიქირავო. – განუცხადა უოთსონმა პროკურორს.

– არა, ამაზე მე თვითონ ვიზრუნებ, – თქვა პროკურორმა, – ხელფასს იმაში მიხდიან, რომ ყველა საკითხი მე მოვაგვარო. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, გამარჯვების არავითარი შანსი არ გაგაჩნიათ. ორივე საქმის განხილვა ერთადაა დანიშნული და განაჩენი იგივე იქნება, რასაც ახლა მე გთავაზობთ.

მოსამართლე უითბერგი საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჩაფსკენილი ახალგაზრდა კაცი გახლდათ. შავთვალა, ინტელიგენტური შესახედაობის, სუფთად ნვერგაპარსულ ამ ახალგაზრდას სახეზე კეთილი ღიმილი დასათამაშებდა, რამაც უოთსონზე იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ეჭვი შეეპარა თავისი ძველი მეგობრის მტკიცების ჭეშმარიტებაში, თითქოს მოსამართლეებს განაჩენი გამოჰქონდეთ ზემოდან მიღებული რალაც დაუნერელი ინსტრუქციის საფუძველზე.

მაგრამ ეს ეჭვი სწრაფად გაქარწყლდა და საბოლოოდ დარწმუნდა მეგობრის მტკიცების სისწორეში მას შემდეგ, რაც ჰორანმა და მისმა ორმა თანამზრახველმა ყალბ ჩვენებათა მთელი სერია წარმოადგინეს. ეს ჩვენებები იმდენად უტიფარი და თავხედური სიყალბე იყო, უოთსონი ადრე ვერც კი წარმოიდგენდა, ასეთი რამ თუ შეიძლებოდა თქმულიყო სასამართლოზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩხუბს ესწრებოდა მხოლოდ ის ორი თვითმხილველი, რომლებიც ჩვენებას იძლეოდნენ. ამ ორიდან ერთ-ერთი ამტკიცებდა, რომ პეტისთან ერთად სამზარეულოში იმყოფებოდა, როცა უოთსონი შეიჭრა მათთან, ყოველგვარი მიზეზის გარეშე თავს დაესხა და სცემა საბრალო პეტსი. მეორე „მონმე“ კი ამტკიცებდა, რომ მომხდარი ინციდენტის დროს ბარში იმყოფებოდა და მონმე იყო იმისა, რომ უოთსონი კიდევ ორჯერ შემოიჭრა რესტორანში, პეტსი ჰორანს უმიზეზოდ აუტეხა ჩხუბი და საშინლად დაასახიჩრა. ორივე „მონმე“ ჩხუბის ატეხასთან ერთად ისეთ ბილნსიტყვაობაში სდებდა უოთსონს ბრალს, რომ ნორმალური ადამიანი ამას არ დაიჯერებდა. მათი მტკიცებით უოთსონი არა მარტო მუშტებს, ნიხლებსაც ურტყამდა პეტსის და მიზანს აცდენილი ნიხლებით თითქოს სავარძელიც კი დააზიანა. სასა-



ლომენიკო

ისე მიჭირს ჩემს საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟზე სიტყვის დაძვრა, როგორც ბავშვობაში, როცა ერთხელ „დიდმა ბიჭებმა“ მკითხეს თანაკლასელებზე – ჰა, აბა, რომელია შენი ყველაზე მაგარი ძმაკაციო... ბევრ პერსონაჟთან ერთად მიცხოვრია და ღამეებიც მითენებია მათი ტკივილის თუ სიხარულის თანამოზიარეს, მაგრამ ერთი მაინც უნდა გამოვარჩიო, რადგან ეს უბრალოდ „პერსონაჟი“ არაა. ეს არის მგზავრი, რომელიც ჩემში ბეტანკურიანი რომანის (როგორც ამას ბატონი გურამ დოჩანაშვილი იტყვოდა) ნაკითხვამდეც ცხოვრობდა, ოღონდ ეგაა, მაშინ უბრალოდ „მგზავრი“ იყო და მხოლოდ შემდეგ გახდა დომენიკო. როცა პირველად გავიცანი, მეც სოფელში ვცხოვრობდი და მეც ხშირად ვოცენობდი ქალაქში ნასვლაზე... მერე ის შინ დაბრუნდა და მე მაინც ჯიუტად დავადექი მის გავლილ გზას. ჩვენ ხომ ყველას გვაქვს ჩვენი ლამაზ-ქალაქი, ჩვენი კამორა... უბრალოდ, სანამ „მოსალოცები“ ვართ, არ ვიცით ხოლმე. მერე ჩემი ლამაზ-ქალაქი თანდათან ისე დაპატარავდა, როგორც მამაჩემი ჩვენს ბოსტანზე იტყოდა – ხარი ვერ მოიქნევს კუდს. ამიტომაც მკაცრი სავიზო რეჟიმი შემოვიღე და მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ვაძლევ ხოლმე შემოსვლის ნებას... სამაგიეროდ, კამორამ შემოიერთა ყველა მიმდებარე სოფელი და ქალაქებსაც მისწვდეს ლამის. მესამე საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზეც გაჭრეს სისხლისფერი ლენტი და უახლეს მაღალტექნოლოგიურ მიღწევებსაც ისე ბეჯითად ითვისებენ, კავტანო პირდაპირ ეთერში ამცნობს მთელ ქალაქს: „ლამის ცხრა (თორმეტი...) საათია და ყველაფერი გენიალურადაა!..“ მე კი ჩემი ლამაზ-ქალაქის მოხუცი ღამის დარაჯი ლეპ-

დასასრული 63-ე გვერდზე



მართლო კომედიას ემსგავსებოდა, რაც უოტსონს, ერთის მხრივ, ამხიარულეზდა, მაგრამ, იმავდროულად, გულსაც უკლავდა, რადგან ნათლად ხედავდა საზოგადოების დაცემას და გრძნობდა, რომ ეს მანკიერება ისე ღრმად იყო გამჯდარი მასში, საკმაოდ დიდი დრო იყო საჭირო მის აღმოსაფხვრელად.

უოტსონი სასამართლოზე გააშავეს, წარმოაჩინეს როგორც გამოუსწორებელი ჩხუბისთავი, ლოთი და ნაძირალა. მაგრამ ცნობილია, რომ ცრუმონმეობაში, რაგინდ დახვეწილიც არ უნდა იყოს იგი, თავს იჩენს ხოლმე წინააღმდეგობები მონმეთა მონათხრობის ცალკეულ ეპიზოდებს შორის, სწორედ ასე მოხდა ამჯერადაც. მოსამართლეს თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა ამ წინააღმდეგობებს, პროკურორი კი მათ მიჩქმალვას ცდილობდა. უოტსონი არ ნანობდა, ადვოკატი რომ არ აიყვანა, რადგან იცოდა, იგი კომედიის მხოლოდ ერთ-ერთი პერსონაჟი იქნებოდა.

როცა უოტსონს თავის მართლებისათვის სიტყვა მისცეს, მასში მთლად ჯერ კიდევ არ გამქრალიყო სიმპათია მოსამართლის მიმართ და ვერ დაეჯერებინა, რომ იგი სამართლიანობის წმიდათანმინდა პრინციპებს უღალატებდა.

– ბატონო მოსამართლე, მე ქუჩაში მივდიოდი, – დაიწყო უოტსონმა, მაგრამ მოსამართლემ უხეშად შეაწყვეტინა.

– ჩვენ არ გვანტერესებს, რა ხდებოდა ადრე, – დაუყვირა მან უოტსონს, – მითხარით, ვინ დაიწყო ჩხუბი?

– თქვენო უმაღლესობავ, – მიუგო უოტსონმა, – ამ ჩხუბში მე არ მყავს მონმე, ამიტომ ჭეშმარიტების დადგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ, თუ თავიდან ბოლომდე მომისმენთ...

მოსამართლემ კვლავ შეაწყვეტინა.

– ეს სასამართლოა და არა ჟურნალის რედაქცია! – დასჭექა უითბერგმა და უოტსონს ისეთი ბოროტი, სასტიკი თვალით შეხედა, რომ მას ამ კაცში გაუჭირდა იმ ადამიანის შეცნობა, რომლის კეთილმა გამომეტყველებამ ცოტა ხნის წინ დიდად მოხიბლა.

– ვინ დაარტყა პირველმა? – გაიმეორა მოსამართლის კითხვა პეტსის ადვოკატმა.

საქმეში ჩაერია პროკურორი, რომელმაც მოისურვა, „გარკვეულიყო“, თუ განსახილველი ორიდან პირველად რომელი საქმე იხილებოდა და რა უფლება ჰქონდა პეტსის ადვოკატს დაკითხვა

ენარმოებინა. პეტსის ადვოკატმა გააპროტესტა პროკურორის მოთხოვნა. მოსამართლე უითბერგმა განაცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო საქმეთა გაერთიანება და მოითხოვა სიცხადის შეტანა ამ საქმეში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სპექტაკლი იყო; ყველამ ყველაფერი თავიდანვე კარგად იცოდა. ამის შემდეგ თითქოს დავა გამწვავდა და ბოლოს ყველაფერი „გაირკვა“. ადვოკატმა და პროკურორმა ერთმანეთს ბოდიში მოუხადეს და ორივემ ერთად – მოსამართლეს. ასე გრძელდებოდა ეს სპექტაკლი. უოტსონისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ საქმე ჰქონდა ნაძირალეებთან, რომლებმაც მისი სახით პატიოსანი ადამიანის ირგვლივ გაითამაშეს დანაშაულის გამოძიების ეს სპექტაკლი, სინამდვილეში კი თვითონ იყვნენ კრიმინალები და დამნაშავენი, სამართალდამცველთა ნიღაბს ამოფარებულნი რომ ძარცვავდნენ პატიოსან ადამიანებს. ერთი სიტყვით, მანქანა წარმატებით მუშაობდა.

– რატომ შეხვედით ამ საეჭვო რეპუტაციის რესტორანში? – ჰკითხა პროკურორმა უოტსონს.

– სოციოლოგი გახლავართ; მრავალი წელია გამოკვლევებს ვანარმოებ ეკონომიკისა და სოციოლოგიის დარგში და ინფორმაციის მიღების მიზნით...

მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, კვლავ შეაწყვეტინეს.

– არ გვანტერესებს თქვენი „ოლოგიები“, – შეუღრინა უითბერგმა, – კითხვა გარკვევით დაგისვით და გარკვევითვე მიპასუხეთ. მართალია, რომ მთვრალი იყავით?

როცა უოტსონმა განუცხადა სასამართლოს, რომ გონდაკარგულმა პეტსიმ ცხვირი და თვალი თავად დაისახიწრა, საკუთარ სახეს რომ ურტყამდა მის თავს, მას სიცილი დააყარეს. მოსამართლე უითბერგი ცდილობდა, აეძულებინა უოტსონი, ისე ეპასუხა, როგორც მას სურდა.

– თქვენ სასამართლოს წინაშე ფიცი დადეთ, რომ იტყოდით სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, – უთხრა უითბერგმა უოტსონს, – ნაცვლად ამისა, სასამართლოს ზღაპრებს უამბობთ: განა შეიძლება კაცმა სახე ურტყას მეორე ადამიანის თავს საკუთარი თვალისა და ცხვირის დასახიწრების მიზნით?! თქვენ ნამდვილი ცინიკოსი ხართ.

– კაცმა სიშმაგისაგან შეიძლება ჭკუა

დაკარგოს. – მიუფო უოთსონმა.

უითბერგმა უკიდურესად აღშფოთებული სპეტაკი ადამიანის გამომეტყველება მიიღო.

– ვინ მოგცათ უფლება ასეთი სისულელე ამტკიცოთ? ეს უხამსობაა, ეს უზნეობა! – ყვიროდა იგი, – თქვენ ვალდებული ხართ სასამართლოს მოახსენოთ ყოველივე ის, რაც მოხდა და როგორც მოხდა. სასამართლოს არ სურს, ისმინოს თქვენი მოსაზრებები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ სინამდვილესთან.

– მე მხოლოდ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებ, ბატონო მოსამართლე. – შეედავა უოთსონი.

– მსგავსი არაფერი გაგიკეთებიათ. – კვლავ გაჰყვიროდა იგი. – თქვენი საქციელით მხოლოდ ზიზღს იმსახურებთ. იცოდეთ, ჩვენ შესანიშნავად გვეცმის კანონები და ისიც, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი სასამართლოზე. თქვენს მაგივრად მე მრცხვენია თქვენი საქციელისა.

მანამ, სანამ პროკურორი და ადვოკატი ერთმანეთს „ეკამათებოდნენ“ იურისდიქციის წვრილმანებზე, კარტერ უოთსონს, რომელსაც შეაწყვეტინეს თხრობა „ვენდომში“ მომხდარი ამბის შესახებ, მიეცა საშუალება იმის ანალიზისა, რაც სასამართლოს დარბაზში ხდებოდა. მას უკვე აღარ აღიზიანებდა მათი ამორალობა, მასთან უკვე შეგუებული იყო. მაგრამ, როგორც თავისი ქვეყნის ქვეყნის პატრიოტს, აძრუნებდა ის დასკვნა, რომლის გამოტანაც მოასწრო. უოთსონს თვალწინ წარმოუდგა მთელ ქვეყნაში გაბატონებული ვეებერთელა და, იმავდროულად, მორალურად უბადრუკი პოლიტიკური მანქანა, რომლის მიზანი იყო ყველა დონეზე: ყოველ ქალაქში, ყოველ შტატში, მთელს ქვეყანაში, ხელი შეეწყო მესაკუთრეთა ბატონობისათვის უბრალო ადამიანებზე. საეჭვო რეპუტაციის დაწესებულების მეპატრონის – პეტსი ჰორანის წინაშე ქედმოხრილი მოსამართლის, პროკურორისა და ადვოკატის ამორალობა მხოლოდ კერძო შემთხვევა იყო ამ პოლიტიკური მანქანის საქმიანობისა.

მათი ყოველი ფრაზა, წარმოთქმული „პოლემიკის“ პროცესში, სასაცილო იყო, მაგრამ უოთსონი სიცილისგან თავს იკავებდა. ბოლოს, თავი რომ ვეღარ შეიკავა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ეს ხომ მეტისმეტად სასაცილოა.

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ

მოსამართლე უითბერგის მრისხანე შეხედვამ გადააფიქრებინა.

ეს ნაძირალები ზღვის მეკობრეებზე უარესნი იყვნენ. მეკობრეები თავიანთ მსხვერპლს თავს კი ესხმოდნენ, მაგრამ მსხვერპლი ზოგჯერ ახერხებდა, თავი დაეცვა. ისინი კი მსხვერპლს სასამართლოზევე უსპობდნენ თავდაცვის საშუალებას კანონის მათებური მახინჯი ინტერპრეტაციის საფუძველზე; მერე კი კუნთმაგარი და ჭკუასუსტი პოლიციელები მათ ციხეებში ყრიდნენ.

სასამართლოს გროტესკულობამ უოთსონს პირადი დრამა დაავიწყა და მხიარულ ხასიათზე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აწყვეტინებდნენ და ჯვარედინი დაკითხვებით არ აძლევდნენ სიტყვის დასრულების საშუალებას, უოთსონმა მაინც შეძლო, ისე დამაჯერებლად მოეთხრო სასამართლოსთვის ის, რაც სინამდვილეში მოხდა, რომ ვერც პროკურორმა და ვერც ჰორანის ადვოკატმა ვერ შეძლეს, უარეყოთ სინამდვილე ყოველი წვრილმანისა და პეტსისა და მის მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებები კი მეტისმეტად არადამაჯერებელი იყო.

პეტსის ადვოკატმა და პროკურორმა, იმის გამო, რომ ვერ ასაბუთებდნენ, შეწყვიტეს ბრალეულობათა წარდგენა და მოითხოვეს განაჩენის გამოტანა დაუსაბუთებელ ბრალდებათა საფუძველზე; უოთსონმა გააპროტესტა, მაგრამ პროკურორმა გააჩუმა, მოსამართლე კი უარყო ეს პროტესტი.

როგორც იქნა, მოსამართლე უითბერგმა გამოაცხადა განაჩენი, რომელიც ღალატებდა:

სასამართლომ განიხილა კარტერ უოთსონის წინააღმდეგ აღძრული საქმე, რომელშიც რესტორან „ვენდომის“ მეპატრონე პატრიკ (პეტსი) ჰორანი მას ბრალს სდებს, თითქოს იგი შეჭრილიყოს მის რესტორანში, მისთვის ჩხუბი აეტეხოს და სახე დაესახიჩრებინოს. კარტერ უოთსონი უარყოფს ბრალდებას და აცხადებს, რომ პატრიკ ჰორანმა დაუწყა მას ჩხუბი, თვითონ კი მხოლოდ თავს იცავდა. სასამართლომ ვერ შეძლო კარტერ უოთსონის ბრალეულობის დამტკიცება და ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმე საეჭვოობის სასარგებლოდ წყდება, სასამართლო მას უდანაშაულოდ აცხადებს და ათავისუფლებს პატიმრობისაგან.

სასამართლომ განიხილა აგრეთვე



ოლდინო შტატების შემცირების გამო პენსიაზე გაუშვი და ახლა შვილიშვილების გასაგონადლა ბუტბუტებს ჩახლენილი ხმით: „დილის რვა საათია და...“ საათზე გამახსენდა: მეც მაქვს სამსახური ამ ჩვენს მაღალტექნოლოგიურ კამორაში და წასასვლელი ვარ ანი, მაგრამ სანამ წავალ რაღაც უნდა გაგიმხილოთ: მოარულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას თუ დავუჯერებთ, სადღაც აქვე, კამორის ახლოს, თეთრი თიხისგან ქალაქს აშენებენ თურმე, შეუმინავი სარკმლებით და მოკირწყლული ქუჩებით. იქ სიცოცხლის უფლების სანაცვლოდ სულის მიყიდვას არავინ მოგთხოვთ... ძვირფასო ქალაქელებო, ჩემი სოფლის გზაც იქით მიდის და ხვალ მეც ამ გზას უნდა დავადგე, თან, მარტო სიარულიც მომბეზრდა და თანაც, მერამდენედ უნდა გითხრათ – უთქვენოდ ქალაქი არ აშენდება და ამიტომ, ჩემო (მერამდენედ!) ქალაქელებო, წამოდი, წამოდი კანუდოსში!..

წუპრი პარტიული



პატრიკ (პეტსი) ჰორანის წინააღმდეგ აღძრული საქმე, რომელშიც სოციოლოგი კარტერ უოთსონი ბრალს სდებს მას იმაში, რომ როცა იგი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის შევიდა ჰორანის რესტორანში, ის მას უმიზეზოდ თავს დაესხა, ჩხუბი აუტეხა და სხეულის მიძიმე დაზიანება მიაყენა. სასამართლომ ასევე ვერ შეძლო პატრიკ ჰორანის ბრალეულობის დამტკიცება და რადგან საქმე საექვობის სასარგებლოდ წყდება, ამიტომ მასაც უდანაშაულოდ აცხადებს და სასჯელისაგან ათავისუფლებს.

სასამართლო კარტერ უოთსონსა და პატრიკ ჰორანს მოუწოდებს, შერიგდნენ და ხელი ჩამოართვან ერთმანეთს.

საღამოს გაზეთებმა, პირველსავე გვერდებზე გამოაქვეყნეს შემდეგნაირად დასათაურებელი წერილები:

კარტერ უოთსონი გაამართლეს;

კარტერ უოთსონმა მოახერხა ჯარიმისაგან თავის დაღწევა;

კარტერ უოთსონი ღირსეული პიროვნებაა.

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული იყო წერილი, რომლის ავტორიც ამტკიცებდა, თითქოს მოსამართლე უიბერგის რჩევით უოთსონმა და ჰორანმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მერე კი თურმე ჰორანს უოთსონისათვის მხარზე ხელი გადაუხვევია და უახლოეს კაფეში შესვლა და შერიგების სადღეგრძელოს შესმა შეუთავაზებია, რაზედაც თითქოს უოთსონი დათანხმებულა.

IV

კარტერ უოთსონი არ ნანობდა და კმაყოფილიც კი იყო იმით, რაც მშობლიურ ქალაქში გადახდა, რადგან სასამართლო პროცედურა, მას რომ მოუწყვეს, შესანიშნავ მასალას წარმოადგენდა სოციოლოგიური გამოკვლევისათვის. გადაწყვიტა, ეს მასალა შეეტანა წიგნში: „სასამართლო პროცედურა. ანალიზი და დასკვნები“.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ, ზაფხულის დილას, თავისი რანჩოს შემოვლისას, ცხენით მიმავალი უოთსონი ვინრო ხეობაში ჩამოქვეითდა გასულ ზამთარს ჩანერგილი დეკორაციული გვიმრის ბუჩქების შესამონმებლად; აღმა აუყვა ხეობას და, ხეობიდან გამოსვლისას, მიადგა ბორცვებით, ბუჩქებითა და ხეებით გარშემორტყმულ, ყვავილებით მოფენილ ულამაზეს ველს.

აქ ის შემოეყარა მამაკაცს, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი მილით დაშორებული პატარა ქალაქის სასტუმროდან მოდიოდა (ზაფხულის იმ ცხელ დღეს მისი რანჩოს ნალკოტში დასვენება თუ განიზრახა). ეს კაცი მოსამართლე უიბერგი გახლდათ. იცნეს ერთმანეთი. უოთსონს თავისი რანჩოს ტერიტორია მინის სხვა ნაკვეთებისგან გამიჯნული ჰქონდა სასაზღვრო ნიშნებით, თუმცა ამ ნიშნებს ყურადღებას არ აქცევდა და უცხო ადამიანებს უფლებას აძლევდა, საზღვარი გადაეკვეთათ.

უიბერგი მიესალმა და ხელი გაუწოდა, მაგრამ უოთსონმა არ ჩამოართვა.

– პოლიტიკა ბინძური საქმეა; განა ასე არაა, მოსამართლევე?! – თქვა უოთსონმა, – და თქვენ ამ საქმეს ემსახურებით, ნაცვლად იმისა, რომ სიმართლეს ემსახუროთ. სწორედ ამიტომ არ ჩამოგართვით ხელი. ასევე ამ ჩამოვართვი ხელი პეტსი ჰორანს სასამართლოს შემდეგ, თუმცა გაზეთები წერდნენ, თითქოს მისთვის ხელი ჩამომერთმიოს. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ გაცილებით ნაკლები ცოდვა იქნებოდა მისთვის და მისი ნაძირალა თანამზრახველებისთვის ხელის ჩამორთმევა, ვიდრე თქვენთვის.

უიბერგმა მტკივნეულად მიიღო უოთსონის ნათქვამი; ნირი წაუხდა; ენა დაეხა; გაუგებრად აღულულულა. უოთსონმა გამომცდელად შეხედა უიბერგს; აინტერესებდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მისმა სიტყვებმა. მოსამართლის გამომეტყველება იმავდროულად ტრაგიკულიც იყო და კომიკურიც; გროტესკულ ნიღბიან ანტიკურ მსახიობს ნაავავდა.

– არ მეგონა, თქვენი ცოდვისა და ინტელექტის მქონე ადამიანი ასე გულღვარძლიანი თუ იქნებოდა. – ამოღერდა უიბერგმა.

– არასდროს ვყოფილვარ გულღვარძლიანი. – თქვა უოთსონმა, – ამის დასამტკიცებლად ისეთ რამეს გიჩვენებთ, რის მსგავსიც არასდროს გინახავთ ცხოვრებაში. აბა, შემომხედეთ!

ამ სიტყვებთან ერთად უოთსონმა ხელი დაავლო მოზრდილ წვეტიან ქვას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახეში ჩაირტყა. ყბის ძვლამდე დასული ჭრილობიდან სისხლმა ამოხეთქა.

– ძალიან წვეტიანი ქვა შეგხვდათ. – თქვა გაოცებულმა მოსამართლემ, რომელმაც გაიფიქრა, ხომ არ გაგიჟდა ეს კაციო.

– უნდა ვალიარო, რომ ცოტათი მეტი მომივიდა, – თქვა უოტსონმა, – სახე და-ვიზიანე.

ამის შემდეგ უოტსონმა აიღო სიპი ქვა და რამდენიმეჯერ დაირტყა ჭრილობაზე. მერე ცინიკური ტონით განაგრძო:

– ეს ჭრილობა რამდენიმე საათში მომწვანო-მოშავო შეფერილობას მიიღებს. ო, რა ლამაზი იქნება!

– თქვენ ნამდვილად გაგიჟდით! – შესძახა შეძრწუნებულმა უითბერგმა.

– ნუ ილანძღებით! – თქვა უოტსონმა, – აბა, შეხედეთ ჩემს ჩალურჯებულსა და დასისხლიანებულ სახეს! ეს ჭრილობა თქვენ მომაცენეთ: ჯერ წვეტიანი ქვა ჩამცხეთ სახეში, მერე კი რამდენჯერმე – სიპი. და, ამის შემდეგ, მე მეძახით გიჟს? თქვენ მე უმიზეზოდ დამესხით თავს და ჩემს სიცოცხლეს საფრთხეს უქმნით, ამიტომ იძულებული ვარ, თავი დავიცვა.

მოსამართლემ შეხედა მოღერებულ მუშტს და უკან დაიხია.

– თუ დამარტყამთ, თქვენ თავს დავაპატიმრებინებ. – თქვა მან.

– სწორედ ასე განვუცხადე მაშინ პეტსის და იცით, რა მიპასუხა? აი, ეს! – შესძახა უოტსონმა.

და ამ სიტყვებთან ერთად ისე მძლავრად სთხლიშა მუშტი სახეში, რომ „კანონის მსახური“ ჯენტლმენი მიწაზე გაიშხლართა.

– ადექი! – უბრძანა უოტსონმა, – თუ ჯენტლმენი ხარ, ადექი. სწორედ ასე მიბრძანა მაშინ პეტსიმ და ეს მშვენივრად იცით.

მოსამართლე უითბერგმა წამოდგომა ვერ შეძლო. უოტსონმა ხელი საყელოში ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა; მერე კვლავ დაარტყა, თვალი ჩაულურჯა და მიწაზე დაანარცხა. ამის შემდეგ კი ისე საშინლად დაასახიჩრა, შურისმაძიებელი, ნითელკანიანი ინდიელების ანგარიშსწორების მსხვერპლი გეგონებოდათ: მუშტები ურტყა ყბებში, ყურებში; მერე ფეხებში ჩაავლო ხელები და მიწაზე ათრია ისე, რომ მისი სახე მიწას ეხახუნებოდა და ბელტებს ეხლებოდა; დროდადრო წამოაყენებდა ხოლმე და კვლავ ურტყამდა მუშტებს. ერთი სიტყვით, ისე გვარიანად მიბეგვა, მასთან შედარებით საკუთარი ყბის დაზიანება მონაგონი იყო. უოტსონი ჰუმანური პიროვნება გახლდათ და ყოველივე ეს ისე გააკეთა, მოსამართლეს არ მიეღო ისეთი ტრავმა, რაც მას სამუდამოდ ხე-

ბრად დატოვებდა. გული რომ იჯერა, წამოაყენა და საკუთარი ცხვირი მიახალა მოსამართლის თავს (არც თუ ძლიერად, მოზომილად) სწორედ ისე, როგორც ჰორანმა უოტსონისას საკუთარ რესტორანში. ცხვირიდან სისხლი რომ წამოუვიდა, უკან დაიხია, სისხლის წვეთები ხალათიდან გადმოიბერტყა და უითბერგს უთხრა:

– ხომ ხედავ სისხლის წვეთებს. ეს ჭრილობაც შენ მომაცენე. სხვა რა გზაა, უნდა გავაგრძელო თავის დაცვა.

ამ სიტყვებთან ერთად ერთი კიდევ უთავაზა და ნოკდაუნში ჩააგდო.

– მე დავაჭერინებ შენს თავს. – დაიკვნესა მიწაზე გაშხლართულმა მოსამართლემ.

– ასე დამემუქრა პეტსიც.

– თქვენ მე უმიზეზოდ მესხმით თავს და საშინელ დარტყმებს მაცენებთ. – სლუკუნებდა უითბერგი.

– ასე ამბობდა პეტსიც.

– ნამდვილად დავაპატიმრებინებ შენ თავს.

– ამას მე უფრო ადრე გავაკეთებ.


კარტერ უოტსონი მოშორდა „ბრძოლის ველს“, ფეხით გაიარა ხეობა, მერე ცხენზე შეჯდა და ქალაქში გაემგზავრა.

ერთი საათის შემდეგ რანჩოდან სასტუმროში კოჭლობით მიმავალი მოსამართლე უითბერგი კონსტებლმა⁴ დააპატიმრა კარტერ უოტსონის სამფლობელოში უკანონოდ შეჭრისა და მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისათვის.

V

სოფლის სასამართლოზე ორი სარჩელი უნდა განხილულიყო: სოციოლოგი კარტერ უოტსონი უჩიოდა სოლ უითბერგს, რომ იგი უკანონოდ შეიჭრა მისი რანჩოს ტერიტორიაზე, უმიზეზოდ თავს დაესხა მას და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა; უითბერგი კი უჩიოდა უოტსონს, რომ უოტსონი მას, მისი რანჩოს ტერიტორიაზე შემთხვევით მოხვედრილს, უმიზეზოდ დაესხა თავს და სცემა.

– თქვენო უმაღლესობავ, – მიმართა უოტსონმა მოსამართლეს, შეძლებულ ფერმერს, რომელსაც ოცდაათი წლის წინ ვეტერინალური კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, – ამ კაცს, სოლ უითბერგს, რომელიც უკანონოდ შემოიჭრა ჩემს რანჩოში, სრულიად უმიზეზოდ ჩხუბი ამიტყვა და დამასახიჩრა, ეყო თავხედობა და თავად აღძრა სარჩელი ჩემს



„ადამიანები, რომლებაც განიპარცვის...“

ეკა? არა, უფრო ორსული ნინო სადღობელაშვილის რომანიდან... „რათა გასაკვირი იმაში, რომ ქალი, რომელიც ამდენი ხანია შეყვარებულია, დაორსულდეს? მით უფრო მაშინ, როცა ის, მისი შეყვარებულიც ორსულადაა: მისგან, მასზე ფიქრისგან, მისი შურისგან...“ ის არ ოცნებობს ფრენაზე, იმიტომ, რომ ჰგონია, ისედაც აფრენს. უბრალოდ, არ უნდა დაინახოს ის, მისი შეყვარებული როგორ ღალატობს, როგორ იტყუება, როგორ ქედმაღლობს. და მან არ უნდა გაბედოს მისი მიტოვება. არადა ხმები ამბობენ, არ უყვარსო იმ კაცს, „ეკას სიყვარული ძნელია“... იმასაც ამბობენ, „მაგ გოგოს გულში რაღაც ბზარი აქვს, ყოველ მიკარებაზე ეგრე იქნება, სულ ეგ შეგრძნება გექნება, რომ სიკვდილს შეეხე...“ არადა ერთნაირ სიზმრებს ხედავენ, ერთნაირ ფრაზებს წერენ... და ეკამ იცის, ხვალ რა იქნება...“ ხვალ მე შენ მიყვარხარ...“ ეკა იქნებ მეზღაპრეა, მაგრამ ნამდვილად აქვს ლურჯი წიგნი, და იქ ნაუკითხავს როგორ უნდა იცხოვრო „იმაზე უფრო დიდხანს, ვიდრე საათი გიჩვენებს და იმაზე უფრო გემრიელად, ვიდრე წარმოგიდგენია“, ეკამ იცის, რომ „ერისიონს დიდი ძალა აქვს. ეგ ხომ საზღვარია – ცას და მიწას შორისაა, თვალი უნდა გაუსწორო და, აუცილებლად გიპასუხებს... რასაც უკანასკნელად შეეკითხები, იმას...“ ეკა იქნებ მეზღაპრეა, მაგრამ სხვაგვარი სიყვარული იცის, მას ახსოვს „ადამიანები, რომლებმაც განიპარცვეს, რათა შემოსილიყვნენ.“ და აღარ ახსოვს თავის მეთერთმეტე მცენება: „არ მოიხიბლო!“ ეკა პოეტიკა და შეუძლია, რომ „ქარს გაატანოს თავის პური“. ეკა პოეტიკა და იცის, რომ დანერს ამ ლექსს:

„...ან სიზმრები რალს გამოიგონე, ან ამ მთაზე რალად შემაყენე და დამტოვე გაცოცხლებული ბავშვივით?“

და დანერა... მაგრამ განა რა მოხდა. ახლა ხომ ეკა ორსულია, დედამინა კი „დღემდე მხოლოდ ორსულთა მუცლებში ბრუნავს, და ღმერთმა არ ქნას, აღარ... ღმერთმა არ ქნას...“



წინააღმდეგ. რადგან ასეა, გთხოვთ ეს ორი საქმე ერთად განიხილოთ.

მოსამართლე დაეთანხმა ამ წინადადებას. სხდომის დასაწყისშივე უოთსონს მისცეს სიტყვა, როგორც ბრალმდებელს, რომელმაც მოუთხრო სასამართლოს, თუ რა მოხდა.

– ჩემს რანჩოში გახლდით და ყვავილებს ვკრეფდით, – დაიწყო უოთსონმა ჩვენების მიცემა, – ვიმეორებ, ჩემს მინაზე ვკრეფდით ყვავილებს და რას წარმოვიდგენდი, თუ საფრთხე შემუქრებოდა. მოულოდნელად ეს კაცი, ჩემს უკან, მწვანე ნარგავებში რომ ყოფილა ჩასაფრებული, სრულიად უმიზეზოდ თავს დამესხა და შემომძახა: „მე დოდო გახლავარ, შენი განადგურება მაქვს განზრახული, აბა, ხელები მაღლა!“ ხუმრობა მეგონა, გავიღიმე. მაგრამ მან წვეტიანი ქვა მთხლიშა სახეში, მინაზე დამანარცხა და ცემა დამიწყო, უზომოდ მთვრალი იყო, მცემდა და თან უშვერი სიტყვებით მაგინებდა. აბა, შემომხედეთ, რა დღეში მაქვს ცხვირი და ყბა! ეს იყო ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც კი თავს გადამხდენია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე და სხვა გზა არ მქონდა, თავი უნდა დამეცვა! აი, ყოველივე ის, რაც მოხდა. თქვენო უმაღლესობავ, მინდა გამოვთქვა ჩემი უკიდურესი გაოგნება და გაცემა: რატომ უნდა თავის თავს დოდო? რატომ დამესხა თავს უმიზეზოდ და რატომ მცემა ასე სასტიკად?

უოთსონმა უითბერგს ყალბი ჩვენების საუცხოო მაგალითი უჩვენა. მოსამართლის სავარძელში მჯდომს ბევრჯერ მოუსმენია ყალბი ჩვენებები პროცესებზე, რომლებშიც ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანის ღირსება. ამჯერად, პირველად თავის სიცოცხლეში, ასეთი ჩვენება მის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამას ისმენდა არა მოსამართლის რანგში, არამედ ბრალდებულის სკამზე მჯდომი, გვერდით კი შეიარაღებული პოლიციელი ედგა.

– თქვენო უმაღლესობავ, არასდროს მსმენია ასეთი უხამსი ტყუილი, ასეთი უბადრუკი მატყუარის მიერ წარმოთქმული, რომელსაც ნილაბიც კი არ გააჩნია. მე... მე...

უოთსონი წამოხტა ადგილიდან:

– თქვენო უმაღლესობავ, მე ვაპროტესტებ! თუ ვინ არის მატყუარა და ვინ არა, ეს თქვენი გადასაწყვეტია და არა ბრალდებულის. მის პირად აზრს სასამართლოს საკითხებზე და, აგრეთვე,

ჩემი პიროვნების შესახებ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

უოთსონმა მოარტყა მიზანში: მოსამართლე აღშფოთდა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს. მერე კეფა მოიფხანა და განაცხადა:

– საკითხი სწორადაა დასმული. მაკვირვებს თქვენი საქციელი, ბატონო უითბერგ; აქ თქვენი ბრალდებული ბრძანდებით და ისე იქცევით, თითქოს მოსამართლე იყოთ. თქვენი ქცევა და ლოგიკა განაფულ თაღლითს გამსგავსებთ, რომელიც სასჯელისგან თავის დასაძვრენად ყველაფერს კადრულობს. საკითხი მარტივად დგას: უნდა გაირკვეს, ბატონ უითსონს მიაყენეთ თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა და აუტყუებთ თუ არა მას ჩხუბი, დაარტყით თუ არა მას პირველმა. ყოველივე ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს და არა თქვენ. ჩვენ არ გვინტერესებს თქვენი აზრი მისი პიროვნების შესახებ. გთხოვთ მხოლოდ ჩვენება მოგვცეთ და მეტი არაფერი!

უითბერგს დასიებული ტუჩები ხელს უშლიდა მეტყველებაში, გაუგებრად ლულულულებდა. ნებისყოფის დიდი დაძაბვის ფასად, როგორც იქნა, შესძლო, სასამართლოსთვის მოეთხრო რანჩოში მომხდარი ჩხუბის ნამდვილი და შეუღამაზებელი ამბავი.

– თქვენო უმაღლესობავ, – მიმართა უოთსონმა მოსამართლეს, – გთხოვთ, ჰკითხოთ ბატონ უითბერგს, რატომ შემოიჭრა ჩემს სამფლობელოში, რა ესაქმებოდა იქ?

– ძალიან კარგი კითხვაა, – თქვა მოსამართლემ, – ბატონო უითბერგ, რა გესაქმებოდათ ბატონ უოთსონის სამფლობელოში?

– არ ვიცოდი, თუ მის სამფლობელოში ვიმყოფებოდი.

– თქვენო უმაღლესობავ, როგორ თუ არ იცოდა! – დაიყვირა უოთსონმა, – ჩემი რანჩოს საზღვარზე ყველგანაა დაყენებული გამვლელთათვის თვალში საცემი გამაფრთხილებელი ნიშნები.

– ასეთი ნიშანი არ შემიმჩნევია. – თქვა სოლ უითბერგმა.

– მე კი შემჩნეული მაქვს ეს ნიშნები. – თქვა მოსამართლემ, – ისინი მართლაც თვალში საცემნი არიან. ბატონო უითბერგ, თქვენს მიერ აშკარა ფაქტების უარყოფა მაიძულებს ეჭვქვეშ დავყენო ყოველი თქვენი სიტყვის სიმართლე. ახლა კი მიპასუხეთ, რატომ აუტყუებთ ჩხუბი ბატონ უითსონს, რატომ მიაყენ-

ნეთ დარტყმა პირველმა?

– თქვენო უმაღლესობავ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მე არ დამირტყამს მისთვის.

მოსამართლემ შეხედა კარტერ უოთსონის დალილავებულსა და დასიებულ სახეს; მერე კი გამჭოლი მზერა მიაპყრო სოლ უითბერგს.

– შეხედეთ ამ კაცის ყბას! – დაიჭყება მან, – თუ არ დაგირტყამს, მაშ ვინ დაუსახიჩრა სახე ასე საშინლად?

– როგორც უკვე მოგახსენეთ...

– გაფრთხილებთ, ილაპრაკეთ მხოლოდ სიმართლე!

– მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებთ, სერ. მან საკუთარი თავი თავად დაისახიჩრა ჯერ წვეტიანი, მერე კი სიპი ქვით.

– ეს გონიერების არანაირ ჩარჩოში არ ჯდება; განა შეიძლება ადამიანმა, თუ ის შეშლილი არაა, ქვით თავად დაისახიჩროს თავისი თავი?! – თქვა უოთსონმა.

– ეს ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სიმამდვილეს. – დაუმატა მოსამართლემ.

– მისტერ უითბერგ, იყავით თუ არა მთვრალი?

– არა, სერ.

– საერთოდ სვამთ?

– იშვიათად.

ამ პასუხმა მოსამართლე დააფიქრა; ეტყობოდა, ვითარებას აანალიზებდა.

უოთსონმა ისარგებლა ამ პაუზით და უითბერგს თვალი ჩაუკრა, მაგრამ იგი ხუმრობის ხასიათზე არ გახლდათ.

– საკმაოდ უცნაური საქმეა. – ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მან განაცხადა:

– საქმე მეტად წინააღმდეგობრივია: არ არსებობს მონმე; ორივე მხარე ამტკიცებს, რომ პირველად დარტყმა მისმა მონინაალმდეგემ მიაყენა. ამის გამო დამნაშავეს დადგენა შეუძლებელია. სანამ გავაგრძელებდე კითხვას, ბატონო უითბერგ, გირჩევთ, ამის შემდეგ ფრთხილად იყოთ და ნუ გადაკვეთთ ბატონი უოთსონის სამფლობელოს საზღვარს; უმჯობესი იქნება, თუ მის მახლობლად მდებარე სასტუმროს დატოვებთ და სხვაგან გადასახლდებით...

– ეს ადამიანის უფლებების შელა-

ხვია. – შეანყვეტინა უითბერგმა და ფეხზე წამოდგა.

– დაბრძანდით, სერ! – დაუყვირა მოსამართლემ, – თუ კვლავაც შემანყვეტინებთ, იძულებული ვიქნები, სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის საკმაოდ დიდი თანხით დაგაჯარიმოთ. თქვენ თავად ბრძანდებით მოსამართლე და კარგად მოგეხსენებათ, რომ დაუშვებელია სასამართლოსადმი უპატივცემულობა და მისი ღირსების შელახვა. ახლა კი მოისმინეთ განაჩენი:

კარტერ უოთსონის სარჩელზე განხილულ საქმეში ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ ვინ დაარტყა პირველმა მონინაალმდეგეს, ესე იგი ვერ მოხერხდა დამნაშავეს დადგენა. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, როდესაც სავარაუდო ბრალდებულს ვერ უმტკიცდება დანაშაული, საქმე წყდება საეჭვოობის სასარგებლოდ, ესე იგი მას ეხსნება ბრალდება და თავისუფლდება სასჯელისაგან. ამიტომ, – მოსამართლე წამით შეჩერდა და უითბერგს გადახედა, – რადგან ვერ მოხერხდა ბატონ სოლ უითბერგის ბრალეულობის დამტკიცება, საქმეს ვწყვეტ საეჭვოობის სასარგებლოდ და მას ვათავისუფლებ სასჯელისაგან.

სოლ უითბერგის სარჩელზე განხილულ საქმეში ასევე ვერ მოხერხდა დამნაშავეს დადგენა, ესე იგი ვერ მოხერხდა ბატონ კარტერ უოთსონის ბრალეულობის დამტკიცება, ამიტომ აქაც საქმეს ვწყვეტ საეჭვოობის სასარგებლოდ და კარტერ უოთსონს ვათავისუფლებ სასჯელისაგან.

ჯენტლმენებო, თავისუფალი ბრძანდებით!

როცა სასამართლოს დარბაზიდან გამოდიოდნენ, უოთსონმა უითბერგს უთხრა:

– მოდით, სერ, აქ სადმე ახლოს, კაფეში შევიდეთ და თითო გადავკრათ.

მაგრამ დაბეგვილმა, დამარცხებულმა და ღრმად შეურაცხყოფილმა უითბერგმა არ მიიღო ეს წინადადება.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ ცერცვაძემ



¹ ისტ საიდი – ნიუ იორკის აღმოსავლეთი ნაწილი.

² კლინჩში შესვლა – კრივში ორთაბრძოლის ილეთი: ერთ-ერთი მოკრივე თავის მონინაალმდეგეს ხელებს ირგვლივ შემოაჭდობს და მკერდზე მიეყრდნობა; ამით იგი მონინაალმდეგეს დარტყმის საშუალებას უსპობს და ისვენებს, სანამ მსაჯი მათ ერთმანეთისაგან არ დააშორებს.

³ აკრი – ფართობის ერთეული; ერთი აკრი 0,4 ჰექტარის ტოლია.

⁴ კონსტებლი – პოლიციელის ჩინი დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.



ყოველთვის, როცა თარგმნის წყურვილი მომერევა, გივი გვაგვიჰკორის ერთ პატარა ლექს-ბალადას ვიხსენებ, ფრანსუა ვიონს შენდობას რომ ევედრება: „მაგრამ მე შენთან მინდოდა მოსვლა... შემიხდე, ასე რომ გავთამამდი“. ახლაც ასეა, ტომას ვულფის ბრწყინვალე და ჩემთვის საყვარელ მოთხრობას რომ შევეჭიდე – გავთამამდი. დიდხანს მანვალვებდა მოთხრობის – „ვეფხვიც და ბავშვიც“ – თარგმნის სურვილი. ჩემთან საუბრისას, ზვიად კვარაცხელიამ ტომას ვულფზე ჩამოაგდო სიტყვა და მეც უმალ ამ მოთხრობაზე მივფიქრეთ, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშზე ვულფის მოთხრობებს შორის. იქნებ ვცადო-მეთქი, გავიფიქრე. ზვიადის ნაქვებზე ვცადე კიდევ მოთხრობამ პირველივე ნაკითხვით თავის ტყვედ მაქცია, რადგან ბევრი რამ დავინახე მასში – სინათლისა და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის ჭიდილი, ადამიანთა სისასტიკე და დაუნდობლობა, განუსჯელიობა, უსამართლობა, ამპარტავნობა. დავინახე, რომ ზოგ-ზოგისთვის ბიბლია, მხოლოდ წიგნია და არა სულის განსანმედელო, სულის აღსაზრდელო წყარო. ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ, რომ „ღმერთი ნათელ-არს, და ბნელი არა არს მის თანა, არც ერთი“ (მათე, 5:39).

მოთხრობის პროტაგონისტი შავკანიანი დიკ პროსერი, სინათლისა და სიბნელის მატარებელი. ბნელი

ტომას ვულფი ვეფხვიც და ბავშვიც

*ვეფხვო! ვეფხვო! ცეცხლისფერად,
ღამით უღრან ტყეში ელავ;
რა უკვდავი თვალით, ხელით,
სრულგვეს ასე შიშისმგვრელი?!*

ოცდახუთი წლის წინ, ერთ დღეს, სკოლის შემდეგ, რამდენიმე ჩვენგანი, რენდი შეპერტონის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით. კრეინი ბურთს ურტყამდა, ავგუსტუს პოტერჰემი მეტისმეტად მოუქნელი იყო, რომ ერბინა, დაერტყა ან გადაენოდებინა. ასე რომ, ცენტრში დავაყენეთ, სადაც მხოლოდ იმის გაკეთება მოუწევდა, რომ, როცა რენდი ანიშნებდა, ბურთი ისევ მისთვის დაებრუნებინა.

გვიანი ოქტომბერი იყო. ჰაერში კვამლის დამწვარი ფოთლების სუნი ტრიალებდა. ნებრასკამ დაარტა და ბურთი ჩემსკენ გამოუშვა. კარგი დარტყმა იყო, მაღალი, ბურთი ჰაერში სპირალურად დაბზრიალდა ჩემს თავს იქით. უკან გავექანდი და დაჭერა ვცადე, მაგრამ ძალიან შორს გადავარდნილიყო, გოლის ხაზს მიღმა, – პირდაპირ რომ ვთქვათ, ქუჩისკენ გაქანდა, ქუჩაზე დაეცა და ბურთისთვის ჩვეული, მერყევი მოძრაობით წინ და უკან დაინყო ხტომა. ბურთი გამისხლტა და კუთხისკენ დაგორდა. გამოვეკიდე, რომ მივწვდომოდი. სწორედ იმ დროს, დიკ პროსერი, შეპერტონების ახლად აყვანილი ზანგი კაცი, ბურთისკენ წამოვიდა, სუფთად აიღო თავისი დიდი, შავი ტორით და გადმომიგდო. მერე შებრუნდა და ხეივანს ჩაუყვავა. ჩვეულებისამებრ ყველას მოგვესალმა. რენდის გარდა, ყველას „მისტერს“ გვეძახდა. რენდი კი ყოველთვის „ქეპ“ იყო: ეს ფორმალური მომართვა, – „მისტერ“ კრეინ, „მისტერ“ პოტერჰემ, მისტერ სპენგლერ, „ქეპ“ შეპერტონ, – უაღრესად გვსიამოვნებდა, რადგან უკვე მომნიჭებული ყმანვილკაცობის შეგრძნებას და ავტორიტეტს გვატეხებდა.

„ქეპ“ შეპერტონი – შესანიშნავი იყო! როცა ამას დიკ პროსერი ამბობდა, რაღაც განსაკუთრებით მომხიბლავად ასოცირდებოდა სამხედროსთან. დიკი კარგახანს მსახურობდა შეერთებული შტატების ჯარში. ტეხასის საზღვრებთან ჩამოყალიბებული, სახელგანთქმული ლეგიონის წევრი იყო, რომელიც

მხოლოდ ზანგებისგან შედგებოდა. სამხედრო კაცის დადი ცხადად აჩნდა ყველა მის ნამოქმედარს. მაგალითად, იმის ყურება ერთი სიამოვნება იყო, თუ როგორ აპობდა შეშას. ამას მთელ თავის ძალას ახმარდა. ყველაფერს განსაცვიფრებელი სამხედრო წესიერებით აკეთებდა. თითოეული დანაპობი ზუსტად იმავე სიგრძის და ფორმის იყო, როგორც სხვა დანარჩენი. ყველა მათგანს ფაქიზად აწყობდა ერთმანეთზე შეპერტონების მიწისპირა საართლის კედელთან. წყობა ისეთი უნაკლო იყო, რომ დაგენანებოდათ მათი სიმეტრიის დარღვევა იმისთვის, რისთვისაც ისინი იყვნენ გამიზნულნი.

ასეთივე იყო მისი დამოკიდებულება ყველაფერ დანარჩენისადმი, რასაც ის აკეთებდა. დიკის პატარა, შეთეთრებული მიწისპირა ოთახი სამხედრო ბარაკით უზალოდ სუფთა იყო; ფიცარნაგები იატაკიც ყოველთვის პირნპირად იყო დაგვილი, უბრალო მაგიდა და უბრალო, სწორზურგისანი სკამი ზუსტად ოთახის ცენტრში იდგა. მაგიდაზე, მუდმივად იდო ერთი საგანი: ძველი ბიბლია. რადგან დიკი ღრმად მორწმუნე კაცი იყო, წიგნი, ხშირი ხმარებისგან ერთიანად გაცრეცილიყო. იქვე რკინისგან ჩამოსხმული, პატარა ლუმელი იდგა, გვერდზე პატარა ხის ყუთით, რამდენიმე ნატეხი ქვანახშირით და მასში ფაქიზად ჩანყობილი დაპობილი შეშით. კედელთან, მარჯვნივ, რკინის სანოლი, უხეში, რუხი გადასაფარებელი, ყოველთვის გულმოდგინედ იყო გასწორებული. შეპერტონები დიკს დიდად ემადლიერებოდნენ. ერთი თუ ორი თვის წინ მივიდა მათთან სამუშაოს საშოვნელად და მორიდებით წარუდგინა თავი. მან თქვა, რომ ახლახან გაათავისუფლეს ჯარიდან და მონადინებული იყო სამუშაო ეშოვა. გასამრჯელოს არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. მზარეულობა შეეძლო, ლუმელის მოვლა, მანქანის ტარება, – ფაქტიურად, ჩვენ, ბიჭებს გვეგონა, რომ ძნელად თუ მოიძებნებოდა რაიმე, რაც დიკ პროს-

ერს ხელიდან არ გამოსვლოდეს. სრო-
ლაც შეეძლო. ერთ ნაშუადღევს, რენტის
ოცდაორკალიბრიანით, თავმდაბლურად
გვაჩვენა კიდევ თავისი სიმამაცე და
პირდაღებული დაგვტოვა. უბრალოდ,
სათამაშოსავით ასწია პატარა შაშხა-
ნა თავისი ძლიერი, შავი ხელებით და
თითქოს არც დაუმიზნებიაო, თუნუქის
ვინრო ზოლს მიუშვირა, რომელზედაც
ჩვენ წინასწარ გვექონდა მონიშნული
სამიზნე წრეები და სიძნელის გარეშე
დაცხრილა სამიზნეს ცენტრი. ერთი ინ-
ჩის კვადრატში თორმეტი ნასვრეტი ისე-
თი სისწრაფით დატოვა, რომ ნასროლის
დათვლაც ვერ მოვასწარით.

კრივიც ეხერხებოდა. მგონი, თავისი
ლეგიონის ჩემპიონიც იყო. ასე თუ ისე,
კატასავით მოქნილი და მარჯვე იყო.
რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს გვეჯი-
ბრებოდა კრივიში, მაგრამ, რენტის ორი
წყვილი მოკრივეს ხელთათმანი ჰქონდა
და როცა ერთმანეთს ვეჯიბრებოდით,
დიკი გვაგვარჯიშებდა ხოლმე. იყო მასში
რალაც გასაოცრად სათუთი და ფრთხი-
ლი. ბევრი რამ გვასწავლა, მაგრამ,
ფრთხილობდა, ერთმანეთისთვის ზიანი
არ მიგვეყენებინა.

ფეხბურთშიც კარგად ერკვეოდა და
დღესაც შეყოვნდა ეს ძლიერი, პატივსა-
ცემი შესახედაობის, ოცდაათი ან მეტი
წლის ზანგი კაცი და ცოტახანს თვალს
ადევნებდა ჩვენს თამაშს.

რენდიმ აიღო ბურთი და მასთან მი-
ვიდა. „როგორ ახერხებ ბურთის ეგრე
დაჭერას, დიკ?“ – თქვა მან. „ასე სწორად
მიჭირავს?“

როცა რენდიმ ხელი ჩაავლო ბურთს
და მხარზე მოთ დაიჭირა. დიკი ყურადღე-
ბით აკვირდებოდა. ზანგმა მონონებით
დაუქნია თავი და თქვა, „კარგია, ქეპ'ნ
შეპერტონ. გისწავლია დაჭერა, მხ-
ოლოდ“ – რბილად თქვა, ბურთი თავის
ძლიერ ხელში აიღო, – „როცა უფრო
გაიზრდები, ხელებიც გაგვზრდება და
უკეთესად დაიჭერ“.

თავის დიდ ხელში კი ბურთს ისე ად-
ვილად იჭერდა, თითქოს ვაშლი ყოფილ-
იყოს; წამით გააჩერებდა ერთ ხელში,
დაუმიზნებდა წინგამოწვდილ მარცხ-
ენას, თითქოს თოფს უმიზნებდო და გე-
სისაკენ ლამაზი, მოზუზუნე სპირალური
ტრიალით, ოცდაათი ან მეტი იარდის
იქით ისროდა. მერე იმასაც გვაჩვენებ-
და, ფეხი როგორ უნდა დაგვეტყვა, რო-
გორ უნდა აგვექნენლა ბურთი ფეხის
წვერის აკერით, რომ სუფთად, ტრიალ-
ით ასულიყო ზევით. ალბათ შეპერტონ-
ების ეზოში ისწავლა ისეთი დარტყმები,
ბურთი ორმოცდაათ იარდს ფარავდა.

გვასწავლიდა, როგორ უნდა გაგვეჩ-
ალებინა ცეცხლი, როგორ უნდა დაგვეჩ-

ყო შეშა, რომ ალს კონუსის ფორმა მიე-
ლო, სუფთად დამწვარიყო, უკვამლოდ
და უდანახარჯოდ. გვაჩვენებდა, როგორ
უნდა გაგვეკრა ასანთი ცალი ხელის
ცერა თითის ფრჩხილით და ყველაზე
ძლიერ ქარშიც შეგვეწარჩუნებინა
ალი. გვასწავლიდა, როგორ უნდა აგვე-
ზიდა სიმძიმე, ტვირთი როგორ უნდა
მოგვეგდო მხრებზე ყველაზე იოლად.
არაფერი იყო ისეთი, მან რომ არ იცო-
და. ყველანი ვამაყობდით მისით; თვით
მისტერ შეპერტონიც აღიარებდა, რომ
დიკი ყველაზე საუკეთესო მსახური იყო,
რომელიც კი ოდესმე ჰყოლია, ყველაზე
გამჭრიახი შავკანიანი, რომელიც მას
ოდესმე სცნობია.

და მაინც – რაც არ უნდა სწრაფად
ეველო, ჩქამიც არ ისმოდა. უცებ მოგვე-
პარებოდა კატასავით. ხანდახან წინ
რომ ვიხედებოდით, სამყაროს გარდა
ვერაფერს რომ ვხედავდით, ზურგს
უკან გუმანით ვგრძნობდით ვილაცის
აჩრდილს, და როცა ავიხედავდით, აღ-
მოვაჩენდით, რომ იქ დიკი იყო. ღამითაც
ვგრძნობდით, რომ რალაც მოძრაობდა.
არასოდეს გვინახავს, როგორ მოდიოდა
და მიდიოდა... ხანდახან შემოფოთებულე-
ბი ვიღვიძებდით და ვგრძნობდით, რომ
ფიცარი აჭრიალდებოდა, საკეტი ოდნავ
გაიჩხაკუნებდა და ჩრდილი სწრაფად
ჩაივლიდა. მერე ყველაფერი დუმდებ-
ოდა.

„ახალგაზრდა თეთრო ხალხო, ოჰ,
ახალგაზრდა თეთრო ჯენტლმენებო“, –
მისი რბილი ხმა თითქოს ოხვრამი გადა-
დიოდა, თან თეძოებს რიტმიულად ამოძ-
რავებდა, – „ოჰ, ახალგაზრდა თეთრო
ხალხო, უნდა გითხრაო“, – ისე იმ რბი-
ლი, დაბალი ოხვრით, – „ერთმანეთი ძმე-
ბივით გიყვართ“. ღრმად მორწმუნე იყო
და კვირაში სამჯერ ეკლესიაში დადიო-
და. ბიბლიას ყოველდღამე კითხულობდა.
ეს ერთადერთი საგანი იყო მის ცარიელ
მაგიდაზე.

ხანდახან დიკი გამოდიოდა თავისი
პატარა, მიწისპირა ოთახიდან და თვა-
ლები ისეთი დანითლებული ჰქონდა,
თითქოს უტირიაო. ჩვენ კი ვიცოდით,
რომ ბიბლიას კითხულობდა.

დროდადრო, ამოიხვრით გვესაუ-
ბრებოდა, თითქოს რომელიღაც ფსალ-
მუნს გალობსო, თითქოს მისი სულის
მგზნებარებიდან ამოთქვამდა რალაც
ღრმას და უძიროს, რაც მასვე აღაფრ-
თოვანებდა. ჩვენთვის კი ეს ტანჯვის
მომგვრელი და შემაცხუბნებელი გამოც-
დილება იყო. ვცდილობდით სიცილით
დაგვეფარა ჩვენი გრძნობები და ოხ-
უნჯობაში გაგვეტარებინა ყოველივე.
მაგრამ, ამაში იყო რალაც ისეთი ბნელი,
უცნაური და მგრძნობიარე, რომ ვერ



მასში ღრმად და ფარული; რელიგი-
ურმა დიკმა იცის, რომ „რომელმან
გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუე-
ნასა, მიუყარ მას ერთ კერძოცა“. ასეც
იქცევა, როცა მთვრალი ღონ
ევერეტი უმიზნოდ გაანწავს სილას,
სისხლიც წასკდება, მაგრამ ითმენს
და როცა მეორედ მოხვდება სახეში,
თვალეტი წითლად აენთება და სპი-
ლოსძვლისფერ კბილებს გამოაჩენს,
მაგრამ დაითმენს და ჩაელავს მასში
წამით გაღვიძებულ ვეფხვს. თუმცა
არის ზღვარი, როცა ვეფხვს ვეღარ
მოთოკავ და მანამ მძვინვარებს, სა-
ნამ შენში ისე არ გაიღვიძებს დაღ-
ლილი ბავშვი და ბედისწერას არ
მინებდებო.

დაუსრულებლად შეიძლება ამ
მოთხრობაზე ფიქრი და განსჯა, მა-
გრამ დანარჩენი მკითხველისთვის
მიმინდვია. დაე, ის ჩაეძიოს და ჩას-
წვდეს ადამიანის სულის ნათელსა და
ბნელ კუნჭულებს.

ქართველი მკითხველისათვის
ნაკლებად არის ცნობილი ტომას
ვულფის მოთხრობები, მაგრამ ეს
მოთხრობა შეიძლება იმის საზოგად
გამოდგეს, თუ როგორია ტომას ვულ-
ფის ცხოვრებისეული ფილოსოფია,
როგორია მისი, როგორც მწერლის
მრწამსი, მისი როგორც მხატვრული
სიტყვის ოსტატის გემოვნება.

ტომას ვულფი ოცდათვრამეტი
წლისა გარდაიცვალა, სრულიად
მოულოდნელი, სწრაფი სიკვდილით.
მისი წლოვანება გარდაცვალების
წელს დაემთხვა – 1938 წელს. ამავე
წელს შეაგროვა და წესრიგში მოი-
ყვანა დიდძალი ხელნაწერი მასალა, –
მილიონ სიტყვაზე მეტი და თავის გა-
მომცემელს, ედუარდ ესველს ჩააბა-
რა. დატოვა ნიუ-იორკი და დასავ-
ლეთში გაემგზავრა. გზად პარდიუს
უნივერსიტეტში შეიარა. ლექციაც
ნაიკითხა, სათაურით „მწერლის ოს-



ტატობა და ცხოვრება“. შემდეგ ორი კვირა ნაციონალური პარკის დათვალიერებაში გაატარა. ივლისის თვეში, სიეტლში, თავის მასთან, **ფედისთან** სტუმრობისას, ფილტვების ანთება დაემართა. სამი კვირა იწვა საავადმყოფოში და მისი და, **მეიბელი** უვლიდა. დაავადება გართულდა და საბოლოოდ თავისტივინის მილიერის ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს. სექტემბრის ექვსში ბალტიმორში გადაიყვანეს. საუკეთესო ნეიროქირურგმა **უოლტერ დენდიმ** გაუკეთა ოპერაცია, მაგრამ ამაოდ, დაავადებას ტვინის მარჯვენა სფერო ერთიანად ჩაეთრია და მისი გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა. ოცდათვრამეტისა არც იყო, სულ რაღაც თვრამეტი დღე ჰქონდა დარჩენილი.

ტომას ვულფი ჩრდილოეთ კაროლინაში, რივერსაიდის სასაფლაოზე, მშობლიურ ემევილში დაკრძალეს. მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა: „ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მისანდობი ახალგაზრდა ხმა თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში, მწერრი, ძლიერი ხმა. ძნელია დაჯერება, რომ ეს ხმა ასე მოულოდნელად ჩაჩუმდა. მას გენიოსის დამლა აჩნდა, თუმცა ერთგვარად მოუწესრიგებელი და მოულოდნელობით სავსე გენია იყო. მასში დარჩა დაუხარჯავი ენერჯია, დაუღალავი ძალა, სიცოცხლისა და თვითგამოხატვის დაუმორტელო ნყურვილი, რომელიც მაღალი მწვერვლების დაპყრობას შეაძლებინებდა, მაგრამ იმავდროულად მისი ძირს დანარცხებაც შეეძლო“. „ტაიმი“ წერდა: „გასულ კვირას, ტომას კლიტონ ვულფის გარდაცვა-

ვმაღავდით ჩვენი ოხუნჯობის სიმყიფეს და ეს სატანჯველი ჩვენს გონებასა და გულში რჩებოდა.

ხანდახან, იყო შემთხვევები, როცა მისი მეტყველება ჩვენთვის გაუგებარ, უცნაურ ბიბლიურ ფრაზებზე აიგებოდა. ასეთი ფრაზები მას ასობით ჰქონდა, რომელთაც თავისი ემოციების უცხო ნაქსოვში ჩაართავდა ხოლმე ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც ჩვენთვის აზრს მოკლებული იყო, მაგრამ თავად კი მათი ახსნის გასაღებს ფლობდა. „ოჰ, ახალგაზრდა თეთრო ხალხო“ – ასე დაიწყებდა ხოლმე ღრმა ოხვრით, – „გამოშრებიან ძვლები ხეობაში. მე გეუბნებით თქვენ, დადგება დღე, როცა ის კვლავ მოველინება ამ მინას თავისი სამსჯავროთი. ის ცხვარს მარჯვენა ხელს მიანდობს და თხებს კი მარცხენას. ოჰ, თეთრო ხალხო, თეთრო ხალხო, არმაგედონის დღე გვიახლოვდება, თეთრო ხალხო, და გამოშრებიან ძვლები ხეობაში“.

ხან კი გვესმოდა, როგორ მღეროდა მუშაობისას თავისი ღრმა, ბოხი ხმით, რომელიც სითბოთი და ძლიერებით იყო სავსე, სავსე აფრიკით; მღეროდა საგალობლებს, რომელიც არა მარტო მისი რასის კუთვნილება იყო, არამედ ჩვენთვისაც, ყველასათვის ნაცნობი. არ ვიცი სად ისწავლა ისინი. შესაძლოა ჯარში ყოფნის დროიდან ახსოვდა, შესაძლოა იმ დროინდელია, როცა სხვა ბატონებს ემსახურებოდა. კვირა, დღეს შეპერტონები მანქანით მიჰყავდა ეკლესიაში და უცდიდა, ხანამ დილის წირვა არ დასრულდებოდა. ეკლესიის გვერდითა კართან მივიდოდა, ვიდრე ღვთისმსახურება მიმდინარეობდა, გამოსავლელ, შავ კოსტუმში ფაქიზად გამოწყობილს ქუდი მოწინებით ეკავა ხელში; იდგა მორიდებით და მთელ წირვას თავიდან ბოლომდე უსმენდა. და მერე, როცა საგალობელი იმღერებოდა და მაღალი, ზეაზიდული ხმა თანდათან გაიზრდებოდა და კვირადღის მშვიდ ჰაერს შეერწყებოდა, დიკი იდგა, უსმენდა და დროდადრო წყნარი ხმით შეუერთდებოდა ხოლმე გალობას. მთელი რიგი ამ გამორჩეული, პრესბიტერიანული საგალობლების მრავალჯერ გვექონდა მოსმენილი, როცა დიკი დაბალი, ბოხი ხმით მღეროდა ხოლმე შინ მუშაობისას. მღეროდა, – „ვინ არის მისი ამალის მიმდევარი?“ ან „აღექსანდრეს სადიდებელ სიმღერას“ ან „საუკუნეთა კლდენი“, ან „წინ გასწით, ქრისტიანო მეომრებო!“

და მაინც – ჯერ არაფერი ხდებოდა, – მხოლოდ ხანდახან, „აქა-იქ“ გაისმოდა გადაკრული სიტყვა“ და იმის შეგრძნება, რომ ღამით რაღაც ხდებოდა. ერთ დღეს, როცა დიკს მისტერ შეპერტონი ქალაქში

მიჰყავდა, ღონ ევერეტმა შემოუხვია მოედანზე, დაამუხრუჭა ერთ კუთხეში, თითქოს ვიღაცის მოკვლას აპირებო, დიკის მანქანას გვერდიდან გაეხახუნა და ფრთა მოაგლიჯა. ზანგი მანქანიდან კატასავით გადმოხტა და პატრონიც გადმოიყვანა. შეპერტონს არაფერი დაშავებია. ღონ ევერეტი გადმოცოცდა მანქანიდან და არეული ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. დღის სამ საათზე უკვე ერთიანად გაღებულ იყო. მიუბრუნდა ზანგს და ხელი მთელი ძალით სთხლიშა სახეში. დიკს ბრტყელი, შავი ნესტოებიდან და ღვიძლისფერი ტუჩებიდან სისხლი წასკდა. არც განძრეულა. მაგრამ, უეცრად თვალის თეთრი კაკლები წითლად აენთო, სისხლიანი ტუჩებიდან სპილოსძვლისფერი კბილები გამოიშვლებოდნენ, ღონმა ისევე მთელი ძალით დაარტყა სახეში, ზანგმა ხელები ოდნავ შეარხია, მაგრამ მაინც არ გაინძრა. გალემილ კაცს საყელოში ჩაავლეს ხელი, წაათრია და ჩაკეტეს. დიკი ერთხანს იდგა, მერე სახე მოიწმინდა და შებრუნდა, რომ დაშავებული მანქანა შეეთვალეოდა. მას შემდეგ აღარაფერი მომხდარა, მაგრამ იქ იყვნენ თვითმხილველები, რომელთაც შენიშნეს ზანგის წითლად ანთებული თვალები.

კიდევ ერთი რამ: შეპერტონებს მზარეული ჰყავდათ, სახელად პენსი ჰარისი. სანდომიანი ზანგის გოგო, ახალგაზრდა, ფუმფულა, ბანქოს ყვავის ტუზივით შავი, კარგი გულის გოგო, ორივე ლოყაზე ღრმა ნაჩვრეტებით, სალი კბილებითა და ყველაზე მომხიბვლელი ღიმილით. არავის უნახავს მასთან დალაპარაკებული დიკი. არავის უნახავს, რომ გოგოს დიკისათვის შეეხედოს ან დიკს მისთვის. და ეს ღიმილიანი, კარგი ბუნების გოგო, უცებ ნალვლიან და უტყვ არსებად იქცა, – შუალამის მრუმესავით მოქუფრული. სამუშაოზე ისე დამნუხრებული მიდიოდა, თითქოს პანამვიდზე მიდისო. გოგოს თანდათან უფრო ღრმა ნალველი ეუფლებოდა. როცა ელაპარაკებოდნენ, პირქუშად პასუხობდა.

ერთ ღამეს, ის-ის იყო შობა ახლოვდებოდა, რომ გოგომ განაცხადა: სამუშაოს ვტოვებო. ყოველგვარ თხოვნას, ყოველგვარ მცდელობას, ასე მოულოდნელი და უმიზეზო გადაწყვეტილების საბაზი აეხსნა, უპასუხოდ ტოვებდა. მხოლოდ ერთს იმეორებდა პირქუშად, უნდა ნავიდო. კარგახნის დაკითხვის შედეგად ძლივს გამოსტყუეს ნალვლიანი პასუხი, – ქმარს სახლში ვჭირდებიო. ამის მეტი ვერაფერი ათქმევინეს. ეს საბაზიც დიდ ეჭვს იწვევდა, რადგანაც მისი ქმარი პულმენის მტვირთავი იყო და კვირაში მხოლოდ ორჯერ იყო სახლში; იმასაც

კარგად ჰგუობდა, რასაც მისი ცოლი აკეთებდა მისთვის.

შეპერტონებს უყვარდათ პენსი. ისევ სცადეს მისი წასვლის მიზეზი გაეგოთ. უკმაყოფილო იყო? – „არა, მემ“, – მოკლედმოჭრილი, კუშტი ბგერები, მწუხარე და ღამესავით ბნელჩახვეული. იქნებ სადმე სხვაგან უკეთესი სამუშაო შესთავაზეს, – „არა, მემ“ – ისევ არაფრის მთქმელი პასუხი. თუ უფრო მეტ ხელფასს შესთავაზებენ დარჩება მათთან? „არა, მემ“, – კვლავ და კვლავ, პირქუში და დაუმორჩილებელი, სანამ საბოლოოდ მოთმინებაამონურულმა ქალბატონმა შეპერტონმა, დამარცხების ნიშნად ხელები ზე არ ასწია და თქვა: „მამ, კარგი, პენსი, შენმა გაიტანა, გააკეთე, რასაც გული გკარნახობს. ოღონდ, ღვთის გულისათვის, გასაჭირში ნუ მიგვატოვებ, სანამ სხვა მზარეულს მოვნახავდე“.

საბოლოოდ, უხალისოდ, მაგრამ გოგო მინიც დათანხმდა. მერე დაიხურა ქუდი, ჩაიცვა პალტო, აიღო ქაღალდის პარკი, რომელშიც გამოსამშვიდობებელი, იმ ღამით სახლში წასაღებად ნებადართული ნივთები ეწყო, გამოვიდა სამზარეულოს კარიდან და წავიდა პირქუში და დაღვრემილი.

ეს შაბათ ღამეს მოხდა. რვა საათს ოდნავ გადასული იყო. იმ ნაშუადღევს, როცა მე და რენდი მინისპირა ოთახთან ვერთობოდით, დავინახეთ, რომ დიკის ოთახის კარი შეღებული იყო. შევიხედეთ. გვიჩნდა გვენახა, დიკი შინ იყო თუ არა. პატარა ოთახი ცარიელი იყო, როგორც ყოველთვის დაგვილი და დანკრიალებული.

მაგრამ, ჩვენ ის კი არ შევამჩნიეთ, ცხადად დავინახეთ! იმავე წუთს სული შეგვეკრა და შემაშფოთებული გაოცებისგან პირი ღია დაგვჩრა. პირველმა რენდიმ ამოიღო ხმა, – „შეხედე!“ ნაიჩურჩულა, „ხედავ?“

ხედავ თუ არა?! თვალი ვერ მოვნეყვიტე, პირდაპირ, მაგიდის გასწვრივ, დაბინდული ლურჯი ფერის, უღმობლად, თავისი მომაკვდინებელი ძალით, იდო თანამედროვე, მრავალჯერადი შაშხანა. მის გვერდზე ყუთი იდგა, ასვაზნიანი ალჭურვილობით და მის უკან, ზუსტად მაგიდის ცენტრში, პირქვე იდო ჩვენთვის კარგად ნაცნობი, გაცვეთილი ბიბლია.

მერე, უცებ თავზე კატასავით დაგვაცხრა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ დიდი, შავი აჩრდილივით გადაგვეფარა. თავზარდაცემულები შევბრუნდით. თავზე გვედგა, სქელი ტუჩები გაეპო, ღრძილები მოუჩანდა, დავინროვებული და ჩანითლებული თვალები მღრღნელისას მიუგავდა.

„დიკ!“ – ამოღერლა რენდიმ და მშრალი ტუჩები მოილოკა. „დიკ!“ – ახლა უკვე ყვირილით აღმოხდა.

ყველაფერი გაეღვებას გავდა. დიკმა პირი დახურა. ისევ დავინახეთ მისი თვალის თეთრი გუგები. გაიღმა და ჩუმად, ალერსიანად თქვა, – „ჰო, ასეა, ქეპ'ნ შეპერტონ, ჯენტლმენებო, თქვენ ჩემს შაშხანას უყურებთ?“ – თქვა მან და ოთახის შუისკენ დაიძრა.

მე ნერწყვი ჩავყლაპე, თავი დავუქნიე, მაგრამ სიტყვა ვერ დავძარი, რენდიმ კი ნაიჩურჩულა, „დიახ“ და ორივენი ისევ მას მივაშტერდით, დამფრთხლები, მაგრამ მომწუხარე ინტერესით შეპერტონი.

დიკმა თავი გაიქნია და ჩაიციხა. „ჩემი შაშხანის გარეშე ვერ ვძლებ, თეთრო ხალხო, ვერა!“ ისევ გაიქნია თავი კეთილი განწყობით. „ძველი დიკი, ის, ის ძველი ჯარისკაცია, ხომ იცით. თუ შაშხანას წაართმევენ, იგივე იქნება, პატარა ბავშვს რომ კამფეტები წაართვან. ჰო, ასე იქნება!“ ისევ ჩაიციხა. სიყვარულით აიღო იარაღი. „ძველმა დიკმა იგრძნო შობის მოახლოება, – მან, – მე ვფიქრობ, მან თავისი ძვლებით იგრძნო ის“ – ისევ ჩაიციხა, – „ხოდა ფულს ვზოგავდი. უბრალოდ ვფიქრობდი, რომ აქ დავმალავდი. შობა დილაძე შევინახავდი, როგორც დიდ სიურპრიზს ახალგაზრდა, თეთრი ხალხისათვის. მერე, ვაპირებდი ახალგაზრდა, თეთრი ხალხის ნაყვანას და ვაჩვენებდი, როგორ უნდა ისროლონ“-მეთქი.

ახლა, უფრო მეტი შვებით ამოვისუნთქეთ და თითქოს ჰემელინელი მესტიერე პიტერის ჯადოს ქვეშ მოვექეცით, ნაბიჯ-ნაბიჯ შევყევით ოთახში.

„ჰო, ასეა“, – ჩაიციხა დიკმა. უბრალოდ, ამ შაშხანას ვაწყობდი, რომ შობადღემდე შემენახა. მაგრამ ქეპ'ნ შეპერტონ, – ჰაა!“ გულიანად ჩაიციხა და ბარძაყზე ხელი დაიტყაპუნა. „ძველ ქეპ'ნ შეპერტონს ვერ გაასულელებ. თითქოს ყნოსვით მიაგნო ძველ შაშხანას. შემოდის და ხედავს მას მის წინ. ახლა შანსი მაქვს, რომ დავტრიალდე... ახლა, თეთრო ხალხო“, – დიკმა ხმას დაუნია, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შესძინა. „ახლა, როცა თქვენ უკვე გაიგეთ, გეტყვით, რასაც ვიზამ. თუ თქვენ შობადღემდე შეინახავთ ამ სიურპრიზს, მაშინ ყველა თქვენგანს, ჯენტლმენებო, ნავიყვან და ვასროლინებ. ახლა, რადგანაც...“ – განაგრძო წყნარად, შემრიგებლური ტონით, „თუ გინდათ, რომ გამცეთ, შეგიძლიათ, მაგრამ“, – ხმას ისევ დაუნია, მწუხარებით სავსე, სინანულის გამომხატველი, მრავლისმთქმელი ელფერი, – „ძველი დიკი ამას ელოდა, იმედოვნებდა, რომ თეთრ



ლებამ თავზარი დასცა კრიტიკოსებს. მათი აზრით, მისი თაობის ამერიკელ ნოველისტთა შორის ის იყო ერთადერთი, რომელმაც სკოტ ფიცჯერალდზე, ერნესტ ჰემინგუეზე და უილიამ ფოლკნერზე ნახევარჯერ ნაკლები იცოცხლა და შთამომავლობას ესოდენ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა“. ის იყო პირველი ამერიკელი მწერალი, რომელმაც სიკვდილის წინ ორი დასრულებული, გამოუქვეყნებელი რომანი დაუტოვა თავის გამომცემელს, – „ქსელი და კლდე“ და „შინისკენ გზა მოჭრილია“. ეს რომანები მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსცა პერკინსმა. ეს დიდი მოცულობის ნაწარმოებებია, თითოეული მათგანი შვიდას გვერდიანი და მათში მწერლის ავტობიოგრაფიაა ჩართული ეუზენ განტიდან („მოხედენ სახლსა შესსა, ანგელოსო“) უებერამდე. უილიამ ფოლკნერი, მისი თანამედროვე, უდიდესი შემოქმედი ამბობდა, რომ ვულფი იყო მათი თაობის საუკეთესო მწერალი. მის გავლენას განიცდიდა ცნობილი „ბიტნიკი“ – ჯექ კერუაკი („გზაზე“), აგრეთვე ფანტასტიკური მოთხრობების და რომანების უბადლო მწერალი რეი ბრედბერი, ფილიპ როთი და სხვანი. ტომას ვულფის გახსენება მისი გარდაცვალებით დავიწყე, რადგან, ამ მოულოდნელმა სიკვდილმა ჩემზე დიდი ემოციური ზეგავლენა მოახდინა. ახლა კი მის დაბადებასთან უნდა დავბრუნდე. ტომას კლეიტონ ვულფი დაიბადა 1900 წელს, ოქტომბრის სამს, ემევილში, ჩრდილოეთ კაროლინაში. ნაბოლარა, რვა შვილიდან ყველაზე უმცროსი ბიჭი. ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში, ჩემულ პოლში სწავლობდა. თხოთმეტი წლის ასაკში „დიალექტიკური საზოგადოების“ და „პი კაპას ფილოსოფოსთა მშობის“ წევრი იყო. ვულფის თავდაპირველი ოცნება დრამატურგობა იყო. 1919 წლის შემოდგომაზე ჩაენერა დრამატული ნაწარმოებების მწერალთა კურსებზე. მისი ერთმოქმედებიანი პიესა



„ბაკ გვეინის დაბრუნება“ დადგეს კიდევ, მთავარ როლს თვითონვე თამაშობდა. 1919 წელსვე ვულფი მიიღეს „ოქროს სანმისის საპატიო საზოგადოებაში“.

1920 წელს ჩააბარა ხელოვნებისა და მეცნიერების სკოლაში. შემდგომში, ჯორჯ პიერ ბეიკერის ხელმძღვანელობით სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1927 წელს ბეიკერის სახელოსნოში დაიდგა ვულფის პიესის, „მთების“ ორი ვერსია. 1922 წელს დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. იმავე წელს გარდაიცვალა მამამისი, – უილიამ ოლივერ ვულფი, რომლის გარდაცვალებამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებებზე. 1923 წლის ნოემბერში ტომასი მიდის ნიუ-იორკში, რათა მოიძიოს თანხა ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტისათვის და ცდილობს თავისი პიესები მიჰყიდოს ბროდუეის. პიესები დაინუნეს დიდი მოცულობის გამო, რამაც ვულფს აფიქრებინა, რომ მისი სტილი უფრო პროზაულ ნაწარმოებებს მიესადაგებოდა. 1924 წელს იგი მიემგზავრება ევროპაში, მოგზაურობს საფრანგეთში, იტალიასა და შვეიცარიაში. 1925 წელს ბრუნდება მოგზაურობიდან და ხედება ელან ბერნშტეინს, თეატრალური გილდიის სცენის დიზაინერს, რომელიც ვულფზე თვრამეტის წლით უფროსია და გათხოვილია წარმატებულ ბიზნეს ბროკერზე, რომელთანაც ორი შვილი ჰყავს.

1925 წლის ოქტომბერში, ვულფსა და ბერნშტეინს შორის გაიმძევა სასიყვარულო ინტრიგა, რომელიც ხუთ წელს გრძელდება. მათი ურთიერთობა მეტად მღელვარეა და ხანდახან ჩხუბშიც კი გადადის, თუმცა ელან ბერნშტეინს ძლიერი გავლენა აქვს ვულფის შემოქმედებით კარიერაზე. სწორედ მაშინ იწყებს რომან „ო ლოსტი“-ს პირველი ვერსიის წერას. შემდეგ კი ეს ნაწარმოები ჩაერთვება რომანში – „მოხედე სახლსა შენსა, ანგელოსო“, რომელიც ფაქტობრივად ავტობიოგრაფიული ნივთია, დაფუძნებული მის ადრეულ ცხოვრებაზე ემეილში და მისი ოჯახისა და მეგობრების ცხოვრების მატინანეს წარმოადგენს. წიგნის გა-

გაგრძელება 74-ე გვერდზე

ხალხს მოუწყობდა სიურპრიზს შობა დღეს“.

პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ საიდუმლოს ისე შევუნახავდი, თითქოს ჩვენი საკუთარი ყოფილიყოს. საზეიმო ფიცი ნავიწურჩული. პატარა, მინისპირა ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვედი, თითქოს გვეშინოდა, საკუთარი ნაბიჯების ხმას ჩვენი პარტნიორის ნდობა არ გაენბილებინა.

ეს, შაბათს, ნაშუადღევს ოთხ საათზე მოხდა. უკვე ისმოდა ქარის ნაღვლიანი გმინვა, ქარიშხლის მომასწავებელი რუხი ღრუბლები ქუჩებოდნენ, ჰაერში თოვლის მოსვლის მუქარა ტრიალებდა.

იმ ღამეს თოვლმა დადო. გორაკებს უხვად დაეფინა. სმოუკების მხრიდან ჩვენსკენაც გადმოვიდა. შვიდი საათისათვის ჰაერი ერთიანად დაბურა თოვლმა, დედამიწას ხალიჩასავით გადაეფარა, დაცარიელებული ქუჩები დუმის მთვლე. ტკაცუნა ცეცხლით გამთბარი და დაბინდული შუქით განათებული სახლების ირგვლივ ქარიშხალი ყმუოდა. თითქოს მთელი ცხოვრება მთრთოლვარე სიმარტოვეში გადაიზარდა. ქუჩებში ჩლიქებშეფუთული ცხენები დადიოდნენ. ქარიშხალი სახლებს არყევდა. სამყარო კი დუმის მთვლე. დასაძინებლად წავედი. ვინეკი იდუმალ სიბნელებში, ვუსმენდი ქარიშხლის ბობოქრობას, საოცრებისაგან დამუნჯებული; სულში კი თოვლის უზარმაზარ სიმშვიდეს ვაყურადებდი, ვგრძნობდი რალაც ბნელსა და თან მოხეიმეს, მაგრამ გამოთქმა მიჭირდა.

იმ დილას, პირველ საათს ოდნავ გადაცდენილიყო, რომ ზარების რეკვამ გამაღვიდა. ეს სახანძრო ზარი იყო, რომელიც ქალაქის საბჭოდან რეკდა, – საგანგაშო ზარი, – მძიმე, სწრაფი დარტყმებით, რომლის მსგავსი აქამდე არ მომისმენია. ნამოვხები, ფანჯარასთან მივირბინე, რომ დამენახა რისი მაუნყებელი იყო ცას მოდებული ელვარება. მაგრამ, სანამ დავინახავდი, ამ საშინელმა დარტყმებმა ჩემს გონებას აუნყეს, რომ ეს სახანძრო განგაში არ იყო. ეს იყო უხეში, მკვეთრი განგაში, რომელიც მთელ ქალაქს მოსდებოდა ყურთასმენის ნამლები ხმით, რომელსაც გეგონებოდათ კაცობრიობის გაფრთხილება სურდა, რომ რაღაც სამიში, იდუმალი, ბელი, უცნობი რამ ემუქრებოდა, რომელიც უესაძლოა ხანძარზე და წარღვნაზეც უფრო საშიში ყოფილიყო.

მამინვე მივხვდი, თითქოს დენმა დამარტყაო, რომ უაღრესად ყოვლის-

მომცველმა მოვლენამ გამოაცოცხლა მთელი ქალაქი. ყოველ ქუჩაზე, სახლებში შუქს ანთებდნენ. მეზობლად, შეპერტონების სახლი ერთიანად კაშკაშებდა. ისიც კი დავინახე, რომ მისტერ შეპერტონმა, პიჟამოზე ნამოცმული პალტოთი, თოვლით დაფარული კიბეები ჩაირბინა და ქუჩისკენ თოვლიანი ბილიკით გაეშურა.

ხალხი სახლებიდან გამორბოდა, ყოველი მხრიდან მესმოდა ალელვებული შეძახილები და შეკითხვები. დავინახე, ნებრასკა კრეინი გზას რომ იკვლევდა შუა ქუჩაში. ვიცოდი ჩემთან და რენდისთან მოდიოდა. როცა შეპერტონების სახლს ჩაუარა, თითები პირში ჩაიდო და გამჭოლავად დაუსტვინა. ეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ნიშანი იყო.

იმ დროისათვის, როცა ნებრასკამ სირბილით გამოიარა ხეივანი ჩემი კოტეჯისკენ და კარებზე დააბრაზუნა, მე უკვე მზად ვიყავი.

„ნამოდი!“ – თქვა მღელვარებისგან აქოშინებულმა; შავი თვალები ისეთი ძალით ანთებოდა, ადრე რომ არ მენახა. „ნამოდი!“ დაიძახა მან. უკვე ნახევარი ეზო გავიარეთ. „ეს იმ ზანგის გამოა. გაგიუდა და ველურივით დარბის!“

„ვ... ვინ, რომელი ზანგი?“ – ნამოვიდახე სუნთქვაშეკერულმა, თან ფეხდაფეხ მივდევი.

სანამ რაიმეს იტყოდა, პასუხი უკვე ვიცოდი. მისტერ კრეინიც გამოსულიყო სახლიდან, პოლიციის მძიმე ქურთუკს იკრავდა. ნამით შეჩერდა, რომ მისტერ შეპერტონს დალაპარაკებოდა და გავიგონე კიდევ სწრაფად, დაბალი ხმით რომ იკითხა, „რომელი გზით წავიდა?“ –ო.

მერე გავიგონე ვილაცის ნამოძახილი, „ეს შეპერტონების ზანგია!“

მისტერ შეპერტონი შებრუნდა და ისევ უკან გადაკვეთა ეზო სახლისკენ. მისი ცოლი და ორი ქალიშვილი ღია კარებში ატუზულიყვნენ, გაფითრებულები, ერთმანეთს ეკვროდნენ, ხელები კიმონოს სახელოებში ჩაეყოთ.

შეპერტონების სახლის ტელეფონი გოჭივით რეკდა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. გავიგე, მისის შეპერტონმა სწრაფად რომ ჰკითხა, როცა მისტერ შეპერტონმა კიბეზე აირბინა, „ეს დიკია?“ მან თავი დაუქნია, მკვეთრად ჩაუარა და ტელეფონისკენ გაემართა.

იმ წამს, ნებრასკამ კვლავ გამჭოლავად დაუსტვინა თითებშუა. რენდი შეპერტონმა გვერდზე ჩაურბინა დედამისს და კიბეზე ჩამოვიდა. დედამისმა ხმამაღლა დაუძახა. რენდემ ყური არ ათხოვა. როცა მოვიდა, დავინახე, რომ სანდომიანი, თხელი სახე ქალადის ფურცელივით გადაფითრებოდა. შემომხედა და

ნაიჩურჩულა, – „ეს – ეს დიკია!“ – და იმწამსვე დაამატა, „ამბობენ, ოთხი კაცი მოკლაო“.

„იმ –“, – ველარ დავამთავრე.

რენდიმ მდუმარედ დამიქინია თავი და ერთხანს ასე თვალგაშტერებულები ვიდექით, დანაშაულსა და უცაბედ შიშს ვგრძნობდით, თითქოს მთელი ბოროტ-მოქმედება მხრებზე გვეწვავდა...

ქუჩის გასწვრივ, საგის სახლის დარბაზის ფანჯარა რახუნით გაიღო და ბებერი საგი გამოჩნდა ფანჯარაში; მარტო ლამის პერანგი ეცვა, უხეში, ბებერი სახე მღელვარებისგან აღენოდა, მოვერცხლისფრო თეთრი, გრუზა თმა აჩეჩოდა, ძლიერი მხრებით და სქელი ხელებით ყავარჯენს ჩასჭიდებოდა.

– „ამ გზით მოდის!“ – თითქოს მთელ სამყაროს გასძახაო. „ამბობენ მოედანი გადაკვეთა. ახლა აქეთ მოდის!“.

მისტერ კრეინი შეჩერდა და მოუთმენლად, მხარს იქით გასძახა, „არა, საუთ დინ სტრიტს ჩაუყვავა! ახლა უილტონისა და მდინარის მიმართულებით მიდის! შტაბმა უკვე მაცნობა!“.

მთელი ქუჩის გასწვრივ ავტომობილები ახმაურდნენ და გამონაბოლქვს ისროდნენ. მესმოდა, მისტერ პეტერჰემი როგორ უკურთხებდა თავის მანქანას. საჭეს მრავალჯერ ატრიალებდა, ძრავა ნამით ამუშავდებოდა, ახრიგინდებოდა, ბოლქვს გამოუშვებდა და ისევ ჩაკვდებოდა. გასი გარეთ გამოვარდა ადულე-ბული წყლით საგსე ჩაიდნით და რადიატორის მიღში ციებ-ცხელებიანივით ასხამდა.

მისტერ შეპერტონი უკვე ჩაცმული იყო. დავინახე, როგორ ჩამოირბინა უკანა კიბეები და ფარეხისკენ გაემართა. სამივე, – რენდი, ნებრასკა და მე ხეივანს ჩაუყვებით, რომ დავხმარებოდით. გავალეთ ძველი ხის კარი. შევიდა და მანქანა დაქოქა. ახალი მანქანა იყო და უმაღლესი ხარისხის. მისტერ შეპერტონმა უკუსვლით გამოიყვანა მანქანა დათოვლილ გზაზე. ყველანი ავტოცდით გვერდითა ფრთაზე. მისტერ შეპერტონი იძახდა, – „ბიჭებო, თქვენ აქ დარჩით. რენდი, დედაშენი გეძახის“. მაგრამ, ჩვენ ყველანი ჩავხტით მანქანაში და მისტერ შეპერტონს სიტყვაც აღარ დაუძრავს.

მთელი სიჩქარით გამოვიარეთ ხეივანი, გავუხვიეთ ქუჩაში და კუთხეში მისტერ კრეინი ავიყვანეთ. ქალაქისკენ გავექანდით მთელი სიჩქარით. ყოველი ხეივანიდან მანქანა გამოდიოდა. გვესმოდა, ერთნი როგორ გაჰყვიროდნენ შეკითხვებს და მეორენი როგორ პასუხობდნენ. გავიგონე, ერთმა კაცმა როგორ წამოიძახა, – „ექვსი კაცი მოკლა“-ო. არა მგონია ხუთი ნუთი დაგვჭირვე-

ბოდეს მოედნამდე. მაგრამ, როცა იქამდე მივალნიეთ, თითქოს ჩვენს წინ მთელ ქალაქს მოეყარა თავი. მისტერ შეპერტონმა შეაჩერა მანქანა და ქალაქის საბჭოს წინ დააყენა. მისტერ კრეინი გადმოხტა მანქანიდან, ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ისე დაინყო გზის გაკვლევა მოედნისკენ.

ყოველი კუთხიდან, ყოველი ქუჩიდან, რომელიც მოედანს უერთდებოდა, ხალხი მოედინებოდა. თოვლით მოფენილ მოედნის თეთრ ხალიჩაზე კარგად ჩანდნენ ადამიანების შავი ფიგურები, ყველანი ერთ, ცენტრალურ ნერტილში ქუჩდებოდნენ.

მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხე, რომელსაც საუთ დინის ქუჩა უერთდებოდა, ძაღლების ბრძოლის ადგილს გავადა. მორბენალი ფიგურები მჭიდროდ შექუჩებულ ბრბოსკენ მოედინებოდნენ. ეს სხვას არაფერს მაგონებდა, თუ არა გაკვეთილებს შორის შესვენების დროს, სათამაშო მოედანზე ორ მოჩხუბარ ბიჭს. ბრბოს თავის მოყრაც ამას მაგონებდა.

მაგრამ, მერე, რალაც განსხვავებული გავიგონე. ბრბოდან მოდიოდა დაბალი და თანდათან მზარდი ბრდღვინვა, საშინელი და უწყვეტი ღრენა, ისეთი ტონალობის და თვისების, არასოდეს რომ არ მსმენია. მაგრამ, უმაღლესი გავაცნობიერე, ეს რას ნიშნავდა. იმ დანისლულ ყმუილში უცდომლად შეიმჩნეოდა სისხლის წყურფილი. და... ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ, ჩვენს თვალებში ერთი და იგივე შეკითხვა გამოსჭვიოდა.

მხოლოდ ნებრასკას ნახშირით შავი თვალები უჩვეულო, ველური ნაპერწკლებით ელავდნენ. „ნავედით“, თქვა მან დაბალი, მღელვარე ხმით. „ნამდვილად რალაც აქეთ ჩაფიქრებული“, და შურდულივით გავარდა ბრბოს ხშირ და ავისმომასწავებელი სიბნელისაკენ.

მაშინაც კი, როცა ნებრასკას მივდედვით, ჩვენსკენ მოინედა მზარდი, ყველაზე სასტიკად მბორგავი და გაუგონრად შემადრწუნებელი ღამეული ხმები. ნიგერთაუნიდან გაისმოდა საბმელიანი, მაძებარი ძაღლების გნისი, ხორხიდან ამოსული ღრმა ყმუილი, ველური სისხლის ყვილით სავსე და ყოველივე ამას ცოდვილი ბედისწერის სისასტიკეც ჩაწნოდა.

სანამ თოვლიანი მოედნის წყვილიდში მივიჩქაროდით, ძაღლებმა სწრაფად მოაღწიეს ჩვენამდე. ზედ ქუსლებთან გვიყვებდნენ. როდესაც ბრბოს მივაღექით, დავინახე, რომ სწორედ იმ კუთხეში შექუჩებულიყვნენ, სადაც ბიძაჩემის რკინა-კავეულობის საწყობი იდგა. ქემ იგერი ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ სამი თუ ოთხი კაცი იდგა პირით ბრბოსკენ,



ჩხვე, ისინი და სხვები

„– ეჰ, დომენიკო, ნეტაი შენ. – რატომ? – რატომ და ვერე ჯობია. – როგორ ვერე? – ზღვა და გემი რომ არ იცი, ვერე. შენ ალბათ მტერიც არა გყავს. – რად უნდა მყავდეს, ცუდი ადამიანი კი არ ვარ“. ვსხედვართ. ღია კაფეა. მზე მხოლოდ იგულისხმება. ვუყურებ და ვაკვირდები მის ნაკვეთს, ვაკვირდები ლამის უკულტუროდაც. არ მარიდებს თვალს. ის მიცნობს და მგრძნობს. ჩვენ შორის დუმილი უხერხული სულაც არ არის. იცის, რომ ერთნაირი გზა გავიარეთ და კიდევ ბევრი დაგვრჩა გასავლელი. მე ქალი ვარ. ის – მამაკაცი. ჩვენ მაინც ერთნაირი გზა გავიარეთ და გავდივართ. მან ეს იცის. ჩვენ ვგავართ ერთმანეთს ხელისგულებითა და ხაზებით, ამ ხელისგულზე რომაა გადწეული. ჰო, ვგავართ და გვიყვარს ერთმანეთი.

და როცა მატარებლები მიყვებოდნენ და მიყვებიან თავიანთ განრიგს... და მატარებლები ყოველთვის დროის კაპრიზზე არიან დამოკიდებულები.. და მატარებლები გვეგვანან ჩვენ და თანაც განსხვავებიან ჩვენგან ამავდროულად და როცა ეს ორივემ ვიცით... ეს ნიშნავს, რომ როდესაც მარტო ვიჯდები კაფეში ან უბრალოდ ვიჯდები სადმე... ვიცოცხლებ ჩემთვის... ის იქნება ყოველთვის ჩემთან ერთად... გამიღიმებს და დუმილით მეტყვის, რომ დედამინას სიყვარული ატრიალებს და რომ ორივე ამ ფრაზაში ვცხოვრობთ მარადის...

სინო ნაღირაჰი



მომცემელი პერკინსი იყო, ცნობილი პიროვნება, რომელიც აგრეთვე ერნესტ ჰემინგუეისთან და სკოტ ფიცჯერალდთანაც თანამშრომლობდა. ვულფი მეტად ემაღლიერებოდა მას და მამობილადაც თვლიდა. პერკინსს ხუთი ქალიშვილი ჰყავდა და მეექვსე შვილად ტომასს მიიჩნევდა. ვულფმა ეს რომანი ბერშტეინს უძღვნა. ნიგინის გამოცემიდან მალევე მხერალი ბრუნდება ევროპაში და წყვეტს ურთიერთობას ბერშტეინთან. რომანის გამოქვეყნებამ დიდი მძლავრება გამოიწვია ვულფის მშობლიურ ქალაქ ემევილში. ნანარმოებში ორასზე მეტი ადგილობრივი პირია გამოყვანილი, რომელთა ამოცნობაც ადვილად შეიძლებოდა. ვულფმა ირჩია შორს დაეჭირა თავი ემევილიდან და ცხრა წლის განმავლობაში თავს არიდებდა იქ ჩასვლას. ევროპაში მოგზაურობდა. რომანი „მოხედე სახლსა შენსა, ანგელოსო“ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და გერმანიაშიც ბესტსელერად ითვლებოდა. იცნეს რა თავიანთი თავი ნიგინში, ვულფის ოჯახის წევრებიც აღელვებულნი იყვნენ, მაგრამ მისი და – მებიელი ვაგზავნილ წერილებში ამშვიდებდა ძმას და სჯეროდა, რომ ვულფს მხოლოდ კეთილი განზრახვა ამოძრავებდა.

კიდევ ოთხი წელი გაატარა ვულფმა ბოჰემიაში. განუწყვეტილვ წერდა და ბოლოს თავისი მრავალტომეული რომანი, – „ბაზრობა ოქტომბერში“ **სკრიბნერს** ჩააბარა. რომანი დაახლოებით ისეთივე მოცულობისა იყო, როგორც **მარსელ პრუსტის** „დაკარგულ დროის ძიებანი“. გამოცემის კომერციული შესაძლებლობების დაანგარიშების შემდეგ, პერკინსმა უკიდურესად შეამცირა ამ რომანის მოცულობა და ბესტსელერის ზომის ერთტომეულად აქცია. სათაურად კი დაერქვა „დროისა და მდინარის შესახებ“. ეს რომანი კომერციულად უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედი. რომანის

გაგრძელება 76-ე გვერდზე

ჯაჭვს ქმნიდნენ, თითქოს თავიანთი ძალის დემონსტრირებას და კერძო საკუთრების დაცვას ცდილობდნენო, ბრბოზედ აწებოდა და იმის საშიშროებაც იყო, რომ ვიტრინის მინაზე მიესრისათ.

ქალაქის მერი იმ დროს უილ ჰენდერ-შოტი იყო. ახლა იქ იდგა, ჰიუ მაკენარის მხარდამხარ. ჰიუს ვხედავდი, სხვებზე ნახევარი ფუტით მაღალს, მის გრძელ, გამხდარ ფიგურას, მისი ხმელი სახის მგრძობილობას, წინგამონვდილ ძვლიან მკლავებს, რალაც უცნაურად, გულისამაჩუყებლად ლინკოლნისებურს. მისი ცალი თვალი, ცივად რომ ელავდა გვერდითა ლამპიონის შუქზე, მის შოტლანდიურ ჟინსს ამჟღავნებდა.

„ერთი წუთით მოიცადეთ, ხალხო, ერთი წუთით მოიცადეთ!“ – ყვიროდა ის, მისმა ხმამ ელექტრონის ნაპერწკალივით გადაიარა ხმაურიანი ბრბოს თავზე. „მაგით ვერაფერს მიაღწევთ! ასეთი რამის გაკეთება გამოსავალი არ არის!“.

ბრბო ბრაზიანი და დამცინავი ღრიალით შეეცადა მის ჩაჩუმებას. ჰიუმ ჰაერში ასწია თავისი დიდი მუშტი, ყვიროდა და ცალ, ცივად მოელვარე თვალს აბრიალებდა, სანამ აიძულებდა, რომ მისთვის მოესმინათ. „მისმინეთ!“ ყვიროდა ის. „ახლა ბრბოს წესით მისი გასამართლების დროს არ არის! ახლა ლინჩის დრო არ არის. ახლა კანონიერების და წესრიგის დროა! დაიცადეთ, სანამ შერიფი არ დაგარწმუნებთ ამაში! დაიცადეთ, სანამ ქემ იგერი მოვა! დაიცადეთ...“

მეტს ვეღარ ვგასწვდა. „უშმაკმა დალაზეროს, რისი მოცდა!“ დაიძახა ვილაძამ. „საკმაოდ ვიცადეთ! იმ ზანგს ხელში ჩავიგდებთ!“.

ხალხმა იხუვლა. ახლა ბრაზით შეპყრობილი ბრბო გაღიზიანებული გველივით იგრავნებოდა: უცბად ბრბოში ჩოჩქოლი და განვე-გამონწევა ატყვდა. ვილაძამ გამაფრთხილებლად შეუყვირა ჰიუ მაკენარს. ჰიუ დროულად დაიხარა. აგურმა ზუზუნით გადაუარა თავზე და ვიტრინა ნამსხვრევებად აქცია.

უეცრად ავისმომასწავლებელი ღრიალი ავარდა ჰაერში. ბრბო დაიძრა, ფეხით აქეთ-იქით ყრიდა ჩამსხვრეული მინის ფრაგმენტებს. ნამიც და შტურმით აიღებდა მთელ სანყობს. ქემ იგერი რომ მოვიდა, უკვე გვიან იყო. სწორედ, მაშინ მოვიდა, როცა გასაღებები უნდა ამოეღო და წინა კარი გაეღო, მაგრამ, მერე სიმწრით თქვა: ეს იგივეა, ცხენს რომ მოგპარავენ და თავლას მერე დაკეცავო.

ბრბო შიგ შეიჭრა. ყველა შაშხანა დაიბაცეს, ყუთები დალენეს და ჯიბეები ვაზნებით ამოიხსეს. ათ წუთში სანყობი პირწმინდად გაძარცვეს, ერთი შაშხანაც, ერთი ვაზნაც კი არ დატოვეს.

მთელი სანყობი ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდათ ქარბორბალას გადაუვლიაო. ხალხი ნაკადად მოედინებოდა ქუჩაში, დაახლოებით ასი ფუტის მოშორებით გროვდებოდნენ ძაღლების ირგვლივ, რომლებიც სუნს იმ ადგილიდან იღებდნენ, სადაც ცოტა ხნის წინ დიკი შეჩერებულიყო და მერე, სამხრეთისკენ, გორაკზე დაშვებით საუთ დინ სტრიტის გასწვრივ მდინარისკენ გაენია.

მწევრები გამალბით დაძრწოდნენ აქეთ-იქით, ღვედებს ექაჩებოდნენ, ჩუმიად წკმუტუნებდნენ, ნესტოვებით თოვლს ეხებოდნენ, გრძელი ყურები ჩამოეყარათ. მაგრამ, იმ შუქში და თოვლში დიკის დასადევნებლად თითქმის არც იყვნენ ეს მწევრები საჭირონი. თოვლდაფენილ გზების ცენტრში, ლარით ვაჭიშული მანქანების ქვეშ, ზანგის ნაფეხურებს შორს მიეყავით, სანამ გორაკის ფერდზე არ გაუჩინარდნენ სიბნელეში.

თუმცა თოვა შეწყდა, მაგრამ ქუჩაში ქარი ბობოქრობდა და თოვლის ნამქერს მორევივით ატრიალებდა. ნაკვალევი სწრაფად ქრებოდა. მალე ერთიანად ნაიშლებოდა.

ძაღლები თავის ნებაზე მიუშვეს. ზანტად გაემართნენ წინ, თოვლს ყნოსავდნენ; ბრბოს ბნელი მასა შეგროვდა და მათ უკან გაჰყვა. ვიდექით და თვალს ვადევნებდით მიმავალთ. დავინახეთ, როგორ ჩაუყვინნენ ქუჩას და გაუჩინარდნენ. მაგრამ, ქვევიდან, თოვლით დამუწვებულ უძრავობაში, ბრბოს, უსასრულო დუდუნი ჩვენამდე აღწევდა.

ადამიანები ჯგუფებად შეიკვრნენ. ქემ იგერი თავის დამსხვრეულ ვიტრინასთან იდგა, დაკვირვებით ათვალეებდა ზარალს. ზოგი კუთხეში შექუჩებულიყო ტელეფონის დიდ ბოძთან. იშვერდნენ ორლეულიან თოფებს, რომლებშიაც სუფთად ჩაესვათ ვაზნები.

და სწრაფად, ელვისებურად გარბოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორისკენ, საფანტის მიშვეტილი ჯერივით. ერთმანეთს შეერწყა მთელი ღამის საზარელი ქრონიკის ყოველი დეტალი.

და აი, რა მოხდა: იმ ღამეს, სადღაც ცხრასა და ათ საათს შორის, დიკ პროსეტი მივიდა პენსი ჰარისის ქოხში, ნიგერთაუნში. ზოგი ამბობდა, იქ როცა მივიდა, უკვე ნასვამი იყო. ასე იყო თუ ისე, მოგვიანებით, პოლიციამ ოთახში, ნედლი ხორბლის ვისკის ერთგალონიანი დოქის ნარჩენები იპოვა. რა მოხდა, რა კატამ ჩაიარა მათ შორის, არავინ იცის. უბრალოდ, ერთი შეშლილი ზანგი იყო „ზანგ ქალთან“.

იმ ღამეს, ზუსტად ათი საათის შემდეგ, სცენაზე გამოჩნდა ქალის ქმარი. ჩხუბი უმალ არ ამტყდარა. ქალის ნათქვამის მიხედვით, ნამდვილი უსიამოვნება არც მისი ქმრის დაბრუნებიდან ერთ საათში მომხდარა.

კაცები ერთად სვამდნენ. ორივე ცუდ ხასიათზე იყო. მალე, შუალამისას ჩხუბი წამოიწყეს. ჰარისმა სამართებელი დაუსვა დიკს. წამში ერთმანეთს გადაეჭდნენ, იატაკზე გორავდნენ და შემოლილებივით ჩხუბობდნენ. პენსი ჰარისი გარეთ გავარდა, კვილი ატეხა, ქუჩა გაირბინა და პატარა ჭუჭყიან საბაყლოში შევარდა.

სახალხო მოედანზე მდებარე პოლიციის შტაბში ტელეფონის საგანგაშო ზარი გაისმა. ატყობინებდნენ, რომ შემოლილი ზანგი თავაშვებულად იქცეოდა გალუი სტრიტზე, ნიგერთაუნში და დაუყოვნებელ დახმარებას ითხოვდნენ. პენსი ჰარისი უკან გამოიქცა თავისი პატარა ქოხისკენ.

როცა ქოხამდე მიაღწია, მისი ქმარი, რომელსაც სახეზე სისხლი ნაკადივით ჩამოსდიოდა, ქუჩაში ბორძიკით გამოვიდა, ხელები დასაცავად, ინსტინქტური შიშით თავს უკან აენია. იმავე წუთში, დიკ პროსერი გამოჩნდა ქოხის კარებში, მყისვე დაუმიზნა შაშხანა და გაქცეულ ზანგს ზუსტად შუა კეფაში ესროლა. ჰარისი პირისახით დაეცა თოვლში. სანამ მინას შეეხებოდა, უკვე მკვდარი იყო. მის გარშემო სისხლით გაჟღენთილი თოვლის ლაქა თანდათან ფართოვდებოდა. დიკ პროსერმა ხელი სტაცა თავზარდაცემულ ზანგ ქალს, ქოხში შეაგდო, დარაზა კარი, ფერდები ჩამოუშვა, ლამპა ჩააქრო და დაელოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორი პოლიციელი მოვიდა ქალაქიდან. ახალგაზრდა კონსტებლი, სახელად უილისი და პოლიციის ლეიტენანტი, ჯონ გრეიდი. პოლიციელებმა თვალი შეაღლეს თოვლში გაშხლართულ სისხლიან სხეულს, დაკითხეს შეშინებული საბაყლოს მეპატრონე და ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ, მოიმარჯვეს იარაღი და ქუჩაში გავიდნენ.

ახალგაზრდა უილისმა ფრთხილად დააბიჯა ქოხის თოვლით დაფარულ წინკარის საფეხურს, აეკრა კედელს ფანჯარასა და კარს შუა და დაელოდა. გრეიდმა გვერდიდან მოუარა ქოხს და იმ ფანჯარაში შეანათა ფანარი, რომელზედაც ფარდა არ იყო და ხმამაღლა დაიძახა: „გამოდით გარეთ!“

დიკმა სროლით უპასუხა და შიგ მაჯაში მოარტყა. იმავე წუთში უილისმა კარი ფეხისკვრით შეაღო და არც მოუცდია, ისე შევიდა დამინებელი რევოლვერით.

დიკმა ზუსტად თვლების ზემოთ ესროლა. პოლიციელი პირქვე დაემხო.

გრენდომ სირბილით შემოუარა ქოხს. შევარდა საბაყლოში, ძველმოდური ტელეფონიდან მოხსნა კაუჭზე დაკიდული ყურმილი, ციებ-ციხელებიანივით დარეკა შტაბში და ყურმილში გაჰყვიროდა, – შემოლილი ზანგმა სემ უილისი და ზანგი კაცი მოკლა და მაშველი რაზმი გამოგზავნეთო.

სწორედ იმ წუთში, დიკმა გადმოალაჯა წინკარს, სწრაფად დაუმიზნა პატარა მალაზიის ჭუჭყიან ფანჯარას და ტელეფონთან მდგარ ჯონ გრენდის ესროლა. გრენდი დაეცა. ტყვია ზედ მარცხენა საფეთქელთან მოხვედროდა და მეორე მხარეს გამოსვლოდა.

ახლა, დიკი, გრძელი, აუჩქარებელი ნაბიჯებით მიემართებოდა. მინას კატიხებური სისწრაფით ფარავდა, მერე, თოვლით დაფარული გალუი სტრიტის დაღმართისკენ ჩაუხვია და ჯარისკაცის მწყობრი ნაბიჯით ქალაქისკენ გაემართა. ქუჩის ცენტრისკენ მოძრაობდა, სვლისას სუფთად ისროდა მარცხნივ და მარჯვნივ. გორაკის ნახევარგზაზე ზანგების ორსართულიანი საცხოვრებლის მეორე სართულის სარკმელი ფართოდ გაიღო. ხანშიშესულმა ზანგმა კაცმა გამოყო ბამბის ნაპენტი დაფარული, ბებერი თავი. დიკი შეტრიალდა, თეძოდან ხელი არც მიუშორებია, დაუდევრად ესროლა. ნასროლმა მოხუც ზანგს თავის ქალის ზედა ნაწილი წააცალა.

იმ დროისათვის, როცა დიკმა გალუი სტრიტის დასაწყისს მიაღწია, ხალხმა უკვე იცოდა, რომ ის მოდიოდა. მყარად მიინეგდა წინ; თავის დიდ ნაბიჯებს ნათლად ტოვებდა თოვლით დაფარული ქუჩის შუაში, აქეთ-იქით იხრებოდა და თოვს თავის წინ ჯვარედინად იქნევდა. ეს ქუჩა ზანგების ბროდვეი იყო, მაგრამ, იქ სადაც ათი წუთის წინ ბილიარდის სათამაშო შენობებში, საპარიკმახეროებში, აფთიაქებსა და იმ ადგილებში, სადაც თევზს ნვავდნენ, სადამო ხანის ცხოვრება ჩქეფდა, ახლა ეგვიპტის ნანგრევების მდუმარება სუფევდა. სიტყვა ცეცხლივით მოსდებოდა მთელ ქალაქს, – შემოლილი ზანგი მოდისო. თავის გამოყოფას ვერვინ ბედავდა.

დიკი მყარი ნაბიჯებით მოდიოდა, ქუჩის შუას არ სცილდებოდა; გალუი სტრიტის ბოლოს მიაღწია და საუთ დინისკენ გაუხვია, მარჯვნივ, გორაკს აუყვია სამანქანო გზის შუაში და მოედნისკენ გაემართა. როცა მარცხნივ, სასაუზმეს ჩაუარა, სწრაფად ესროლა ფანჯარას, სადაც გამყიდველი იდგა დახლთან. კაცი დახლის უკან ჩაიკუზა. ტყვია, მის თავს ზემოთ, კედელს შეასკდა.



მათა

„ქვი სტანჯავდა ამ ბავშვს, ეჭვი, რომ არ უყვარდათ, რომ არ სჭირდებოდათ, რომ ისეთი არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, ან შეიძლება, განაგებდა სურვილი, ყოფილიყო ყველაზე კარგი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მეტი ალერსი, სიყვარული და ალიარება მიელო“.

(ნაირა გელაშვილი – „დედის ოთახი“)

თვითონ ავირჩიეთ ოთახი, განაპირა მარცხნივ, დერეფნის ბოლოს. შენ – შენი. მე – ჩემი. შიგნიდან გამოვიკეტეთ, საიმედოდ დავგმანეთ ყველა ჭუჭყრუტანა, ყველა ნასვრეტი. მერე სკამები ავაყირავეთ, იატაკი ამოვყარეთ, პიანინოს კლავიშები დავაძრეთ, ფრჩხილებით დავფხაჩნეთ კედლები, ფანქარავით წავითალეთ თითები და ზედ ვწერდით, რომ მარტოები ვართ, უღმერთოდ, უსამშობლოდ, უდედოდ, რომ კანზე კირივით შეგვახმა დედის საშვილოსნო, და ვერ ვიშორებთ ერთ დროს ურცხვად მისაკუთრებულ ამ იდუმალ, მენამულ საბურველს.

მერე დავსხედით ოთახის შუაგულში, შენ – შენთან, მე – ჩემთან. დამტვრეული თოჯინები და უნავთო ლამფები შემოვიმწკრივეთ და თითოეული უჯრედისკენ დავავაზავნეთ მეტასტაზები, – ფიქრი, რომ დავკსაჯეს, ეს მათ გამოგვამწყვდიეს ამ უკაცრიელ ოთახებში, უგულოდ მიგყვარეს და არასდროს მოგვისაკლისებენ.

ამოიმართება მერე სულში ათასწლოვანი ხე, დაკოჟრილ ტოტებს ამოყოფს ჩვენი თვალის უბებინდან, პირიდან, ფრჩხილებშუა, მუხლისთავებზე. კითხვისნიშნებს დაიმნიფებს ნაადრევ ნაყოფად, აი, შენ რომ გახრჩობდნენ ხოლმე, ბასრ კავებდა რომ დაგიდიოდა ძარღვებში, წვრილ კაპილარებს გიხლართავდა, შუბლთან გამოიბერებოდნენ ცისფრად. ყვიროდნენ შიგნი, ხაოდნენ. კანის კედლებს ასკვდებოდნენ, გარეშე თვალისთვის კი ეს მხოლოდ საბუთი იყო,

დასასრული 77-ე გვერდზე



გმირი ქალი ბერნშტეინი იყო. ვულფი ტოვებს სკრიბნერს და უკავშირდება „ჰარპერისა და როუს“ გამომცემლობას. ამბობენ, რომ ეს ნაბიჯი ვულფს გადაადგმევინა პერკინის მიერ მისი ნაწარმოებების მიმართ მკაცრმა მოპყრობამ. აგრეთვე, ვულფი გააღიზიანა ბერნარდ დე ვოტოს კრიტიკულმა წერილმა „გენიოსობა არ არის საკმარისი“, რომელიც ეხებოდა მის რომან „მოხედე სახლსა შენსა, ანგელოსო“-ს, სადაც კრიტიკოსი წუხს, რომ რომანი მისტერ პერკინის საზომით „დაჩეხეს და შეკუმშეს“.

ვულფი ბევრ დროს ატარებდა ევროპაში და განსაკუთრებით კი გერმანიაში, სადაც უამრავი მეგობარი ჰყავდა. მაგრამ, გახდა რა მონწივე ებრაელთა დისკრიმინაციის შემთხვევებისა გერმანიაში, ერთობ შემფოთდა და აზრიც შეეცვალა ამ ქვეყანაზე.

ვულფი ბრუნდება ამერიკაში და ბეჭდავს მოკლე მოთხრობას, რომელშიც ასახავს დისკრიმინაციის ფაქტებს სათაურით – „ერთი რაღაც მაქვს სათქმელი“. ამ მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ, გერმანიის მთავრობამ აკრძალა მისი ნივთები და მასაც აუკრძალა გერმანიაში ჩასვლა. ვულფი ბრუნდება ემევილში 1937 წლის ზაფხულში. ეს იყო მისი პირველი სტუმრობა რომანის – „მოხედე სახლსა შენსა, ანგელოსო“-ს გამოსვლის შემდეგ. მისი უთანხმოების მიუხედავად პერკინსთან, სიკვდილის სარეცელზე მყოფმა ვულფმა მას გულისამაჩუყებელი წერილი გაუგზავნა, რომელშიც სწერდა, რომ მას მაინც უახლოეს მეგობრად თვლიდა, რადგან დიდად დაეხმარა მისი ნაწარმოებების შექმნაში. წერილის დასასრულს ვულფი ამბობს: „ყოველთვის ჩემს ფიქრებში იქნები და ახლაც ისეთივე გრძობა მაქვს, როგორც მაშინ, ივლისის ოთხს, სამი წლის წინ, როდესაც ნავთან შეგხვდი და

დასასრული 78-ე გვერდზე

ამ დროს, პოლიციის შტაბიდან, სერჟანტმა მოედანზე ჯონ ჩემპენი გააგზავნა, რომ დიკისთვის გზა გადაეჭრა. ჩემპენი ალბათ ყველაზე დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა პოლიციის ძალებში. სასიამოვნო, ლაჟღაჟა სახის, ორმოცდახუთი წლის კაცი იყო, ხვეული, ნაბლისფერი უღვაშებით, გულთბილი, კარგი იუმორის მქონე, ოჯახის ერთ-ერთი, მამაცი, მაგრამ, პოლიციელის კვალობაზე ალბათ ზედმეტად კეთილი და უწყინარი.

ჯონ ჩემპენს სროლა შემოესმა და გაიქცა. იგერის რკინა-კავეულობის საწყობის კუთხესთან სწორედ მაშინ, მიიბრინა, როცა დიკის ბოლო ნასროლმა სასაუზმის ფანჯარა შეამსხვრია. მისტერ ჩემპენმა პოსტი ტელეფონის ბოძის უკან, კუთხეში დაიკავა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ იქ იდგა. ბოძის უკან შეფარებული ჩემპენმა, რომელსაც ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, ამოიღო რევოლვერი და ქუჩაში მომავალ დიკ პროსერს პირდაპირი დამიზნებით ესროლა.

იმ დროისათვის, დიკი, მხოლოდ ოცდაათი იარდის მოშორებით იყო. ის მშვიდად დაეშვა ცალ მუხლზე და დაუმიზნა მისტერ ჩემპენს. ჩემპენმა ისევ ისროლა და ააცივინა. დიკმა ისროლა. სწრაფმა ტყვიამ ბოძს ერთ მხარეს ჩაუარა, ჩემპენის იუნიფორმას მხარზე ოდნავ გაჰკურა და სამოცი იარდის მოშორებით, თუ მეტის არა, მოედნის ცენტრში მდგომ მონუმენტს პატარა ნაწილი წაატეხა.

ჩემპენმა ისევ ისროლა და ააცილა, და დიკმა, ჯერ კიდევ ცალ მუხლზე გულცივად მდგარმა, ისეთმა მშვიდმა და უდრეკმა, თითქოს უბრალოდ შაშხანის სროლაში ვარჯიშობსო, ისევ ისროლა. ვაზნამ ბოძი შუაში გახვრიტა და ჯონ ჩემპენს შიგ გულში მოხვდა. მერე, დიკი წამოდგა, ჯარისკაცის ბრუნი გააკეთა, ლარივით გაჭიმული გაუყვა ქუჩას და ქალაქი დატოვა.

ასეთი იყო ამბავი, რომელიც შევიტყვეთ ხალხის იმ აღლევებული ჯგუფებისაგან, რომელნიც ერთმანეთზე ცეცხლოვანი ჯაჭვივით გადაბმულიყვნენ და იგერის დამსხვრეულ ვიტრინასთან ფეხით აზელილ თოვლში შექურნებულიყვნენ.

მაგრამ, ახლა, გარდა ამ აყაყანებული ხალხის ჯგუფებისა, ქალაქი დადუმებულიყო. შორს, მდინარის მიმართულებით, გვესმოდა ძაღლების ნაღვლიანი ნკავნკავი. მეტიც აღარაფერი იყო სანახავი და გასაკეთებელი. ქემ იგერი დაიხარა, აიღო დამსხვრეული მინის რამდენიმე ფრაგმენტი და ვიტრინაში შეყარა. მცველად ერთი მილიციელი დატოვეს და ჩვენ ხუთნი, – მისტერ შეპერტონი, ქემ იგერი და სამი ბიჭი, – მოედანზე დავბრუნ-

დით. ჩავსხედით მანქანაში და შინისაკენ წავედით.

არა მგონია, იმ ღამეს რომელიმე ჩვენგანს ძილი მიჰკარებოდეს. შავკანიანმა დიკმა ძილიც მოკლა. განთიადისას, ისევ თოვა დაიწყო. მთელი დღია თოვდა. შუადღისას უკვე სხავდებოდა ქართი მონაბერი ნამქერი, ნაფეხურებს შლიდა. ქალაქი მოლოდინში იყო, ალგზნებული, დაძაბული, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, – დიკი თავს დააღწევდა თუ ვერა.

იმ დღეს ვერ მოიხელთეს, მაგრამ კვალში კი ედგნენ. დღის განმავლობაში, დრო და დრო, ახალი ამბები ჩვენამდეც აღწევდა. დიკმა აღმოსავლეთით, მდინარის გასწვრივ გაუხვია და ფეარჩილდის გზის რამდენიმე მილი გაიარა. იქიდან, ერთი თუ ორი მილის მოშორებით, მდინარე გადაჭრა როკი შელოუსკენ.

ფერმერს ფეარჩილდის რაიონიდან, დილაუთენია უნახავს, თუ დიკმა როგორ გადაიარა მინდორი. კვალი სწორედ იქ აიღეს და აედევნენ მინდორსა და ტყეში. დიკი ტყის მეორე მხარეს გამოვიდა, მივიდა კეინ კრიკის რაიონში და იქ კი, რამდენიმე საათის განმავლობაში მისი ალიკვალი დაკარგვიათ. მდინარის გაყინულ ნყალში პირდაპირ შევიდა და ერთი თუ ორი მილით ზევით აუყვა. ძაღლები მდინარესთან ჩაიყვანეს, სადაც ნაკვალევი წყდებოდა და მეორე ნაპირზე გადაიყვანეს. ძაღლები აქეთ-იქით დაძრწოდნენ და სუნს იღებდნენ.

იმ ნაშუადღევს, ხუთი საათისკენ, მდინარის მეორე მხარეს ერთი თუ ორი მილის მოშორებით, ისევ მიაგნეს კვალს. აქედან მოყოლებული, თანდათან უახლოვდებოდნენ დიკს. ძაღლები მისდევდნენ მინდორშიც, ლესტერის გზაზეც, ტყეშიც. მდეგრების ერთი დანაყოფი ტყეს შემოერტყა, რომ მისთვის გზა გადაეჭრა. იცოდნენ, რომ უკვე ხელში ჰყავდათ. დიკი გათოშილი, მშვიერი და მიუსაფარი სწორედ იმ ტყეს აფარებდა თავს. იცოდნენ, რომ ხელიდან ვეღარ გაუსხლტებოდათ. მდეგრებმა ალყა შემოარტყეს ტყეს და დილაამდე იცდიდნენ.

მეორე დღის რვის ნახევარზე, დიკი შეეცადა ალყა გაერღვია. ვერც კი დაინახეს, ისე გაკვეთა მათი ხაზი, ლესტერის გზა გადაჭრა და ისევ კეინ კრიკის მიმართულებით გაემშურა. და აი, იქ კი დაიჭირეს. დაინახეს, როგორ მიაპობდა მინდვრის ნამქერს. ყვირილი ატყდა. მდეგრები გამოეკიდნენ. ზოგი მდეგარი ცხენით იყო. მიაჭენებდნენ მინდორში. დიკი ტყის განაპირას შეჩერდა, ფრთხი-

ლად დაეშვა ცალ მუხლზე და კარგა ხანს ცეცხლის ჯვრით იგერიებდა მათ. ორასი იარდის მოშორებით, დეპუტატი დოკ ლევენდერი დასცა ყელში ტყვიით.

მდევეარი ნელა ახლოვდებოდა, წრიული, ფლანგისებური მოძრაობით უახლოვდებოდნენ. დიკმა კიდევ ორი მათგანი დასცა და მერე, ჯვარისკაცის ჩვეულის სიფრთხილით, უკან დაიხია. უკუსვლის დროსაც ისროდა. ისევ შევიდა ტყეში, ტყის მეორე მხარეს შებრუნდა და მინდვრის ფერდობზე დაეშვა, რომელიც კეინ კრიკს ესაზღვრებოდა. მდინარის კიდზე შებრუნდა, თოვლზე ჩაიჩოქა და დაუმიზნა.

ეს დიკის ბოლო გასროლა იყო. არ აუცდენია. დეპუტატ ვან ფორეიკერს ტყვია შიგ შუბლში მოხვდა და უნაგირს ზედ დააკვდა. მერე, მდევერებმა დაინახეს, რომ ზანგმა ისევ დაუმიზნა, მაგრამ უშედეგოდ. დიკმა უხეში ჩხაკუნით გახსნა სავაზნი და მერე თოფი შორს მოისროლა. ხმაშალალი შეძახილები ატყდა. მდევერები წინ გამოიჭრნენ. დიკი შებრუნდა, ბორძიკით რამდენიმე დარჩენილი იარდნი გაიბრინა, რომელიც ცივ, მოკაშკაშე, კლდისფერ მდინარის წყალს აშორებდა.

და იქ, გასაოცარი რამ ჩაიძინა, – ისეთი რამ, რასაც ადამიანის გონება ბოლომდე ვერ ჩასწვდება. ეგონათ, დიკი ბოლო მცდელობას არ დაიშურებდა თავისუფლების მისაღწევად, წყალში შევიდოდა და სანამ შეიპყრობდნენ, თავის დაღწევას შეეცდებოდა. მაგრამ, ნაცვლად ამისა, დიკი მშვიდად დაჯდა ნაპირზე და ისე წყნარად, თითქოს თავის ბარაკში, სამხედრო სანოლზე მჯდარიყო, თასები გაიხნა, ფეხსაცმელები გაიხადა და ერთმანეთის გვერდზე ფაქიზად დააწყო. მერე ადგა და ჯარისკაცით მხრებში გასწორდა. იდგა დასისხლიანებული ფეხებით ბრბოს პირისპირ.

პირველად, ცხენზე ამხედრებული მდევერები მისწვდნენ. წრიულად დააჭენებდნენ და თავიანთ თოფებს ზედ აცლიდნენ. ტყვიებით ერთიანად დაცხრილული, თოვლში პირქვე დაემხო. მხედრები ჩამოქვეითდნენ, ზურგზე გადააბრუნეს, დანარჩენებიც შეუერთდნენ და ისევ დაცხრილეს. მერე მისი უსიცოცხლო სხეული აიღეს, ყელზე თოკი გამოაბეს და ხეზე ჩამოკიდეს. ბოზომ, თუკი რაიმე დარჩენოდა აღჭურვილობიდან, ბოლომდე დააცალა დიკის სხეულისგან დარჩენილ კარკასს.

იმ დილის ცხრა საათზე, ახალმა ამბავმა ქალაქში ჩამოაღწია. თერთმეტი საათისთვის ხალხი მდინარისკენ გაემართა. საკმაოდ დიდი ბრბო საუთ დინსტრიტის სათავისკენ დაბრუნდა. დამკრძალა-

ვი ბიუროს წინ შეჩერდნენ, სწორედ იქ, სადაც დიკმა ჯონ ჩეპმენის მოსაკლავად ჩაიმუხლა. ახლა, მისი სამხილად დასახიჩრებული სხეულის ნარჩენი, დამკრძალავი ბიუროს ფანჯარაზე ჩამოკიდეს, რათა თვალნათლივ დაენახა ყველას – ქალს, კაცსა თუ ბავშვს.

და სწორედ იქ ვნახეთ დიკი უკანასკნელად. ვთქვით, რომ ასეთი დიკის დანახვა არ გვინდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც წავედით. და ვფიქრობ, ეს ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. იტყვიან, პროტესტის ნიშნად არ წავალთ და არ ვნახავთ, რისი ნახვაც შეგვზარავსო, მაგრამ ბოლოს უჭირთ თავის შეკავებას.

ჩვენც წავედით, ვნახეთ და შენუხებულები ვცდილობდით თავის დარწმუნებას, რომ ვინც ვნახეთ, ოდესღაც ის ადამიანი იყო, რომელიც ალერსიანად გვესაუბრებოდა, ჩვენს გულისთქმას იზიარებდა და ჩვენი სიყვარულისა და პატივისცემის საგანი იყო. იმის გამო, რომ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რამის მომსწრენი ვაგხდით, რისი გაგებაც არ შეგვეძლო, გულისრევას და შიშს ვგრძნობდით.

ვუყურებდით, გათეთრებული ტურებით, კისერს სხვა მხარეს ვატრიალებდით, განზე ვიხედებოდით და მერე, არმოსურნე, გაოცებულ თვალებს კიდევ ერთხელ მივაპყრობდით იმ სამიწელებს, ისევ შეგბრუნდებოდით და შეცხუნებულები ვხვდით თოვლქყაპს, მაგრამ, ადგილიდან ვერ ვიძროდით, შეგყურებდით დღის ტყვიისფერ ბურუსს, ცაში ასულ მოქუფრულ ორთქლს და ჩვენს ირგვლივ მყოფ გაუფერულ ბულ ფორმებსა და სახეებს, ხალხს, რომელიც მოდიოდა, რომ პირდაღებულს ეცქირა ამ სანახაობისათვის, – ბილიარდის უსაქმურ მოთამაშეებს, ქალაქის ყოჩებს, ამ მინის ათასი ჯურის დამყრობლებს, და თითქოს ეს ყოველივე ჩვენი ცხოვრებისათვის უცხო არ იყო, არც ჩვენი გამოცდილებისათვის, არც ჩვენი ლანდშაფტისა და არც ყოველი ცოცხალი არსებისათვის.

და, რაღაც ახალი მოხდა ცხოვრებაში, – ჩვენს ცხოვრებაში, – რაღაც ისეთი, რაც ჩვენთვის უცნობი იყო. ეს იყო ჩრდილი, მომწამვლელი წყვილი, რომელიც სავსე იყო გამოაგნებელი ზიზლის გრძნობით. ვიცოდით, გადნებოდა თოვლი, ცის მხუთავი ნისლიც გაიფანტებოდა, დაგვიბრუნდებოდა ფოთოლი, ღერო, კვირტი, ფრინველი და მერე აპრილიც დადგებოდა და ყველაფერი ისე იქნებოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ისევ აკაშკაშდებოდა ყოველდღიური, ნაცნობი შუქი და ყველაფერი,



რომ გრძნობები გაგაჩნია, ემოციები, რომ ისეთი პირქუში და ცივი არ ხარ, როგორადაც სხვებს ეჩვენები. ხომ გითხრა მაიამ, ლამაზი ხარო. მისთვის სულ ეს იყო და ეს!

გინდოდა ყველა ფარდა გადაეგნია, ყველა ამოცანა მათემბტიკური სიზუსტით ამოგესხნა, თითოეული სკივრისთვის ზედ მიგემსხვრია პანანინა კლიტები, მავთულები დაგეწყვიტა, გადმოცვივდებოდნენ იქიდან სიძველისგან გაყვითლებული გრაგნილები, საიდუმლო ბარათები და რასაც აქამდე წყვილი დარაჯობდა, ნათელი გადაედვრებოდა საპნიანი წყალივით, მაგრამ ნაცრისფერი ქაფი? აი, რა გამოგრჩა. განა წარსულიც ვლენის ფაქიზი და კამკამა ნაქარგებით იყო მორთული, სწორედ ის ნაცრისფერი ქაფი გასდევს არშიად ისტორიას. სულში ჩაგიგუბდა და დაგტბორა. ფილტვები დაგიხვრიტა და უნდა იარო ასთიმიანივით, მთელი ძალით ეზიდებოდე ჰაერს სასუნთქი მილებიდან.

მერე გააღე შიგნიდან ჩარაზული კარი, ლურჯად მოლაპლაპე, უზარმაზარი გველი განვა ჭიშკრამდე და მის იქით. მიჰყვი შენც ნება-ნება. (მე და შენ ხომ არასდროს მოგვძახიან: „დაბრუნდიო! არ ნახვიდე! და თუ მოგვძახიან, ძალიან გვიან). ნანვიმარი მინა დაღარა გველმა და ტბაში ჩასრილდა. გზა გაგიკვალა.

ეს მაშინ. ახლა: შენი ნატერფალები მბზინავი, მკვდარი რვაფეხბივით ტივტივებენ ბაზალეთზე. გეძახი: მათეეეეეეეე! მათეეეეეეეეეე!... და არ მინდა პასუხი გამცე!

თათია ჯაპუშია



კაფედან გამოსულები მდინარისკენ გავემართეთ, ცოტა დავლოეთ და მოგვიანებით მალაღობის თავზე ავედით, საიდანაც ქალაქის ყოველი უცნაურობა, დიდებულება და სიკოცხლის მამოძრავებელი ძალა მოჩანდა ჩვენს ფეხქვეშ.

მიუზღრუნდეთ მოთხრობის დასაწყისსა და ბოლოში გამოყენებულ უილიამ ბლეიკის ლექსს „ვეფხვი“. ბლეიკმა მრავალ მწერალზე მოახდინა გავლენა და რა გასაკვირია, რომ ვულფიც გატაცებული ყოფილა მისი „უმანკობისა და გამოცდილების სიმღერებით“. ბლეიკის ლექსი, ერთგვარად გასაღებია მოთხრობისა „ვეფხვიც და ბავშვიც“. ლექსში დასმული შეკითხვა: „ნუთუ შენაც შეგქმნა იმან, ვინც შექმნა ქვეყნად კრავი?“ – რიტორიკულია, რადგან პასუხს არც მოითხოვს. ბლეიკმა იცოდა, რომ ვეფხვიც და კრავიც ერთი მასალისგან, ერთი თიხისგან არის ნაქერნი, მაგრამ ისინი მაინც ორნი არიან, ერთ პიროვნებაში ჩაბუდებულნი. დიკ პროსერის სულში ორივეა შედუღებული – ბავშვიური (კრავის) სინამდვილე და უმანკობა და ვეფხვის მძინვარება...

არ გააღვიძოთ მიძინებული ვეფხვი, ის საშიშია და დიკ პროსერშიც ვეფხვი მაშინ იღვიძებს, როდესაც მის წონასწორობას არღვევენ, მაშინ ენთება თვალები ნითლად და მაშინ აჩენს სპილოსძეგლისეფერ კბილებს. მაგრამ მიმწველოვანი ის არის, რომ მოთხრობის ბოლოში მაინც ნათელი სძლევს ბნელს. დიკ პროსერი კი არ მარცხდება, არამედ ღმერთს ნებდება. ის ისე დგება ღმერთის წინაშე, როგორც ქრისტე, რომელმაც სხვათა ცოდვები უნდა მოინანიოს. მოთხრობის ბოლო სცენა დრამატული და გამოაცხადებელია: დიკ პროსერში გაღვიძებული ვეფხვი დამოშინდება და იღვიძებს მომხანვე და მორჩილი ბავშვი, რომელიც დინჯად იხსნის თასმებს, ფეხსაცმელს იხდის და ისეთივე წესიერებით დაწყობს, როგორც შეპერტონებისთვის დაჩეხილ შუას.

დიკ პროსერის მაგიდაზე პირქვე დადებული ბიბლიიდან მწერალი ფსალმუნის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს მოიხმობს. მოთხრობის ძირითადი სათქმელი კი, ალბათ, წმინდა წერილის ამ სიტყვებში მთლიანდება: „ხოლო, რომელსა სძულდეს მძა თვისი; იგი ბნელსა შიდა არს და ბნელსა შიდა ვალს. და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმა დაუბრუნა თვალნი მისი“ (პირველი იოანესი 2:11).

რაც მოხდა, ავი სიზმარივით გაქარწყლდებოდა. და მაინც – ყველაფერი მთლად ასეც არ იყო. იმიტომ, რომ კვლავ დავვიღრვინა გულს ძველი, ბნელი ეჭვი და ზიზღი ისეთი საძულველის მიმართ, რასაც ადამიანის სული ვერ გამოსთქვამს. ვიცოდით, რომ არ დავგავიწყდებოდა.

ჩვენს გვერდზე მდგომი მამაკაცი, თავისი საკუთარი გმირული მიღწევების შესახებ უყვებოდა მოხიბლული მსმენელების ჯგუფს. შეგბრუნდი და შევხედე. ეს ბენ პაუნდერსი იყო, პოლიციის აგენტის ჩვეული სახით, შემპარავი და მოუსვენარი გამოხედვით, პირსისხლიანი ბენ პაუნდერსი, შავკანიანებისგან სავაზმო სესხების ამკრეფი, ზანგებზე მონადირე და ახლა, ეს ბენ პაუნდერსი იქაღნიდა კიდევ ერთ ტრიუმფს, კიდევ ერთი სკალპის მფლობელობას.

„პირველმა ტყვია მე ჩავაჭედე“ – ამბობდა ის. „ხედავთ აი იმ დიდ ნატყვიარს ზუსტად თვალის ზემოთ?..“ ბრბო შებრუნდა და ფართოდ გახელილი, თითქოსდა ნარკოტიკით აგზნებული, დამშეული თვალებით მიაშტერდა ნატყვიარს.

„ეს კი ჩემია“, – თქვა, კიდევ ერთმა გმირმა, სწრაფად შებრუნდა და თოვლქყაპში გადააპურტყა. „აი, აქ მოვარტყი, ეშმაკმაც დალაზვროს, ვერც კი გაიგო, ვინ მოარტყა. სანამ მიწაზე დაეცემოდა, უკვე მკვდარი იყო. საცერივით დავცხრილეთ. ერთიანად ტყვიით ამოვავსეთ. ჰო, ეშმაკმა დალაზვროს, ასე იყო“, – განაცხადა მან თავდაჯერებული მოძრაობით, „ორასამდე დავთვალებთ, ორას ოთხმოცდაშვიდამდეც. ალბათ სამასამდეც კი დავაჭედეთ“.

და, ნებრასკა, როგორც ყოველთვის, უშიშარი, პირდაპირი და გულწრფელი, უცებ შეტრიალდა, ორი თითი მიიღო ტურნებზე, მათ შორის გამოაფურთხა მთელი ძალით და დამცინავად თქვა: „ჰო – ჩვენ! დიდი ვინმე მოვკალით! ჩვენ – ჩვენ დათვი მოვკალით, ნამდვილად!“ ნავიდეო, ბიჭებო! თქვა ხრინწიანი ხმით. „ჩვენს გზას დავადგეთ!“.

და, მხნედ და ურყევად, ყოველგვარი შიშისა და ეჭვის გარეშე წინ გასწია. და, ჩვენ, ორი გაფითრებული, გულისრევამდე მისული ბიჭი, უკან გავყვიეთ.

ერთი თუ ორი დღე გავიდა, ვიდრე ვინმე შეძლებდა დიკის ოთახში შესვლას. პირველად რენდი და მამამისი შევიდნენ და მეც შევყვიე. პატარა ოთახი უზადოდ სუფთა იყო, ისეთივე მოკრიალეული და დალაგებული, როგორც ყოველთვის. მიუხედავად ოთახის ღრმა მდუმარებისა,

ახლა ისეთი გამოცოცხლებული ჩანდა, თითქოს მისი შავკანიანი მდგმური ისევ იქ ყოფილიყო. ეს დიკის ოთახი იყო, ყველამ ვიცოდით. და ისიც ვიცოდით, რომ აქ აღარავინ იცხოვრებდა.

მისტერ შეპერტონი მივიდა მაგიდასთან, აიღო დიკის ძველი ბიბლია, რომელიც ისევ ისე გადაშლილი, პირქვე იდო; სინათლეს მიუშვირა, დიკის მიერ უკანასკნელად მონიშნულ ადგილს დახედა და უმაღლ, ისე რომ ჩვენ არც კი დაგვლაპარაკებია, წყნარი ხმით დაიწყო კითხვა:

1. უფალმან მმწყსო მე და არაი მაკლდეც.

2. ადგილსა მწუანილოვანსა მუნ დამაგვიდრა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამოშარდა მე.

3. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის.

4. ვიდოდიათუ შორის არდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანახარს;

მერე, მისტერ შეპერტონმა წიგნი დახურა და მაგიდაზე, სწორედ იმ ადგილას დადო, სადაც დიკმა დატოვა.

გარეთ გამოვედით. მისტერ შეპერტონმა ოთახი ჩაკეტა და იმ ოთახში აღარასოდეს შევსულვართ.

წლები გავიდა, და ყველა ჩვენგანი თავის დროს მიენდო. ჩვენ ჩვენი გზით წავედით. მაგრამ, ხშირად იმ გზებზე ბრუნდებოდნენ და ჩვენთან მოდიოდნენ ის სახეები, ჩემს ხსოვნაში კვლავ ინვოდნენ წარსულის ის ხმები, დროის დამუნჯებულ და უკვდავ გეოგრაფიაში.

და... ყველაფერი ისევ ბრუნდებოდა, – ახალგაზრდული ყიჟინა, დარტყმული ბურთის მძიმე ხმა, დიკის მყარი, დინჯი მოძრაობა, დიკის ჩუმი მოძრაობა, ქარიშხლიანი, თეთრი სამყარო და მღუმარება, და მოძრავი, ღამეში მოძრავი რალაც; მერე, გახელებული ზარების რეკვა, ხალხის ხმაური და ძაღლების გნისასი ჩამესმოდა და ვგრძნობდი მომავალ ჩრდილს, რომელიც აღარასოდეს გაქრებოდა. მერე, ისევ პატარა ოთახს, რომელშიც ველარასოდეს შევიდოდი, და ვერც მაგიდასა და წიგნს ვნახავდი, და ძველი ფსალმუნის პასტორალური სინამდვილე ბრუნდებოდა ჩემთან, ჩემს გულთან, – დამაბნეველი და ეჭვიანი სავსე.

იქიდან მოყოლებული, კიდევ ერთი სიმღერა მქონდა გაგონილი და ვიცი, ეს სიმღერა დიკს არასოდეს მოუსმენია. ალბათ ვერც შეძლებდა მის აღქმას, მაგრამ

მისი ფრაზებიცა და ხატებიც, მჯერა, რომ დიკის ბუნებას მიესადაგებოდა:

„ან რა ხერხით? ან რა ღონით? რა გზით შექმნეს შენი გონი? მხურვალ გრდემლში ანრთეს თითქოს, ის, რაც საზარ შიშით გვიპყრობს! როცა ვარსკვლავთ იწყებს ელვა, დააფინეს სხივნი ცრემლად, გაელიმა შექმნილს როცა, თვის ქმნილებას მოჰკრა თვალი, ნუთუ იმას ძალამ შეგქმნა, ვინაც შექმნა ქვეყნად კრავი?“

„ან რა ხერხით? ან რა ღონით?“ – არავინ იცის. ეს იყო იდუმალება და საოცრება. ათასი ამბავი ითქვა, ათასი ახსნა, ათასი მითქმა-მოთქმა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გაურკვეველად რჩებოდა. ზოგი ამბობდა, რომ დიკი ტეხასელი იყო, სხვანი ამბობდნენ, მისი მშობლიური სახლი ჯორჯიაშიაო, ზოგი ამბობდა, სიმართლე ისაა, რომ ჯარში ყოფნისას კაცი მოკლა და ლივენვორთში იხდიდა სასჯელსო. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ჯარიდან საპატიო თავისუფლება მისცეს და კაცი არასოდეს მოუკლავსო. იმასაც ამბობდნენ, ლუიზიანას ციხეში იხდიდა სასჯელსო. ზოგი

ამტკიცებდა, სამხედრო იყო, მაგრამ ჭკუიდან შეიშალაო. გიჟადაც შერაცხეს – თითქოსდა საგიჟეთიდან გამოქცეულაო. ხან – ციხიდან გაიქცა და როცა ჩვენთან ჩამოვიდა, სამართალს გაურბოდაო.

მაგრამ ყველა ეს ამბავი გაქარწყლდა. ვერაფრის დამტკიცება ვერ შეძლეს. როგორ არ კამათობდნენ და მსჯელობდნენ დიკის ვინაობასა და რაობაზე. რა ჩაუდენია, საიდან მოვიდა, – მაგრამ, ამაოდ. პასუხი არავინ იცოდა. თუმცა ვფიქრობ, რომ მე ვიპოვე პასუხი, მე ვიცი დიკი საიდან მოვიდა.

წყვდიადიდან მოვიდა, წყვდიადის გულიდან მოვიდა, იდუმალი და აღმოუჩენელი სამხრეთის ბნელი გულიდან. ღამით მოვიდა და ღამევე წავიდა. ის ღამის პირმშო და თანაზიარი იყო, ადამიანის ბნელი სულის მეორე მხარის ნიშანი, სიმბოლო იმისა, რაც წყვდიადში ჩაივლის და მაინც რჩება, ადამიანის ავი უმანკოების სიმბოლო და მისი იდუმალების ნიშანწყალი, თავისივე უძირო თვისებების წარმონაქმნი, მეგობარი, ძმა და მოსისხლე მტერი, შეუცნობი დემონი, შერწყმა ორი სამყაროსი – ვეფხვისა და ბავშვისა.

ინგლისურიდან თარგმნა და ნინასიტყვაობა დაურთო მედეა ზაალიშვილმა




„ცრემლავი შპინდირია იმ შენის მამოზრისადა“...

ჩემს გვერდზე მყოფი პერსონაჟი „სახე-მონყენილი“ იქნება, მწუხარე, მაგრამ მშობლიური. ვინც ამ გვერდამდე მოაღწევს – „იმით მასპინძლობს ალაზა, ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა“. ალაზა (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“) ქმრის მორჩილი და მოსიყვარულა, თემის – ურჩი. ერთნაირები იყვნენ ცოლ-ქმარი, ერთმანეთით ძლიერები, სიმართლის მაძიებელნი, სიმართლის მთქმელნი, სიმართლის მქმნელნი. ჩემი ალაზა ქმრის ერთგულია – მისი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ სურს; და მაინც, განა შეიძლება და „კაცის კაცური სიკვდილი“-ს დასწრებას, ამ სპეციფიურად მამაკაცური სიამაყის გააზრებას არ გამოეწვია ის, რომ „ამ სურათის ნახვისას ერთი დიაცი ბნდებოდა“? შეუძლებელი იყო! ადამიანური ბუნების საწინააღმდეგო... მაგრამ რა ხშირად ვახშობთ ჩვენში ადამიანურს, გვიფიქრია? ქისტი? ქისტი ჰქვია და რა ქართული ბედი და ხასიათი აქვს – საკუთარი გრძობებიც არ ეკუთვნის, ცრემლისა-ც კი ეშინია – ცალკე ღვთისა ერიდება, ცალკე ცოცხლებისა თუ მიცვალებულების: „მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს, უცხოთვის ცრემლი ვღვარია“. რამხელა სიბო, ქალურობა, თანაგრძობა, სიყვარული, თავგანწირვა, რწმენაა მასში... რამდენ ქალს ამოუცვინია თავისი ხასიათის შტრიხები ალაზას ძუნწად დახატულ გმირში, ან – რა კარგი იქნებოდა, ამოეცნო... ვისაც უნდა შემეკამათოს, მაგრამ მე მჯერა, რომ ალაზები, ალაზები გვჭირდება ჩვენ!

ნიმე ნაკარიშვილი

¹ მოთხრობაში გამოყენებულია უილიამ ბლეიკის ლექსი-შედევი „ვეფხვი“.
² ქექ'ნ – კაპიტანი.
³ საგალობელი დავითისა, ფსალმუნი 22 (23).

„ინტელექტი“ ბთავაზობთ



უილიამ ბატლერ იეიტსი „კელტური მიმწუხრი“

პირველად ქართულ ენაზე – გამოჩენილი მწერლისა და პოეტის, დრამატურგისა და მოაზროვნის, 1923 წლის ნობელიანტის, უილიამ ბატლერ იეიტსის „კელტური მიმწუხრი“.

ნიგნში შესულია რჩეული ლექსები იეიტსის შემოქმედებიდან, პიესები („ქეთლინ ნი ჰოულიჰენი“, „ემერის უკანასკნელი ეჭვიანობა“, „კატა და მთვარე“, „სიტყვები ფანჯრის მინაზე“, „გოლოგოთა“), რომლებიც დღესაც აქტუალურია და დიდი ინტერესს იწვევს, უჩვეულო ნოველებისა და მინიატურების ციკლი „კელტური

მიმწუხრი“, სადაც მწერალი შეეცადა მნიშვნელოვანი მოვლენებისგან შეექმნა პატარა სამყარო და ხალხისთვის ეჩვენებინა ირლანდიის სახე. ამიტომ გულდასმით და მიუყვრობლად ჩაინერა ყოველივე, რაც სმენია და უნახავს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქალბატონ მედეა ზაალიშვილის დამსახურება, რომელმაც ორიგინალის ენიდან ბრწყინვალედ თარგმნა იეიტსის თხზულებანი, მისი სანობლო სიტყვა, მწერლის ცხოვრების ქრონიკა და კომენტარები დაურთო კრებულს. ნიგნი იბეჭდება როსტომ ჩხეიძის რედაქციითა და ნინასიტყვაობით.

სიახლე

საერთაშორისო პრემიის ქართული ნომინანტები



7 ოქტომბერს, ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე, ასტრიდ ლინდგრენის პრემიის საორგანიზაციო კომიტეტმა პრემია „ალმას“ 2011 წლის ნომინანტთა სია გამოაქვეყნა, რომელშიც პირველად პრემიის არსებობის ისტორიაში, საქართველოს წარმომადგენელიც შევიდა. ეს არის საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“. პრემია „ალმა“ რანგით და მნიშვნელობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში და მას, სხვაგვარად, „საბავშვო ნობელსაც“ უწოდებენ.

ფონდი „ლიბო“ შეიქმნა 2006 წელს საბავშვო მწერლების – ირმა მალაციძისა და მარიამ წიკლაურის თაოსნობით. არსებობის მანძილზე ფონდმა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო წიგნის განვითარების საქმეში. მისი თაოსნობით დაწესდა ქართული საბავშვო წიგნის დღე – 27 ოქტომბერი.

„ალმა“ დაარსდა 2003 წელს შვედეთის სახელმწიფოს მიერ, დიდი მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის ხსოვნის უკვდავსაყოფად და საბავშვო წიგნის პოპულარიზაციისათვის მთელ მსოფლიოში. ის ყველაზე დიდი პრემიაა, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საბავშვო მწერალს, ილუსტრატორებს და ამ დარგში მოღვაწე ორგანიზაციებს გადაეცემა ყოველწლიურად განსაკუთრებული მიღწევებისათვის საბავშვო ლიტერატურის სფეროში. მისი საპრემიო ფონდი შეადგენს 500 000 შვედურ კრონას. საქართველო ამ საპრემიო კომიტეტს მიერთებულია 2006 წლიდან შვედურ-ქართული მემორანდუმის საფუძველზე. თუმცა წარდგენა საქართველოდან წელს პირველად განხორციელდა. ეს მოვლენა არა მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის ფონდისათვის, არამედ მთელი ქართული საბავშვო მწერლობისათვის და თავად სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფაქტია.

„კლასობანა“ ქართულად

„აუცილებელი საკითხავი“ – ვკითხულობთ არგენტინელი მწერლის ხულიო კორტასარის ქართულ ენაზე ახლადნათარგმნი წიგნის ყდაზე. „კლასობანა“ ესპანურიდან მერი ტიტინიძემ თარგმნა. გამომცემლობა „არეტემ“ კი თავისი ახალი გამოცემის წარდგინება წიგნის მალაზია „პარნასში“ ამა წლის 19 ოქტომბერს გამართა.

ხულიო კორტასარი გახლავთ მე-20 საუკუნის ცნობილი არგენტინელი მწერალი, რომელმაც შექმნა ისეთი რომანი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა მსოფლიო ლიტერატურაში, რამდენადაც ეს არის უნივერსალურ თემებსა და მოვლენებზე აგებული წიგნი. ამავე დროს ავტორი წარმოგვიდგენს რეალურ სახეებს. წიგნის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: „იმ იმედით შთაგონებული, რომ სიკეთეს ვიქმ, მეტადრე ახალგაზრდების საკეთილდღეოდ და შემწეობას ვუწევ მათ სულიერ და ზნეობრივ გადახალისება-გაჯანსაღებაში, სწორედ ამიტომ შევადგინე წინამდებარე კრებული მაქსიმებისა, რჩევა-დარიგებებისა თუ წეს-კანონებისა, რაც არის საფუძველთა საფუძველი საყოველთაო მორალისა და სასიკეთოა ყოველი ადამიანის სულიერი და ხორციელი ბედნიერებისთვის, მათი ასაკის, მდგომარეობისა თუ ცხოვრების პირობების მიუხედავად.“

რატომ „კლასობანა“? როგორც მთარგმნელმა წიგნის წარდგინებისას განაცხადა, ეს წიგნი გახლავთ ბუდიზმის და სამყაროს შექმნის მოდელი, რომელიც შემდეგი სახითაა გამოხატული: წრე, რომელშიც ჩახატულია კვადრანტი, კვადრატში კი – ისევ წრე. აქედან

ვღებულობთ წიგნის სათაურს „კლასობანა“. პირველი უჯრედი აღნიშნავს მინას, ბოლო უჯრედი კი – ცას. ანუ ეს არის ადამიანის გარდასახვა მინიდან ცამდე. საკუთარი თავის სრულყოფა მინიდან იწყება და ძალიან ცოტაა ალბათ ის, ვინც ცას მიაღწევს. ცა უკვე სრულყოფილების ბოლო ეტაპია.

ქალბატონ მერი ტიტინიძის თქმით, ეს წიგნი არაჩვეულებრივად მდიდარი ცოდნისა და განათლების მომცემია, თანდართული კომენტარებიც უამრავ ინფორმაციას იძლევა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შესახებ, რამდენადაც წიგნის პერსონაჟები მხატვრები, მწერლები, პოეტები და ა. შ. არიან. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი მეტად ტრაგიკული და ემოციურად დატვირთულია.

საინტერესო და განსხვავებულია წიგნის არქიტექტონიკა, არა მხოლოდ ტრადიციული, არამედ მოდერნისტული ლიტერატურის განაც. წიგნი დაყოფილია სამ ნაწილად: ამ მხრიდან, იმ მხრიდან და ყოველი მხრიდან.

წიგნში აბსოლუტურად ყველა მიმდინარეობის ნიშნები შეიძლება აღმოაჩინოთ: ეგზისტენციალიზმი, სიურრეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, ფროიდიზმი და ა. შ.

დასასრულ კი მთარგმნელმა აღნიშნა, რომ ბელგიელი სიურრეალისტის, რენე მაგრიტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს წიგნი „არ არის ის, რაც თქვენ გგონიათ“. თუმცა კი, ყველა მკითხველი ისე გაიგებს „კლასობანას“, როგორი მომზადებულიც მივა მასთან.

